

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## თენგიზ ბუმბერიძე

სიკო ფაშალიშვილის შემოქმედება XX საუკუნის  
ქართული ლიტერატურის კონტექსტში

10.01.01 – ქართული ლიტერატურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაკრებლად წარმოდგენილი სადისერტაციო  
ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელები: ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
ნაზი ხელაია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქუთაისი

2009

## შინაარსი

|  |             |
|--|-------------|
| შესავალი   | გვ. 3-9     |
| თავი I - სიკო ფაშალიშვილის პოეტური შემოქმედება   | გვ. 10-60   |
| თავი II - სიკო ფაშალიშვილის არაპოეტური მემკვიდრეობა  | გვ. 61-114  |
| ა) დრამატურგია   | გვ. 62-76   |
| ბ) მემუარები   | გვ. 76-101  |
| გ) პუბლიცისტიკა  | გვ. 101-114 |
| თავი III - 1920 წლის ლიტერატურული პოლემიკა და სიკო ფაშალიშვილი                                   | გვ. 115-133 |
| თავი IV - სიკო ფაშალიშვილის შემოქმედების როლისა და ადგილისათვის XX საუკუნის ქართული ლიტერატურაში | გვ. 134-143 |
| დანართი  | გვ. 143-155 |
| დასკვნა  | გვ. 256-158 |
| ბიბლიოგრაფია   | გვ. 159-162 |

## შესავალი

სიკო ფაშალიშვილის შემოქმედებას ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოკრძალებული ადგილი უჭირავს. მიუხედავად საინტერესო საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობისა, მწერლის სახელი სათანადოდ ცნობილი არ არის თანამედროვე საზოგადოებისთვის. სიკო ფაშალიშვილის შემოქმედების შესახებ ჯერჯერობით არ არსებობს ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა და არც რამდენადმე მაინც სრულყოფილი სამეცნიერო ნარკვევი. სხვადასხვა დროს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ვ. ასლამაზიშვილის, ი. გომართელის, თ. ბარბაქაძის, ლ. ბეგიაშვილის, დ. მეღუას, ა. მირიანაშვილის, ნ. შარშიაშვილის, ი. მილორაგას, დ. რევიას, გ. ციციშვილის, ს. ჭილაიას, ი. ჯავახიშვილის, თ. ჯანგულაშვილის სამეცნიერო ლიტერატურული წერილები და სტატიები საშუალებას არ გვაძლევს, ს. ფაშალიშვილის შემოქმედებაზე სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ. ზოგიერთი წერილი რეცენზიას წარმოადგენს, ზოგიც ჟურნალისტური, საიუბილეო-მიმოხილვითი ხასიათისაა, მხოლოდ მცირე ნაწილია სამეცნიერო-ანალიტიკური. თითოეული ავტორი აღიარებს ს. ფაშალიშვილის შემოქმედების უანრობრივ მრავალმხრივობას. მათგან უმეტესობა კომპლექსურად, მთლიანობაში მიმოიხილავს მის შემოქმედებას და არა ცალკე აღებულ რომელიმე ჟანრს. მწერლის შემოქმედებაზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მართებულია ლ. ბეგიაშვილის წერილში, „შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე“, გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ს. ფაშალიშვილის მიერ განვლილი ხანგრძლივი საინტერესო შემოქმედებითი გზა ღირსია ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის. წერილის ავტორს იმედი აქვს, რომ ამ საქმეს მომავალი თაობა აუცილებლად დაუთმობს სათანადო ყურადღებას.

ს. ფაშალიშვილი განუწყვეტლივ მუშაობდა პოეზიის, კინოდრამატურგიის, სატირა-იუმორის, მთარგმნელობითს, მხატვრული ნარკვევისა და სხვა დარგებში. ზემოთ დასახელებულ ავტორთა წერილებში მხოლოდ ზოგადად ვეცნობით ს. ფაშალიშვილის პოეტური ღირისის ზოგიერთ მონაკვეთს. მკვლევარი თ. ბარბაქაძე ს. ფაშალიშვილის მხოლოდ ერთი ლექსის („მამ გამარჯობა...“) მნიშვნელობაზე საუბრობს, ი. მილორაგაც ასევე ერთი ლექსის („უკვდავება“)

განხილვით კმაყოფილდება, ხოლო, შ. სულაბერიძე მიესალმება ს. ფაშალიშვილის ლექსების ერთტომეულის გამოცემას და ფრაგმენტულად მიმოიხილავს სულ რამდენიმე ლექსს ამ პოეტური კრებულიდან. იგივე ავტორი თავის მცირეფორმატიან წიგნში „თანამედროვე ლირიკოსთა პორტრეტები“ პოეტის შემოქმედებას ისევ მოკლედ და ლაპიდარულად ახასიათებს. მიგვითითებს, რომ პოეტის შემოქმედებაში შეიძლება გამოვეყნოთ სამშობლოს თემა, სიყვარულის განცდა, ფილოსოფიური ლირიკა... ავტორი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის ს. ფაშალიშვილის ლირიკული პოეზიის შესახებ. იგივე ითქმის ი. გომართელის თხზულებათა II ტომში შეტანილი კრიტიკული წერილის მიმართაც. ამდენად, ს. ფაშალიშვილის პოეზია თითქმის შეუსწავლელია.

სიკო ფაშალიშვილი შესანიშნავ პუბლიცისტადაც მოგვევლინა. 1935 წელს გამოცემულ წიგნში – „ძველ ყამირებზე“ – ერთ ათეულზე მეტი მხატვრული ნარკვევია შეტანილი, თუმცა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე ორიოდვე წარმომადგენელს (დ. იოვაშვილი, კ. ძიძიგური) თუ დავასახელებთ, ვინც მისი ზოგიერთი ნარკვევი ნაწილობრივ მაინც მიმოიხილა. აღნიშნულ წიგნზე დღემდე საფუძვლიანი კრიტიკული აზრი არ გამოთქმულა.

მხატვრული ნარკვევის შესახებ ერთ დროს (1934 წ.) მწერალთა შორის ცხარე კამათიც კი გამართულა. მასში ს. ფაშალიშვილს აქტიური მონაწილეობა მიუღია და ერთობ საინტერესო მოსაზრებანი გამოუთქვამს ამ საკითხის ირგვლივ (პოლემიკის წამომწყები ს. ჩიქოვანი გახლდათ). ბუნებრივია, აქ მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება გამოითქვა. ს. ფაშალიშვილმა თავის ვრცელ გამოსვლაში ბოლომდე დაიცვა ნარკვევი როგორც ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრი. სამწუხაროა, რომ ამ გამოსვლის შესახებ ლიტერატურულ კრიტიკაში აქამდე არაფერია ნათქვამი. საკითხი აქტუალურად ჟღერდა და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ქართულ მწერლობა მემუარული ჟანრით განებივრებული არ არის, სწორედ ამ ჟანრის საუკეთესო შენამატად მიგვაჩნია მწერლის ხანდაზმულობის უამს გამოცემული მემუარების წიგნი „დაუვიწყარი შეხვედრები“, რომელშიც მკითხველი მრავალ საგულისხმო მოგონებას გაეცნობა. კრიტიკოსთა ორიოდვე საგაზეთო წერილის (დ. მელუა – „მოგვიმრავლდეს ასეთი“, დ. რევია – „ძვირფას ოქროდ დარჩება“) გარდა, ამ წიგნის შესახებ ჯერ არსად არაფერი თქმულა. ამდენად, არც „დაუვიწყარი შეხვედრებია“ კრიტიკულად განხილული.

ქართული კინოხელოვნებისა და თეატრის წინაშე ს. ფაშალიშვილის დამსახურებაც სათანადოდ არ არის შესწავლილი. მასზე, როგორც დრამატურგზე, უფრო მეტად ზეპირი ცნობები მეტყველებენ, ვიდრე ლიტერატურული წერილები. სხვა კომენტარი საჭირო არც არის, თუმცა ზოგად მიმოხილვებში ასეთ სინამდვილეს მაინც წაიკითხავთ: „საქართველოში არ მოიძებნება ისეთი თეატრალური მოღვაწე, სიკოს სახელს რომ არ იცნობდეს" (63) - წერდა კულტურის დამსახურებული მოღვაწე ი. ჯავახიშვილი. მართლაც, ს. ფაშალიშვილმა თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა სცენარისტმა და თეატრის კრიტიკოსმა. ვფიქრობთ, რომ მომავალმა თაობამ ამ შესანიშნავი დრამატურგის სახელი, რომელმაც შექმნა კომედიები, კინოსცენარები და მრავალი ლიბრეტო, დაუმსახურებლად მისცა დავიწყებას.

ყურადღებას იპყრობს ს. ფაშალიშვილის სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებებიც. 1961 წელს გამოცემული „მხიარული წიგნი" ორ ათეულამდე პიესას, სკეტჩსა და ვოდევილს შეიცავს. ცალკე იუმორისტულ წიგნებად გამოიცა „თავი სიზმარში მგონია", „მურთაზ", „ახმედის პატაკი" და „ჩაჩანაკი კაკანათში", რომლებიც მკითხველთა გულწრფელ ღიმილს იწვევენ. თავის დროზე მწვერალი პოპულარული და ცნობილი იყო ჟურნალ „ნიანგის" რუბრიკით „ფარსადანმა თქვა" („ფარსადანი" მისი იუმორისტული (სანიანგო) ფსევდონიმია - თ. გ.).

ს. ფაშალიშვილი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკისა, რომელიც 1920 წელს მიმდინარეობდა ი. გრიშაშვილსა და გ. რობაქიძეს შორის. საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ამ პოლემიკაში ს. ფაშალიშვილის მონაწილეობაზე კი არა, თვით პოლემიკის არსისა და არსებობის შესახებაც ათწლეულების მანძილზე არაფერი იყო ცნობილი. ლიტერატურული კრიტიკა დუმდა გასაგები მიზეზის გამო – მისი მონაწილე ხომ შემდგომში ევროპაში გადახვეწილი ემიგრანტი გრიგოლ რობაქიძე გახლდათ, რომლის სახელიც საბჭოთა ეპოქაში ტაბუდადებული იყო. პროფ. ბ. არველაძემ თავი მოუყარა და 1990 წელს ხელახლა გამოაქვეყნა („მნათობი" №№3-4) აღნიშნული პოლემიკის ძირითადი მასალები, ხოლო ს. ფაშალიშვილის წერილები და ამ პოლემიკაში მისი მონაწილეობა ყურადღების მიღებაა დარჩენილი.

ს. ფაშალიშვილის შემოქმედებითი მრავალმხრივობა ამით არ ამოიწურება. აღსანიშნავია, რომ იგი ეწეოდა ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც. მან

შესანიშნავად გადმოაქართულა მრავალი უცხოური კომედია, დრამა-პიესა, ოპერეტა, რომლებმაც სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს თეატრალურ სცენაზე. გარდა დრამატული შემოქმედებისა, ს. ფაშალიშვილმა თარგმნა რუსული და დასავლეთ ევროპული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, შევჩენკოს, გონჩარის, ლებერეხტის და სხვების შემოქმედებიდან.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია სიკო ფაშალიშვილის, როგორც მწერლის, როლისა და ადგილის განსაზღვრა მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში.

ს. ფაშალიშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა უახლესი მწერლობის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მონაკვეთს, როცა გვერდიგვერდ იდგნენ მწერალთა ჯგუფები, რომელთაც სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსი და ლიტერატურული მიმართულებანი გააჩნდათ. სიკო მხოლოდ აკადემიურ მწერალთა ასოციაციის წევრი იყო ამ ჯგუფის შექმნის დღიდან და სიცოცხლის ბოლომდე მისი იდეური მიმართულების ერთგული დარჩა. მწერლის პოლიტიკურ პლატფორმას განსაზღვრავდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, ხოლო ლიტერატურულ მიმართულებას ზემოაღნიშნული ასოციაციის შესაბამისი იდეოლოგიური გზა. ლიტერატურას და მთლიანად ხელოვნებას თითქოს გამოცდის ქაში დაუდგა. ძნელი იყო საკუთარი პოზიციისა და სიმტკიცის შენარჩუნება. მართებული იქნება იმის თქმა, რომ სიკო ფაშალიშვილმა ამ რთულ გამოცდას წარმატებით გაართვა თავი. იგი მუდამ ინარჩუნებდა სხვადასხვა ჯგუფისაგან დამოუკიდებლობას, თავისთავადობას, არც „დიდი ოქტომბრის“ რევოლუციასა და გასაბჭოებას შეხვედრია ზეადმართული დროში. თავდაპირველად სიკო გაზეთ „დროებისა“ და „სახალხო საქმის“ შემოქმედებით ჯგუფებთან თანამშრომლობდა. საქართველოსთვის მეტად დაძაბულ წლებში კი ისევე, როგორც მრავალი სხვა, ძალაუნებურად ჩადგა „საბჭოური ცხოვრების ფერხულში“.

მისი შემოქმედება თავიდანვე ეროვნული იდეებით საზრდოობდა. მწერალი არ მიჰკედლებია იმ დროის უდიდეს მოვლენას – ოქტომბრის რევოლუციას, აღტაცებით არ შეჰგებებია მას. პირიქით, მარქსისტულმა მოძრაობამ დაუმსხვრია უმთავრესი იმედები, რამდენადაც, სწორედ ეს მოძრაობა აღმოჩნდა ეროვნულ ძალებთან დაპირისპირებული.

სიკო ფაშალიშვილის ლექსები, მემუარული ლიტერატურა, მისი გონებამახვილური პუბლიცისტური ნარკვევები, დრამატურგია, თარგმანები, ღიმილით სავსე იუმორისტული ნაწარმოებები გვაფიქრებინებს, რომ მათი ავტორი მეტ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებისაგან.

დღევანდელი მკითხველი საზოგადოება სათანადოდ არ იცნობს მწერლის მიერ განვლილ რთულ და საინტერესო ცხოვრების გზას. პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი მისი ბიოგრაფიული შტრიხები ძალზე მწირია. სოფელ მანხანაში დაბადებული, ღარიბი გლეხის შვილი, აღიზარდა მრავალშვილიან მშრომელ ოჯახში. იქ წიგნზე არავინ ფიქრობდა. მომავალ მწერალს ბავშვობაშივე აღმოაჩნდა უნარი დამოუკიდებლად გაეკვლია გზა ჯერ სოფლის ორკლასიანი სასწავლებლისა და შემდეგ თბილისის უნივერსიტეტისკენ. მომავალმა პოეტმა, საკუთარი ნიჭის წყალობითა და თავდადებული შრომით შეძლო იმდროინდელი რთული საზოგადოებრივი ცხოვრების ლაბირინთების გავლა, ეზიარა ჭეშმარიტი პოეზიის მადლს და თავისი კვალიც აღბეჭდა მშობლიურ ლიტერატურაში. მისი შემოქმედებითი გზა 1905-1907 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომი პერიოდიდან დაიწყო და ქართულ მწერლობას სიცოცხლის ბოლომდე ემსახურა. სიკოს საინტერესო ცხოვრებისეული ეპიზოდები სრულიად უცნობია ქართველი მკითხველისთვის. არც მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებია სათანადოდ გაშუქებული. ბურჟუაზია მოცული მწერლის პოლიტიკური ცხოვრების გზაც ვინაიდან, ს. ფაშალიშვილის შემოქმედება პირველად გახდა მონოგრაფიული შესწავლის საგანი, შეუსაბამო არ იქნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომზე მწერლის ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი ეპიზოდების დართვა.

„იყავ პოეტი, სულით ალალი, სიტყვას გიმკობდეს კაცური მადლი" - საკუთარი თავისადმი მიმართული ეს სიტყვები წარმოადგენს სიკო ფაშალიშვილის, როგორც პოეტის და მოქალაქის, მთავარ შემოქმედებით დევიზს. მართლაც, მის პოეტურ მგზნებარებას მუდამ თან ახლდა ალალი სული და კაცური მადლი. სიკო ფაშალიშვილი, დიდი ილიას, აკაკის და ვაჟას აზრების თაყვანისმცემელი, შეუერთდა მწერალთა „აკადემიური ასოციაციის“ ლიტერატურულ ჯგუფს, რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავდა ქართველ 60-იანელთა ეროვნულ ინტერესებს. მოგვიანებით სიკო სოციალისტურ პოზიციებზე ისე „გადმოვიდა“ როგორც მრავალი სხვა – სახელისუფლებო იძულებითი ღონისძიებების შედეგად, რასაც მისი თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავენ. სიკო ფაშალიშვილი თავისი მრწამსის ბოლომდე ერთგული დარჩა.

უთუოდ ყურადღებაშისაქცევია ის გარემოება, რომ ს. ფაშალიშვილს ქართული ლიტერატურის მრავალ ჟანრში აქვს წვლილი შეტანილი. როგორც უკვე ითქვა, იგი განუწყვეტლივ მუშაობდა როგორც პოეზიის, ისე პროზის, სატირა-იუმორის, კინოდრამატურგიის, მთარგმნელობით, პუბლიცისტიკის და სხვა დარგებში. მწერლის შემოქმედების თემატურ მრავალფეროვნებაზე მიანიშნებს თითოეული ის კრიტიკოსი, ვინც მას გასცნობია. მან ქართულ მწერლობაში ფეხი პოეზიით შედგა.

ს. ფაშალიშვილის პოეზია, თავის მხრივ, გამოირჩევა მოტივთა მრავალსახეობით. ვრცელი ადგილი უჭირავს სამშობლოს თემას, სატრფიალო და ფილოსოფიურ ლირიკას.

პოეტი არა მარტო წარსულის მხატვრულ გადმოცემას ემსახურება, იგი მწერლური რეალობით გადმოგვცემს თანამედროვე ცხოვრების ავსა და კარგს. სიკო ფაშალიშვილის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, კრიტიკოსი გიორგი ციციშვილი წერდა: „ს. ფაშალიშვილის პოეზიის მნიშვნელობა მარტო წარსული დამსახურებით როდი განისაზღვრება. მამულიშვილური სიყვარული ქვეყნისა და ხალხისადმი, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება, ადამიანური სითბო-გულითადობა და სულიერი სისპეტაკე – ს. ფაშალიშვილის ეს პიროვნული თვისებები, მისი შთაგონების წყაროდ გამხდარა და ლექსების მოუცილებელ წიბოდ ქცეული – ახლაც სიცოცხლით ავსებენ მის პოეტურ ნაწარმოებებს" (57). მარტო ის რად ღირს, რომ ს. ფაშალიშვილს, როგორც პოეტს, პატივს სცემდნენ და აფასებდნენ დიდი აკაკი და ვაჟა-ფშაველა. მის პირად არქივში მოიპოვება მრავალი დოკუმენტი, წერილი, გაზეთი, აფიშა, ძველი საბუთების დასტა, რომლებიც მოწმობენ, რომ სიკოს სტუმრები მრავალგზის ყოფილან კიტა აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე... სიკოს ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობანი ნაწილობრივ გადმოცემულია მწერლის მემუარებში, საიდანაც აკაკისა და ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ფურცლები ახალი, ძალზე ძვირფასი ცნობებით ივსება. ასევე ითქმის კოტე მაყაშვილის, ბაჩანას, დავით კლდიაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვათა ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე.

თანამედროვენი სიკოს იცნობდნენ როგორც შესანიშნავ პიროვნებას, გულმხურვალე მამულიშვილს და სიმართლის მაღლით აღვსებულ შემოქმედს. მან ქართულ პრესაში ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იღვაწა. თანამშრომლობდა იმ დროს გამომავალ თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემაში. ი. ჯავახიშვილის



(კულტურის დამსახურებული მოღვაწე) თქმით, „საქართველოში ძნელად მოიძებნება ისეთი გაზეთი, რომლის ფურცლები სიკო ფაშალიშვილის მაღლიან სტრიქონებს არ შეეფოს" (63).

სფაშალიშვილის მემკვიდრეობაზე დაკვირვებიდან ჩანს, რომ შემოქმედმა, მისთვის დამახასიათებელი ხელწერით, რეალური ცხოვრებიდან აიღო რაციონალური მარცვალი მარადიულობის მსოფლგანცდისა. მან ერთმანეთს დაუკავშირა უახლესი ქართული მწერლობა და მისი თანამედროვე ზოგადდამიანური პრობლემები. საყურადღებოა მწერლის მხატვრული სამყარო და მასში გამჟღავნებული ძირითადი ტენდენციები. მათი მიმართება XX საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების მწერლობასთან და თითქმის ნახევარსაუკუნოვან სინამდვილესთან, როცა ყალიბდებოდა ს. ფაშალიშვილის შემოქმედებითი პრობლემატიკა და მსოფლმხედველობა. იგი უახლესი ქართული ლიტერატურის პირმშოა, თუმცა ლიტერატურული მოტივებით (ეს განსაკუთრებით ჩანს 10-იანი წლების შემოქმედებაში) XIX საუკუნის კლასიკოს რეალისტთა იდეებს ეხმიანება. ამის შესახებ მემუარებშიც ამბობს, რომ დიდი ილიას აზრები იყო მკვებაგი მისი შემოქმედებითი აზროვნებისა, ხოლო ვაჟას სტილს თვითონაც, შეიძლება ითქვას, მიზანმიმართულად ბაძავდა, იმდენად იზიდავდა დიდი შემოქმედის სტიქია და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის დაუოკებელი უინი.

ნაშრომი პირველი მცდელობაა ლიტერატურული სამსჯავროს წინაშე მთლიანობაში წარმოვაჩინოთ ს. ფაშალიშვილის მხატვრული სამყარო. პირველად გახდა შესწავლის საგანი მწერლის ბიოგრაფია. ცოტა რამ არის ცნობილი მისი პოეზიის და პროზის შესახებ. უკვე მივუთითეთ, რომ არსად არაფერი იყო ნათქვამი ს. ფაშალიშვილის მძაფრ პოლემიკაზე გ. რობაქიძესთან. შევეცადეთ, ეს ხარვეზები რამდენადმე მაინც შეგვეფოს. ყურადღება გავამახვილეთ თეორიულ მოსაზრებებზე ლიტერატურული ნარკვევის შესახებ, რომელიც მან 1934 წ. მწერალთა კავშირის ერთ-ერთ სხდომაზე ჩამოაყალიბა. ეს იყო მწყობრი მსჯელობა, რითაც ს. ფაშალიშვილი ღირსეულად წარმოჩინდა ლიტერატურული საზოგადოების წინაშე.

ნაშრომის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ს. ფაშალიშვილის შემოქმედება, როგორც ორიგინალური, ისე მთარგმნელობითი. ასევე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალები, საარქივო დოკუმენტები, პერიოდული პრესაში გამოქვეყნებული წერილები, მწერლის პირადი არქივი და

დოკუმენტურ მასალებთან შეჯერებული ზეპირი გადმოცემები.

ვფიქრობთ, ნაშრომი რამდენადმე მაინც შეავსებს იმ ხარვეზს, რაც ლიტერატურის ისტორიაში არსებობს ამ საინტერესო შემოქმედის მიმართ. თემის სრულყოფა მომავალში მუშაობის გაგრძელებას გულისხმობს.

## თავი I

### სიკო ფაშალიშვილის პოეტური შემოქმედება

სიკო ფაშალიშვილმა შემოქმედებითი გზის დასაწყისში ქართველ მკითხველს თავი პოეზიით გააცნო. მისი პირველი ლექსები 1909 წელს დაიბეჭდა განახლებულ ილიასეულ „ივერიასა“ და „დროებაში“. 1910 წელს იგი თბილისს მიემგზავრება და იწყებს აქტიურ ლიტერატურულ მუშაობას. შემოქმედებით გზაზე ახლად გამოსული პოეტის ლექსები იმთავითვე სისტემატურად იბეჭდებოდა. ს. ფაშალიშვილის პირველი პოეტური კრებული „ჩანგი“ (გამოიცა 1917 წელს) გულმოდგინედ წაუკითხავს ივანე გომართელს. სახელოვანმა მკურნალმა და პუბლიცისტმა მასში „მრავალფეროვანი“ ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა პოეტი დაინახა: „არის პოეტი, რომლის სახეც თქვენთვის პირველი ლექსიდანვე ნათელია... არის პოეტი, რომლის სახეც დიდხანს რჩება გამოურკვეველი, ის დიდხანს არის დუღილში... შეიძლება შიგ ჩაიღუპოს, ხოლო თუ გამარჯვებული გამოვიდა, უთუოდ ღრმა და მრავალფეროვანი იქნება.

უკანასკნელთ რიცხვს ეკუთვნის პოეტი ფაშალიშვილი“ (8, 161). ამის შემდეგაც, მკითხველი საზოგადოება, ქართულ პერიოდულ გამოცემებში ხშირად ეცნობოდა ს. ფაშალიშვილის ლირიკას, მან საკუთარი ნიჭის წყალობით და თავდადებული შრომით გაიკვლია ცხოვრების ურთულესი გზა და გულწრფელად ეზიარა ჭეშმარიტი პოეზიის მადლს.

ს. ფაშალიშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას წინ უძღოდა 1905-07 წლების რევოლუცია და რეაქციის ხანა. ქვეყანა, ხალხი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა როგორც სულიერ, ისე მატერიალურ სფეროში. თვითონ უღარიბესი გლეხის შვილს, სიკო ფაშალიშვილს, მებრძოლი პათოსი არასოდეს ჩაქრობია. მიუხედავად თავმდაბლობისა, პასიურ პოზიციაზე ის არასოდეს მდგარა. თავისი მრწამსითა და პოლიტიკური მსოფლმხედველობით ს. ფაშალიშვილი სოციალ-ფედერალისტი იყო. იგი ყოველთვის დიდ მოთხოვნებს უყენებდა საკუთარ თავს, როგორც საზოგადო მოღვაწეობაში, ისე პოეზიაშიც. მიღწეულს საკმარისად არასოდეს მიიჩნევდა:

„და იმას ვნაღვლობ მსხვერპლი დროისა,  
ვაჰ, თუ ვერ ვიყო მე მარადისი,  
ვაჰ, თუ ბუნება მოტყუვდეს ჩემში  
და გადმოცემა ვერ შევძლო მისი“, –

ამბობს იგი თავის ერთ-ერთ ადრინდელ ლექსში, რომელსაც „ეჭვის ფერფლი“ ჰქვია.

ს. ფაშალიშვილის პოეზიას ზოგჯერ ემჩნევა ქართველი კლასიკოსების ზეგავლენა. მოტანილი სტროფი გვაფიქრებინებს, რომ იგი რემინისცენციაა ალ. ჭავჭავაძის პოეტური სტრიქონებისა – „მე ამას ვტირი, განაწირი, ვაჰ, თუ ვესწრა ვერ, თვარაღა ჟამი, გულთ-მაამი, კვლავცა იქნების“. „მე ამას ვნაღვლობ მსხვერპლი დროისა, ვაჰ, თუ ვერ ვიყო მე მარადისი“. აზრი და ლექსიკა თითქმის იდენტურია, მსგავსი მაგალითების დაძებნა კიდევ შეიძლება. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა არ გვსურს, რომ ს. ფაშალიშვილის პოეზია სხვათა ნააზრევის გადამღერებაა (აზრობრივი იდენტურობის მაგალითები დიდ ქართველ პოეტთა სტროფებშიც ხშირად გვხვდება), პირიქით, გვწამს, რომ იგი ღრმად იცნობდა და ეწაფებოდა ქართული პოეზიის ნიმუშებს - გამოჩენილ ქართველ შემოქმედთა შედეგებს და ზოგჯერ უნებლიეთ შემოიჭრებოდა მათი აზრი თუ მხატვრული სახეები პოეტის შემოქმედებაში. მსგავსი რემინისცენციები ს. ფაშალიშვილის მიერ ქართული პოეზიის ღრმა ცოდნის მახასიათებელია.

უპირველესი შთაგონების წყარო სიკო ფაშალიშვილისათვის იყო სამშობლო, მშობელი ხალხი. „რა თემაზედაც არ უნდა წერდეს იგი ლექსს, ყველგან იგრძნობა ქართველი კაცის ბუნება, მისი მწუხარება თუ აღფრთოვანება“ (22, 3). პოეტის გულწრფელობას და გულითადობას აღიარებდა ყველა მისი თანამედროვე, ვისაც მასთან ურთიერთობა და ნაცნობობა ჰქონია. იგი ყოველთვის უშუალო იყო თავის ქვეყანასა და ხალხთან მიმართებაში. ამიტომაც გვწამს მისი გულწრფელობა, როცა ლექსში „სამშობლოსადმი“ მშობელ ქვეყანას მიმართავს:

„შენი ვარდების სურნელი მეცა,  
როცა ამსოფლად შემოვდგი ფეხი“.

ამდენად, ს. ფაშალიშვილის პირველი სიტყვა სამშობლოს ეძღვნება. პოეტს ეამაყება, რომ იგი საქართველოს შვილია და შესაძლებლობა აქვს მიენდოს მისი „სიტყვის კილოს“. ის, თავისი ქვეყნის „სეკდით დანავლული“, შვებას ისევ საქართველოს ტრფიალში ჰპოვებდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, შინ თუ

გარეთ, გალადებულსა თუ „ბედის მზრახველს“ მუდამ თან დაჰქონდა „გულის სინათლედ“ ქცეული სამშობლოს ხატება. ლექსი მშვენიერი მხატვრული სახეებით გადმოგვცემს ავტორის ნამდვილ გულისთქმას. სამშობლოსადმი მიმართვას პოეტი ასეთი სტრიქონებით ამთავრებს:

„გზას მინათებდა შენდამი ლოცვა,  
შენი მზისაკენ თვალი მეჭირა,  
ნეტავი ასი სიცოცხლე მომცა,  
ასივე შენთვის შემომეწირა“.

ს. ფაშალიშვილის მოკრძალებული ხასიათიდან გამომდინარე, მასთან ახლოს მყოფ მეგობართა წრეშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, თუ რა ბოლოქარ გულს დაატარებდა ეს გარეგნულად წყნარი და გაწონასწორებული პიროვნება. პოეტის ხასიათში წვდომას მხოლოდ მის შემოქმედებაზე საფუძვლიანი დაკვირვებითა და გაცნობით თუ შეუძლებო.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ს. ფაშალიშვილის მოსვლა ქართულ მწერლობაში დაემთხვა 1905-07 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გამძვინვარებული შავი რეაქციის წლებს. „ამ დროს გაძლიერდა დაბნეულობისა და უიმედობის სულისკვეთება. ამ განწყობილების სუსხი ს. ფაშალიშვილსაც არ ასცდა. მის გულსაც ჩაეწვეთა კაეშანი, სევდა, მაგრამ იმედის სხივი, უსამართლობის წინაშე ქედმოუხრელობის სულისკვეთება მაინც არ ჩაკვდომია“ (39, 184).

პირადაა რწმენამ და აქტიურმა შემოქმედებითა პოზიციამ ათქმევინა მას 1913 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში: „მაგრამ არა მსურს, ცხოვრების ტლანქ ხელს ქედმოხრით ვუთხრა სიტყვა მონისა“.

ჯერ კიდევ 1909 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა მანამდე უცნობი პოეტის ლექსი „ივერია“, რომელმაც ძნელბედობით დათალხულ იმ ხანაში პატრიოტული ტკივილები გაახსენა რეაქციის სუსხით შეთრთვილულ ქართველობას“ (57).

პოეტი ლექსებში უმეტესად მხიარულ, ნათელ განწყობას აქსოვს. ასევე ხშირად იგი ნაღვლიანიც, მაგრამ ელის იმ დღეს, როცა „ხალხის ცრემლები“ წარღვნად გადაიქცევა და არსებულ ბნელეთს წაღეკავს. 1913 წელს დაწერილ, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ, ვაჟასებური სტილის ლექსში „სიმღერა“ („ვაჟა - ფშაველას, მისებურად“ – ს. ფ.) პოეტი ბრძოლის დაუოკებელ უინს ამჟღავნებს. მეომრული პათოსით აღტკინებული, „ბედის ქარიშხალს“ აყოლილი, რომელმაც „ბევრი ხრიოკი, ჭიუხი და კლდენი“ გადაატარა, იგი შემდეგი სტროფებით

ეხმაურება გენიოს ვაჟას:

„ხან ცას ავუხტით, ცივ ღრუბლებს  
შევეხე დაჭრილ მკერდითა,  
ხან ძირს დავეშვით, ბრძოლის ხმებს  
ზღვის მჩქეფ ტალღებზე ვწერდითა!  
„წინ - მომესმოდა ძახილი -  
მტერმა არ გნახოს მძინარე,  
არვინ შეგნიშნოს სილაჩრის  
ცრემლი - თვალს ჩამომდინარე,  
გინდ გარიყულსა ფონიდან,  
გეჯახოს შმაგი მდინარე, -  
დაუხვდი შეუდრეკელად,  
ლომი იყავი მძინვარე!"

ჭაბუკი პოეტი მისდევს ამ ხმას და დაბრკოლებების წინაშე უკან არც იხევს და არც იხედება. იგი, მთლად გაკაჟებული, „ბრჭყალგალესილ ცხოვრებას" ეურჩება და ებრძვის. აღნიშნული ლექსის შემდეგი სტროფები კიდევ უფრო უახლოვდება XIX საუკუნის კლასიკოს შემოქმედთა იმედიან განწყობილებას, რომლებიც სამშობლო ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენას გამოთქვამდნენ და წინასწარმეტყველებდნენ:

„მწვერვალზე შევდექ, განვლილ გზას  
ოცნების თვალთ გავხედე,  
გულში იმედმა იელვა,  
ბედი არ გავათავხედე!..  
. . . . .  
გულმა მახარა სიმართლის  
ზეიმის მოახლოება:  
„შენი ჩანგურით ნანატრი  
მოვა ის დიდი დროება,  
რასაც სიმღერით მიუძღვენ  
ეგ მთელი საწუთროება!"

პოეტი მხატვრულ წარმოსახვაში ფრთებს ასხამს საკუთარ იმედებს, მის ქროლვას „ჰანგით თანა სდევს" და გრძნობით უერთდება. ამ დროს მისთვის არ არსებობს სხვა მოსაზრება, გარდა წინსვლის აუცილებლობისა, ხოლო

სავარაუდო ავბედობის შემთხვევაში მეომრული თავგანწირვის შთამაგონებელია შემდეგი სტრიქონები:

„გზიდან არ გადავუხვიოთ,  
თუნდაც ჩაგვიტყდეს ბორანი,  
დე, ქარიშხალი დმოოდეს,  
დე, მოგენხაოდეს ყორანი,  
აღთქმულ ბილიკით, აღთქმულ გზით  
გადავიართო მთა-ბარი,  
აინთოს, უნდა აინთოს  
დიდი მომავლის ღამპარი!"

შეიძლება, აღნიშნული ლექსის ავტორის ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელიც კი იყოს ის სიმძაფრე და მკვეთრი აზრობრივი რადიკალიზმი, რაც ამ სტროფებში იკითხება, მაგრამ სწორედ ეს სტრიქონები გვაგრძნობინებს გარეგნული სიმშვიდის მიღმა თუ როგორი მგზნებარე გული ანთია პოეტისა. როცა სიტყვა და საქმე სამშობლოს, მისი უკეთესი მომავლის საკითხს ეხება, მაშინ ს. ფაშალიშვილის მშვიდი ბუნება ერთბაშად იცვლება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლექსი „მაშ გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლევ".. 1964 წელს გამოცემული ს. ფაშალიშვილის ლექსების კრებული ამ ლექსით იხსნება. მას ავტორის ყველაზე ფასეულ პოეტურ ქმნილებათა შორისაც კი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ლექსი დათარიღებულია 1911 წლით. (ხშირად ავტორისეული დათარიღებანი საკუთარი ლექსებისა, გარკვეულ მიზეზთა გამო, ანაქრონისტულია, ყოველი შემთხვევისათვის, ეს ლექსი მას ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში დაუწერია). როგორც ვიცით, 1905-1907 წლების რევოლუციის შემდგომი რეაქციის პერიოდში, მწერლობაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში, ფართო ასპარეზი მიეცა სასოწარკვეთილებასა და უიმედობას. ასეთ პირობებში გაისმა სიკო ფაშალიშვილის ოპტიმისტური სისავსით გამორჩეული ხმა:

„მაშ, გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლევ,  
იყავი ჩემგან შენ განუყრელი, -  
სანამ საკუთარ თვალით არ ვნახოთ  
ჩვენ ძმობის დროშა ძირს დაუხრელი".

ამ ლექსით პოეტმა იმ დროის სირთულეებს დაუპირისპირა იმედი და სიცოცხლის სიყვარული. ირგვლივ არსებული „ცრემლი და ნაღველი შავი" პოეტს ვერ დააკვნესებს – ვაი, რად გაგნდიო; ვერ ათქმევინებს სიცოცხლის

სამღურავს, პირიქით: „მაშ გამარჯობა ტკბილო სიცოცხლე“, - შეუძახებს იგი ვაჟკაცური ტონით. „ეს ლექსი ერთგვარ სადარბაზო შესასვლელად მეჩვენება პოეტის თავისებურ და საინტერესო პოეზიაში. ახალგაზრდა პოეტმა შემართებით უმღერა სიცოცხლის ნათელს“ (66, 9), - იტყვის მწერალი თ. ჯანგულაშვილი აღნიშნული ლექსის დაწერიდან რამდენიმე ათწლეულის შემდეგ.

თვით ავტორსაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, განსაკორებელი დამოკიდებულება ჰქონდა ამ ლექსისადმი. პროფ. თ. ბარბაქაძის თქმით, „...ლექსის სათაურად გატანილი სტრიქონის სიახლე და მოქნილობა არც თვითონ ავტორს ექვევებოდა, მაგრამ უფრო შეუყვარდა მას შემდეგ, რაც ვაჟა-ფშაველამ მოიწონა“ (3, 12).

ს. ფაშალიშვილი თავისი მემუარების წიგნში „დაუვიწყარი შეხვედრები“ ამ ფაქტის შესახებაც მოგვითხრობს: 1912 წლის შემოდგომაზე თბილისში, რესტორან „ანაგაში“, ერთად შეკრებილან ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, ნიკო სულხანიშვილი, ნიკო კურდღელაშვილი, ამ მოგონების ავტორი და სხვები. კარგი ღხინი გაუმართავთ. ქეიფისას ერთ-ერთ მომღერალს, ვინმე შავტრიფონას, სიკო ფაშალიშვილის ლექსებზე გაწყობილი ორიოდვე მელოდია დაუმღერებია. ამ ლექსთაგან „მაშ გამარჯობა“ ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ყოფილა და ამდენად მკითხველი საზოგადოება მას არ იცნობდა (ავტორის თქმით, „სახალხო გაზეთის“ რედაქციას ცენზურის შიშით უთქვამს უარი მის დაბეჭდვაზე). ამის შემდეგ ლექსი ავტორს შავტრიფონასთვის გადაუცია, ამ უკანასკნელს მელოდია შეუწყვია და მღეროდა ქეიფის დროს მეგობართა წრეში. რესტორან „ანაგაში“ შესრულებულ „მაშ გამარჯობას“ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ვაჟაზე:

„ - აი, ეგ სხვა ჭაშნიკისაა, მაგაზე ყოჩაღ, ჩვენ ხალისი გვინდა, ხალისი. ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას ხალისი უნდა შევაყვართ, მომავლის იმედი უნდა ჩავუნერგოთ, - მაშ გამარჯობა ტკბილო სიცოცხლე! - ბარაქაღა, ბიჭო! - კიკუშ (ნიკო სულხანიშვილს ეძახდნენ ასე - თ. გ.), ეს საშენოა!“

ნიჭიერმა კომპოზიტორმა თურმე აღტაცებით უპასუხა: სწორედ სათქმელი წამართვი: მეც ეგ აზრი დამებადა. მაგ სიტყვაზე უნდა დაიწეროს სიცოცხლისადმი მისაღმება, მევალოს შენგან!

–გვევალოს!“ (43, 96).

შემდეგში, ვაჟას ამ შეგონებით, ნ. სულხანიშვილმა მართლაც დაწერა მუსიკალური საგუნდო შედევრი „მაშ გამარჯობა“. ამდენად ს. ფაშალიშვილის სიტყვის ემხი მუსიკაშიც აქდერდა. ი. ჯავახიშვილის (კულტურის

დამსახურებული მუშაკი) აზრით ამ ძარღვიანმა სტრიქონებმა შთააგონა ნიკო სულხანიშვილს შეექმნა უკვდავი სიმღერა, ხოლო „გრიგოლ კოკელაძემ მისი ქმნილება ააუღერა მუსიკალურ ნაწარმოებში „სამშობლოსათვის“, ვ. ცაგარეიშვილმა – „საიერიშოში“, რევაზ ლალიძემ „მთა დიდებულში“, ა. ფარცხალაძემ რომანსში „ჩასულა მზე“ (64).

ლექსმა იმთავითვე პოპულარობა მოიხვეჭა ქართული პოეზიის დიდ კალმოსანთა შორისაც.

ტიციან ტაბიძის 1928 წელს დაწერილი ცნობილი ლექსი „მაშ გამარჯვება“ ს. ფაშალიშვილის აღნიშნული ლექსის გამოძახილია. „თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე“ - ამბობს ტიციანი. მისი ეს სტრიქონი ცხადყოფს, რომ პოეტი მოხიბლულია ს. ფაშალიშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერით. პროფ. თ. ბარბაქაძის აზრით ტიციანი ს. ფაშალიშვილის სტრიქონების ციტირებას ახდენს თავის ლექსში. „ციტატის ფორმით მოწოდებული ეს სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ტიციან ტაბიძე გულისხმობს სხვისი ლექსიდან მოწონებული ამონარიდისადმი თანხმობას, მასთან თანაზიარობას. ტიციან ტაბიძემ სიმღერადქცეული ლექსის ორი სტრიქონი აირჩია ციტატისათვის, მთლიანად სიკო ფაშალიშვილის ლექსის სულისკვეთება კი, ბუნებრივია, განსხვავებულია ტიციანის შედგერისაგან“ (3, 12). ადვილი მისახვედრია, რომ „მაშ გამარჯვებას“ ტ. ტაბიძე არ იტყოდა. ასეთი გამოთქმის ტონალობა აღმოსავლურ-ქართულია, სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი.

აღნიშნული ლექსის მიხედვით, ს. ფაშალიშვილს თავისი ქვეყნის მომავალი გამარჯვებების უდიდესი რწმენა ასულდგმულებს. სიცოცხლეს იგი მოუხმობს თავისთან განუყრელად მანამ, სანამ შვილებსა და შვილიშვილებს არ გადასცემს ღირსახსოვარ სიმღერას გოლგოთაზე წამების ჯვრის დამხობის შესახებ. ამის შემდეგ კი

„...თუნდ დამთმო, აღარ ვინაღვლი,  
თუ მოვიხადე კაცური ვალი, -  
მაშ, გამარჯობა ახალ ქვეყანას,  
იყოს დღეგრძელი შთამომავალი!“ –

ამბობს იგი.

პოეტი ხშირად ახსენებს გლოვას, ცრემლებს, გოდებას... თუმცა ცდილობს, განერიდოს მათ. იგი არ იძირება ამ ცრემლებში. ცრემლი და გლოვა თანამდევად მის არც ერთ ლექსს არ ახლავს. ბრძოლის ჟინი და გლოვისგან



გათავისუფლება წარმოადგენს მისი პოეტური მისწრაფების უმთავრეს მიზანს.

ლექსში „შემოდგომის ცავ“ მხატვრულ ასპექტშია წარმოდგენილი პოეტის სულის მღვდვარება, მისი სულიერი რწმენის ექო:

„ახ შემოდგომის დაღვრემილო ცავ,  
რა წარბშეკრული დაჰყურებ მთა-ბარს,  
მთა-ბარს, რომელიც სევდას მოუცავს,  
აფარებ კალთას გლოვისას, საზარს, -  
და სტირი მწარედ, შენი ცრემლები  
შეუწყვეტელი და სევდიანი,  
ცვივა და ცვივა, როგორც მტევნები  
მარგალიტის და ბროლის ხმიანი!“

პოეტი აღიარებს, რომ „ცხოვრების ნაღველთან ერთად“ უიმედობა, კაემანი და „ეგ მძიმე სევდა“ მასშიც გადადის და უესებს გულის. თუმცა, მაინც არ ემორჩილება წუთისოფლის უღმობლობას და ამბობს:

„მაგრამ არ დაღვრი შენსავით ცრემლებს,  
ბნელ შემოდგომის დაღვრემილო ცავ.“

მებრძოლი იდეის მატარებელია ლექსი „ახალი რწმენა“ (1916 წ.). რატომღაც ავტორმა მას ასეთი სათაური დაარქვა, თუმცა იგივე შემართება ჩანს მანამდე დაწერილი ლექსების უმრავლესობაში. ლექსი, როგორც ამას სათაურის ქვეშ ავტორის მინაწერი გვამცნობს, დაწერილია საახალწლოდ და ამდენად, სათაურიც სიმბოლურად აქვს შერჩეული. პოეტი ახალი წლიდან, თავისი წარმოდგენით, ახალი რწმენით იცხოვრებს, ამიტომაც ეთხოვება ძველ საგოდებელსა და ძველ ცრემლებს:

„ბედის ტრიალის ცრემლების დავთარს  
კვლავ ამოვხიე ერთი ფურცელი,  
დავმარხე იგი და მასთან ერთად,  
დავმარხე სევდაც, ზღვასავით ვრცელი“.

ძველი ცხოვრება ვეღარ ასულდგმულებს, ვეღარ ასაზრდოებს პოეტის მწფოთვარე სულს. ამიტომ ეძახის იგი „ახალ გარიჟრაჟს“, რადგანაც დღემდე მისი სული „შხამით იკვებებოდა“, ამიერიდან კი „ახალ ღმერთს“ მოეღის, პოეტი ესწრაფვის ცხოვრების ახალ გზას, ახალ რწმენას და ახალ სამლოცველოს:

„დაე, გოლგოთა ერის ტანჯვისა  
სისხლით და ცრემლით ჩამოიღეკოს,

და ახალ რწმენის სამლოცველოზე  
ახალი ზარი ჩამორეკოს!.."

ს. ფაშალიშვილი არსებული ვითარებით გამოწვეულ გლოვასა და ცრემლებს ერთგვარ მასტიმულირებელ ძალადაც კი მიიჩნევს. მას სჯერა, რომ არსებული ვითარებით შეძრწუნებული ადამიანები აზვირთდებიან და ბრძოლის ზარს დააქუხებენ, უიმედობისა და უსასოობის სამგლოვიარო ფარდებს ჩამოხსნიან და იმედიან ჰანგთა ჟღერით გამოადვიებენ სამყაროს. ამ მხრივ გამოირჩევა ლექსი „ხალხის ცრემლებო!"

„ხალხის ცრემლებო, ხალხის ცრემლებო!  
ოჰ, რა მწვავეა თქვენი სახელი,  
განწირულების, უსასოობის  
და ურვა-გლოვის გამომსახველი..."

შავი, ბნელი ღამე მალავს ხალხის ცრემლებს თავის ბურუსში. მალა ცაც „კი ბრმა არის" და ვერ ხედავს ცრემლებს, დაბლა მიწა ცივია, „ვერ სწვდება მის გულს, და თქვენი რისხვა ვერ უერთდება შურისძიების საზღვრამდე მისულს". მთლიანად ლექსის შინაგანი ხმა რაღაც ახალი განცდისთვის გვამზადებს. ლექსის ბოლოს გამჟღავნებულია პოეტის ყოველდღიური ოცნება, იგი არაორაზროვნად სვამს კითხვას:

„ხალხის ცრემლებო, მწუხარე გრძნობის  
დროშად გაგშალეთ, აგწიეთ ზევით,  
მაგრამ ამ ქვეყნად უსამართლობის  
წარღვნად როდისღა გადაიქცევით?"

ლექსი „ხალხის ცრემლებო!" დაწერის თანავე გამოქვეყნდა პრესაში. „სახალხო გაზეთის" დამატების, 1913 წლის 27 იანვრის გამოშვება, სწორედ ამ ლექსით იხსნება. გაზეთის პირველი გვერდი წარმოდგენილია ფუმანის დიდებული მხატვრობით „ფსიხეა", რომელსაც ერთვის ს. ფაშალიშვილის ლექსი. ფუმანის „ფსიხეა" და „ხალხის ცრემლებო" ფუნჯითა და კალმით ურთიერთშერწყმულ სინამდვილეს წარმოადგენს და მთლიანობაში მეტად შთამბეჭდავ, გაუხმოვანებელ თეატრალურ უვერტურას ქმნის. ორივე ერთად კიდევ უფრო შთამაგონებელი ძალით გვარწმუნებს არსებული დროების უკუღმართობაში.

სიკო ფაშალიშვილი მშრომელი საზოგადოების წიაღიდან გამოსული პიროვნება გახლდათ და ახლოს იცნობდა მის ხასიათს. მან მძიმე ფიზიკურ

შრომაში გაატარა ბავშვობის წლები, პოეზიის მადლსაც თავის ხალხში ეზიარა. მშობლიური მხარის უზომო სიყვარული იკითხება მრავალრიცხოვან მიმოწერებში ქიზიყელებთან - სიდნალისა და მშობლიური მანხაანის მკვიდრებთან. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი პოეტს მშობელი მხარის სიყვარული ასულდგმულებდა, სულიერად კვლავ იქ იყო. იგი ხომ ყველას ჭირის და ღხინის თანამოზიარე გახლდათ. არა მარტო ქიზიყელებს, მთელი კახეთის მხარეს ეიმედებოდა და ეამაყებოდა მუდამ მათზე მზრუნველი სიკო ფაშალიშვილის სახელი.

პოეტის არქივიდან თვალი გადავაგვლოთ ერთ წერილს, რომელიც ავტორს თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მიუწერია სიდნალის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკისადმი: „ძვირფასო ძმაო და მეგობარო ვალიკო. ნუ გაგაკვირვებთ ეს ბარათი. კიდევ ცოცხალი ყოფილაო... უკვე კარგა ხანია ჩემს შვილთან – გიზისთან ვარ. ყურადღება და კეთილი ზრუნვა არ მაკლია მისგან, მაგრამ მაინც ის არ არის, რასაც „კარგად ყოფნა“ ჰქვია... მომდის თქვენი „კოლმეურნე“ თქვენი ყურადღების წყალობით... მენატრება მთელი თქვენი რედაქცია...

ძალიან მეწყინა და გული დამწყვიტა დიმიტრი გელაშვილის უბედურებამ... მე, რასაკვირველია, ვერ ჩამოვიდოდი, მაგრამ ჩემმა შვილმა მიაბო, რა დიდი პატივი უციათ დიმიტრისთვის. ჩვენი კუთხიდან მთელი ინტელიგენცია დასწრებია და გაუზიარებია მისი მწუხარება. ყოჩაღ, კახელებო და ქიზიყელებო. ასე უნდა ვიყოთ ერთმანეთის მხარდამხარ ღხინშიაც და ჭირშიაც... ახლა, რაც ოთახის „ტყვე“ გაგხდი, უფრო ძლიერია ჩემში ჩემი კუთხის და ხალხის ნახვის სურვილი...“ (14, საქმე 28650-12, ფ. 1-2). წერილის ბოლოს პოეტი სთხოვს რედაქციას, შეუკრიბონ გაზეთის ის ნომრები, რომლებშიც მისი ლექსები და მოგონებებია დაბეჭდილი.

მიუხედავად საცხოვრებლად და სამოდვაწეოდ თბილისში გადმოსვლისა, სიკო ფაშალიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა სიდნალში გამომავალ გაზეთში „ხმა კახეთისა“, ერთი წუთითაც არ უფიქრია ზურგი ექცია მისთვის, მიუხედავად იმ ძალზე არასასიამოვნო შემთხვევისა, რაც 1914 წელს სიდნალსა და მანხაანში, სიკოს ლიტერატურულ სადამოზე დიდი აკაკის გამგზავრებისთვის ხელის შეშლაში გამოიხატა. მაშინ, განაწყენებულმა სიკომ გაზეთის რედაქტორს „ვაჭრების იდეოლოგიც“ კი უწოდა. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თბილისში ს. ფაშალიშვილის ჩამოსვლის პერიოდი იმ წლებს დაემთხვა,

როცა ლიტერატურული ცხოვრება ბოხოქრობდა ამერ-იმერში. ეს პროცესი თანდათანობით მეტ ინტენსივობას იძენდა და XX საუკუნის 10-იანი წლების II ნახევარში თითქმის ზენიტს მიაღწია. „გახშირდა ლიტერატურული დილა-საღამოების მოწყობა... ხშირად მონაწილეობდნენ ჩვენი მწერლობის ძველი თაობის წარმომადგენლები: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი, იროდიონ ევდოშვილი და სერგო კლდიაშვილი.

ლიტერატურული დილა-საღამოებისა და ლექციების ჩატარების მოთავე იყო ქართველ მწერალთა ახალი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი სიკო ფაშალიშვილი" (62, 65). აღსანიშნავს მკვლევარი გ. ჯავახიშვილი. „ხმა კახეთისაში", (გამოდიოდა 1912-1915 წ.წ.) ს. ფაშალიშვილის შემოქმედება სისტემატურად იბეჭდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კახეთის სრულყოფილი კომპლექტები არც ერთ მუზეუმსა და ბიბლიოთეკაში არ არის დაცული. გადარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი და, ამდენად, ბევრი რამ იქ დაბეჭდილი მასალებიდან ჯერჯერობით ჩვენთვის მიუწვდომელია.

„სხვადასხვა დროს აქ დაიბეჭდა ლექსები „სოფელს ეძინა", „სიმღერა", „სისხლის ღაქა", „შაირი", „ორი ლექსი მ. კ-ის ასულს", „ლოდინში" და სხვა.

„სოფელს ეძინა... კვლავ სძინავს,  
სულს ხუთავს შავი სიზმარი, -  
ნეტავ ცას როდის მოჰქარგავს  
ის განთიადის ცისკარი?!" –

კითხულობს პოეტი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სამშობლოს განთიადს ელოდა" (62, 65). ისე, როგორც იმდროის მრავალი ქართველი პოეტის და მამულიშვილის, ს. ფაშალიშვილის სულიერი შფოთვაც ყველაზე მეტად 1911-1916 წლებში დაწერილ ლექსებში იგრძნობა. მის თვალწინ ჩაიარა 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს მღელვარე ცხოვრების სურათებმა. ეს წლები იყო პოეტის სანუკვარი დრო, თუმცა მისი ლექსებიდან გამომდინარე, ამაში ძნელად დარწმუნდები, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამწლიან დამოუკიდებლობას საშინელი დიქტატურა მოჰყვა, ქვეყანა რეპრესიებმა მოიცვა და სოციალ-ფედერალისტი სიკო ფაშალიშვილი (უფროს ძმასთან - გიგა ფაშალიშვილთან ერთად) იძულებული იყო დაეფარა თავისი პარტიულობა - სოციალ-ფედერალისტობა, ე. ი. თავის სულს მაღავედა. ამავე მიზნით, მიმართავდა ანაქრონიზმს ლექსების დათარიღებაში ისე, როგორც იმ ვითარებაში ასეთსავე მდგომარეობაში მეოფე შემოქმედთა ზოგიერთი სხვა

წარმომადგენელიც. ეს იყო დროის შესაბამისი იძულებითი ლავირება. ს. ფაშალიშვილის კრებულებიდან და ერთტომეულიდან თითქმის მთლიანად ამოღებულია 1920-დან 1930 წლამდე დაწერილი ლექსები და თუ მაინც გვხვდება თითო-ორი ნიმუში, ისიც შეცვლილი თარიღით. ამას გვიდასტურებს საუბრები გიზი ფაშალიშვილის ოჯახის წევრებთან და ზოგიერთი კრიტიკული წერილი, რომელიც ს. ფაშალიშვილის შემოქმედებას ეხება. ცნობილი ფაქტია, რომ ს. ფაშალიშვილისთვის იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა 1921 წელი და შემდეგი დროის სვლა...

ი. გრიშაშვილის ჟურნალ „ლეილას“ მეორე ნომერში (1920წ. იანვარი) დაიბეჭდა ს. ფაშალიშვილის ვრცელი ლექსი „თოვლში“. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ლექსს აშკარად ეტყობა ავტორის უიმედო განწყობილება. იგი თითქოს გრძნობს, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობა დროებითია. გარეშე ძალები მისი შენარჩუნების საშუალებას არ მოგვცემენ და ისევ წაგვართმევენ თავისუფლებას. პოეტი გამოსავალს ვერ ხედავს და შიშით შეპყრობილი წინასწარმეტყველურად ამბობს:

„და იძვროდა ნათელი და ჩემს ფართო ფანჯარას -  
აწვებოდა სხივები - ხან რიგრიგად - ხან ჯარად.  
და მე ნათლად ვხედავდი გზებს, ცისაკენ წარმავალს:  
ცაში ანგელოზები იმართავდნენ კარნავალს -  
და იქ ღმერთიც მეზმანა უცნაურის ზმანებით:  
მან ზეციდან მესროლა შავი ხელთათმანები -  
შეგერთი, ფარდა დაუშვი და სულ იმას ვფიქრობდი,  
თუ გულში ამ განცდის ცეცხლს რომელ ზღვით დავიქრობდი?..  
სახლში შიში დამყარდა, კარში ქარი ატირდა -  
და გაჟჟავდა ბურანში როგორც კარიატილდა“.

პოეტის უიმედო მდგომარეობა ობიექტური რეალობიდან, იმ დროის გართულებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობიდან გამომდინარეობს. უფრო მეტიც, პოეტი იდუმალი შიშით შეპყრობილი ჩანს. ს. ფაშალიშვილს გააჩნდა სწორი პოლიტიკური აღლო, რაც მოპოვებული თავისუფლების შენარჩუნებაში ეჭვის საფუძველს უქმნიდა - „თოვლის მაყრების მოსვლა დღეს ქარს აღარ სჯეროდა“, ან: „გზები სულ მთლად წაშლილა - თეთრად გადაბურდული, - სად მივდივარ? - ჩემს გულში შიში იძვრის ქურდული“. პოეტი ნამდვილად გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს და სულ უფრო უძლიერდებოდა

თავისუფლების შენარჩუნების ეჭვი:

„და მივიღვარ მარტოკა, ვით შეშლილი მაესტრო,  
ახ ნეტავი ამ გზაზე ჩემთვის არვის გაესწრო.  
და ეს ფიქრი ქარს უსწრებს, როგორც მალი შურდული,  
სულში კი თოვლი მოდის და ეჭვი მხვლევს ქურდული“.

საფიქრებელია, მხოლოდ ს. ფაშალიშვილი არ იმყოფებოდა მსგავსი ეჭვის ქვეშ. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ ლექსის გამოქვეყნება 1920 წელს. ალბათ, ამავე აზრს იზიარებდა ჟურნალ „ლეილას“ რედაქციაც, ან თვით რედაქტორი ი. გრიშაშვილი, რომელიც, ცხადია, ლექსის დაბეჭდვას დაეთანხმა. ზემომოტანილი ლექსი არის წინამორბედი ამავე სათაურის („თოვლში“) მქონე შედარებით მცირე ზომის ლექსისა, რომელიც 1919 წლითაა დათარიღებული. ეს უკანასკნელი ფორმითა და შინაგანი მუხტით ახლოს დგას უკვე განხილულ ლექსთან (ორიოდე სტრიქონი მეორდება კიდევ). ამ უკანასკნელს აშკარად ეტყობა, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაა დაწერილი, მაგრამ საქმე გვაქვს დაწერის თარიღის შეგნებულ გადაადგილებასთან. პოეტი მისტირის სამშობლოს დაკარგული თავისუფლების წლებს. მას უძლიერდება უსამშობლოდ ყოფნისა და მარტოობის გრძნობა:

„თითქოს, თეთრად მოცინარ, ფარვანების გუნდები  
მესევიან და მათგან გზის გაკვალვას გუნდები,  
- ჰვი, ვინ ხარ, ხმა გამეც, მე მარტოკა რა მინდა, -  
მე მზიან ცას ვესწრაფვი, რად არ გაიამინდა?“

რომელ ისტორიულ ფაქტს შევუსაბამოთ აქ მოტანილი სტრიქონები – ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებს? სიკო ფაშალიშვილი, 1918-21 წლების თანამედროვე და უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტების მონაწილე, ყოველთვის მეტი სინათლის და სიკეთის მომლოდინე შემოქმედი, საქართველოს გასაბჭოებით უდავოდ იმედგაცრუებული დარჩა, თორემ 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, სოციალ-ფედერალისტი და ისეთი შემართების პოეტი, როგორც ადრეული ლექსებიდანვე მოჩანს, იგი 1919 წელს არაფრით არ იტყოდა შემდეგს:

„ახლა კი თოვს ნამქერი ზეცას დაბლა ეწევა  
და გაფრენილ იმედებს თვალი ვეღარ ეწევა,  
გზები გადაინამქრა, ცამ არ გაიამინდა,  
ჰვი, ვინ ხარ, ხმა გამეც, მე აქ მარტო რა მინდა,

მე ნათელი ცა მინდა."

ლექსი, უდავოდ ავადცნობილი 25 თებერვლით დაკარგული თავისუფლების შემდეგაა დაწერილი. წარმოდგენელია, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრში ნათენებ-ნაღამებ პოეტს 1919 წელს ეთქვა ზემოთ მოყვანილი სტრიქონები.

გაურკვეველი რომ ნათელი გახდეს, ყურადღება მივაღვენოთ შემდეგ სტრიქონებს:

„რა დღე იყო ნათელი, რა ცა იყო გუშინა,  
ოქროს ჭაღით ვიდოდა მთვარე გარეთ თუ შინა."

ან კიდევ:

„და ის დიდი ნათელი, რეკავდა ჩემს ფანჯარას,  
გულზე სხივებს მაყრიდა, ხან რიგ-რიგად, ხან ჯარად."

იოლად ამოსაცნობია, რომ უკანასკნელი სტრიქონებით პოეტი ნამდვილად 1918-21 წლების თავისუფლებას მისტირის, თორემ, თუ „რა ცა იყო გუშინა" ან მთვარე თუ რა „ოქროს ჭაღით ვიდოდა", კარგად გადმოსცა 1917 წლამდე დაწერილ ლექსებში: „ხალხის ცრემლებო", „მუშურ მოტივებზე", „სოფელს ეძინა", „სიმღერა", „შემოდგომის ცავ"...

ასევე საინტერესოა ჟურნალ „ლეილას" მე-3 ნომერში (1924წ. იანვარი) გამოქვეყნებული ლექსი „მრწამსად", რომელშიც პოეტი ისევ წინასწარმეტყველური აღლოთი მოუწოდებს ყველას, ცოცხალს და არაცოცხალს, გაღაღდნენ და გაიხარონ, სანამ ამის დროა, სანამ ყველაფერი უბედურებაზე არ შეცვლილა:

„გაიშალენით ყვავილებო, იშრიალევით,  
მაისმა მზიდან ოქროს თვალით გადმოიხედა, -  
.....  
სხივთა ნამქერით იშრიალეთ, ვიდრე განგებით,  
სუსხი არ მოვა და ქარვით არ დაიჟანგებით.  
შეიყვარევით ჭაბუკებო, შეიყვარევით,  
დასწვით ბაგენი და ამბორით დამე ათიეთ,  
.....  
შეიყვარევით - სანამ მოვა დრო მუხანათი,  
ბედი ჯაღათი - ვიდრე სახეს დააჩნევს ღარებს,  
ნუ დაიზარებს გული ტრფობას - ვიდრე ღალატი

დააჯკნობს გრძნობას და მკვდარ ფიქრებს გაატანს ქარებს.

იმღერეთ მუდამ პოეტებო, გრძნობით იმღერეთ,

.....

იმღერეთ სანამ გრძნობა მოსჩქეფს ცეცხლის ალივით

და გრიგალივით სულს ატოკებთ - მზის წამწამებით -

ვიდრე არ დაგცემთ ბრბო ნალეში და ნამთვრალევი

და ქრისტესავით გრძნობის ჯვარზე არ ეწამებით..."

ლექსი 1922 წლითაა დათარიღებული. ჩანს, რომ პოეტი უკვე ხედავდა რევოლუციური ძმობის, ერთობისა და თავისუფლების ნიღბის შიგნით არსებულ სინამდვილეს და მოსალოდნელ უარესობას.

არსებული დროის უარყოფითი მახასიათებლებიდან გამომდინარე, პოეტს ვერ განვსჯით იმის გამო, რომ ზოგიერთ ლექსს დაწერის თარიღს უცვლიდა. (ს. ფაშალიშვილის შთამომავლების გადმოცემით, რთული შინაპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით პოეტი ზოგიერთ ადრინდელ ლექსს დაწერის თარიღს უცვლიდა. სამწუხაროდ, ოფიციალური წერილობითი ცნობა ამის შესახებ არ მოიპოვება). მას ერთ დროს არჩევით ორგანოებშიც უმუშავია, სწორედ 1918-21 წლებში. ასეთ პიროვნებათაგან (მით უმეტეს შემოქმედთაგან) კი ძალზე ცოტას გაუმართლა (გაუმართლებლობა, უმეტეს შემთხვევაში, სიცოცხლის დასასრულს ნიშნავდა). ამ მხრივ, სიკო ფაშალიშვილი, მართლაც, ერთ-ერთი გამონაკლისია. რეალური ვითარებიდან გამომდინარე ეს გამართლება თავად უნდა „დაემსახურებინა“. ვფიქრობთ, ერთ-ერთი ფაქტორი გადარჩენისა, სწორედ მისი მოკრძალებული პიროვნულობა გახლდათ. იგი არ იყო ბობოქარი, ვინმეს „თვალში არასოდეს ჩავარდნია“. 1951 წელს შევსებულ მწერალთა კავშირის წევრის პირად ბარათში პარტიულობის შესახებ დასმულ კითხვაზე იგი პასუხობს: - „უპარტიო“, ხოლო შემდეგ კითხვებზე - იყო თუ არა სხვა პარტიებში, რომელში, სად, რა დროიდან რა დრომდე, იგი ასევე უარყოფითად პასუხობს (14, საქმე 22665, ფ. 1). ხელისუფლების გავლენით, დროის მოთხოვნა გახდა საბჭოურ თარგზე წერა. ამიტომ „ხეიმი ლენინის მოედანზე“ საპირველმაისო მარშისა და კომუნისტური გამარჯვებების სიმღერაა, ხოლო – „შენს უკვდავ სახელს“ პოეტს სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაუწერია. ამგვარი სვლები იმ ეპოქის მრავალი შემოქმედისთვის გახდა დამახასიათებელი და ზოგიერთებს პოეტურ და შემოქმედებით კრედიტაც კი ჩამოუყალიბდა. ეს იყო შედეგი არსებული რეჟიმის მიერ ზემოხსენებული



„მწერლობის მოთვინიერებისა“, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი თავის გადარჩენისათვის გამოსავლის ძიებისა.

სიკო ფაშალიშვილის თაობის თვალწინ დაემხო რუსეთის ცარიზმი, რომელსაც წინ უძღოდა უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. პოეტი არ ყოფილა ამ საქვეყნო ძვრების პასიური მოთვალთვალე, მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის ჭეშმარიტი შთაგონების წყარო, ზოგიერთი მისი თანამედროვის მსგავსად, ოქტომბრის რევოლუცია კი არ გამხდარა, არამედ თავისი ხალხისა და ქვეყნის აწმყო და მომავალი. ამაზე კარგად მეტყველებს ზემოთ (თავი მე-2), ა. მირიანაშვილის ერთი წერილიდან მოტანილი სიტყვები, რომლის მიხედვითაც მისი გადმოსვლა საბჭოთა პოზიციებზე არ მომხდარა უმტკივნეულოდ და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე... მას თავიდან ერთგვარი „თავშეკავებულობაც“ გამოუჩენია. უფრო დაზუსტებითა და დაწვრილებით თქმას, გარკვეული მოსაზრებით ამ ციტატის ავტორიც არიდებს თავს. ამდენის თქმაც 1987 წელს გახდა შესაძლებელი, უფრო ადრე გამოქვეყნებულ წერილებში მითითებული ციტატის ავტორი აზრს ამ მიმართულებით ვერ ავითარებს.

უნდა ითქვას, რომ სიკო ფაშალიშვილმა გასული საუკუნის 20-იანი წლების გარიჟრაჟზე წარმოქმნილ სირთულეებს მაინც გაართვა თავი და დროის ავადყოფობას არ შეუპყრია. მაშინ ერთმანეთში აირია სხვადასხვაგვარი ლიტერატურული ჯგუფები და მიმდინარეობანი. რთული იყო სწორად ორიენტირება, თუმცა ვერც იმათ ვუსაყვედურებთ, ვინც ემიგრაციაში წავიდა 1921 წელს და მის შემდეგ. აქ დარჩენილების მიმართ ხომ სახელისუფლებო რისხვა და ახალი რეაქციის ცეცხლი დატრიალდა, რომელიც თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას ადგილზევე სპობდა. ეს პროცესი ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა. ს. ფაშალიშვილის მიერ 1951 წ. შევსებულ ზემოხსენებულ სამსახურებრივ ბარათში მთლიანად მიჩქმალულია მისი პოლიტიკური მრწამსის დამადასტურებელი ცნობები. იგი თავს აცხადებს უპარტიოდ, თუმცა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შემდეგ არასოდეს უცდია სახელისუფლებო ერთპარტიულ სისტემაში გაწევრიანება. ამის გარეშე კი ლიტერატურულ კარიერაზე და სამომავლო პერსპექტივაზე ფიქრი უშედეგო იყო. მიუხედავად ამისა, ს. ფაშალიშვილი არასოდეს მიტმანია სამთავრობო ინსტანციებს, არ გამხდარა მათი დამქაში. რთული დრო იდგა. შეუძლებელი იყო საკუთარი პრინციპებით ცხოვრება, მით უფრო შემოქმედისათვის. „მწერლობის მოთვინიერება“ ახალი რეჟიმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა. ასეთ დროს

შემოქმედებითი ჭეშმარიტება შესაძლებელ განვითარებას ვეღარ აღწევს, პოეტური გულისთქმა ალეგორიულ გარსში – ასე შეიძლება გამოვხატოთ ნამდვილ კალმოსანთა შემოქმედების უმეტესი ნაწილის სახე.

ს. ფაშალიშვილის ლექსების კრებული სახელწოდებით „ჩანგი“ 1917 წელს გამოიცა (ლიტერატურულ გამოკვლევებში ზოგან დასახელებულია 1913 წელი, ზოგანაც 1914, მაგრამ ს. ფაშალიშვილი თვითონ ასახელებს პირველი წიგნის გამოცემის თარიღად 1917 წელს, სამწუხაროდ, დასახელებული კრებული ჯერჯერობით ჩვენთვის მიუწვდომელია). მივუთითეთ, რომ თავდაპირველად ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ იგი ლირიკოს პოეტად გაიცნო. მაგრამ ს. ფაშალიშვილის შემოქმედება მარტო ლირიკით არ ამოიწურება. მან ინტენსიურად მიჰყო ხელი დრამატულ ნაწარმოებთა შექმნას და მთარგმნელობით მუშაობას.

1959 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ს. ფაშალიშვილის ლექსების ერთტომეული. სულ ბოლოს, 1964 წელს, კიდევ გამოიცა ს. ფაშალიშვილის ლექსების კრებული. გარდა ამისა, როგორც თვითონ პოეტი აღნიშნავს, მისი ასეულობით ლექსია დაბეჭდილი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში.

ზემოაღნიშნულ გამოცემათაგან ს. ფაშალიშვილის ერთტომეული, ბუნებრივია, ყველაზე სრულყოფილი და მრავლისმომცველია. მასში შეტანილია 1959 წლამდე დაწერილ პოეტურ ქმნილებათა ძირითადი ნაწილი.

აღნიშნული ერთტომეული შედგება ლექსების შვიდი მონაკვეთისაგან. ხოლო წიგნის ბოლო, მერვე მონაკვეთი წარმოადგენს ს. ფაშალიშვილის რჩეულ თარგმანებს.

ერთტომეულის პირველ მონაკვეთში წარმოდგენილია ავტორის პატრიოტული ლირიკა, თუმცა სამშობლოს სიყვარულის განცდა მთელ მის შემოქმედებას გასდევს მთავარ ხაზად.

წიგნის ამ ნაწილის სათაური „მამულო საყვარელო“ მოტანილია დიდი ილიას ცნობილი ლექსიდან „გაზაფხული“. იგულისხმება ამ ლექსის მეორე სტრიქონიც, მაგრამ ორივეს ერთად მოხმობა შეუძლებელი იყო იმ პერიოდის გარემოებათა მიზეზით, მით უფრო, რომ აღნიშნულ მონაკვეთში შეტანილი ლექსების უმრავლესობა საბჭოთა ეპოქაშია დაწერილი.

ერთტომეული იწყება ლექსით „გასაუბრება საკუთარ თავთან“. ლექსი, ზოგადად, პოეტის დანიშნულების გახსნის ცდას წარმოადგენს.

„იყავ პოეტი, ბედნიერებად

მიგანდეს შუქი ჩაუქრობელი,  
რაც გზას უნათებს ქვეყნიერებას,  
რასაც აგინთებს მხარე მშობელი!"

ცხოვრების მკაცრ მარწუხებგამოვლილ პოეტს ვერ ძლევს ბოროტება, შური და მტრობა. იგი, როგორც პოეტი, ასევე პიროვნებაც, გულმართალი და სულით მდიდარი დარჩა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ს. ფაშალიშვილის თქმით პოეტის დანიშნულება შემდეგია:

„იყავ პოეტი სულით ალალი,  
სიტყვას გიმკობდეს კაცური მადლი“.

ა. მირიანაშვილის თქმით, „იგივე სიტყვები წარმოადგენს მისი, როგორც პოეტისა და მოქალაქის მთავარ შემოქმედებით დევიზს" (21, 140).

„იყავ პოეტი – სხივმადლიანი,  
მზის უმადლესი შუქის მცნობელი, –  
და გული გქონდეს მუდამ მთლიანი,  
მუდამ ნათელი, ჩაუქრობელი“.

ასეთი მოწოდების სიმალლეზე ასვლა კი ძალზე რთულია და ამიტომ მიაჩნია, რომ დამწვიდებისა და დასვენების უფლება არა აქვს. იგი მიღწეულით არ კმაყოფილდება. ამაზე მეტყველებს მთელი მისი ცხოვრების პრაქტიკული გზა და შემოქმედების მიზანდასახულობა. ს. ფაშალიშვილის ლექსები გამოირჩევა იდეური მიზანმიმართულობით. ყოველი მისი ლექსი თავისთავადი სიძლიერით ხასიათდება. „ფაშალიშვილი ქართული ლექსის ოსტატთა შორის ყურადღებას იმსახურებს იდეური სიღრმითა და სიწმინდით, გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით, პოეტური უშუალობით, განცდის სიძლიერით" (4).

ქართულ მწერლობაში მშრომელი საზოგადოების წიაღიდან შემოსვლამ დიდად განსაზღვრა ს. ფაშალიშვილის შემოქმედების ძირითადი ტენდენცია. მამული, ხალხი, მისი ღვინი და სევედა თავიდანვე პოეტის ლექსების მთავარი თემა გახდა. ის, რაც მის სულიერ აღმაფრენას იწვევს, არის სამშობლო, მშობელი ხალხის მშვიდობა და სამომავლო იმედი. ბავშვობიდანვე ეკლიან გზაგამოვლილი პოეტი შემოქმედებითი გზის სიმწვიდეზე ოცნებობს:

ჩემი სურვილი პატარაა, ძლიერ პატარა:  
მსურს, რომ იმ ეკლებს, რაც ცხოვრებამ გამომატარა –  
ერთხელ ვარდის შტოც გაერიოს სხივდანაცემი  
და მთელი სხივით აციმციმედეს ვარსკვლავი ჩემი!

მინდა, რომ სულმა ქვეყანაზე მშვიდობა ჰპოვოს, -  
ამაზე მცირე კაცმა ზეცას რა უნდა სთხოვოს?!"

ეს პოეტის სანუკვარი სურვილია, ლექსსაც ასე ჰქვია – „ჩემი სურვილი“, ის ქვეყნის მშვიდობას სთხოვს ზეციერს, რომ ამით მისი ვარსკვლავიც აციმციმდეს, მზად არის საკუთარი სიცოცხლეც, ეს „ბუნების პატარა ძღვენი“, სანთლად დაიწვას ქვეყნის საკეთილდღეოდ. ასეთი სწრაფვა პოეტის ყველაზე მცირე სათხოვარია ზეციერისადმი.

სიკო მეტად მგრძნობიარე პიროვნება ყოფილა. მშობლიური კუთხე, რომელზეც ფიქრი მას თავს არასოდეს ანებებდა, ბავშვობაშივე საფიცარად ჰქონია. აქედან შეიგრძნო მან საქართველოს სიდიადე და მნიშვნელობა. „გამარჯობა მანხაანო“ – ამ ლექსიდან მკითხველი პოეტის გულის სიმხურვალეს ძალზე ახლოს გრძნობს. მანხაანი ის სოფელია, რომელიც მას „ტკბილი სიყმაწვილის“ დღეებს გაახსენებს, როცა ჯერ კიდევ მშობელი დედის მზრუნველობით იზრდებოდა. ამიტომაცაა მანხაანი პოეტის საფიცარი:

„შენი ცა და შენი მიწა  
მუდამ დამიფიცნია,  
შენს ღიმილში, შენს ალერსში  
დედის გული მიცვნია“.

ხომ მძიმე იყო პოეტის ბავშვობა - წელგაუმართავი შრომა, მეხრეობა, მწყემსობა, მოჯამაგირეობა, მაგრამ უკვე შორიდან ესეც მიმზიდველად ეჩვენება. უდიდეს სიყვარულს განაცდევინებს მანხაანის მიწა, რომელთანაც განუყრელ ურთიერთობაზე მიგვანიშნებს შემდეგი სტროფი:

„შენს ტკბილ მიწას ჩაეფერფლოს  
ჩემი გულის ფიცარი,  
შენ იყავი, შენ იქნები  
ჩემი დასაფიცარი“.

ს. ფაშალიშვილი მაინც გამხდარა იძულებული ლექსისათვის „ჩემი მანხაანი“ ასეთი სიტყვები წაემძღვარებინა: „მანხაანი ჩემი აღმზრდელი სოფელია. მასზე ბევრი ლექსი მაქვს დაწერილი, მაგრამ ზოგჯერ მაინც გამიგონია სამღურავი, თითქოს ვივიწყებდე მშობლიურ სოფელს“ (46). თვით ლექსს ბიოგრაფიული ელფერი დაჰკრავს. იგი გულანთებული ლაპარაკობს მშობლიურ გარემოზე, პირველად ხომ იქ დაირწა მისი აკვანი, „სადაც სიცოცხლე ლექსებით ვიწყე და ხალხის აზრებს ვეცი თაყვანი“. აქ ხომ მისი

ბავშვობის ნაფეხურებია, ან „ვინ არ შეჰხარის მასა ადგილს, სად აგვეხილნეს პირველ თვალნი“ და პოეტის გული ხომ გრძნობა-განცდათა უღვევი საღაროა, რომელიც სწორედ ბავშვობის ემოციათა უხვი საგანძურიდან კრებს მხატვრულ სახეებს და თავისივე განცდილ-წარმოსახულის ხატოვნებით ჩვენს სულსაც ძრავს, ჩვენშიც აღვიძებს ბაღლობის მშვენიერ მოგონებებს.

მშობელი მხარე, თავისი ხალხი, სიღნაღი, ალაზანი - თითოეული ის მარადიული თემაა, რომელთაც პოეტმა თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა თავის მხატვრულ წარმოსახვაში.

როგორც მაჩხაანი და დედის გული, ასევე საკუთარი პატარა სახლის და მშობელი დედის სიყვარული ერთმანეთშია გადაწნული. სახლის გახსენება მაშინვე დედის სახებასთან ასოცირდება და პირიქით. პოეტი ორივეს ერთად ეთაყვანება და უძღვნის ვრცელ ლექსს „სოფელში დედაჩემთან“. ავტორი სიყვარულით მოიხსენიებს თავის პატარა სახლს და ეზოში დარგულ ვაზის ლერწებს. იქვე დედა სირბილით დაღლილ შვილიშვილს ეფერება და ისე არიგებს, როგორც თავის დროზე შვილს არიგებდა:

„იყავი შვილო, მუდამ მართალი,  
ამაზე მეტი სხვა რა გინატრო, -  
სიხარბემ, შურმა არ მოგჭრას თვალი,  
რომელ ცის ქვეშაც დაიბინადრო,  
კაცური ტანჯვა გერჩიოს, ვიდრე,  
არაკაცური ბედნიერება, -  
წარმავალია ყველა სიმდიდრე,  
ავს არ შეგარჩენს ქვეყნიერება!“

დედის დარიგება ყოველთვის სიკეთითა და სიყვარულითაა გამთბარი. მშობელს არ ავიწყდება, შვილს ჩააგონოს ხალხის, ქვეყნის სიყვარული, რომ მომხდურს ვაჟკაცურად დაუხვდეს და „გაუპოს გულის ფიცარი“, მტრის შუბს ზურგი არ უჩვენოს.

ლექსის მეორე ნაწილიდან ცნობილი ხდება, რომ პოეტს არასოდეს დავიწყებია დედის დარიგებანი წუთისოფლის დიდ გზაზე. ლექსი სწორედ მაშინ დაიწერა, როცა ავტორი ექვს ათეულ წელს იყო მიტანებული. იგი ამბობს:

„გადმომივლია წუთისოფელი,  
მაგრამ იმ წუთებს კვლავ თან ვატარებ,  
როცა მჯეროდა, რომ დვთისმშობელი

ასე მოძღვრავდა ხოლმე პატარებს".

დედის დარიგებები შვილის მიმართ უცვლელია. საბოლოოდ დედა კმაყოფილია და შვილს ეუბნება:

„თუ ბედმა ცრემლი გარგუნა წილად  
გზა ხომ მაინც გაქვს დაუზრახველი,  
და მიხარია, რომ გიძღვის წინა  
აღალმართალი კაცის სახელი“.

როდესაც ს. ფაშალიშვილის ლექსებს ეცნობი, ზოგჯერ ფიქრობ, რომ აქ მხოლოდ ემპირიული ფაქტები, დაკვირვება და გამოცდილებაა გადმოცემული ლექსის ფორმით, მაგრამ სწორედ ეს ცხოვრებისეული გამოცდილება და გონიერება, ლექსის სტრიქონებში მოქცეული, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭიროა, ვიდრე საუკეთესო მხატვრული სახეებით შემკული უაზრობა. აღამართალ კაცად გაზრდილმა და ჩამოყალიბებულმა იცხოვრა და იღვაწა ს. ფაშალიშვილმა ამქვეყნად როგორც ლექსით, ისე ქვეყნის მომავალზე ზრუნვით და თანამემამულეთაგან გულითადი სიყვარულიც მოიძეო.

პოეტის სურვილი ყოფილა თავისი მხარე და ხალხი, ის ადგილები, რომელიც მას უდიდეს სიხარულს განაცდევინებდა, მათ შორის, მდინარე ალაზანი და მისი მშვენიერებით განთქმული ველი არა მარტო სალექსო სტროფებში ედიდებინა, არამედ პროზაულად გამხატვრულელებულიც წარმოეჩინა მკითხველი საზოგადოების თვალწინ. ფიქრად ჰქონია, თუ ჯანმრთელობა არ უღალატებდა, დაეწერა მოთხრობა მდინარე ალაზანზე. სათაურიც შერჩეული ჰქონია - „დედა ალაზანი“.

ალაზნის ველი სწორედ დიდება და მშვენიერებაა კახეთის. ლექსი „სადიდებელი კახეთისა“ მართლაც აქაური თვალწარმტაცი ბუნებისადმი მიძღვნილ ჰიმნს წარმოადგენს:

„ვინ შეამკობს ალაზნის ველს  
ლექსით და სიმღერებით,  
ის ხომ მხატვარ ბუნების ხელს  
მოუქარგავს ფერებით“.

ლექსის სათაურის ქვეშ შეგნებულადაა ეს მინაწერი – „ალაზნის ველი სიღნაღის გადასახედიდან“. პოეტს აღმაფრენა ეუფლება ამ მშვენიერების ხილვისას:

„სიამაყის გრძნობა წრფელი

მანთებს და მიხარია,  
რომ კახეთი სანატრელი  
ჩემი ტკბილი მხარეა".

თავის მხრივ, ქიზიყი და მანხაანი ყოველთვის სითბოთი მოელოდა საკუთარ შვილს მშობლიურ კუთხეში. სიკო ფაშალიშვილის არც ერთ იუბილეს კახეთში აღნიშვნის გარეშე არ ჩაუვლია. გარდა ამისა, არც ერთი ღირსსახსოვარი დღე არ ჩატარდებოდა მშობლიურ მხარეში, რომ თავიანთი საამაყო პოეტი არ მიეწვიათ. კახეთში მისი ყოველი ჩასვლა ნიშნავდა თავყრილობებსა და ხალხმრავალ შეხვედრებს, რასაც სიკო თავმდაბლობით ერიდებოდა. მრავალი ლიტერატურული საღამო მოუწყვიათ მისთვის კახელებს, მიუწვევიათ მეგობრებითურთ. 1966 წელს მანხაანში გამართულ ს. ფაშალიშვილის იუბილეს ესწრებოდნენ და სიტყვები წარმოთქვეს კ. გამსახურდიამ და ს. ყაუხჩიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა პროფ. ს. ხუციშვილი. მეგობართა წრე რომ მეტად ფართო ჰყავდა, ამაში საქართველოს მწერალთა კავშირში მოწყობილი მისი ლიტერატურული საღამოც გვარწმუნებს: „კლუბში ტევა არ იყო. ვის არ ნახავდით აქ. სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ყველა ერთად კი მისი ნიჭის მოტრფიალე იყო. თავს ველებოდნენ ადამიანს, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ვაჟას, აკაკის, ოვანეს თუმანიანის, იოსებ გრიშაშვილის გვერდით. მათი ჭირისა და სიხარულის ზიარი იყო" (2). პოეტსაც მუდამ ენატრებოდა ნაცნობი მიდამოები, ქიზიყის მინდორ-ველები. მათგან გრძნობდა ბავშვობისდროინდელ ყოფას – სითბოსა და სიყვარულს, რასაც არასდროს არაფერზე გაცვლიდა:

„ჩემო ნაცნობო ტყეებო,  
საირმე სახოსბეებო,  
ყრმობის მზესავით ჩასულო,  
გასულო ოქროს დღეებო.  
ფუნჯით ნახატო ველებო,  
ვერხეებო, საკოცნელებო,  
ტკბილ შაირების მთქმელებო,  
თქვე მუდამ სანატრელებო..."

გარდა შინაგანი თბილი გრძნობისა, ლექსი გამოირჩევა მხატვრული მშვენიერებითაც. მას აღამაზებს რითმის სინაზე და რიტმული მუსიკალობა.

შესანიშნავი ლექსები უძღვნა ს. ფაშალიშვილმა საქართველოს წარსულის

ფურცლებს, მარად უკვდავ ისტორიულ ფაქტებს. პოეტი მკითხველის თვალწინ წარმოაჩენს მამულისათვის დაღუპულ იმ გმირთა გაღერებას, რომელთაც სწორედ სიცოცხლის ფასად სამშობლო ქვეყნისადმი თავდადებით მოიპოვეს უკვდავება. პოეტისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს გარდასულ დღეთა გახსენება. ეს მრავლისმთქმელი ეპიზოდები აღებინებს კალამს ხელში და ეწევა არა მშრალი ისტორიული ფაქტების გადამღერებას, არამედ ახდენს ამ ფაქტების პოეტურ-მხატვრული განზოგადების სიმაღლემდე აყვანას, იგი თითოეულ ეპიზოდს მუდამ თანამედროვეობის პოზიციიდან უყურებს. წარსულისა და აწმყოს ასეთი ორგანული გააზრების ნიმუშს წარმოადგენს ლექსების რკალი „პატარა კახის გახსენება კავკასიონთან“, „კრწანისის საღამოები“, „ერეკლეს გაღაგანი თელავში“, „ოცნება სერაფიტაზე“, „თამარ“. ამ ლექსებით ავტორმა კიდევ ერთხელ გაიხსენა გარდასულ საუკუნეთა ქართული სახელმწიფოს დიადი მოამაგენი. კიდევ ერთხელ პატივი მიაგო ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა სახელებს. იგი გულისტკივილით განიცდის, რომ თვითონაც არ იყო

„ან მესამასე არაგველი და  
ანუ მეცხრე ძმა ხერხეულიძე,  
არ დამეყარა მკერდზე ის მიწა,  
რაც მე ორასი წლის წინათ ვიცან!“

„კრწანისის საღამოები“ დაწერილია 1945 წელს, ფაშიზმზე გამარჯვებისას, ამიტომ გასაგებია ასეთი პათოსი:

„მამულს ვიცავდეთ!“ - ეს ხმა გმირული,  
ამ მიდამოებს აღვიძებს დღესაც, -  
არ განწირულა, თავგანწირული  
სულისკვეთება ვინც ხალხში თესა!“

ერთგვარ სისუსტედ უნდა ჩაითვალოს ამ ლექსის აზრობრივ-სტრუქტურული აღნაგობა. ავტორს ღრმა ლირიკული გრძნობიერებით აქვს გადმოცემული კრწანისის გახსენება ისე, როგორც მთლიანად მისი პატრიოტული მოტივისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ იქვე დასძენს:

„ჩემო სამშობლოვ შენ იდიადე,  
რომ დაგიმხვია ჟამთა სიავე“

და აღარც კი სურს გაიხსენოს იმ უთანასწორო ბრძოლების დრო, რომლის შესახებ ლექსის დასაწყისიდანვე მოგვითხრობს, როცა ქვეყნის საუკეთესო შვილების სისხლით იღებებოდა საქართველოს მიწა, რადგანაც მის სამშობლოს



ამჟამად უკვე აღარ ემუქრება მსგავსი საშინელებანი, რადგან „ლაუმხვია ჟამთა სიავე“.

„კრწანისის საღამოები“ დროის იდეოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მაღალმხატვრული პოეტური ქმნილებაა. საბრძოლო ბატალიების გახსენების და პირადი ემოციის გადმოცემის შემდეგ პოეტი ლექსის ბოლო მონაკვეთში („აღარ დაღამდეს“) თავისი დროების დადებით ზეგავლენას ასეთი მხატვრული ფერებით გადმოგვცემს:

მე ვაკვირდები ბალახის ბიბინს,  
მტკერის ღიღინს, მაღალ ვერხვების შრიალს,  
ირგვლივ სიმღერა მოჩქევს და იგი  
დროს ყვავილებად გადაუშლია!

მაგრამ უფრო ქვემოთ ერთი ასეთი სტროფიც გვხვდება:

ისმის სიმღერა – „ჰყვაოდეს ვარდი“, –  
და ეს სილადე ბუღბუღებს უკვირთ,  
მოვიკლათ წარსულ დღეებზე დარდი,  
თუ მომავალი სავსეა შუქით. –

ეს უკანასკნელი ტოვებს შეფარული აზრის შთაბეჭდილებას. იგი სამშობლოს თავისუფალი მდგომარეობით აღფრთოვანებული პოეტის ამოძახილს არ უნდა წარმოადგენდეს. მიგვაჩნია, რომ კრწანისის ბრძოლის სურათები, დიდი ილიას „აჩრდილიდან“ მოტანილი ცნობილი სტრიქონი (იქვე, კითხვითსიტყვიანი ეჭვის გამომწვევი სტრიქონიც – „თუ მომავალი სავსეა შუქით“) და კომუნისტური „დიადი“ დროება ს. ფაშალიშვილის პოეტურ აზროვნებაში თანაბარ სიბრტყეზე არასოდეს განიხილება. მაგრამ საკითხის მეტი სიმკვეთრით დასმას ან დისკუსიის გამართვას მაშინ ვერაფერს გაბედავდა, ამ შემთხვევაში ავტორისგან ასეთ რაიმეს არც მოვითხოვთ. ზოგადად, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს ვრცელი ლექსი არ გამოირჩევა საკითხის სიმწვავეთ. ს. ფაშალიშვილი თავისი დროის შესაბამისი პოეტური მეტყველებით ვრცლად გადმოგვცემს ქართველი ხალხის დიადი წარსულის ამსახველ ფაქტებს, რაც თავისთავად აღუძრავს პატრიოტ მკითხველს ეროვნული სიამაყის გრძნობას.

ძნელია იმის მტკიცებაც, რომ ტაეპი – „თუ მომავალი სავსეა შუქით“ – ხელოვნური ელფერის მატარებელია. მაინც გადავაგვლოთ თვალი 1954 წლით დათარიღებულ ლექსს „ეს იყო მაშინ“, რომელშიც პოეტი გაიხსენებს 1905-07 წლების რუსეთის რევოლუციას, იმ ადამიანებს, ვინც რევოლუციას შესწირა

თავი და იტყვის: „ის დრო წარსულს არ ჩაბარდება“. მაშინ როგორ მოხდება, რომ მუდამ საქართველოს ნამყოზე ფიქრში მყოფმა პოეტმა კრწანისის სევდაზე მოიკლას დარდი, როგორც წარსულ დროზე, ხოლო 1905-07 წლები, ან 1917 წელი დასავიწყებლად ვერ გაიშვებოდეს.

„კრწანისის საღამოები“ ფაშიზმთან ომის წლებშია დაწერილი და ამდენად, დროის მოთხოვნებისთვის უნდა ეპასუხა. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ერთმორწმუნე მეზობლის შემოსვლამ ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურად იხსნა ქართველი ხალხი. ამ საკითხზე მსჯელობდნენ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში (1832 წ. შეთქმულება, რომანტიკოსთა შემოქმედება...), ხოლო მეორე ნახევარში იღია ჭაგჭაგადის მკვეთრი ხაზგასმა ეროვნულ პრობლემაზე დიდი გამოცოცხლების ნიშანსვეტი გახდა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ეროვნული საკითხი ტაბუდადებული იყო. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გააზრებაც კი უშკაცრესად ისჯებოდა.

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი, ისეთი მრწამსის პიროვნებას, როგორც ს. ფაშალიშვილი იყო, აზრობრივად არ ასვენებდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, პოეტურად არ იყო ისე მომწიფებული, რომ იგი შესაბამის, ურთიერთშერწყმულ მხატვრულ სახეებად გამოშუქებულიყო და სათანადო ხარისხის ლექსი მოეცა. ეს საკითხი დღის წესრიგში მხოლოდ 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ დააყენა მთელი სიგრძე-სიგანით.

სამშობლოს ხალასი სიყვარულით გამოირჩევა ლექსი „პატარა კახის გახსენება კავკასიონთან“, რომელშიც „ღირიკული გრძნობიერებითაა გამოთქმული შთამომავლობის თაყვანისცემა იმ მამაცი ადამიანისადმი, ვისი სიცოცხლეც იმას შეეწირა, რომ „საქართველოს მზეს წყველიადი არ მოჰყოლოდა!“ (38,164).

სიკო ფაშალიშვილს შეიღთან, თენგიზთან ერთად შემოუვლია შიდა კახეთი და მთათუშეთი, მოუნახულებია პატარა კახის მიერ დალაშქრული მრავალი ადგილი. პოეტურ სტრიქონებში ნათლადაა წარმოდგენილი საკუთარი ხალხისა და ქვეყნისათვის ერეკლე მეორის ყოველდღიური ზრუნვა და თავდადება. ლექსის ავტორი შემდეგი სიტყვებით მიმართავს დიდ წინაპარს:

„ზეცამ დალოცოს ამაგდარო პატარა კახო,  
ეგ დიდი ღვაწლი, ეგ ნათელი დიდი სახელი,  
დიდი სახელი – ამ გზებზეც რომ დაგიმჩნევია,  
როგორც სამეფო წიგნზე ბეჭდის დასმა გჩვევია,

სახელი, რომლის ბრწყინვალეობით საფლავს ჩახველი!"

მეფისა და დიდი მხედართმთავრის სახელისადმი მოწიწებით, მასზე მღელვარე ფიქრით არის შთაგონებული ლექსის ბოლო სტრიქონები:

„ნუთუ აღმოჩნდეს უმაღური, რომ შენს დიდ ამავს  
ექვით შეხედოს, დაივიწყოს, არ სცეს თაყვანი,  
არ სცეს თაყვანი მისი ქვეყნის სარდალს და მამას,  
ვით პატივს სცემდნენ ჩვენი დიდი მამაპაპანი . . .  
არა, ეგ ლტოლვა ვაჟკაცური ვერვინ დამარხოს,  
ვერ გამოგიჩნდეს უგუნური მტერი მზრახველი,  
თვით ეს მთებიც კი მოგძახიან: „პატარა კახო,  
კურთხეულ იყოს შუქმოსილი შენი სახელი!"

ერეკლე მეფის უმაგალითო გმირობით გულანთებული პოეტი, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე, ეთანხმება მის საბოლოო გადაწყვეტილებას. იოსებ იმედაშვილისადმი მიძღვნილი ლექსიც „ერეკლეს გაღავანი თელავში" ამაზე მეტყველებს. ერთ-ერთ სტროფში ასეთი აზრია გატარებული:

„არა, არ იყო ის ბონაპარტე,  
არ იმონებდა კიდითი-კიდეც, –  
მას ხალხთა ძმობის გზა სწამდა ფართე  
და ეს გზა შვილებს გვირჩია კიდეც".

ქართველ შემოქმედთა და მეცნიერთა ნააზრევში საქართველოს ორიენტაციის საკითხზე მსჯელობა ძირითადად იდენტურია. ჩრდილოელ მეზობელთან შეკედლების რადიკალურ უარყოფას მეფე ერეკლეს დროის გადასახედიდან, მცირე გამონაკლისის გარდა, არავინ ცდილა. იმ დროის საქართველოს ყოფა, ალბათ, სხვაგვარ გამოსავალს არ აძლევდა მხცოვან მეფეს. სხვა პრობლემაა, თუ როგორ ყოფაში აღმოჩნდა ერთმორწმუნე მეზობლის „მფარველობაში" შესული ხალხი. მაგრამ ასეთი ბედი ჩვენი სამშობლოსთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის, თანამდევია. მრავალრიცხოვანი მეზობლის შოვინისტური ბუნება დასაბამიდან დღემდე აწვევებს თავის შხამს ჩვენს მრავალჭირნახულ მიწას და ამაზე თითქმის არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლას. ამაოდ ბობოქრობდა სახალხო მოძრაობები და რევოლუციები. ვერ ველირსეთ მეზობლის კეთილგანწყობილებას, მით უფრო მფარველობას. პირიქით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული თავისუფლებისაკენ ლტოლვამ

სულ უფრო გამძვინვარებულ ურჩხულს დაამსგავსა გუშინდელი „მოყვასი და მხსნელი“.

ფაშიზმის წინააღმდეგ ომის თემამ გამოძახილი ჰპოვა ს. ფაშალიშვილის პოეზიაში. მართალია, ლექსების ციკლი „კრწანისის საღამოები“ 1945 წელს დაიწერა და იგი ქართველობას ეროვნული სიამაყის გრძნობით აღავსებდა, მაგრამ პოეტი, ზოგი თანამოქალაქისაგან განსხვავებით, უშუალოდ ომზე ბევრს არაფერს ამბობს. ლექსი „ძველი ცაცხვის ქვეშ“ აშკარა ბრძოლის სურათებს, ფაშისტურ აგრესიას ან მის წინააღმდეგ ბრძოლას არ აღწერს. არც პოეტის საბრძოლო შემართებაა მასში გადმოცემული. აქ, უბრალოდ, წარმოდგენილია ომით გამოწვეული ერთგვარი შედეგი. კერძოდ, დიდი ცაცხვის ტოტების ჩრდილქვეშ გაუკაცრიელებული სახლ-კარი დგას, სადაც „ხავსნი ფარავენ სახლის ქვებს, მასპინძელი კი არა ჩანს“. ჭიშკართან აღარ გეგებებიან ამ ეზო-გარემოს შემოქმედნი. ძაღლიც კი არ ჩანს დარაჯად და სტუმრად მოსულს ლოდინი დაგდლის. ადვილი მისახვედრია, რომ „აღარ არიან ისინი, ვისაც ამ სახლთან იგონებ, ვისაც სწირავდი სიცილით გულსა და ყრმობის სტრიქონებს!“ კითხვაზე, თუ რა იქნენ, რატომ არ სჩანან? - პოეტი შემდეგნაირი გარდასახვით პასუხობს:

„ღუმილი ხანჯლით გულსა სჭრის,  
ფოთლები სცვივა, წვიმა სცრის  
და ისმის ქარის სისინი:  
„აღარ არიან ისინი“.

ეს არის და ეს. ლექსი „ძველი ცაცხვის ქვეშ“ უშუალოდ ომზე და მებრძოლთა გმირულ თავდადებაზე არ მოგვითხრობს, მაგრამ იგი მთლიანად, განსაკუთრებით ბოლო სტრიქონით სწორედ ლოგიკური შედეგია დაუნდობელი ომისა, რომლის ფრთებზეც სიკვდილია შემომჯდარი.

კიდევ უფრო რთულია სრულად ჩაწვდეს პოეტის განცდას და გულისთქმას ლექსში „მოწოდება“, რომლის მიზანდასახულობა სათაურშივეა გაჟღერებული, მაგრამ არ ჩანს აგრესორის ნამდვილი სახე. აქ, ზოგადად, სამშობლოს დაცვისთვის მოწოდება გაისმის. ლექსის მძაფრი პატრიოტული შინაარსი მკითხველში ორჭოფულ აზრს ტოვებს და დაწერის თარიღი (1941 წ.) ყველაფრის განმსაზღვრელი არ უნდა იყოს. უმჯობესია ბოლომდე წავიკითხოთ ლექსი:

„ვინც გაბედა ბინძურ ფეხით შეებილწა ჩვენი მიწა.

ჩვენი სახლი, ჩვენი კერა ვინც ცეცხლსა და მახვილს მისცა,  
ვინც სამშობლოს თავისუფალს ბორკილებით დაექადა,  
ვინც ჩვენი მზის დაბნელება უკუნეთის ბნელით სცადა,  
დე, დაატყდეს ჩვენი რისხვა ჩაუქრობელ შურისგებად,  
დე, გაიპოს მისი გული ჩვენს მახვილზე ასაგებად,  
დაჰკარ, დაჰკარ გადამთიელს შენს რისხვაში გადმოსული  
დე, გიგზნებდეს ვაჟკაცობას გმირ წინაპართ მტკიცე სული.  
დაჰკარ, დაჰკარ და შესძახე ჩაუქრობელ გულის ნთებით:  
- არასოდეს, არასოდეს მონად არვის გავუხდებით."

უნდა ვიგულისხმოდ, რომ 1941 წელმა პოეტს თავისი სამშობლო კუთხის ახლო და შორეული ისტორიები გაახსენა, როცა მომხდური დამონებით გვემუქრებოდა. ფაშისტური აგრესია პოეტისათვის საკუთარი გულისთქმის გადმოცემის საბაბი გახდა, ვინაიდან ლექსი წმინდა ეროვნული სულისკვთებით გაჟღენთილ მოწოდებას წარმოადგენს და მასში თავისი სამშობლოს პრობლემებით დამძიმებული ქართველი მამულისშვილი უფრო მოჩანს, ვიდრე ფაშიზმის წინააღმდეგ მეომარი პოეტი. თუმცა იგი ფაშიზმის თემას გულგრილად არასოდეს მოპყრობია. „მარში ლაშქრული“, „პასუხი ფრონტიდან გამოგზავნილ წერილზე“, „ცხრა მაისი“ და ზოგიერთი სხვა ლექსი მკვეთრად გამოცემს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ექს, რომლებსაც ზედვე ეტყობა დროის შესაბამისი იდეოლოგიური ხელწერაც.

ს. ფაშალიშვილის შემოქმედებაში გვხვდება ადამიანის ამქვეყნიური არსებობის, უოფნა-არყოფნის, ადამიანის დანიშნულებისა და წარმავლობის განმსაზღვრელი ფილოსოფიური ხასიათის ლექსები. სამშობლოს სიყვარულის უღიადესი გრძნობა ორგანულად უკავშირდება ადამიანზე და ადამიანურ გრძნობებზე ფიქრს პოეტისათვის. არ არსებობს ღირსეული სიცოცხლე სამშობლოს გარეშე. მისი ლექსების გარკვეული ნაწილი გამოირჩევა ადამიანის ცხოვრებაზე ფილოსოფიური დაკვირვებებით, სიცოცხლის აზრისა და მიზნის გარკვევის წყურვილით, რითაც იგი ზოგჯერ გულმტკივნეული, მეღანქოლიის ნისლით დაბურული მოჩანს:

„კვლავ გაზაფხული... ამ გულს წყლულიანს  
რა უჩინარი ნაღველი ერთვის,  
რამდენ გაზაფხულს გადაუვლია,  
რამდენი ვარდი დამჰკნარა ჩვენთვის", –

ნაღვლიანად ამბობს პოეტი ლექსში „სიბერე მოდის“ და წუთისოფლის წარმავლობის თემა - ეკლესიასტეს „ამაოება ამაოთა შინას“ საკითხი ორიგინალურად იკითხება ს. ფაშალიშვილის შემოქმედებაში. კაცის ცხოვრება მასაც ისრის გატყორცნად, ამქვეყნიურ წუთიერებად წარმოუდგენია:

„კაცის სიცოცხლე, ვით ელვა ისრის,  
წამი ყოფილა, სიმძიმე ლოდის, -  
გულზე დროს ცივი კაკუნი ისმის  
წასულა სიყრმე, სიბერე მოდის.“

პოეტის თქმით, ადამიანის სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, თუ ის ღირსეულ საქმეს ემსახურება. სხვანაირად ამქვეყნად გატარებული სიცოცხლის წლები მას დაკარგულად მიაჩნია. ლექსი „ჩემი სტრიქონები“ კონკრეტული სიცოცხლის უკვდავების თავისებურ ახსნას წარმოადგენს. პოეტის ფიქრი სულ მცირე დროით გადასწვდება ადამიანის სიცოცხლის ამქვეყნიურ დანიშნულებას. თვალის ერთი გადავლებით გახედავს ცხოვრების განვლილ გზას და მიუხედავად შრომატევადი წარსულისა, მაინც უკმაყოფილების განცდა ძლევს (ასეთი განცდა კიდევ მრავალ ლექსს ახლავს თან). მეტი შრომა, მეტის შექმნა ყოფილა საჭირო. ასეთი ცხოვრებისეული პოზიცია ეკავა მას. პოეტის „სიცოცხლის აზრი მაღალი“ – მუდამ მომავალ დღეზე ფიქრობდა, ხოლო ფუჭად გატარებული წლები დაკარგულად მიაჩნდა. ლექსის მიხედვით, მზის სხივები და მთვარის ნათება, მათ თვალწინ კი ჩვენი პლანეტა -

„გამოუცნობი ჟამისა,  
მის ნაკვალევზე იშვება  
სიცოცხლე - ლანდი წამისა!  
სიცოცხლის აზრი მაღალი  
მაძებარია ხვალისა -  
ხოლო გზას ცრემლი უქარგავს,  
ჩამონაწვეთი თვალისა.“

სიცოცხლე „ლანდი წამისა“, – ასე წარმოუდგენია პოეტს. ამ წამიერებაშიც მისთვის თანამდევნი ქარტეხილების არსებობის მიუხედავად, რასაც ძნელია ადამიანმა ადვილად გაართვას თავი, იგი მაინც არ გვირჩევს ხელის ჩაქნევას. შორს დგას პესიმიზმისგან. პირიქით, მისი აზრით, მაინც ღირს გარჯა და მომავალზე ზრუნვა. ლექსის ბოლო სტროფი -

„სიკვდილიც კაცის კვალდაკვალ

რაციფად მოარულია:  
თუ გზას კაცობა არ გიკვლევს,  
სიცოცხლე დაკარგულია!.." -

დრო და ჟამი წუთისოფლის ბრუნვის გამოცანას თანდათან ამძაფრებს და პოეტის სულიერ ტკივილებს აძლიერებს. სულ უფრო და უფრო ძლიერდება მისი სინანული დროთა სვლაში. ლექსი „სიცოცხლე ჩემი“, ავტორის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში". (42, 3) იგი ერთგვარად მშვიდად და უემოციოდ იკითხება, თუმცა უსაზღვრო სინანული ჩანს მასში სიცოცხლეზე შეყვარებული კაცისა, რომელსაც დროის მდინარეა არ ინდობს და სულ უფრო მეტად აგრძნობინებს აღსასრულის გარდაუვალობას:

„სიცოცხლე ჩემი ფეხაკრეფით მიიპარება,  
ცდილობს მოასწროს მზის ჩასვლამდე მთას მიფარება,  
სიდანაც მსურდა ჩემი ბედის გამოღარება,  
არა, არ იცდის... მაგ კაი კაცს რა ეჩქარება?  
ილტვის იპოვოს მცირე ბინა, ის ბნელკარება,  
სადაც ბევრ ნატვრას ჩაუვლია ნიაღვარებად  
და შეწყვეტილა სიყმაწვილის აჩანჩქარება,  
არა, არ მიცდის! მაგ დალოცვილს რა ეჩქარება?"

პოეტს გული წყდება იმაზე, რომ ნაოცნებარი სრულად ვერ ამოწურა, ბევრი რამ რჩება დაუმთავრებელი ისეთი, რასაც არა თავისთვის, არამედ „შვილიშვილთა საბედნიეროდ" ქმნიდა, თავისებურად ცდილობდა ქვეყნად „დღეკეთილობის გაძლიერებას":

„ასე ვიბრძოდი და კვლავ ბრძოლა არ მეზარება,  
ეგ კი არ იცდის, მაგ კაი კაცს რა ეჩქარება?"

პოეტი თითქოს შერიგებულია ბედთან. გამოსავლის არარსებობა სხვა საშუალებას არც აძლევს და სააქაოზე ხელჩაქნეული უწყინარი და უპრეტენზიო მოჩანს. საინტერესოა ერთი ფაქტი: როდესაც ს. ფაშალიშვილის შემოქმედებაში ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშები ჩნდება, მისი ლექსი რაღაც შინაგანი იმპულსით იმუხტება, უფრო ელასტიური და მოქნილი ხდება, მხატვრული აზრებიც მკვეთრი და მიზნობრივია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი ფილოსოფიური აზროვნების პოეტია და სხვა თემები სწორედ ამ სიბრძნისმცოდნეობის ერთგვარი გამოხატულებაა და არა მისი სულის

განუყოფელი ნაწილი. ალბათ, შემთხვევითი არც ის ფაქტი იყო, რომ უნივერსიტეტში სწორედ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. ზნეობრიობის ნიშანი აზის პოეტის უკანასკნელ, მცირე ზომის ლექსებს, რომლებიც ზემოთ მოტანილ ლექსთან ერთად გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“. ესენია: „ტრაბახობ მაგრამ...“, „სამუდამო ძილი“, „სახლი და სახელი“. ისინი ერთსტროფიან აფორიზმულ გამოთქმებს წარმოადგენენ.

ს. ფაშალიშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში მოვლენათა დრმა და ორიგინალური გააზრებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ლექსები: „უკვდავება“, „ბუნებისათვის კაცისა“, „შენდობის მათხოვარი“, „წარწერა უდაბნოში“, „პატარა განაჩენი“ და მრავალი სხვა.

პროფ. ა. მირიანაშვილის თქმით: „არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ლექსი „უკვდავება“ დგას მე-20 საუკუნის ქართული ლირიკის შედევრთა წინა რიგში“ (21, 141):

„ჯანღის ჯარები ებრძოდნენ ქარებს  
და მზე ვეფხვივით ყალყზე დგებოდა;  
მე ავდიოდი მაღალ მწვერვალებს  
და სული ცეცხლში იძირებოდა.  
სიმღერა ჩემი სივრცეებს ნთქავდა  
და ნაბიჯი კი ღუნავდა ქედებს:-  
მარადისობის ავხადე ფარდა  
და მზეებს იქით გადავიხედე  
და უკვდავება ვიხილე მაშინ –  
საკუთარ სულში მზის ამოსვლაში!“

ამ სტრიქონებში „სულის უკვდავების, საერთოდ მარადიულობის მძაფრი განცდა შეიძლება მივიჩნიოთ მისი შემოქმედების ფილოსოფიურ საყრდენად“ (20, 9), – ამბობს პროფ. ი. მილორავა.

ლექსი „უკვდავება“ პირველად დაიბეჭდა გაზეთ „კავკასიონში“. ი. გომართელი „კავკასიონის“ ლიტერატურული ნაწილის კრიტიკული ანალიზისას ამ ლექსსაც ეხება. ი. გომართელი ყურადღებას აქცევს ერთ საღეჭო სტრიქონში აზრის უმართებულოდ გადმოცემას და შენიშნავს: „ს. ფაშალიშვილის „უკვდავება“ ამართლებს სათაურს, გამბედაობა და სიმძლავრე, სიამაყე მეტყველებს შიგ, ხოლო „მე ავდიოდი მაღალ მწვერვალებს“ – ქართული არ არის“ (7).



მიუხედავად ამისა, ლექსი პოეტურად სრულად გამოხატავს ავტორის ნებისყოფის შერკინებას გარესამყაროსთან. აქ პოეტი დროის ბობოქარ ტალღებს ებრძვის, რითაც გარკვეულწილად უკვდავებასაც ეზიარება. მართალია, მხატვრული სახეებით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ მასში კარგად იკითხება პოეტის სულიერი მრწამსი.

ს. ფაშალიშვილი თავის ლექსებში ხშირად ეხება ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების საკითხს. „ვინ იყო იგი, გული რისთვის სტკიოდა“, - ფიქრობს პოეტი სამარის ლოდზე შესრულებული წარწერა-თხოვნის – „შენდობას ვითხოვ, მიკურთხე ხსოვნა“ – წაკითხვისას. ყოველი პიროვნების განვლილი გზა უნდა განისაჯოს და შეფასდეს, თითოეულს კი ღირსების მიხედვით მიეგოს – ასე სწამს პოეტს.

„როგორ მოვიდა, როგორ იღვწოდა,  
როგორ დაატყო ცხოვრებას კვალი,  
რისთვის იბრძოდა, რისთვის იწვოდა,  
რით მოიხადა კაცური ვალი“. -

კითხულობს იგი ლექსში „შენდობის მათხოვარი“. ავტორისათვის კაცური ვალის მოხდა საქვეყნო სამსახურში, ბედით ჩაგრულის თანადგომაშია. და თუ ცხოვრების ამ წესს „ყური ათხოვა, - ალალი იყოს: ჩემს წილ შენდობას, მეც გავეუბზავნი, როგორც მათხოვარს!“ - იტყვის პოეტი.

ლექსი „წარწერა უდაბნოში“ გვაუწყებს: „ერთ უდაბნოში, უკაცურ ადგილს, ხავსიან ქვაზე“ ამოკვეთილია წარწერა, რომელიც გვაცნობს იმიერში წასული კაცის შეგონებას, ვისაც „ოქროს სამოსი“ შემოაცვდა, მაგრამ ნამდვილი სიმდიდრე თან ჩაჰყოლია საფლავში, - თან წაუღია „კაცის ნამუსი და სიყვარული ადამის ძისა!“

ს. ფაშალიშვილი მკითხველს მოუწოდებს ასეთი პიროვნებების საქმეთა აღიარებას, ვინც თავისი სიცოცხლის უმთავრესი ნაწილი „მოყვასისათვის წმინდა სამსახურს“ შეაღია. პოეტი შთაგონებულია არსებული წარწერით:

„იმ წარწერაზე მე ვფიქრობ ხშირად  
და სინანული მტანჯავს გვიანი“

და სვამს კითხვას:

„რად არ დევს ის ქვა დიდი გზის პირად,  
რომელზეც დადის ადამიანი?!“

პოეტის ცნობიერებაში ურთიერთსაპირისპირო ცნებები – ბოროტი და კეთილი, ერთად ვერ თავდება. მას მიაჩნია, რომ სიმართლეს უნდა იფიცებდე „ერიდო ბოროტს“ და „გწამდეს კეთილი“. ბოროტისადმი დამოკიდებულება მოგვაგონებს ვაჟას სიტყვებს: „სიკვდილი თავად უფალსა გაუჩენია მტრისადა“. მტერი სიკეთეს არათუ გაგიგებს, არამედ დაგიგმობს კიდევ, მაშინ პოეტის რჩევა ასეთია:

„შენ მოიქეცი ბუნების წესით:  
გასრისე იგი, რომელიც ლამობს  
თვითონ ამაღლდეს შენი გასრესით!“

(„ბუნებისათვის კაცისა“)

ს. ფაშალიშვილი არასოდეს ყოფილა ადამიანთა ურთიერთსაპირისპირების მომხრე, მისი ცხოვრების წესიც ასეთი გახლდათ, მტრობას მუდამ ძმობას უპირისპირებდა.

„განა მტრობაა მიზანი  
ამქვეყნად არსებობისა?  
კაცი ვარ, კაცად მიცანი,  
მადლი გიჩვენო ძმობისა!“

(„ნუ მესვრი ისარს“)

პოეტის წარმოდგენით, ბუნების ქმნილებანი ურთიერთიმართებით მთლიან ჰარმონიას ქმნიან, ბუნებაში ზედმეტი არაფერია და ერთის არსებობა მეორისთვის აუცილებელი პირობაა, მით უმეტეს ეს ითქმის ადამიანზე.

პოეტი თვლის, რომ ამ უდიდესი ერთიანობის ერთი ნაწილი თავადაცაა და ამიტომ თავს ბუნების ტოლად მიიჩნევს. ასეთი აზრის მატარებელია ლექსი „ჰარმონია ბუნებისა“, რომელშიც ავტორი ამბობს:

„და მე ვიგრძენ, რომ ბუნების  
ტოლი ვარ და თვისი,  
რომ უჩემოდ დაირღვევა  
მთლიანობა მისი“.

თუ ბუნება ჩვენი არსებობით საკუთარ მთლიანობას არ ავსებს ყოველდღიურად, „მაშ, უაზროდ შემოქმედი რატომ გაგვაჩენდა?“ – იკითხავს ამ სტრიქონების ავტორი და დაბეჯითებით დაასკვნის:

„ჩვენ ვჭირდებით, მიტომ გვადგამს  
ამ შუქს ოქროს ფარად, -  
ო, ბუნების ჰარმონია  
უკვდავია მარად!..“

პოეტი სამართლიანად მიგვანიშნებს, რომ „წუთისოფლის სტუმარს“, ადამიანს, კაცთმოყვარეობისა და ერთგულების გარდა, სხვა მისწრაფების საგანი არ უნდა გააჩნდეს. ამით უნდა ხარობდეს და ისე მიდიოდეს ამ ქვეყნიდან:

„წუთითა ხარ აქ მოსული,  
არ ირჩიო გზა მრუდი:  
შენი წილი სიყვარული  
წაიღე და დაბრუნდი!“

(„წუთისოფლის სტუმარს“)

სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თანაარსებობის, ძლიერისა და სუსტის დროის მდინარებაში გათანასწორების გარდაუვალობას ეხმიანება ლექსი „ნაპოლეონი ტიუილრის ბაღში“. დიდი გვირგვინოსანი, თავისი ზეკაცური სიამაყით სხივმოსილი, ბაღში სეირნობისას „კეთილინებებს დასტბებს – როგორ ჰყვავის სოსანი“. თავისკენ მოსწევს ერთ ვარდის რტოს და „ყვავილის გულში პატარა მდილს დააკვირდება – ეტყვის: „შენც ცოცხლობ?“ -გაიცინებს და გაკვირდება!“

პოეტი მაშინვე შეუძახებს:

„ეჰვი, ასე ნუ დასცინი, იყავი ფრთხილი:  
მოვა შენი დღე, დაგიჭკნება ბედის ხეხილი  
და მიწის მპყრობელს, მიწად გაქცევს ეგ მცირე მდილი!“

მწარე სინამდვილეა. პოეტის შთაგონების წყარო, ბონაპარტეც, თავის დროზე თითქმის მსოფლიოს მპყრობელი, დროსთან მიმართებაში თითოეული ჩვენგანის დარად უმწეოა. „ჟამის მპყრობელიც“ საბოლოოდ ხომ დროის მეუფების მონა გამხდარა. სწორედ დრო არის განმსაზღვრელი, თუნდაც ჩვენი ქვეყნად მოვლინებისა და მით უფრო, წარმავლობისა. ამიტომაცაა, რომ პოეტის ყოვლისშემცნობი სული ყოფნა-არყოფნის სარკეში მოკვდავთ ახედებს და ყოფიერებაში სიკეთისა და სიყვარულის ნაყოფით გამდიდრების ნიჭის ძალას უსურვებს.

ლექსი რამდენადმე განსხვავებული სტრუქტურის მქონეა – შედგება სამსტრიქონიანი სამი სტროფისაგან. თითოეულ სტროფში შემავალი ყველა

ტაეპი ერთმანეთთან გართმუღლია მოსაზღვრედ (გვირგვინოსანი – შენამოსარი – სოსანი; კვირტებად – დააკვირდება – და გააკვირდება; იყავი ფრთხილი – ბედის ხეხილი – ეგ მცირე მღილი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ს. ფაშალიშვილის ვრცელი ლექსი „სიმართლე“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. ავტორი პოეტურ-მხატვრული წარმოსახვით გვიამბობს, რომ უძველესი დროიდან დედამიწაზე უცხოვრია თურმე სიმართლეს, რომელიც ხორცშესხმულ სინათლეს წარმოადგენდა და ყველას საფიცრად მიაჩნდა. თვალთ მისი მხილველი კი არავინ იყო. ამბობდნენ „იგი მზეთუნახავი, ქალი არისო ზედთაებრივი“. მრავალი ეძებდა, მრავალი ესწრაფვოდა მის ხილვას. მაგრამ მის საძებნელად წასული „არ ბრუნდებოდა უკან არავინ.“ ერთ დღესაც

„...მაშინ რაინდი ერთი  
გამოჩნდა უცებ და დაიძახა,  
რომ ხალხისათვის მას გული ერჩის,  
მან განიზრახა სიმართლის ნახვა!"

რაინდმა აღოქმა დაუდო ხალხს, რომ სიმართლეს იხილავდა და ნამდვილ ამბავს მოიტანდა მის შესახებ. გაიარა ურთულესი გზები, უკანასკნელი „შმაგი მდინარე და წინ უდაბნო... მწირი უვარდო, ყრუ და უდაფნო“. მიზნის სიდიადე ამარჯუვებინებს მას ამ რთულ სავალ გზაზე. უეცრად „პატარა ქოხი, ქოხის ღირესთან სახედამკნარი დგას დედაბერი და წელში მოხრილს, ბაგეს უთრთოლებს ღიმილი წყნარი!"

რაინდი ჰკითხავს ადგილის სახელს და ამბავს ამ მშვენიერი არემარისას. მათი დიალოგი ასე წარიმართება:

„ – ეს უყვავილო უდაბნო არის,  
აქ არც წყაროა და არც მდელოა"  
„ – მხარე სიობლის და სიმწუხარის?"  
„ – არა, სიმართლის სამფლობელოა".

რაინდს გააკვირვება იპყრობს და სთხოვს –

„...მაშ, მითხარ იხიც,  
სადა ბინადრობს თვითონ სიმართლე,  
სად არის ოქროს სასახლე მისი?!"  
„–გზა აქ თავდება, სიმართლე მე ვარ  
სასახლე ჩემი – ეს ქოხი არი,

ეს ზღურბლი არის, რაზეც მე ვლგეპარ,

ჩემი ცხოვრების თანაზიარი!" - იყო პასუხი.

განცვიფრებული და გაწბილებული დარჩა რაინდი და აღიარებს, რომ მას სიმართლედ წარმოედგინა „...მზეთუნახავი... როგორც შვენება დაუძრახავი!“ ქალიც დაუდასტურებს, რომ სწორედ ასეთი იყო თავდაპირველად, მაგრამ მდევნელმა მოშურნე ადამიანმა ასე დააჭკნო ის საბოლოოდ. მაშინ წამოსცდება პოეტს სოფლის საძრახისი სიტყვები:

„როგორ არ დაგმოს კაცმა სოფელი

და მისი სწრაფვა ვით არ დაეცეს,

თუ თვითონვეა უარყოფელი

იმისი, რასაც ქვეყნად დაეძებს?!“

თაყნაღუნული და თვალცრემლიანი შემობრუნდება რაინდი. მხოლოდ ამასლა ჰკითხავს დედაბერს:

„მე ხალხი მეღის პასუხისათვის,

რომ დავბრუნდები რა ვუთხრა მაინც“.

სულ ერთი სიტყვით გაიხსნა ხლართი

„-იცრუე“ – უთხრა სიმართლემ რაინდს!“

„სიმართლე“ ს. ფაშალიშვილის ერთ-ერთი ვრცელი ლექსია. იგი, მოვლენათა აღქმა-წარმოსახვის თვალსაზრისით ზოგმა შეიძლება ლირიკულ პოემადაც მიიჩნიოს, თუმცა, ჩემი აზრით, როგორც ლეგენდურ საფუძველზე შექმნილი ლექსი, იგი ბალადის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სახეს უფრო წარმოადგენს.

ლექსი „სიმართლე“ ავტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ზოგადად მრავალჭირნახული ადამიანის ცხოვრების პოეტური წარმოსახვაა. საკითხი ფილოსოფიურ ჭრილშია დასმულიც და გადაწვეტილიც.

ლექსის დასასრულს პოეტის გულგატეხილობის გამოვლინებად მივიჩნევთ, მაგრამ ცხოვრებისეული პრაქტიკაც ხომ ძირითადად ამას ადასტურებს. იდეალის ძებნაში ხშირად გვავიწყდება ყველაზე ნაღდი და ჭეშმარიტი ადამიანური დამოკიდებულებანი.

ამდენად, ს. ფაშალიშვილის ფილოსოფიური ლირიკა მრავალწახნაგოვანია. პოეტს ხელეწიფება კეთილისა და ბოროტის, სიკვდილისა და სიცოცხლის, სიმართლისა და სიცრუის, მარადიულის არარსებობისა და ყოველივეს უცილობელი დასასრულის, ბუნების ქმნილებათა ურთიერთპარმონიული შერწყმის პრობლემების შთამბეჭდავი მხატვრული

გადაწყვეტა.

იშვიათია პოეტი, რომლის სული და გრძნობა განცდები სიყვარულის უკვდავი განძით არ იყოს ნასაზრდოები. გამონაკლისი ამ მხრივ არც ს. ფაშალიშვილია. მის შემოქმედებაში სიყვარულის უკვდავება მაღალმხატვრულ პოეტურ სტრიქონებშია წარმოდგენილი. აშკარად ჩანს, რომ სიყვარული იბადება წრფელ გულში და ფაქიზად გადმოიცემა. პოეტის შემოქმედებაში ყველგან იგრძნობა სატრფოსთან „კდემამოსილი დამოკიდებულება და ჩუმი სევდა. ვერსად ნახავთ უხეშობას და ეროტიულ გახელებას" (23).

კინოფილმ „ქეთო და კოტეს" სცენარზე მუშაობისას ს. ფაშალიშვილმა ერთ-ერთ ეპიზოდში შეიტანა მუსიკალურად გადამუშავებული ტრფიალების გრძნობით აღვსილი თავისივე ლექსი „ერთხელ ვიხილე"

„ერთხელ ვიხილე ბაღში გაშლილი  
ვარდი პირველი გაზაფხულისა,  
ერთხელ ვიგრძენი ალერსი ტკბილი  
და სიხარული სიყვარულისა.

.....

ეს სიყვარული მე შენთვის მინდა,  
როგორც ვარდს - შუქი გაზაფხულისა,  
მე შენთვის მინდა ეს გული წმინდა  
და სიხარული სიყვარულისა!"

ერთი ამოძახილით ნათქვამ ამ ლექსში უდავოდ ძლიერია სიყვარულის მუხტი. ამიტომ არ ღირს მასზე მსჯელობა, ძნელია მისი საკადრისად შეფასება. სიყვარული, სიხარული, სინანული... თითქმის ყველაფერია მასში, რაც ღიად გრძნობას თან სდევს.

„ერთხელ ვიხილე" ხალხის საყვარელ სიმღერად იქცა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მიუხედავად იმისა, რომ ს. ფაშალიშვილის პოეზიას თავიდან ბოლომდე გასდევს სიყვარულის მოტივი, იგი არასოდეს ქცეულა გულადტკინებულ და ვნებადაუოკებელ მგოსნად, თუმცა ქალის მშვენიერება მრავალგზის გამხდარა მისი ლექსის შთაგონების წყარო. თვალი გადავაავლოთ ზოგიერ ეპიზოდს მწერლის მოგონებათა წიგნიდან „დაუვიწყარი შეხვედრები": „ლურჯი თვალები, შავზე შავი წამწამები, მარჯნის ტუჩები და მონღოლური ხმალივით მოხრილი წარბები!

ასეთი მახსოვს ჩემი თაობის ცნობილი მხატვრის ვალერიან სიღამონ-ერისთავის პატარძალი, ჩოლოყაშვილის ასული ნატალია..." (43, 138).

მწერალს გულწრფელად მოსწონს მშვენიერი მანდილოსანი. თბილი და მგრძობიარეა მისი გული. მოხიბლულია ვალერიან სიღამონ-ერისთავის ოჯახით, რომელმაც გულთბილი მასპინძლობა გაუწია ს. ფაშალიშვილს, როცა იგი ლიტერატურული სადამოს გასამართავად თელავს ჩავიდა. მაშინ ვალერიანი და ქალბატონი ანეტა – ჩოლოყაშვილის ასული – ახალი შეუდლებულები ყოფილან. სიკო შესტრფის მათ ბედნიერებას: „არ დავმაღავ, მივეყვებოდი მასპინძლებს და ვგრძობდი, როგორ მხიბლავდა ვალიკოს ახალი მეგობრის სახე, მისი მიმოსვრა, ხმა, თუნდაც სიჩუმეც კი!" (43, 139).

სადამოზე მოწვეულებმა თელავში ნადიკვარზე გაისეირნეს. აქ პოეტმა კიდევ ერთი ახალი სიხარული განიცადა. ნადიკვრის ქუჩის კუთხეში, ჭავჭავაძის უბანში, მათ „თვალწინ გაიფარფატა თეთრმა მარაომ... „მშვენიერი ელენე" – ეს ჩემთვის პოეტური სათაყვანებელი სახელი იყო...

...ელენე ივანეს ასული ჭავჭავაძისა, მაშინ ყველა პოეტის თაყვანისცემის ღირსი გახლდათ, არა მარტო იმიტომ, რომ ენით უთქმელი სიღამაზისა იყო..." (43, 139).

პოეტი იმასაც გვეუბნება, რომ „მშვენიერი ელენე" ერთ ზამთარს თბიან ღისში გაუცვნია „უბრწყინვალეს ქალთან" ანეტა ანდრონიკაშვილთან ერთად, რომელიც მოსკოვიდან მოეწვიათ ქართულ „ბალზე" როგორც ნიკოლოზ მეორის სეფე ქალი (ფრეილინა). სიკო ფაშალიშვილს მაშინ წილად ხვდა მისთვის შესანიშნავი ლექსის „ოქროს ჯვარი"-ს მიძღვნა. ქალბატონი ელენე ჭავჭავაძისა, სიკო ფაშალიშვილის თელავის სადამოთი ამ ლექსის შემდეგ კიდევ უფრო დაინტერესებულა და სადამოს დიასახლისობაც უკისრია. ლექსი „ოქროს ჯვარი" განსაკუთრებულად უყვარდა თვით მის ავტორსაც.

გამონაკვეთ ფიქალის მკერდს  
თხელ მარმამის ფარდა ჰფარავს –  
და ეგ ფარდა რაღაც ჯადოს  
მკვეთრი ელვით დაუბზარავს.  
და ნათლად ჩანს ოქროს ჯვარი  
როგორ გიმეობს გულის კარებს! –  
ბრწყინავს, ბრწყინავს ოქროს ჯვარი  
და ორ გუმბათს გიელვარებს!.."

ავტორი განაგრძობს თხრობას ანდრონიკაშვილის ქალზე: „მეტად ჯადოსან ქალად მივიჩნიე ის ფრეილინა, რაღაც შთამაგონებელი ძალა დაეინახე მასში, როცა ექსპრომტს ვუძღვნიდი (დაე, მკითხველმა განსაჯოს ჩემი „ოქროს ჯვარი“ და ვგონებ არ გამამტყუნებს ასეთი „შთაგონებისათვის“)“ (43, 140-141).

პოეტი ცდილობს დაეუფლოს ამ მშვენიერი ქალბატონის გულისთქმას, ჩასწვდეს საიდუმლოს მისას. პოეტმა იცის და უკვირს, რომ ის გული „ტადარია შეცოდების“, რომელშიც მანვე ცდუნება ბუდობს „და კანდელი ბრწყინავს ვნების“.

იმავედროულად:

„შიგ ლამაზი გველიც ცხოვრობს  
და სატანა ათასგვარი;  
მაშ, მაგ არარწმენის ტადარს  
რად ამშვენებს რწმენის ჯვარი?!..  
... მიკვირს, ღმერთი სილამაზემ  
ისე როგორ შეისყიდა,  
რომ მის ჯვარი – ბოროტების  
სამრეკლოზე ჩამოჰკიდა?!..“

„ოქროს ჯვარი“ სახელდახელოდ, ექსპრომტად დაიწერა. იგი, თურმე, თითქმის ძალით დააწერინეს ავტორს შალვა დადიანმა და ვალერიან გუნიამ. ამათ წაუკითხეს იგი ფრეილინას, მაგრამ რუსულ პოეზიასთან წილნაყარ ქალბატონს ქართული ლირიკის მოსმენით დიდი სიამოვნება როდი გამოუხატავს. თუმცა „ოქროს ჯვარი“, როგორც თვითონ პოეტი ამბობს, მაინც „იღბლიანი“ გამოდგა. ავტორი მას ხშირად კითხულობდა ხოლმე სცენიდან და მსმენელთა გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა.

ს. ფაშალიშვილი დიდი გულისა და დიდი გრძნობის ადამიანია. მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„გულის მონა ვარ, მისი სურვილი  
არ შეიცვალა და არ იძლია,  
არც სიყვარული, არც სიძულვილი  
მიტომ უგულოდ არ შემიძლია“.

ამ სიტყვების ავტორის გულწრფელობაში ოდნავი დაეჭვებაც კი შეუძლებელია. მოქალაქეობრივი კეთილშობილებითა და გრძნობათა სინაზით



გამორჩევა მისი ინტიმური ლირიკაც. გასული საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების სატრფიალო პოეზიისათვის დამახასიათებელი ქალის მაცდურობის, ორგულობისა და თუ გნებავთ ვერაგობისათვის და ა.შ. მოტივების მიუხედავად, ს. ფაშალიშვილისათვის „იმთავითვე უცხო იყო ქალისადმი ტრფიალების ტლანქი, ეროტიკული გამოხატვა, რაც მისი თაობის ზოგმა წარმომადგენელმა თავის დროზე მოდად აქცია“ (38, 165).

ფაქიზი, ლირიკული გრძნობით გამთბარი ლექსია „პასუხი უკანასკნელ წერილზე“. მკითხველის სულში ნაკადულივით იღვრება ამ ლექსის განწყობილება. პოეტი უნაზესი განცდით იხსენებს კდემით აღსავსე, დაუზრახველ პირველ სიყვარულსა და პირველ წერილს, რომელიც მას ვარდის სურნელს და პირველი იის სინაზეს აგონებს.

პოეტმა გახსნა „მუდამ ძვირფასი და სასურველი“ წერილი.

„ისევ გახსოვარ... იმავე გულის  
ფეთქვას მამცნობენ ეს სტრიქონები.  
რაც შენგან დამრჩა ხსოვნად წარსულის,  
დაუვიწყარად მოსაგონები!“

საერთოდ, სატრფიალო ლირიკა მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია, სიყვარული თავად პოეზიაა, პოეტური სული სიყვარულის გარეშე ვერ ძღვება, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა ასაკს, გარემოებას, დროს. თუ სიყვარულის ციური სასუფეველი მისთვის არ გაიხსნა, ლექსს სახმილი და გზნებარება აკლდება. ამიტომაცაა, თუ რამ ფასეული და მნიშვნელოვანი შექმნილა პოეზიასა და საერთოდ ხელოვნებაში, ყოველივე სიყვარულიდან მომდინარეობს და სიკო ფაშალიშვილის ტრფობის სახმილშემოგზნებული გულიც სხვაგვარი აღტაცებით მღერის.

ამავე დროს ვერ ივიწყებს „მგზნებარე ბაგეს“ და იმ „ბავშვურ გულს, როდესაც იგი სიჭაბუკეში გადადიოდა“. მრავალი წელი გასულა ამ ტრფობის დროიდან, მაგრამ თითქოს გუშინ იყო, რომ

„...ყოველ კოცნაში  
თვით მაგ სპეტაკ გულს ყვავილად რგავდი,  
არა ვერასდროს ვერ გაგცვლი სხვაში,  
შენ სხვა იყავი, შენ სხვას არ ჰგავდი!“

სიყვარულის ეს წრფელზე უწრფესი განცდა ავტორის გულში დრომ ვერ

წაშალა, ვერ გაამრუდა და მისი გახსენება საბოლოოდ მთრთოლვარე სტრიქონებს ათქმევინებს:

„შენი სიცოცხლის, ფიქრის, ზღვა გრძნობის  
ყოველი წამი დამილოცნია,  
და გოცნი ისე, როგორც ბავშვობის  
შემდეგ არვისთვის არ მიგოცნია!“

პოეტის გული და გონება თითქოს ებრძვიან ერთმანეთს. რაც უფრო მეტად უძლიერდება სიყვარულის გრძნობა და უღელავს გული, მით უფრო იკრებს ძალებს, რათა არ აჰყვეს გულისთქმას, წონასწორობა არ დაკარგოს. იგი მონაა სიყვარულისა, მაგრამ სათქმელს ხმამაღლა ვერ ამბობს. ყველაფერი „შავ თვალთა ელვამ“ დამართა მას და შეუძლებელია ყოველივე ამან და ლექსის აზარფეშა სიყვარულის ცეცხლით არ აუესოს, ამ ცეცხლითა და მგზნებარებით არ დამუხტოს მისი სიცოცხლეც:

„მოვიდა იგი და უჩინარი  
მონობა წილად მარგუნა უცებ, -  
ნეტა რა უნდა, ნეტა ვინ არი,  
რა ცეცხლი ანთებს, რა გული უცემს?  
სანთლად დავიწვი.  
რატომ დავიწვი? – აბა, რა ვიცი!“

მაგრამ პოეტს ამ მონობის გარეშე გაძლება არ შეუძლია. სწორედ ამით არის ქვეყანა მისთვის ნათელი:

„ო, დღეს ქვეყანა რა ნათელია,  
ცა ვარდებს მესვრის კონად და კონად, -  
თურმე მონობაც სანატრელია,  
თუ სილამაზეს უხდები მონად, -  
განა დავეცი?  
ავმადლდი ცამდე, როგორ? – რა ვიცი!“

(„აბა რა ვიცი“)

პოეტს ესმის, რომ ზოგჯერ სიყვარულს იმედგაცრუებაც თან ახლავს. ეს უმწარესი განცდაა და შეიძლება ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ღალატის სიმწარეს ნაზიარები გული. უარყოფილი სიყვარულის განცდა ზოგჯერ მომაკვდინებელია. ამაღლებული გრძნობის ამგვარ დასასრულს პოეტმა „პატარა განახენი“ დაარქვა.

შეყვარებული გული ბობოქარია, ზეცაში დაქრის, თუმცა ფიზიკურად მიწაზეა. ამდენად, სიყვარულის საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობს ზეცაც და მიწაც. ლექსი „პატარა განაჩენიც“ ამას გვეუბნება :

„უყვარდა ჭაბუკს, ერჩივნა მზესა,  
ქალმა კი უძღვნა დალატი ავი,  
ვერ აიტანა ჭაბუკმა ესა  
და გაბედულად მოიკლა თავი!  
დადგა ჭაბუკის სამსჯავროს დღეცა,  
ვინც ტრფობას ხარკად სიცოცხლე მისცა  
– ბრძნულად მოიქცა, – განსაზღვრა ზეცამ,  
– სისულელე ქნა, – დაასკვნა მიწამ!“

პოეტს ეწვია სიყვარულის ჟამი, პირველი კოცნაც ერგო. იგი ღრმად დაარწმუნებული, რომ ეს გრძნობა უკვდავია, მაგრამ გათენდა მოულოდნელი განშორების დღე – დალატის დღე. „სხვას გაჰყვა ეშხით ნაამბორები, სატრფო, ცბიერი და მუხანათი“. პოეტს განუცდია ყოველივე – სიყვარულიც და განშორებაც. ამიტომ ბოლოს ნაღვლიანად იტყვის:

„დროთა სიაში არის ორი დღე,  
დღე სიყვარულის, დღე განშორების,  
და როგორც ერთი, ისე მეორე  
არის სიმბოლო ჩემი ცხოვრების“.

(„ორი დღე“)

ს. ფაშალიშვილს მაინც ღრმად სწამს, რომ სიყვარული უბერებელი, მარადიულია. „ცხოვრების ქარიშხალმა“ მას ბევრჯერ დაუსეტყვა გული და თითქოს სიჭაბუკის სიყვარულიანი „გულის ფეთქვაც, დრომ წაიღო ნამრისხალმა“, მაგრამ პოეტს მაინც გაუმართლა, – მას ბედმა მისცა სიმღერის ნიჭი, რამაც იხსნა განსაცდელისაგან. ამიტომ

„კვლავ ვუგალობ სიყვარულსა,  
სიმზე ვქარგავ სხივთა ფერებს,  
თუ სიმღერა ათბობს გულსა,  
დრო მას როგორ დააბერებს?“

(„გული და დრო“)

– იკითხავს ბოლოს პოეტი სრულიად სამართლიანად.

პოეტისათვის არც ის არის უცხო, რასაც „ერთი ნახვით შეყვარება“ ჰქვია, გვერდით ჩაგლისას თვალთა ურთიერთშეველებით გამჟღავნება ლტოლვისა. სიყვარულის ცეცხლით გულანთებული ჭაბუკი ისევ შემობრუნდება, თქმით ვერაფერს ამბობს. ქალი ჰკითხავს:

– „დაგრჩა რამე! – კითხვა წუნარი,  
როგორ მაღალი იყო! –  
– გული დამრჩა, შენთვის მკვდარი,  
მსურს მაგ გულმა მიიღოს, –  
ეგ პატარა საჩუქარი  
შენთვის ალალი იყოს!"

(„საჩუქარი“)

დალატით გულში დაჭრილ პოეტს თავი დაობლებულად წარმოუდგენია. სატრფოსაგან უარყოფილი „მე უფოთლო ხესავით დავრჩი! მარტოდ შევსულვარ სევდის ბაღში უმზუო დარში“ – იტყვის იგი თავის შესანიშნავ ლექსში „გულის დარდები ყარაჩოხელისა“, რომელიც გიორგი შავგულიძეს უძღვნა. პოეტი ჩაძირულია უნაპირო ფიქრებსა და დარდში:

„წასულა ჩემთვის გაზაფხული სიყვარულისა,  
მე უშენობამ ობლობასთან დამაძმობილა,  
მე უშენობამ ეს სოფელი დამაგმობინა,  
მე უშენობას ვერ ავიტან! – ძნელი ყოფილა, -  
მოურჩენელი ტკივილი მაქვს დაჭრილ გულისა!  
მე რომ ვმღეროვარ, განა მართლა სულს ემღერება?! –  
ცრემლის ავდარში დამჭკნობია ბედნიერება!  
რად მოისურვე სიყვარულთან გადამტერება?  
მოდი, სათქმელი მოისმინე დაფარულისა!"

გაუმართლებელი სიყვარულის სევდით დაჩაგრულ პოეტს თვითონ არასოდეს უღალატნია წრფელი გრძნობისთვის, არ უცემს გული სამაგიეროს მისაზღავად. პირიქით, ღვინოს დაასხამს ისევ სატრფოს სადღეგრძელებლად:

„დაასხით!.. შევსვათ მკვდარი გულის შესანდობარი! –  
ვთქვათ სადღეგრძელო! მაინც დავრჩეთ სატრფოს მკობარი,

ვინც დაჭრა თვისი მომღერალი და მეგობარი,

ვინც რომ დალატით გახდა მკვლელი სიყვარულისა!"

ასეთი რაინდული ბუნებისაა იგი ყველაზე სასოწარკვეთილ წუთებშიც კი. ასეთი კეთილშობილება იყო თანამდევნი სიკო ფაშალიშვილისათვის მისი ცხოვრების მანძილზე. სიყვარულით ამადლებული და განსპეტაკებული მისი გული შეჰხაროდა სიცოცხლეს, ცხოვრებას, ადამიანს, ბუნებას, სამშობლოს და ამ სიყვარულის დასტურმყოფელია მთელი მისი შემოქმედება.

ს. ფაშალიშვილს ხელეწიფება ბუნების მშვენიერების მხატვრული წარმოსახვა. მტკვრის მიდამოები, ლურჯი ნაძვნარი, მთის მწვერვალების „ბინდნარევი შეენება“, მზის სხივების შემოსვლა და „ფოთოლთა ჩრდილები“ – ყოველივე გულს უვსებს და აღტაცებას გვრის, მაგრამ უმთავრესი მაინც აკლია. ბუნების ამ უმშვენიერეს ფონზე არსად ჩანს სატრფო, სურს რომ იხილოს იგი. ამ დროს პოეტის ნატვრა ასეთია:

„ნეტა მაშინ ერთმანეთს მართლა შემოვხვდებოდეთ,  
და ამ უკვდავ განთიადს ერთად ველოდებოდეთ,  
რომ რიჟრაჟის სიტურფე ერთგვარად განგვეცადა,  
გული გრძნობით აგვევსო და მზისთვის დაგვეცადა!..“

ამ ნატვრის ასრულების წუთები პოეტისთვის სამოთხე იქნებოდა, მაგრამ სატრფო შორს არის და ნატვრა აუხდენელი რჩება, ყველაფერი ზღაპარს ემსგავსება:

„მაგრამ ახლა შორსა ხარ და მე ნატვრად ქცეული, –  
ვერ ველირსე შენს ნახვას, ისე გაეხდი სნეული!  
ჩემთვის ისე დასრულდა სიჭაბუკის ზღაპარი,  
გულში ისე გამეფდა დამე შემონაპარი,  
თმებზე ისე დამეცყო სიჭაღარავის ლაქა, –  
რომ ვერ მოვასწარ მეთქვა: „ჭირი იქ, ლხინი აქა!..“

(„ღია ბარათი“)

ს. ფაშალიშვილი სიყვარულის მიმართ სისათუთეს მოითხოვს ყოველი ადამიანისგან. მცირედი ცოდნა და პატივისცემა, თუნდაც სხვისი სიყვარულისადმი, ყველას მოეთხოვება. ამ გრძნობის უმეცარს უნებლიეთ შეუძლია სხვისთვის ტკივილის მიყენება. პოეტმა ასეთი ტკივილი სიზმარში

იწვინა და ცხარე ცრებმლებიც ღვარა. ნაწილობრივ ასეთი შინაარსობრივი დატვირთვა აქვს ლექსს „ლაქია“. ერთხელ მას ესიზმრა, თითქოს სახლის ლაქიას, წიგნთსაცავის დალაგებისას, ვარდი ძირს დაეგდო და „ტლანქი ფეხით დაეფშვნიტა“. ერთგული მიჯნური „მწუხარებით აქვითინდა“. ლაქიას უკვირს პოეტის გლოვა და ბუტბუტებს: „... რა მოხდაო? – რა აგლოვებს, რა ადარდებს? – რა ფასი აქვს ყვავილებსო, მერე ისიც დამტკნარ ვარდებს?!“ იქვე პოეტის შეგონება:

„ჩემო კარგო, ჩვენს ცხოვრებას ლაქიები განაგებენ,  
და სიცოცხლის წიგნთსაცავებს თვის გემოზე ალაგებენ;  
და მე ვშიშობ, სიცხადეშიც არ დაგესაჯონ ცრემლით ცხელით,  
ჩვენი ტრფობის სახარებას არ შეეხონ ტლანქი ხელით!..“

ს. ფაშალიშვილი რუსთველური სიყვარულის პრინციპების დამცველია. ამ პრინციპებს ეხმიანება ლექსები „სიყვარული აგვამადლებს“ და „აუხსნელი გამოცანა“.

„სიყვარული ადგვამადლებს“ – თქვა რუსთველმა და ცისქვეშეთს,  
არ სმენია უფრო დიდი სიტყვა, რაც კაცს ანუგეშებს!

სიყვარული აგვამადლებს, სულს აგვინთებს გამწმენდავი,

წმინდა ცეცხლით, რომ თვით ღმერთზე უფრო მაღლა ვიგრძნოთ თავი.“

ლექსის ავტორი სიყვარულს მარტო ტრფობითა და ღამაში ქალისადმი მისამართებით კი არ შემოფარგლავს, არამედ „სიყვარული სიკეთეა და სიკეთე – კაცთა ძმობა, ის ცნობადის წმინდა ხეა, გულთან-გულთა თანაგრძნობა“. პოეტის გაგებით, საერთოდ, სიყვარულის ცნება განზოგადებულია, სიყვარული ყოველ არსშია, ქვეყნად ყველასა და ყველაფერშია განფენილი. კაცთა ძმობაც ურთიერთსიყვარულია ზოგადად.

ლექსი „აუხსნელი გამოცანა“ ასეთი კითხვითი წინადადებით იწყება:

„–აბა მითხარ, რად გიყვარვარ, ან რა არის სიყვარული,  
ან მე ხშირად უშენობით რად მიკრთება ასე რული? –

...

ასე მკითხე და საყვარლად გამიყარე თვალში თვალი,

გული ცეცხლით ამითრთოლე, გული ისარგანამსჭვალე...“

პოეტი ეძებს პასუხს, მაგრამ ვერ პოულობს. ამგვარი რამ გამუდმებით მეორდება.

აღსანიშნავია, რომ მართლაც, ყველა ადამიანს უფიქრია ამ კითხვის პასუხზე – რა არის სიყვარული? პასუხი კი გამომდინარე იქნება თითოეულის პირადი განცდიდან, მაგრამ პასუხის სრულყოფილება, ალბათ, არც არსებობს. სიყვარულს ვერ ჩამოაყალიბებ აზრებით. აზრი ვერ წვდება გრძნობის სიმაღლეს. ვერც ენის ლექსიკური სიმდიდრე აღწერს იმ განცდას, რასაც შეყვარებული გული გრძნობს. ამდენად პასუხი კითხვაზე, თუ რა არის სიყვარული, ინდივიდუალურ განცდათაგან გამომდინარე, მრავალგვარობა ადამიანთა, ბუნებისა განსაზღვრავს სიყვარულის მრავალფეროვნებას. საუკუნეთა მიღმიდან გენიალურმა რუსთაველმა გვიკარნახა, რომ სიყვარული „არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი“ და როგორც სპეტაკი და წმიდათა-წმიდა გრძნობა, გამოყო და განარჩია სიძვისაგან, რომელიც წუთიერ გატაცებას ემყარება. თუმცა ერთხელ ვარდმა „ტრფილით დამთვრალმა“ წასჩურჩულა შეყვარებულებს, ამცნო სიმართლე:

„სიყვარული თვით განგებამ შექმნა ჩემი ეშხისგანა,  
და სახელი უწოდა მას „აუხსნელი გამოცანა“,  
მეც მიკითხავს „რაა ტრფობა?“ პასუხი მეც მიძებნია,  
მოლოდინში ჩამოემტკნარვარ და ფოთლები დამცვივინა!“

პოეტს მრავალი ნარ-ეკალი გადაღობებია სიყვარულის გზაზე. ძნელი მისადწევია შეყვარებულის გულამდე, როგორც ყვავილთა შორის შეუძლია ზოგჯერ „მავნე ნარსაც აყვავება“, შესაძლებელია გულიც ასევე იყოს და მისი „ბაღჩა უჩინარი ყვავილობდეს, მაგრამ იქვე იზრდებოდეს ზიზღის ნარი“. და მართლაც:

„დრო გავიდა, მაგ თვალებმა, შუქი სხვისკენ მიაშურეს,  
სხვა აანთეს ტრფობის ცეცხლით, ჩემთვის სითბო დაიშურეს, -  
შენი ფიქრის ყვავილებში სხვის ოცნება აბუღბუღდა,  
მე კი ცივად ჩამომცილდი, ჩემი ჰანგი შენ შეგძულდა“.  
(„ნარი“)

შეყვარებულები შორდებიან, რაც თავისთავად დიდ გულისტკივილს იწვევს. „შენ ცილს დამწამებ, დამგმობ, დამწყევლი, და მე კი შენსას ვერ ვიტყვი აგსა“ – მიმართავს პოეტი სატრფოს ლექსში „გამეცინება“, ბოლოს დადგება ისეთი დღეც, რომ ვინმე

„მოვა და მეტყვის შენით დამტკბარი:  
- ბედნიერი ვარ კოცნა მაჩუქა,

კოცნა პირველი გრძნობით გამთბარი,  
ბეჭედიც მომცა, - ნეტარი ვნებით  
ღამეს ვათეთრებ, არ მეძინება,  
რად არ მილოცავ?"  
... და მე პასუხად მწარე ცრემლებქვეშ  
გამეცინება!"

„დრო დამცინავი“ სხვადასხვა გზით ატარებს ადრინდელ შეყვარებულებს და ბოლოს, უკვე მზეგადასულებს, ბელი ისევ შეახვედრებს ერთმანეთს. ქალს, ყოფილ სატრფოს, პოეტის ცნობაც კი გაუჭირდება. გაიხსენებენ წარსულს, მაგრამ ურთიერთგანშორების მიზეზზე პასუხი არ მოეპოვებათ.

„რისთვის დავღუპეთ ერთობის სამოთხე? –  
ვის გადვუხადეთ სამაგიერო?“  
და თრთოლვით იტყვი:  
„-ო, ეხლაც მიყვარს!...“  
და გამოიწვდი ჩამომჭკნარ ხელებს,  
თან სასოებით წარმოთქვამ ჩემს გვარს  
და შენთვის ნამდერ ლექსთა სახელებს...“

ლექსის ფინალი კიდევ უფრო დრამატულად დაძაბულია. დაკარგული სიყვარულის სევდით და ადრეული მცდარი განშორების შეგრძნებით ჰკითხავს ქალი:

„შენ მიხვალ მგზავრო? – მეც გამოგყვები,  
ღვთის გულისათვის, მომეცი ნება!...“  
მე კი თავს დავხრი, ქვითინს დავმაღავ  
და მწარედ, მწარედ გამეცინება!...  
მერე?... ვინ იცის, იქნებ ნამქერში  
იპოვონ ორი მოხუცის გვამი:  
ერთს ალბათ ტუჩზე ღიმი ექნება  
და მეორეს კი თვალებში ნაღი!...“

ს. ფაშალიშვილს ხელეწიფება ლამაზი შაირის გაწყობაც. „პატარა ქალვაჟიანი“ სწორედ ამისი დასტურია. ვაჟს მოეწონა ქალი, სიყვარულს ეფიცება, ცოლობას სთხოვს. ქალი არ არის უარზე, მაგრამ ბიჭს მეტ სითამამეს ურჩევს. ბოლოს ვაჟი გაუმხელს თავისი სიღარიბის ამბავს, რის გამოც ვერ



ბედავდა თამამ ლაპარაკს:

ვაუი: „მაგრამ მე ბინაც არ მაქვს,  
სხვის ქოხში ვცხოვრობ ცაღად,  
თავი წვალებით გამაქვს,  
სხვას ვაძლევ ოფლს და დაღას,  
რომ ვატარებდე, გოგოვ,  
ვაჟკაცის სახელს ალაღს.

ქალი:

ო, ეგ მართალი გული,  
ქვეყნის ქონებას მიჯობს,  
თუ წმინდა სიყვარული  
გსურს ჯილდოდ მომანიჭო,  
ზეცამ დღე მოგცეს სრული  
მოდო, წამიყვა ბიჭო!"

ს. ფაშალიშვილის სატრფიალო პოეზიაში ერთგვარი შემაჯამებელი დანიშნულებისაა „სიყვარულის ფილოსოფია“, რომელშიც ავტორს ადამიანი ბუნების ნაწილად ჰყავს წარმოდგენილი. მას თავზე მზე ადგას გვირგვინად. ადამიანი, ისევე როგორც გარემომცველი ბუნება, საინტერესოა თავისი ყოფის თითოეულ მონაკვეთში „თავის სიცოცხლით და სიკვდილითა“.

ისევე როგორც სიცოცხლე და ადამიანი, სიყვარულიც მარადიულია, სიცოცხლის მარადიულობა ცალკეულ ადამიანთა წარმავლობაშია, ამ მოძრავ წრეში სიყვარული ყოველჯამს არსებობს და სიცოცხლის მარადიულობაც სიყვარულითაა განპირობებული. წამით რომ დაიშრიტოს სიყვარულის გრძნობა ადამიანში, წამით რომ შეჩერდეს სიყვარულის ზარების რეკვა, მაშინ სიყვარულისა და სიცოცხლის მზე დაიბინდება, ბუნება გაიყინება. ამდენად ფაშალიშვილის აზრით, სიცოცხლე, სიყვარული და ადამიანი ბუნების ნაწილები და ამ ბუნების მარადისობის საწინდარია.

პოეტი არასოდეს გაქცევია ცხოვრების სირთულეებს. საქვეყნო ორომტრიალის მიღმა, რომელშიც ჩართული იყო ს. ფაშალიშვილი, „გასაგები ხდება, რომ მწერლის შემოქმედებით ფილოსოფიას და მხატვრულ სისტემას, თუნდაც უბრალოდ მის ცხოვრებას, ადამიანურ, ყოველდღიურ ცხოვრებას ქმნის სიყვარული – მრავლისმომცველი, მრავალწახნაგოვანი და უკვდავებასთან გადაჯაჭვული" (20, 9): თითოეული ინდივიდი წარმავალია და ამიტომაც პოეტის

მინიშნებით სიცოცხლის აზრი სწორედ სიყვარულშია:

„მოვა ერთი დღე, წავა ერთი დღე  
და მიწის გულში ფერფლად ვიწვებით...“

პოეტის როგორც შემოქმედების, ასევე ცხოვრებისეულ დევიზად უღერს ამ სტროფის დამასრულებელი სტრიქონები:

„მაშ, რა ჯანდაბად გვინდა სიცოცხლე,  
თუ სიყვარულით არ დავიწვებით?!..“

ასეთია პოეტისეული სიყვარულის ფილოსოფია.

მოკლედ, შეიძლება ასე დახასიათდეს ს. ფაშალიშვილის სატრფიალო ლირიკა – ნატიფი და ნარნარი, მსუბუქი რითმა, რიტმულობა – საინტერესო იდეურ-შინაარსობრივ მხარესთან ერთად მისი ლექსების შემამკობელი ნიშნებია. ამიტომ, პოეტის მრავალი ლექსი იქცა შესანიშნავ ქართულ სიმღერად.

მკითხველი საზოგადოება და განსაკუთრებით პოეზიის მოყვარულნი თავიდანვე დიდ პატივისცემას გამოხატავდნენ სიკო ფაშალიშვილისადმი. მის ლექსებს სწავლობდნენ ზეპირად. ს. შანშიაშვილის გადმოცემით „მისი ლირიკა მაღალ გრძნობებზეა აუღერებული, სუფთა და დაწმენდილი ქართული ენით... სრულიად შემთხვევით შემხვედრია ვინმე უცნობი და მას ზეპირად უთქვამს სიკოს ლექსი. ეს დიდი გამარჯვება და სახელია პოეტისათვის“ (54).<sup>6</sup>

ს. ფაშალიშვილს მრავალი ლექსი მიუძღვნია როგორც გამოჩენილი ისტორიული პიროვნებების, ისე მისი თანამედროვე სახელოვანი ადამიანებისთვისაც.

ლექსების ერთტომეულში ავტორს ერთ-ერთი მონაკვეთი ასე დაუსათაურებია: „ტოლებს და წინაპრებს“. წინაპართაგან პოეტის კალამი მკითხველის წინაშე წარმოსახავს დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას გიგანტურ აჩრდილებს. თანამედროვეთაგან პოეტი ლექსებს უძღვნის და საქვეყნო სამსახურს უქებს გიორგი ლეონიძეს, სანდრო შანშიაშვილს, მარიჯანს, თამარ ჭავჭავაძეს, იოსებ გრიშაშვილს, შიო მღვიმელს, რომლებთანაც გულთბილი ურთიერთობა და ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

პოეტი იხსენებს და ლექსს უძღვნის ალექსანდრე გრიბოედოვს, რომელიც არა თავის სამშობლო რუსეთში, არამედ მთაწმინდაზე განისვენებს ქართულ მიწაში. ამის გამო ს. ფაშალიშვილი ასე მიმართავს დიდ რუს პოეტს:

„და როს უღაბურ, უცხო ცის ქვეშ შუქი ჩაგიქრა,

შენთვის ჩვენს ბაღში შეკრეს დაფნა უჭკნობ თაველად,  
შენ ჩვენმა მიწამ დედასავით გულში ჩაგიკრა,  
როგორც ილია, აკაკი და ვაჟა-ფშაველა!"

ს. ფაშალიშვილმა ასევე გულითადი სტროფები უძღვნა გამოჩენილ სომეხ პოეტებს ოვანეს თუმანიანს და „დიდ ვარპეტს“ - ავეტიკ ისააკიანს.

ერთტომეულის ამავე ნაწილში შეტანილია ავტორის „მოსაგონარი საიათნოვას“. პოეტი შესაბამისი ლექსით ეხმაურება თავისი მეგობრის ვ. სარაჯიშვილის გარდაცვალების ფაქტს, იქვეა ლექსები „დიმიტრი მანხაანელის საფლავზე“, „კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებაზე“, „ეპი, მეგობარო“ (ირ. ევლოშვილის ხსოვნას) და მრავალი სხვა.

ს. ფაშალიშვილი დიდი გულისხმიერებითა და სიყვარულით ჩარხავს თითოეულ სტრიქონს. ყოველ სიტყვას თან ახლავს გულის სიტობი.

წიგნის უკანასკნელი თავი დათმობილი აქვს თარგმანებს. ერთტომეულში შეტანილი თარგმანები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მთარგმნელობითი მუშაობისა, რაც პოეტს ჩაუტარებია თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე.

ს. ფაშალიშვილის ღირიკის გაცნობა ადასტურებს, რომ იგი ჭკმშიატი გრძნობის პოეტია. ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პოეტის ლექსი საუკეთესო მხატვრული სახეებისა და ლექსწყობის არაჩვეულებრივ ნიმუშებს გვაძლევს, მაგრამ დააკვირდები, გსურს გარკვეული აზრი ჩამოგიყვალბდეს მათი პოეზიის ღირებულებაზე და ხელთ თითქმის არაფერი გრჩება, თითქოს „ყველაფერი ქარია და ჩვენება“, მხოლოდ სიტყვებით ჟონგლირობაა და არა გრძნობისა და აზრის სინთეზირებით ამოთქმული მხატვრული სახე-განზოგადებანი. ს. ფაშალიშვილის შემთხვევაში საპირისპირო მოვლენას ვხედავთ. ყოველივე, რაც ლექსად გადმოღვენთილა პოეტის სულიდან, მისსავე გულსა და სისხლში გადახარშულა, ნამდვილ გრძნობა-განცდათა საღაროდან ამოფრქვეულა და სხვა რომ არაფერი ვთქვათ მისი პოეზიის შესაფასებლად – მართალი და გულითადი ლექსების სახელდების უფლება ნამდვილად გვაქვს. როგორც თავად მისი პიროვნება იყო ნაღდი, უღალატო, და მოამაგე ქვეყნისა და ერისა, მისივე ლექსიც ასევე ნაღდი და უღალატოა. რა თემაზეც არ უნდა წერდეს მწერალი, მხოლოდ ერთია მისი შემოქმედების ლაიტმოტივი – სინამდვილე, სიკეთე და სიყვარული გამოსახოს მხატვრულ ასპექტში და ისე მიიტანოს მკითხველამდე. იგი თითქოს თითოეული მათგანის გულისთქმას

ეუფლება. საყოველთაოდ მისაწვდომი და გასაგები მისი კარგი ქართული, მშვენიერი ენა, რითაც გადმოცემულია პოეტის აზრი - ბუნებრივია, ლაღი და ხალასი.

ს. ფაშალიშვილის პოეზია სათანადო მხატვრული დონის მატარებელია. შეიძლება, ვერსიფიკაციულ სიახლეებზე საუბარი ზედმეტი იყოს, მაგრამ ტრადიციული პოეტური გემოვნება მას ნამდვილად გააჩნია. მისთვის უცხოა როგორც თეთრი (ურითმო) ლექსი, ისე თავისუფალი სალექსო ფორმა (ვერლიბრი). პროფ. ა. ნიკოლეიშვილის მინიშნებით ლიტერატურის შემოქმედთა ერთი ნაწილი, მწერლურ ტრადიციათა განსაკუთრებით პატივისმცემელი, თვლიდნენ, რომ ეს სალექსო ფორმა საერთოდ იყო მიუღებელი და შეუთავსებელი მოვლენა ჩვენი პოეტური ბუნებისათვის. (ა. ნიკოლეიშვილი, „ნარკვევები“ ტ. VII, გვ. 279). „ტრადიციათა განსაკუთრებით პატივისმცემელი“ ს. ფაშალიშვილის ლექსები (არც ერთის გამოკლებით) რითმული და რიტმულია. მათგან მრავალი მხატვრული ღირებულებით გამოირჩევა. პოეტი, ძირითადად, როგორც რეალისტი, მოვლენებისა და ფაქტების უფრო ბუნებრივ და პრაქტიკულ სურათებს წარმოგვიდგენს, ვიდრე მარალმხატვრული ღირებულების პოეტურ შედეგებს. მიუხედავად ამისა, მრავალი ლექსი, რითმების სიმსუბუქითა და რიტმულობით, პოეტური ოსტატობის ნიმუშს წარმოადგენს. პოეტი ძირითადად ჯვარედინ რითმებს იყენებს. მხატვრულ ეფექტს იწვევს ასონანსების აბსოლუტური სიმრავლე, თუმცა არა იდეალური (მაჯამური) სიზუსტე. ზოგიერთ ლექსში („ეს იყო მაშინ“, „აბა რა ვიცი“) გვხვდება არათანაბარმარცვლიანი და არათანაბარმასხვილიანი რითმების ზოგიერთი ნიმუში. პოეტის მხატვრულ აზროვნებას ამრავალფეროვნებს შესანიშნავი ტროპები, ხშირად იყენებს მეტაფორას, მიმართავს მხატვრულ შედარებებსა და გაპიროვნებებს („მიწა და ვარსკვლავი“, „ჰარმონია ბუნებისა“, „წუთისოფლის სტუმარს“, „შემოდგომის ცავ“, „მრწამსად“, „მაშ საღამო გაზაფხულს“, „სასიმღერო“...). იშვიათია ალიტერაციები. ლექსი „თოვლში“ გამოირჩევა როგორც ზომიერი (მაჯამური), ისე არაზომიერი რითმებით. პოეტის სულიერი განცდების მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩევა ლექსები: „ღამე ანანურში“, „სანატრელი ცრემლები“, „უკვდავება“, „ზაფხულის უკანასკნელი საღამო“ და სხვა.

## თავი II

### სიკო ფაშალიშვილის დრამატურგია და პროზა

სიკო ფაშალიშვილმა თავისი სამწერლო მოღვაწეობის არც თუ ხანმოკლე დროის მანძილზე მრავალ ლიტერატურულ ჟანრში გამოიჩინა თავი. როგორც უკვე ითქვა, უპირველესად იგი საინტერესო პოეტად მოგვევლინა.

მწერლის მრავალფეროვან შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოგონებებს. ავტორი თავისი თვალთ ნახულსა და განცდილს საუკეთესო მხატვრულ ფერებს ურჩევს და ზუსტ შესაბამისობაში გადმოგვცემს მნიშვნელოვან ეპიზოდებს თავისი დროისა და უფროსი თაობის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან.

ს. ფაშალიშვილის შემოქმედებას ამშვენებს მხატვრული ნარკვევები, რაშიც ცხადად მოჩანს ავტორის პუბლიცისტური მგზნებარება.

ს. ფაშალიშვილმა მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია ქართულ თეატრსა და კინოდრამატურგიას. სხვადასხვა დროს სცენაზე იდგმებოდა მისი პიესები, წერდა შესანიშნავ სცენარებს მხატვრული ფილმებისთვის.

ასევე, მწერალმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული იუმორისტული ლიტერატურის გამდიდრებისა და სრულყოფის საქმეში. ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე ათწლეულების მანძილზე იბეჭდებოდა ს. ფაშალიშვილის სატირულ-იუმორისტული ნაწარმოებები.

ძნელია დაბეჭდვით საუბარი იმაზე, გარდა პოეზიისა, რომელი ჟანრი ჰქონდა მწერალს უფრო გათავისებული. ორიგინალურ ლიტერატურულ შემოქმედებასთან ერთად, საყოველთაო აღიარებას იმსახურებს მისი მაღალოსტატური თარგმანებიც. ს. ფაშალიშვილმა მთარგმნელობით საქმიანობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. კრიტიკოსთა აზრით, მაღალოსტატურმა თარგმანებმა მწერალს დიდი აღიარება მოუტანა.

ს. ფაშალიშვილი იყო აქტიური მონაწილე 1920 წლის ერთი გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკისაც, რომლის მთავარი მონაწილენი გ. რობაქიძე და ი. გრიშაშვილი იყვნენ. საინტერესოა სიკო ფაშალიშვილის კრიტიკული

მოსაზრებანი ქართული ლექსთწყობის საკითხებთან დაკავშირებითაც.

ყოველ ქანრში, რომელშიც ს. ფაშალიშვილს უმუშავნია, მისთვის მიუღებელი იყო ზერელეობა და ინდიფერენტიზმი. გულდასმით ამუშავებდა თითოეულ საკითხს, რასაც მისი კალამი უნდა შეხებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მწერალმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში გაატარა. მის თვალწინ მოხდა რუსეთის სამი რევოლუცია. განსაკუთრებულად უარყოფითი შთაბეჭდილება მომავალ მწერალზე მოუხდენია 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომლის ანტისაზოგადოებრივმა შედეგებმა მის ჭაბუკურ სულს მძიმე კვალი დააჩინა და აშკარად უარყოფითი აზრი შეუქმნა ყოველგვარი დიქტატისა და ძალმომრეობის მიმართ. ამას იგი თავისი პოლიტიკური მრწამსითაც აღიარებდა, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა. კომუნისტური რეჟიმის მიერ „მოთვინიერებული“ მწერლობა იძულებული გახდა თვალდახუჭულს ექცია ზურგი სინამდვილისთვის და საბჭოურ „სიკეთეს“ ზიარებოდა. მწერლის ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემიც მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მტკივნეული იყო მისთვის 1921 წელი, მაგრამ საბჭოთა სინამდვილე ხელოვნების თავისუფლებას გამორიცხავდა და ს. ფაშალიშვილმაც თარგმნა „ინტერნაციონალი“. როგორც მთარგმნელობითი ხელოვნების ოსტატი, იგი რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული გამოვიდა. მხოლოდ მის მიერ თარგმნილი ინტერნაციონალი მოიწონა სამთავრობო ჟიურიმ და მუსიკალურად იგი სრულდებოდა საქართველოში საბჭოური რეჟიმის არსებობის მთელ მანძილზე.

მოგონებათა ფართო ციკლი, პუბლიცისტიკა, დრამატურგია, პოლემიკური წერილები, მაღალოსტატური თარგმანები, აი, ს. ფაშალიშვილის პროზაული შემოქმედების გავრცელების არეალი.

შეიძლება ითქვას, სწორედ ქანრობრივი მრავალსახეობა და მრავალფეროვნება განაპირობებს ს. ფაშალიშვილის შემოქმედებით სახეს.

## ა) დრამატურგია

ქართველი მკითხველი საზოგადოება ს. ფაშალიშვილს იცნობს, როგორც მრავალი დრამატურგიული ნაწარმოების ავტორს. იგი ქართულ სცენას

ხანგრძლივი შემოქმედებითი დროის მანძილზე ემსახურა. მან გაამდიდრა სასცენო რეპერტუარი როგორც ორიგინალური პიესებით, ისე თარგმნილი დრამებითა და კომედიებით. ს. ფაშალიშვილი დაჯილდოებული იყო ხალასი იუმორისტული ნიჭით და სატირიკოსის დიდი უნარით. მას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ლიტერატურის იუმორისტული სახის განვითარებაში.

დრამატურგიის ისტორია თავისი ხანდაზმულობით ჩამორჩება ზოგადად მხატვრული ლიტერატურის ისტორიას, რაც მკვეთრად შეინიშნება არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც.

ლიტერატურული და სცენური თვისებების შერწყმა ერთობ რთული პროცესია. ი. ჭავჭავაძის თქმით, დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე ძნელია. „დრამა... სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტის-მეტი მჭრელი, მეტი-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რამ მოჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია, და რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოდ გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლო მიუვალთ" (58, 120).

დრამატურგიული ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების შედარებით ხანმოკლე ისტორიისაგან განსხვავებით, სასცენო წარმოდგენები ჩვენში ძველ დროშივე იმართებოდა. გავრცელებული ყოფილა ნადირობის ჟამს „სახიობის" წარმოდგენა. რუსთაველისეული „მესამე ლექსიც" ძირითადად თეატრალიზებული წარმოდგენისთვის იყო განკუთვნილი. „თანამედროვე სიტყვით რომ ვთქვათ, რუსთაველი „მესამე ლექსში" დრამატურგიას გულისხმობს" (52, 14).

ჩვენს მწერლობაში ქართული დრამატურგიის მონაკვეთი მწირი ჩანს. „ქართული ლიტერატურის შედარებით სუსტ უბანს მუდამ წარმოადგენდა დრამატურგია. ეს გარემოება განსაკუთრებით XX ს-ის I ათწლეულში იჩენს თავს" (41, 25). დრამატურგიის ჩამორჩენის საკითხი საგანგებო განხილვის საგნადაც კი ქცეულა მწერალთა კავშირის სხდომაზე, რასაც ერთგვარად დადებითი შედეგი მოჰყოლია. შეიქმნა იმ დროის შესაბამისი ახალი ნაწარმოებები. წინა რიგში წამოიწია ქართული სოფლის თემა, რა თქმა უნდა, საბჭოური ცხოვრების წესებთან მისადაგებული. მიუხედავად ამისა, XX ს-ის 20-30-იანი წლები ქართული დრამატურგიის მაინც წინსვლის პერიოდია.

აღნიშნული დროის მნიშვნელოვანი მოვლენა არის ისიც, რომ თეატრი მარტო დრამატურგიული კლასიკით აღარ იკვებება და „30-იანი წლებიდან უკვე აშკარად გამოიკვეთა თანამედროვეობის ამსახველი თხზულებები" (41, 25).

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც უახლესი ეპოქის ქართულ სცენას ორიგინალური პიესებით ემსახურა სიკო ფაშალიშვილი იყო. მან, ისე როგორც დრამატურგთაგან მრავალმა, სცენაზე სექტჩებითა და ვოდევილებით შედგა ფეხი. მისი პიესები ჩვენს საზოგადოებაში თავდაპირველად არა ბეჭდური სიტყვით, არამედ სცენის საშუალებით გავრცელდა. მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევარში დაიბეჭდა ს. ფაშალიშვილის სატირის, იუმორისა და ვოდევილების პირველი წიგნი „მხიარული სარკე", ხოლო 1962 წ. „ხელოვნებამ" გამოცა მეორე, გადამუშავებული და უფრო ვრცელი „მხიარული წიგნი".

ს. ფაშალიშვილის დრამატურგიულმა ნაწარმოებებმა სათავე დაუდო მუსიკალური კომედიის თეატრის ეროვნულ რეპერტუარს. განსაკუთრებული წარმატება ხვდა რეჟისორ მ. ჭიაურელის მიერ დადგმულ პიესას „საიქიო", რომელმაც მაშინ საკავშირო დათვალიერებაზე პირველი ადგილი მოიპოვა. ასევე, წამარტებები ხვდა პიესებს – „თავი სიზმარში მგონია", „ჩაჩანაკი კაკანათში". ეს უკანასკნელი ცალკე წიგნადაც გამოიცა. ისე, როგორც „ახმედის პატაკი", „მურთაზ" და სხვები. აღნიშნული პიესები წლების მანძილზე არ ჩამოსულა ქართული თეატრის სცენიდან. დრამატურგის გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მისი სცენარის მიხედვით შესრულებული რ. ერისთავის პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", რომელიც დღემდე მაყურებლის დიდ სიყვარულს იმსახურებს.

„მხიარული წიგნი" მოიცავს მრავალ იუმორისტულ ნოველასა და პიესას. მასში ავტორს შეტანილი აქვს „ჩემი გადრამატურგების შესახებ", „ოთხი გეო", „სააგარაკო ვნებანი", „უკვანტო საკვანტო", „ოქრო კაცი", „ფარსადანი ჯოჯოხეთში" და მრავალი სხვა. ზოგიერთ პიესაში ავტორმა ძველი თბილისის ორიგინალური სურათი დაგვიხატა. ახალ დროში ძველი კინტოებისა და ყარაჩოხელების გახსენება ავტორის ხასიათში წარსულის ნოსტალგიას წარმოშობს. აი როგორ იწყება „სულიკოს მპოვნელი": „თბილისის იარმუკელი „დრაჟდანიების" ძველი თაობა საბჭოთა დრომ გამოლია. მათი ნაშთები თანდათან მიდიან... ქრებიან და ქვეყნისათვის ზედმეტი ბარგი ხდებიან. ეს ბუნებრივია, მაგრამ ფარსადანის სურვილია ამ მიმავალი „ხალხის", პორტრეტები სამუხეუმოდ მაინც შემოუნახოს ახალგაზრდობას..." (47, 45).



ბასრი აღმოჩნდა ს. ფაშალიშვილის კალამი იუმორისტიკაში. მწერალი ორ ათეულ წელზე მეტხანს მუშაობდა ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად და სარედაქციო კოლეგიის წევრად. ეს იყო მწერლისათვის ნაყოფიერი მუშაობის პერიოდი სატირისა და იუმორის დარგში. მან ფარსადანის გახმაურებული ფსევდონიმით (რუბრიკა - „ფარსადანმა თქვა“ – თ. გ.) „ნიანგში“ ასეულობით იუმორისტული წერილი გამოაქვეყნა. მისი მრავალი პიესა გაჟღერებულია მწერლის თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფის მანკიერებათა მამხილებელი ტონით, რაშიც „ხელმარჯვედ“ სწორედ სატირას და იუმორს იყენებდა.

განსაკუთრებით ღიმილის მომგვრელია მრავალსტროფიანი „წკეპლაშეწნული“ შარჟები ნაცნობ-მეგობრებისადმი, კოლეგებისადმი, ქართული მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლებისადმი. „ბუღბუღები სახელგამში“ კარგად წარმოაჩენს მწერალთა ცილობას „ჩემი ჯობსო“, რაც თავის პიკს აღწევს ჰონორარის მიღების დროის მოახლოებისას. ლექსი ერთობ ვრცელია, რომელშიც სიკო შესაფერისი ეპითეტებით ამკობს გალაკტიონს, ტიცვიანს, პაოლოს, ალიოს, სიმონს, სოსოს, კარლოს, ორ კონსტანტინეს და სხვებს (16, საერთო №1-1984, ფ. 1).

იუმორისტული ჟღერადობითაა გამორჩეული ლექსი „აქა ზეიმი ხელოვანთა სასახლეში“, რომელიც „ნიანგის“ იუბილეს ეძღვნება. სადღესასწაულოდ მოსული მწერლები მთლად „გაიუმორისტდნენ“ და „ნიანგკორებად“ იქცნენ. ბოლოს:

„ამით გასრულდეს საღამო, მშობი ახალი დილისა,  
რომელმან ყოვლნი მწერალნი ნიანგად მოაბილიზა,  
მოაბილიზა და შემდეგ ვისაც აქვს მწერლის ანკეტა,  
ნიანგის სადღეგრძელოდა ყველა მიიქცა ბანკეტად“ (16, საერთო №1-

1984, ფ. 3).

იქვეა „ფარსადანის“ რუბრიკისათვის სიკოს ხელით შესწორებულ -შელამაზებული შემდეგი ნაბეჭდი ვრცელი ლექსი „კამეჩი მყავდა ნიკორა, ვაქებდი არა იყო რა“, რომელშიც ავტორი „ამათრახებს“ კ. გამსახურდიას ქედმაღლობისა და უკარებლობისათვის, რითაც:

„საბაბი მომცა ფარსადანს შემემკო გამსახურდია,

მექო მის ბაქი-ბუქობა და მისი ფართი-ფურთია“ (16, საერთო №1-1984, ფ. 2) – დასძენს იუმორისტი დასასრულს.

„ნიანგის“ მკითხველი მუდამ კმაყოფილებას განიცდიდა ს. ფაშალიშვილის იუმორისტული ლექსებითა და მოთხრობებით. „ფარსადანმა თქვა“ ყველასათვის

საყვარელი რუბრიკა იყო.

უცილობელი აღნიშვნის ღირსია ს. ფაშალიშვილის წვლილი ქართული კინოსა და თეატრის წინსვლის საქმეში. იგი არის კინოფილმ „ქეთო და კოტე“ სცენარის ავტორი, რომელიც დრამატურგმა ავქსენტი ცაგარლის კომედია „ხანუმა“ ინტერპრეტაციით შექმნა. აღნიშნული კინოფილმი შორს გასცდა როგორც ქართულ, ისე მაშინდელ საბჭოთა ეკრანს და საზღვარგარეთაც დიდი მოწონება ხვდა წილად. რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის თქმით, თუ დიდი ხნის წინათ გადაღებული „ქეთო და კოტე“ ათეული წლების მანძილზე ინარჩუნებდა და ინარჩუნებს მაყურებლის სიყვარულს, ამაში განსაკუთრებული წვლილი სწორედ სცენარის ავტორს მიუძღვის.

აქ არ შევუდგებით „ქეთო და კოტე“ იდეის წარმოშობის შესახებ თხრობას, არც იმ წინააღმდეგობრივი გარემოს აღწერას, რაც ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით წარმოიშვა თვით კინოსტუდიის მესვეურთა მიერ. თუმცა საინტერესოა როგორ წარმოედგინა რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილს მომავალი ფილმის სახე. მისივე თქმით, ასეთი სტილის თეატრალური დადგმა მას უკვე გასცენიურებული ჰქონდა „სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილის“ სახით, მაგრამ კინოსურათი „ქეთო და კოტე“ მაინც რთულ სამუშაოდ შეუფასებია და როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №127, 2002 წ.) აღნიშნავს, საჭიროდ მიუჩნევია მწერლური ჩარევა და მამის (სასულიერო პირი იყო) რჩევით სიკო ფაშალიშვილისთვის მიუმართავს. რეჟისორის თქმით, სიკო ძველი თბილისის საუკეთესო მცოდნე იყო, არაჩვეულებრივი გემოვნება და სიტყვის მარაგი ჰქონდა. „მან აამაღლა ჩემი ჩანაფიქრი, მეტი შინაგანი სითბო მისცა, რასაც ხედავთ ფილმში, ეს ბატონი სიკოს ნამუშევარი გახლავთ“. უდავოდ გულწრფელი სიტყვებია. იგი დიდმა რეჟისორმა მწერლის გარდაცვალებიდან სამი ათეული წლის შემდეგ თქვა.

ს. ფაშალიშვილს აღნიშნული ფილმის სცენარისთვის ფონად გამოუყენებია ავქსენტი ცაგარლის პიესა „ხანუმა“, რომელიც სხვადასხვა დროს იდგმებოდა თეატრის სცენაზე, ხოლო მისი კინოში ეკრანიზება 1927 წელს განხორციელდა. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ პიესას თეატრალიზებამ უფრო გაუთქვა სახელი, ვიდრე კინოგადაღებამ. ამ ფილმის მიხედვით, ოდესღაც დიდი მემამულე ლევან ფანტიაშვილი, ახლა უკვე ხანდაზმული და მატერიალურადაც დაკნინებული, ეძებს მდიდარ საცოდეს, რათა მდგომარეობა გაიუმჯობესოს. იგი მაჭანკალს უგზავნის მდიდარ ვაჭარ ვახვახიძეს და სთხოვს ქალიშვილის ელოს

ხელს. ელოს კი ახალგაზრდა ილო უყვარს. მოვლენები კომიკურად წარმართება და ამ საქმეში თავად ფანტიაშიღს ხელი მოეცარება. საგონებელში ჩავარდნილი განრისხებული თავადი ბოლოს იძულებულია მაინც შეურიგდეს ბედს.

ს. ფაშალიშილიმა „ხანუმას“ ინტერპრეტაციით შეძლო განახლებული სურათის წარმოდგენა. მდიდარი თბილისელი ვაჭარი მაკარი ოცნებობს დიდკაცობას დაუახლოვდეს და ცდილობს ვინმე დიდგვაროვანს მიათხოვოს თავისი მშვენიერი ქალიშვილი ქეთო. მალე მაჭანკალ ქაბატოს მეშვეობით მაკარი მაღალი საზოგადოების წრიდან იპოვის სასიძოს – ხანდაზმულ თავად ლევანს. ქეთო სასოწარკვეთილებაშია, ვინაიდან მას უყვარს თავადი ლევანის ძმისწული, ახალგაზრდა კოტე. კოტესაც უყვრს ქეთო. განსაცდელის დაძლევაში მათ დახმარებას აღმოუჩენს ქაბატოს ძველი მეტოქე მაჭანკალი ხანუმა. საპატარძლოს სანახავად მისული თავადი ლევანი ერთობ გაწბილებული რჩება. მაკარის ნოქრების – სიკოს და ნიკოს დახმარებით ქეთო და კოტე მოასწრებენ ეკლესიაში მისვლას და ჯვარის დაწერას. მაკარი და გაწბილებული ლევანი იძულებული არიან აპატიონ ახალგაზრდებს და შეურიგდნენ მათ.

ფილმის რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი იხსენებს, რომ სიკოს აღნიშნული კინოსცენარი საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში დაუწერია. თავისებურად საინტერესო ყოფილა საგურამოში გატარებული ის ერთი თვე, რომლის განმავლობაშიც ეს სცენარი იწერებოდა. „დილა ჩემი იყო, მე ველაპარაკებოდი ბატონ სიკოს. იგი ყურადღებით მისმენდა. პირველი საათიდან დრო მას ეკუთვნოდა. ეს დრო იწყებოდა სიტყვებით: „ვახტანგ, ახლა თავი დამანებე“ (36, №110, ანაწ. 1, საქმე 93, ფ. 1-2).

სადამოს უკვე სიკო კითხულობდა საინტერესო ეპიზოდებს მომავალი ფილმის სცენარიდან. ამის შემდეგ საუბარი ეხებოდა ზოგად საკითხებს, მხიარულობდნენ, კამათობდნენ... სცენარის დამთავრების შემდეგ ზედაზენზე ასვლა დაუთქვამთ მეგობრებს.

სიჯიუტემდე დასულმა ბეჯითობამ, რაც უხვად მომადლებული ჰქონდა სიკოს, ძველი თბილისის ზედმიწევნით ცოდნამ და მაღალმა მწერლურმა პროფესიონალიზმმა განაპირობა სცენარის წარმატებით დამთავრება ერთ თვეში. ყველაფერი რიგზეა. ხვალ ზედაზენზე ავლენ. მაგრამ საოცრება... 30 სექტემბრის თბილ სადამოს დაძინებულმა მეგობრებმა დილით დიდ თოვლში გაიღვიძეს. “მივდივართ ზედაზენზე ბატონო სიკო? – ვეკითხები სიკოს დარწმუნებული

იმაში, რომ უარს მეტყვოდა. მაგრამ არა, გადახედა თოვლს, გაეღიმა და მერე ენერგიულად გადმოძახა – მოგიკვდეთ ბიჭი!... და ხალისით მიარღვევდა მუხლამდე მოყრილ თოვლს" (37, ფონდი №110, ნაწ. 1, საქმე 93, ფ. 2).

ამ მხიარულ ნოტაზე დასრულდა „ქეთო და კოტეს“ კინოსცენარზე მუშაობა.

აღნიშნული სცენარით არ ამოიწურება ს. ფაშალიშვილის დამსახურება ქართული კინოს წინაშე. მის კალამს ეკუთვნის კინოსცენარები მხატვრული ფილმებისათვის: „ჩანჩქერის საიდუმლო“, „არგონავტები“ და „ალი“ (ეს უკანასკნელი ნ. ლომოურის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით გადაღებული ფილმისთვის), დოკუმენტური კინოსცენარები: „ოქროს მტევანი“ და „განახლებული უდაბნო“. ამავე დროს, მან დაწერა არაერთი ლიბრეტო, რომელთა უმეტესი ნაწილი ხელნაწერის სახითაა წარმოდგენილი. მათ შორისაა ვრცელი ლიბრეტო კინოფილმისათვის „ბაში-ანუკი“. ასევე ლიბრეტოები ფილმებისათვის „ცხრა უბედურება“ და „ასე იწყება ცხოვრება“. ეს უკანასკნელი ნ. ფომიხევასთან თანაავტორობით დაუწერია დრამატურგს.

ს. ფაშალიშვილი ცნობილია როგორც შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნე და თეატრის კრიტიკოსი. იგი არასოდეს ყოფილა სცენის აქტიური ოსტატი, მაგრამ აქტუალურია მისი მოსაზრებანი ამა თუ იმ თეატრალური წარმოდგენის შესახებ. ამის ნათელი მაგალითია ვრცელი რეცენზია სპექტაკლზე „სოლომონ ისაკინ მეჯღანუაშვილი“ (რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი). ლ. არდაზიანის რომანის თეატრალური გარდასახვა სიკოს განსაკუთრებით მოწონებია, თუმცა იქვე აყალიბებს მკაფიო შენიშვნებსაც. კერძოდ, იგი ლაპარაკობს ნაკლზე, რომელიც მისი აზრით, სპექტაკლმა თავიდან ვერ აიცილა – მოქმედებაში არ ჩანს ხალხის პროგრესული განწყობილებანი. ამ ნაკლის შევსებას ვერ ახერხებს „თერგდალეულთა“ – ე. ი. ალექსანდრე რაინდიძის და მისი მეგობრების როლი. ისინი, უკეთეს შემთხვევაში, ფრაგმენტულია, უარესში კი თითქმის იმავე ქარაფშუტა, გადაგვარებული წოდების ორბიტაშია მოქცეული და მანჩანალის როლში გამოდის. მათი დეკლარაციული განცხადებები დამაჯერებელი ვერ არის. ხოლო მათი პროტესტანტობა, დეკაბრისტებისადმი თანაგრძნობა, უფრო მწიგნობრულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი თერგდალეულები კი ასეთები როდი იყვნენ. ეს, სიკოს აზრით, ამ საუცხოოდ დადგმული სპექტაკლის მთავარი და საკმაოდ საზიანო ნაკლიცაა.

მეორე მიზეზად სიკო ასახელებს ზოგიერთი როლის ინტერპრეტაციას – მეჯღანუაშვილის ოჯახი. სოლომონ ისაკინი „პირველ მოქმედებაში ჩარჩი –

გონებამახვილი გადამყიდველი, ფულზე ლოცულობს. მისი მოგება ადვილად შეუძლია. მაგრამ შეუძლებელია ასეთი კაცი წლების მანძილზე არ დაინტერესებულიყო, თუ რამდენი ოქრო ჰქონდა" (14, საქმე 28649-1, ფ. 2).

ს. ფაშალიშვილი აღნიშნავს, რომ ლ. არდაზიანისთვის, როგორც მწერლისთვის, ეს თხრობითი საშუალებაა, ხოლო სასცენო მოქმედება სხვა პრაქტიკას მოითხოვს. შემდეგ ხდება უეცარი ფერისცვალება და მეჯღანუაშვილს ვეღარ ცნობთ – მშვენივრად მსჯელობს, თავის ახალ მდგომარეობასაც საკმაოდ იფერებს, მაღალ საზოგადოებასაც ეგუება. ცოლი და ქალიშვილი ბოლომდე შეზღუდულ ადამიანებად რჩებიან, ვერ გრძნობენ თავიანთი გაარისტოკრატების ძალას და ერთგვარად რომანტიკოსებადაც გამოიყურებიან.

მაყურებელზე დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს თამარის სიკვდილი. მაყურებლამდე ვერ მიდის სცენა მეჯღანუაშვილების სუფრაზე თავადის მიერ ჭიქის გარეცხვისა, რაც საინტერესოდ გააზრებულ მოქმედებაში რებუსივით ჩანს, ამიტომ მოითხოვს სიტყვიერ ხაზგასმას. ასევე რთულად გამოსაცნობია ელენეს (ე. ანჯაფარიძე - ს. ფ.) მიერ ალ. ჭავჭავაძის ლექსის წარმოთქმა. ლექსი მშვენიერია, მაგრამ სადღესასწაულოდ შეუფერებელი. ვ. ანჯაფარიძის დეკლამაციამაც ვერ მიიყვანა იგი საშუალო მაყურებლამდე.

ს. ფაშალიშვილი მიანიშნებს, რომ უმჯობესი იქნებოდა ალ. ჭავჭავაძის „სიყვარულო, ძალსა შენსა“ ან „შექცევისათვის“ ყოფილიყო ჩართული მოქმედების მსვლელობაში.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, სიკოს აზრით, სპექტაკლი მაინც მშვენიერია, რეჟისორულად საუცხოოდ გააზრებული, მდიდარი დეკორაციებით, პლასტიკით... ყოველივე ერთხმად მეტყველებს ახალგაზრდა რეჟისორის უტყუარ გემოვნებაზე, რეცენზენტის დასკვნით, სპექტაკლი სასიხარულო შენამატად უნდა მივიჩნიოდ ჩვენი თეატრისთვის.

ს. ფაშალიშვილის აზრით, ერთობ რთულ საქმეს წარმოადგენს „მეჯღანუაშვილის“ გასცენიურება. იგი უფრო აღწერითი ხასიათის რომანია და მოქმედებით დინამიურობას თითქმის სავსებით მოკლებული. რომანი შემოფარგლულია ჩვენს ქვეყანაში ჩარჩული ცხოვრების წესის – დაგროვების – თემატიკით. ჩვენში ასეთი სულ ორი კლასიკური ნაწარმოები მოიპოვება – „პირველი ნაბიჯი“ და „მეჯღანუაშვილი“.

ს. ფაშალიშვილი სიამოვნებით აღნიშნავს ახალგაზრდა რეჟისორის მიერ

რომანის პიესად გადაკეთებისას მრავალი ეპიზოდის სასცენო განწყობილებისათვის მიზანშეწონილ დაქვემდებარებას. ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით შექმნილია მეჯღანუაშიელის მდიდარი პერსონაჟი, „რაც გარკვეულ თეატრალურ ეფექტურობას ჰმატებს სპექტაკლს და მონუმენტალობამდე აჰყავს იგი. ამ პერსონაჟის ხასიათების ჩამოყალიბება, რომანისათვის ახლად შენამატი სიტუაციების ფონზე მათი გამოხატვა, პიესის შინაარსსაც ზრდის და ამ შინაარსის რელიეფურად ჩვენების საშუალებასაც იძლევა" (14, საქმე 28649-1, ფ. 2).

ს. ფაშალიშვილი თეატრალურმა საზოგადოებამ გაიცნო არა მარტო ორიგინალური პიესების ავტორად, არამედ კალამზე მეღანშეუშრობელ მთარგმნელ-იმპროვიზატორადაც. უნდა ითქვას, რომ ქართული თეატრი ყოველთვის განიცდიდა ორიგინალური დრამატული ნაწარმოებების სიმწირეს, ამიტომ მათ რეპერტუარში დიდი ადგილი დაიკავა უცხოურიდან თარგმნილი დრამატული ნაწარმოებების გასცენიურებამ.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს შექსპირის კომედიების გადმოქართულება ს. ფაშალიშვილის მიერ. ქართველი მკითხველისათვის დიდი ხანია ცნობილია შექსპირის დრამები, ტრაგედიები. მაგრამ მისი „ბრწყინვალე კომედიები თითქოს ჩრდილში რჩებოდა, ქართულად მათი თარგმნა და სცენაზე წარმოდგენა დიდხანს ვერავინ ითავა... შექსპირის კომედიების თარგმნას სისტემატურად მხოლოდ ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა სიკო ფაშალიშვილმა მოჰკიდა ხელი..." (55) – გადმოგვცემს სიღნაღის ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი ნ. შარშიაშვილი.

ს. ფაშალიშვილის მიერ თარგმნილია „ჭირვეულის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, „შეცდომების კომედია" და სხვა. აღნიშნულ თარგმანებს მაღალ შეფასებას აძლევენ როგორც მისი თანამედროვენი, ისე შემდგომი დროის კრიტიკოსები (ს. ფაშალიშვილის მიერ თარგმნილი „ჭირვეულის მორჯულება" შეტანილია შექსპირის თხზულებათა ხუთტომეულის უნიკალური გამოცემის (1983 წ.) I ტომში – თ. გ.). ნ. შარშიაშვილის მიერ გამოქვეყნებულ მცირე მოცულობის საგაზეთო წერილში „სიკო ფაშალიშვილის თარგმანები" ციტირებულია შალვა დადიანის მიერ გამოთქმული ასეთი მოსაზრება: „შექსპირის გამოჩენილი მთარგმნელის ივანე მაჩაბლის თარგმანები შეიცავენ მხოლოდ შექსპირის ტრაგედიებს, ამიტომ თავისთავად დიდ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ მისი კომედიების თარგმნა. ს. ფაშალიშვილის თარგმანი

ღირსშესანიშნავია სწორედ იმითაც, რომ იგი მანახლის თარგმანების ღირსების სიმაღლეზე დგას და რაც აღსანიშნავია, თარგმნილია პირდაპირ ინგლისურიდან". იქვე ვკითხულობთ, რომ შექსპირის კომედიების ს. ფაშალიშვილისეულ თარგმანებს მაღალი შეფასება მისცეს გ. ლეონიძემ, ი. გრიშაშვილმა, პროფ. დ. ბენაშვილმა, პროფ. ს. იორდანიშვილმა, ი. ტატიშვილმა, კრიტიკოსებმა პ. კეშელავამ და გ. ნადირაძემ. თითოეული მათგანი აღნიშნულ თარგმანებს ქართული მეტყველების საუკეთესო ნიმუშად და ი. მანახლის მიერ დამკვიდრებული ბრწყინვალე ტრადიციის ღირსეულ გაგრძელებად მიიჩნევს. ი. გრიშაშვილის თქმით ს. ფაშალიშვილის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ ქართულად ისე უდერს როგორც ივანე მანახლის „ჰამლეტი“ და „ოტელო“. „აღსანიშნავია, რომ „ჭირვეულის ცოლის მორჯულება“ ქართულად რამდენჯერმე ითარგმნა. თავის დროზე იგი კოტე მესხმა რუსულიდან თარგმნა, ხოლო ვ. ალექსი-მესხიშვილმა 1895 წელს დადგა ქართულ სცენაზე. იგივე თარგმანით პიესა 1903 წელს აკაკი წერეთელმა დადგა. არსებობს ა. იმედაშვილის თარგმანიც, რომლის მიხედვითაც „ჭირვეულის მორჯულება“ ჭიათურის მუშათა თეატრის სცენაზე დაიდგა 1937 წელს. 1942 წელს მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა წარმოადგინა ს. წერეთლის მიერ თარგმნილი იგივე პიესა. ეს კომედია თარგმნილი ჰქონდა აგრეთვე კოტე მაყაშვილს, მაგრამ ეს თარგმანი დაკარგულია" (56. 402).

ს. ფაშალიშვილს „ჭირვეულის მორჯულება“ უთარგმნია ინგლისური ენისა და შექსპირის შესანიშნავი მცოდნის ერეკლე ტატიშვილის პწკარედით. ამ თარგმანის მიხედვით აღნიშნული კომედია პირველად დაიდგა 1943 წელს გორის თეატრში, ხოლო მომდევნო წელს „მარჯანიშვილის თეატრმა განახორციელა ამ კომედიის ყველაზე უფრო ცნობილი ქართული დადგმა" (რეჟისორი შ. ღამბაშიძე), რომელიც ათი წლის მანძილზე არ ჩამოსულა სცენიდან. ასეთივე წარმატება ხვდა წილად „მეთორმეტე ღამეს" რუსთაველის თეატრში. „ორივე თარგმანი „სახელგამმა" 1948 წელს ქართულად თარგმნილ შექსპირის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულში შეიტანა.

ს. ფაშალიშვილის მიერ ინგლისური კომედიების გადმოქართულება მარტო შექსპირით არ ამოიწურება. მან მაღალოსტატურად თარგმნა მე-18 საუკუნის გამოჩენილი დრამატურგის ჰენრი ფილდინგის „მოსამართლე მახეში", რომელიც არა მხოლოდ ინგლისისა და დასავლეთ ევროპის თეატრალურ სცენებზე იდგმებოდა სისტემატურად, არამედ დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსულ

სცენაზეც, სადაც ფილდინგის აღიარება პუშკინის, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის დროიდანვე მომხდარა.

ს. ფაშალიშვილს აღნიშნული კომედიის თარგმნა უკისრია კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის დირექტორის დავალებით 1955 წელს. მისი დადგმა განუხორციელებია ახალგაზრდა რეჟისორს რამაზ ჭიაურელს (შვილი მიხეილ ჭიაურელის – თ. გ.). სიკო, როგორც მისი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, უკმაყოფილო დარჩენილა რეჟისურის ხარისხით. ახალგაზრდა რეჟისორი მეტად თამამად მოპყრობია ფილდინგის ტექსტს და მისი „მოსწრებული სიტყვა ჯეროვნად ვერ მიაწოდა სცენიდან მაყურებელს, ვერ დაძაბა საზოგადოების ყურადღება შესაფერისად“<sup>1</sup> (14, საქმე №28648-69, ფ. 2). მას უადგილოდაც კი შეუმოკლებია დასის მიერ მოწონებული თარგმანი და მისი დაჟინებული თხოვნით ზოგიერთ სცენაში თანამდეროვე იუმორისტული აზრები შეუტანია, რაც ფილდინგისეულ სტილს დასცილდა და კომედიაშიც დაჰკარგა თავისი მაღალი ღირებულება.

ჰ. ფილდინგის „მოსამართლე მახეში“, როგორც ახალი ძალების ინიციატივა, მაყურებელს ჯეროვანი ინტერესითაც კი მიუღია, მაგრამ ეს ინტერესი მალე განელეებულა, რადგან მეთვრამეტე საუკუნის განწყობილებაში თანამედროვეობა იქნა წამოწეული წინა რიგში. ამიტომ სპექტაკლმა თავის გატანა ვეღარ მოახერხა. მან „მხოლოდ ერთ სეზონს გასძლო“ და როგორც იტყვიან, „ჩავარდა“. კომედიის მთარგმნელი იმედოვნებდა, რომ ფილდინგის კომედიას გამოუჩნდებოდა პატრონად ისეთი რეჟისორი, რომელიც მისი ავტორის მახვილ სატირულ სიტყვას არ დააძველებდა და ღირსეულადაც გააცოცხლებდა მას.

სიკო ფაშალიშვილმა თარგმნა დიდი ესპანელი პოეტის და დრამატურგის ლოპე დე ვეგას შესანიშნავი კომედია „ცეკვის მასწავლებელი“, რომელიც 1947 წელს დაიდგა კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე. სპექტაკლმა თეატრის შესანიშნავი კოლექტივი შემოქმედებითი ცეცხლით აანთო, ხოლო მაყურებლისათვის მოუწყენელ, მგზნებარე სანახაობად იქცა.

თარგმანის წინათქმაში ვკითხულობთ: „ფელიქს ლოპე დე ვეგა კარპია თითქმის ოთხნახევარი საუკუნეა, რაც განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს და მუდამ საინტერესო ნაწარმოებებით ახალისებს ყველა კულტურული ქვეყნის თეატრის რეპერტუარს. მისი საოცარი კომედიების მსუბუქი სტილი, მოულოდნელი სასცენო სიტუაციები, ცხოვრებისეული ხასიათები და ნაწარმოებებში გათვალისწინებული რეალისტური



განწყობილებები უძველესელ და ცოცხალ ნაკადად იჭრება თითქმის ყველა დროისა და თაობის თეატრალურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში" (14, საქმე №28649-70, ფ. 1). აღნიშნული ამონარიდი მიგვანიშნებს, რომ ს. ფაშალიშვილი მხოლოდ თარგმნის ხელოვნებას კი არ არის დაუფლებული, არამედ იგი ღრმად სწვდება მწერლის შემოქმედებით სამყაროს, კარგად იცნობს ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, აღნიშნული მწერლის ირგვლივ გამოქვეყნებულ მასალებს. ლოპე დე ვეგას „ბუნების საოცრებას“ უწოდებდა თვით სერვანტესი. ს. ფაშალიშვილის თქმით, იგი მართლაც მრავალი დარგის ამსახველია – შემოქმედი დრამატურგი, პოეტი, „დიდი არმადის“ მებრძოლი მხედარი, ესპანელ დიდებულთა „საქმის კაცობით“ განთქმული მღვდელი და ჩვენამდე მოღწეული ვერსიით თვით ინკვიზიციის მსახურად ნამყოფიც, მაგრამ ცხოვრების ყველა დარგს ზემოჩამოთვლილ გარემოთა ამსახველი მისი დრამატურგია, განსაკუთრებით კომედიოგრაფია, მრავალმხრივსა და თანამედროვეობამდე მოყვანილს წარმოადგენს.

ლოპე დე ვეგა ორი ათასი პიესისა და სხვა ჟანრის თეატრალურ ნაწარმოებთა ავტორი ყოფილა, რომელთაგან 400-ზე მეტი ჩვენი დროის ბიბლიოთეკა-არქივებმა შემოინახა. ისინი ამ საოცარი ავტორის მრავალფეროვნებასა და უდიდეს განსწავლულობაზე მეტყველებენ. ძალზე ახლობელი გახდა ლოპე დე ვეგას პიესები ქართველი მაცურებლისთვისაც. არც თუ იშვიათად ესტუმრება ხოლმე ჩვენს სცენას „თივაზე მწოლარე ძაღლი“, „მებაღის მწვეარი“ და სხვა (რუსულ თეატრს გაცილებით მდიდარი რეპერტუარი მოეპოვება).

„ცეკვის მასწავლებლის“ ქართულად გასცენიურების ორგანიზებას რომ ახორციელებდა, კ. მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობამ (დირექტორი ივანე გვინჩიძე) ს. ფაშალიშვილი მიიწვია აღნიშნული კომედიის სათარგმნელად. ნაწარმოები ლექსს წარმოადგენს და რუსულ ენაზედაც ასევეა თარგმნილი. როგორც სიკო გადმოგვცემს, აღნიშნული პიესა მეტად ტემპერამენტიანი, ცოცხალი, თანამდროვე სტილით გამართული ლექსი, შესანიშნავი ფილოსოფიურ-დიდაქტიკური კომედია, მომხიბლავი იუმორით შეზავებული ნაწარმოებია, რომლის სასცენო განსახიერებამ, ბუნებრივია, მოითხოვა ძველი ესპანური ტანისამოსი და გრიმები, სხვამხრივ წარმოდგენა თანამედროვედ გამოიყურება. მაშასადამე, მისი თარგმნა დაფიქრებას, დროს და სტილის სერიოზულ გათვალისწინებას მოითხოვდა. სიკოს ხუთი თვე

მოუთხოვია თარგმანის სრულყოფისათვის. მაგრამ თეატრის ხელმძღვანელობას და მთელ დასს აღნიშნული პიესა მეორე თვის რეპერტუარში ჰქონიათ შეტანილი და ყოველი ღონით შეეცადნენ თარგმანის დაჩქარებას და პირველი მოქმედების 3-4 დღეში ჩაბარებას, რათა უმაღლვე შესდგომოდნენ რეპეტიციას. ერთი თვეც კი არ მისცეს სამუშაოდ მთარგმნელს. რაღა გაეწყობოდა. სიკოს მაშინვე გამოუყვეს სამუშაო მაგიდა დირექტორის კაბინეტში და სცენაზე სარეპეტიციოდ გასულ მსახიობებს ზედიზედ აწვდიდა „ცეკვის მასწავლებლის“ ახლად შესრულებულ ხელნაწერ, გადაუთვთრებელ თარგმანს. სიკოს შრომისმოყვარეობამ ნაყოფი გამოიღო. არც ერთი რეპეტიცია არ ჩავარდნილა და დიახაც გამართული მუშაობა მიდიოდა... მართალი ყოფილა „გაჭირვება მიხვეწეო...“ „გაჭირვება“ იყო ხათრი და მოწადინება, რამაც განზრახულის კეთილად დაგვირგვინებამდე მიგვიყვანა და აღთქმული ჰონორარი კი გაზრდილ ჯილდოდაც მიქცია“ – თქვა ს. ფაშალიშვილმა თარგმანის დასრულების შემდეგ.

შედგა ბრწყინვალე სპექტაკლი – ერთ-ერთი საამაყო თეატრის დასისთვის. მრავალი სეზონის განმავლობაში „ცეკვის მასწავლებლი“ ამშვენებდა მარჯანიშვილის თეატრის სცენას. იქიდან, გარკვეული წლების შემდეგ, სპექტაკლმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გადაინაცვლა.

„ცეკვის მასწავლებლის“ შემდეგ ს. ფაშალიშვილმა იმავე წელს (1955) თარგმნა ფრანგი დრამატურგის ჟან პოლ სარტრის პიესა „უმანკო მრუში“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე. ამ პიესის პირველი მოქმედება და უკანასკნელი მოქმედების საფინალო სურათი ჩართულია მონტაჟის წესით. იგი წარმოადგენს ჟ. პ. სარტრის მიერ ამავე პიესის მიხედვით დაწერილ კინოსცენარ „პროსტიტუტკას“ საექსპოზიციო და საფინალო ეპიზოდების გასცენიურებას მთარგმნელის მიერ. ს. ფაშალიშვილს ეკუთვნის როგორც თარგმანი, ასევე ტექსტის მონტაჟი.

უფრო ადრე, 1943 წელს ს. ფაშალიშვილმა თარგმნა სერგეი ანტონოვის პიესა „ჩვენი ახალგაზრდობა“. პიესა წარმოდგენს ოთხმოქმედებიან დრამას. იდგმებოდა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

აღნიშვნის ღირსია ამერიკელი დრამატურგის უილიამ დიუბუას ოთხ სურათად წარმოდგენილი სამმოქმედებიანი პიესა „ჰაიტი“. უ. დიუბუა მრავალი დრამატული ნაწარმოების ავტორია. მათ შორის „ჰაიტი“ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. იგი ითარგმნა 1953 წ.

ქართული სცენის შენამატად ასევე იქცა სიკოს მიერ თარგმნილი „ვაი

ჭკუისაგან".

1955წ. ს. ფაშალიშვილმა თარგმნა ო. დუნაევსკის ოპერეტა „ლადი ქარი“, რომელიც ოთხ მოქმედებად და ხუთ სერიად იქნა წარმოდგენილი.

ასევე აღსანიშნავია ესპანელი დიუმანუა დე დანნერის „დონ სეზარ დე ბაზანი“ – ხუთმოქმედებიანი დრამა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ „სიკო. ფაშალიშვილის მშვენიერი თარგმანების წყალობით შეიქმნა ქართული თეატრის ბევრი ღირსშესანიშნავი სპექტაკლი“ (57). მან გააფართოვა ქართული დრამატურგიის თვალსაწიერი, გარკვეული იმპულსი შესძინა მის განვითარებას.

სიკო ფაშალიშვილმა შესაშური ოსტატობით გადმოაქართულა მრავალი მხატვრული შედევრიც. მათ შორის: ოლეს გონჩარის რომანი „მედროშენი“, ჰანს ლებერეხტის ვრცელი მოთხრობა „სინათლე კოორდში“. გ. ლეონიძესთან და ს. გორგაძესთან ერთად თარგმნა ოსური პოეტური ეპოსი „ნართები“. როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებითაც გაუქმდა მწერალთა კავშირის მთარგმნელობით სექციასთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქართველ მკითხველს უნდა ეხილა მიხეილ შოლოხოვის „წინარი დონის“ სიკო ფაშალიშვილისეული თარგმანი.

სიკო ფაშალიშვილის, როგორც მთარგმნელის მაღალოსტატობაზე მეტყველებს ერთი ასეთი ფაქტიც - 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში ახლადშექმნილმა პოლიტგანათლების სამმართველომ „ინტერნაციონალის“ საუკეთესო თარგმანისათვის კონკურსი გამოაცხადა. მოწვეულ იქნა შემოქმედებითი ჯგუფი – ვ. გაფრინდაშვილი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ცეცხლაძე, გ. რობაქიძე, შ. დადიანი, ს. ფაშალიშვილი...

შეადგინეს სპეციალური კომისია - ჟიური (თავმჯდომარე ს. ეული, მდივანი გ. ლეონიძე).

გათვალისწინებული იყო თარგმნილი ტექსტის შესაბამის მუსიკასთან მისადაგება. ამიტომ ჟიურის შემადგენლობაში მიიწვიეს კომპოზიტორი დ. არაყიშვილი და მუსიკოსი, ვინმე ძველი ბოლშევიკი საყვარელიძე.

მთარგმნელებს დაურიგეს რემინგტონზე გადაბეჭდილი რუსული ტექსტი. თარგმანების წარდგენის შემდეგ რამდენჯერმე გაიმართა თათბირი. ჟიური ს. ფაშალიშვილის თარგმანზე შეჩერდა „როგორც „ინტერნაციონალის“ მუსიკასთან და რუსულ დედანთან უფრო მიახლოებულზე... მაშინდელი რეჟისორის

დადგენილებით... აღნიშნული ჟიურის მიერ მიღებული „ინტერნაციონალის“ თარგმანი ქართულ ენაზე სავალდებულო შესასრულებლად იქნა გამოცხადებული" ( 14, საქმე №28647-335-7, ფ. 1-2).

საერთოდ, ს. ფაშალიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა ცალკე შესასწავლი შრომატევადი საკითხია, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვცანით თუნდაც ასე ფრაგმენტულად წარმოგვესახა იგი, რათა წარმოდგენა გვქონოდა, თუ რაოდენ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მწერლის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

## ბ) მემუარები

სიკო ფაშალიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, მრავალმხრივი შემოქმედი. ეს მრავალმხრივობა მის ერუდიციასა და დიდ შემოქმედებით პოტენციაზე მიგვანიშნებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ს. ფაშალიშვილის მემუარული მემკვიდრეობა. მწერალმა დაგვიტოვა შესანიშნავი მოგონებანი. მხატვრულ-ისტორიული ლიტერატურის ეს უმნიშვნელოვანესი ჟანრი ჩვენში არც თუ ძალიან ფეხმოკიდებულია. შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობა მემუარული ლიტერატურის სიღარიბეს განიცდის. დ. მელუას ერთი საგაზეთო წერილის მიხედვით, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თითო-ორი ნიმუშის გამოსვლა ამინდს ვერ ქმნის. ასეთი ხასიათის ნაწარმოებების ბეჭდვას თითქოს თავსაც არიდებდნენ ქართული გამომცემლობები. არადა, მათი შექმენებითი ღირებულება უმნიშვნელოვანესია და არავითარ პროპაგანდას არ საჭიროებს. „ის ჩანაწერები, რომლებიც ჩვენმა კლასიკოსმა მწერლებმა თუ საზოგადო მოღვაწეებმა დაგვიტოვეს დიდი ხნის წინათ, დაისტამბა და ახლა ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა" (19).

ქართულ მწერლობაში მემუარული ჟანრის სიმწირის გამო, იგივე ავტორის მიხედვით, არ არსებობს ამ ხასიათის ნაწარმოებთა გამოცემის ტრადიცია და ამდენად, არც პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ს. ფაშალიშვილის მემუარები კლასიკურ ნიმუშებამდე მადლდებიან. შესანიშნავი მწერლური სტილი, ხატოვანი ენა და ლაკონური დახასიათებანი სასიამოვნო საკითხავს ხდის მის მოგონებათა წიგნს, რომელსაც ავტორმა „დაუვიწყარი შეხვედრები" (გამომცემლობა „ნაკადული", თბ. 1966 წ.) უწოდა. „დაუვიწყარი შეხვედრები" წარმოადგენს მანამდე რამდენიმე წლით ადრე გამოცემულ ს. ფაშალიშვილის მემუარების

წიგნის „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან“ გადამუშავებულ და შეკვებულ გამოცემას.

ს. ფაშალიშვილი თავისი ბავშვობისა და ჭაბუკობის თავგადასავალთან დაკავშირებით, რეალურად აღგვიწერს იმდროინდელი ქართული სოფლის ცხოვრების სურათებს. თვალწინ გვიცოცხლებს იმ საინტერესო და დაუვიწყარ ადამიანთა სახეებს, რომლებსაც იგი შეხვედრია თავისი ცხოვრების გზაზე. წიგნში ავტორი ღრმა სიყვარულითა და უსაზღვრო მოწიწებით მოგვითხრობს აკაკის და ვაჟას, თედო რაზიკაშვილის, იროდიონ ევლოშვილის, დავით კლდიაშვილის, კოტე მაცაშვილის, ვანო სარაჯიშვილის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებს.

მკითხველმა საზოგადოებამ დიდი სიყვარულით მიიღო ს. ფაშალიშვილის „დაუვიწყარი შეხვედრები“. ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ მწერალს მკითხველთა არაერთი სამადლობელი წერილი მიუღია. პერიოდულ პრესაშიც გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია, რომელთა ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ მემუარების წიგნს.

აღნიშნული მემუარების გამოქვეყნებიდან მალე ავტორს ვრცელი წერილით გამოეხმაურა მანხანის მკვიდრი მიხეილ ჩირიკაშვილი. აი, რას წერს იგი: „სიკო! მე არც მწერალი ვარ და არც კრიტიკოსი... მე მინდა მხოლოდ წრფელი მადლობა გადაგიხადო იმ უაღრესად დიდი სიამოვნებისათვის, რაც მომანიჭა ამ წიგნის წაკითხვამ. რაღაც ბევრი რამ არის ახლობელი, გულთან მოტანილი. ალბათ ამიტომ აღმეძრა სურვილი გამობაასებისა“ (14, საქმე 28650-96, ფ.1). წერილი, როგორც ვთქვით, ვრცელია და მრავალ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. ზოგ რამეში არ ეთანხმება მწერალს. მაგრამ, რაც მთავარია, წერილის ავტორი ტკბება ნაცნობი ადგილების მხატვრული აღწერით. თითქოს ახლა აეხილა თვალი და ახლებურად დაინახა ქიზიყის მინდორ-ველები და გარემომცველი ბუნება.

აღნიშნული წიგნის გამოცემას გამოეხმაურა რუსულენოვანი პრესა საქართველოში – გაზეთები „Заря Востока“ და „Вечерный Тбилиси“.

მემუარების წიგნთან დაკავშირებით ს. ფაშალიშვილისადმი გაგზავნილ წერილში თბილისელი პედაგოგი და მწიგნობარი, ქალბატონი მარგარიტა მარკოვნიკოვა, წერს: „Я очень редко читала произведения, в которых так любовно, так живо, с таким мастерством предстает перед нами наше прошлое, предстают как живые наши великие предки.“

Спасибо вам, мой дорогой за хорошие минуты, которые я пережила, читая ваш ценный труд" (14, საქმე 28650-92, ფ. 1).

მოგონებათა სერიალი იხსნება სათაურით „დღენი ჩემი ცხოვრებისა“. ავტორი საკუთარი წარსულის თხრობაში მოხდენილად ურთავს სხვადასხვა დროს ნახულსა და გაგონილს. იქვე, მრავალფერ გამაში, წარმოგვიდგენს თავისი მშობლიური კუთხის უმშვენიერეს სურათებს, საიდანაც თვალნათლივ საცნობია მისი უდიდესი სიყვარული მშობელი მხარის მიმართ. რასაკვირველია, მხოლოდ მოგონება არ არის ის, რაც ავტორს ამ წიგნის დასაწყის თავში შეუტანია. ესაა პოეტურად აღწერილი განცდები იმისა, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო გაზაფხულზე კახეთში - მზით, მერცხლებით, ვაზით დაყურსულ მხარეში.

ს. ფაშალიშვილი ხანში შესული მწერლის ხელით აღწერს ბაღღური გრძნობით მიერ აღქმულსა და განცდილს. იგი უსაზღვრო სიყვარულითაა დაკავშირებული ბავშვობის დროსთან, თავის კუთხესთან, სოფელთან. მართლაც, რა უნდა ჰყვარებოდა მწერალს იმ ხანაზე უფრო მეტად, საიდანაც იწყება მისი სიცოცხლე, ადამიანობა, მოქალაქეობა, ხალხის სიყვარული. მრავალი მონაკვეთი ამ წიგნისა მხატვრული განზოგადების შესანიშნავი ნიმუშია:

„მიყვარს აღმზრდელი ქვეყანა, მიყვარს ჩემი კუთხის მადლი და ჯავარი, მისი ყანის ბიბინი, ყურძნის ღუდღუდი, მისი ვერხვიან-მუხნარიანი ტყეების შრიალი და აღმასის ჩანჩქერების შხუილი, მისი წყაროების რაკრაკი, ცის სიღურჯე, ვარსკვლავების ციმციმი, მისი ასფერა ცისარტყელები და სიღრმემდე გულის შემძრავი ჭექა-ქუხილი, მიყვარს მისი ყვავილების უთვალავი ფერადები, მთვარისა და მზის ოქრო-ვერცხლი და ენა, ჩვენი მდიდარი, დარბაისელი, ცეცხლივით მგზნებარე და სასოებასავით მონარნარე ქართული ენა!

მომმადლე, ბუნებავ, ამ სიყვარულის უჭკნობი ქნარი!..“ (43, 9).

ზემომოტანილი ამონარიდი და კიდევ მრავალი მონაკვეთი ამ წიგნისა გვაფიქრებინებს, რომ „დაუვიწყარი შეხვედრები“ წმინდა მემუარული ჟანრის თხზულება არ არის. იგი არ წარმოადგენს გაბმით მოთხრობას ამბავთა, მოვლენათა და ადამიანთა შესახებ, დიდ და მცირე შემთხვევათა ირგვლივ. წიგნში ავტორი რამდენიმე მარად დაუვიწყარ სახელზე მოგვითხრობს. იგი იგონებს იმ პიროვნებებს, ცხოველმყოფლად რომ დარჩენილან მის გონებაში, განცდებსა და გრძნობებში. ამდენად, ჰგავს იგი მხატვრულ ნარკვევთა ნაკრებს, რომელთაგან თითოეულს ჰყავს მთავარი პერსონაჟი - თვითონ ავტორი.

მშობლიურ სოფელ მანხაანში გამართულ ს. ფაშალიშვილის 70-ე

წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე მოხსენებით გამოსული პროფ. ს. ხუციშვილი მწერლის მოგონებების წიგნსაც შეეხო. მისი თქმით „წიგნის პირველი მონაკვეთის სათაური – „დღენი ჩემი ცხოვრებისა“ ერთი რუსულიდან თარგმნილი პიესის სათაურის შორეული ანალოგია, მაგრამ სრულად სხვაგვარი მასალის შემცველი. ამ ნაწილში ის კახეთი ჩანს, რომელიც დილის ბინდ-ბუნდში ცურავს სიღნაღის ბასტიონიდან... ბავშვობის დრო და მაშინდელი შთაბეჭდილებები გამოუწვევია ს. ფაშალიშვილს... ეს მისი გულის ნაკარნახევია, რომელსაც ადამიანი ხშირად დიდხანს, საკუთრად და თავისთვის ინახავს, რადგან იგი მხოლოდ მისია, მისი საკუთარი სამყაროა, მისი თვალთ დანახული ქვეყანაა“ (14, საქმე 28649-35, ფ. 1)

„დაუვიწყარი შეხვედრების“ არა მარტო ამ ნაწილს, არამედ თითოეულ თავს ერთი განწყობილება გასდევს. ეს არის მონათხრობი იმ კაცისა, რომელსაც თავისი სიყმაწვილე უკვე ცხრა მთას იქით დარჩენია. წიგნის განწყობილებას სწორედ ცხრა მთას იქით დარჩენილი სიყმაწვილის გახსენება აყალიბებს.

მართლაც, ს. ფაშალიშვილი, რომლისთვისაც ხალხში გამოსვლასა და მწერლად ჩამოყალიბებაში ბევრ ადამიანს სიკეთისა და დახმარების ხელი გაუწვდია, ბუნებრივია, მათი გახსენებით ამადლებულ განწყობას ქმნის. სიკო ფაშალიშვილთან დაახლოებულ ადამიანებში ისეთებსაც ვხვდებით, რომელთა სახელები და სახეები ათბობდნენ არა ერთი რომელიმე პიროვნების გულსა და სულს, არამედ მთელ ქართველ ერს.

„დაუვიწყარი შეხვედრები“ ს. ფაშალიშვილის ბავშვობის გახსენებით იწყება. ავტორი მართლაც დიდხანს ინახავდა გულში თავის ბავშვობისდროინდელ საქვეყნო ხმიანობას, „ახალთაობის“ პირველი რევოლუციის ამბებს. მომავალი მწერლის თვალწინ იწყებოდა ქვეყნის „არეულობა“, რომელიც უცებ მოედო კახეთს, სიღნაღს და მის მშობლიურ მახსაანსაც. გარეწართა თვითნებობას და ჯაშუშობას საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ ჯერ კიდევ პატარამ, მომავალმა მწერალმა, საკუთარ თავზეც იწვინა რეაქციონერთა თოფის დუღლუგი და ჩექმიანი წიხლი, რის შედეგადაც იგი სიღნაღის გამოჩენილ ექიმ კოლა ჯანდიერთან წაიყვანეს სამკურნალოდ.

მემუარების ავტორი თვითმხილველი და მოწმე იყო იმ ჩასაფრებებისა და ტერორისა, რაც მაშინ დატრიალდა ქვეყნად. მაშინდელი „ცეცხლგამოვლილი დღეების“ ხილვას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მომავალ მწერალზე.

ს. ფაშალიშვილის წიგნის ერთი მთავარი ხაზი არის ის, რომ იგი არსად

ჩერდება გამოჩენილ პიროვნებათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულად აღწერაზე. ავტორი ამ ადამიანთა საქმიანობის მთავარ დამახასიათებელ მხარეებს გადმოგვცემს და მათთან თავისი ურთიერთობისა და დამოკიდებულების რამდენიმე ფრაგმენტს იხსენებს. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისეთ, საოცრად დიდ, მონუმენტურ სურათს ქმნის, რომ ძნელი ხდება რომელიმე ჩარჩოში მისი მოქცევა. ნიმუშად შეიძლება აღნიშნული წიგნის ის მონაკვეთი მოვიყვანოთ, რომელშიც ავტორი ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრას ეხება ან აკაკი წერეთლის გაცნობასა და კიტა აბაშიძესთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს.

სიკო ფაშალიშვილის მემუარების წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მოგონებას აკაკი წერეთელზე. ავტორი მოგვითხრობს ზოგიერთი ისეთი საყურადღებო ფაქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონია დიდი მგოსნის ცხოვრებაში, მაგრამ მკითხველი საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი იყო.

ცნობილ ადამიანებზე ბევრს წერენ. თითქმის ძნელია აკაკი წერეთელზე მოიგონო რამე, რაც სხვასაც არ აღუნუსხავს, მაგრამ სიკო ფაშალიშვილი მაინც პოულობს დიდი მგოსნის ხასიათის ერთ მხარეს. იგი მოგვითხრობს დიდი აკაკისა და რუსი მეეტლის საუბრის ერთ საინტერესო ეპიზოდს. ამ ეპიზოდის მიხედვით რუს მეეტლეს აკაკის იუბილეს აღსანიშნავი საღამოს მონაწილენი მიეყვანა თაიგულებით ხელში. იმავე მეეტლეს შემთხვევით ხვდა წილად თეატრში აკაკის მიყვანაც. უცნობმა მეეტლემ იგრძნო აკაკის სილიადე. ჩასვლისას მან მგოსნის ფული არ გამოართვა. აკაკის გაუკვირდა, მათ შორის გაიმართა საუბარი, რაშიც ს. ფაშალიშვილი აკაკის ხასიათის რამდენიმე საინტერესო შტრიხს წარმოაჩენს.

აკაკის განსაკუთრებით აინტერესებდა სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდობა – გადმოგვცემს ს. ფაშალიშვილი. მგოსნის „გულისხმიერების დამახასიათებელი იყო ჩემდამი მისი ყურადღებაც. მასთან არაერთხელ ვყოფილვარ ოჯახში. მომისმენდა, მესაუბრებოდა, დამარიგებდა და თავი ისე კი არ ეჭირა, როგორც დადაფნულ ოლიმპიელს... სწავლას სკოლის გარეთ ვღებულობდი და გულშემატკივარი მეგობრების რჩევით მოსკოვს დავაპირე წასვლა შანიავსკის კერძო უნივერსიტეტში შესასვლელად. აკაკის შევბედე ჩემს საღამოში მონაწილეობის მიღება" (50).

აღნიშნული საღამოს გამართვა 1913 წლის 23 აპრილს ქ. გორში ყოფილა განზრახული. ს. ფაშალიშვილს, როგორც დამწყებ პოეტს, მოსკოვში გასამგზავრებლად გარკვეული თანხის შეგროვება ესაჭიროებოდა. აკაკის



მონაწილეობა დიდძალ ხალხს მოიხიდავდა საღამოზე. ამიტომ მსცოვანი პოეტი სიამოვნებით დასთანხმებია სიკოს თხოვნას და უპასუხია, რომ მაგ კეთილ საქმეში ხელის მომართვას ჩემი სიბერეც ვერ შემიშლისო. მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ ავადმყოფობის გამო აკაკი გორში გამართულ ლიტერატურულ საღამოს ვერ დაესწრო.

გავიდა შვიდიოდე თვე და 1913 წ. 2 ნოემბერს ქალაქ გორში კვლავ გაიმართა ს. ფაშალიშვილის ლიტერატურული საღამო. დიდმა აკაკიმ განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტისადმი და უდიდესი მხარდაჭერა აღმოუჩინა მას. მისი ჩასვლა ქ. გორში თვით აკაკისთვის იქცა უდიდეს ტრიუმფად. როგორც მოგონების ავტორი გადმოგვცემს – მის მოლოდინში „მთელი ქართლი შეინძრა“. საღამოზე აკაკიმ წაიკითხა თავისი ახალი (ჯერ კიდევ დაუბეჭდავი – თ. გ.) პოემა „რაჭა-ლენხუმი“. ტაშისცემას და ოვაციებს ბოლო არ ჰქონდა. ამის შემდეგ „სცენაზე გამოდის ახალგაზრდა მგოსანი ს. ფაშალიშვილი და ექსპრომტად წარმოთქმული ლექსით – „ერის ვარსკვლავს“ – მიმართავს დიდებულ სტუმარს. სულგანაბული უსმენს დარბაზი მშვენიერ ლექსს, ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოეს ფაშალიშვილი. აკაკი ჰკოცნის პატარა მგოსანს... ფაშალიშვილმა წარმოსთქვა მეორე ლექსი „სიმღერა“, კვლავ მხურვალე ტაში...“ (35).

მეორე დღეს დიდებულ სტუმარს გორის ქალთა მეცენატურმა საზოგადოება „მანდილოსანმა“ უმასპინძლა. ეს იყო ახალგაზრდობასთან შეხვედრაც. დეაწლმოსილ პოეტს ახალგაზრდები მიესალმნენ. ს. ფაშალიშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს ვაჟა-ფშაველას შვილის – ლევან რაზიკაშვილის მშვენიერ სიტყვას. აღფრთოვანებულ აკაკის შესანიშნავი პატრიოტული სიტყვით უპასუხია ახალგაზრდებისთვის და თავისი გამოსვლა შემდეგი პოეტური სტრიქონებით დაუმთავრებია:

„ის მიხარებს მოხუცს გრობას,  
გულს ის მხვდება შვების ისრად,  
მშობელ ქვეყნის სამსახურსა  
რომ ღებულობს შვილი კისრად!  
ასეთ შვილებს საიმედოდ  
თქვენშიც ხედავს ჩემი თვალი, –  
მიტმაც მწამს ასე მტკიცედ  
საქართველოს მომავალი!“

ეს ლექსი აკაკის არსად გამოუქვეყნებია. პირველად იგი ს. ფაშალიშვილს მოუყვანია თავის წერილში „სადამო გორში“, რომელიც 1945 წლის 9 თებერვლის გაზ. „კომუნისტში“ დაიბეჭდა. აღნიშნული წერილი ავტორმა აკაკის გარდაცვალებიდან 30 წლისთავს მიუძღვნა.

ს. ფაშალიშვილის გადმოცემით, აკაკის თურმე განსაკუთრებით ხიბლავდა კახეთი, მაგრამ საძნელო მეზავრობის გამო სულ ორჯერ მოუხერხებია თელავსა და სიღნაღში ჩასვლა.

დიდ პოეტს ნატვრად ჰქონია, კიდევ ერთხელ ენახა ეს მშვენიერი მხარე, მაგრამ ისევ მეზავრობის სირთულე იყო ძირითადი მიზეზი ამ წადილის შეუხრულებლობისა. იმ წელს კიდევ მთავრდებოდა კახეთის რკინიგზის მშენებლობა და ამით გულმოცემულმა ს. ფაშალიშვილმა, 1914 წლის ზაფხულში, მსცოვანი პოეტი მიიწვია თავის ლიტერატურულ სადამოებზე სოფელ ქვემო მანხანში, სიღნაღსა და თელავში. აკაკის მტკიცე დასტური მიუცია და სიკოსაც სამზადისი დაუჭერია.

კახეთში პირველი მოგზაურობისას – ყვარელში – აკაკისთვის სამაგალითო მასპინძლობა გაუწევიათ კახეთის თავადაზნაურობის მარშალს, განათლებულ და პატრიოტ პიროვნებას იური ჭავჭავაძეს და მის მეუღლეს, მშვენებით და სიღარბისლით განთქმულ ელენე ივ. ჭავჭავაძისას, დიდი ილიას ბიძაშვილს.

ამ მოგზაურობისა და მასპინძლობის შესახებ ლიტერატურის მატეანეში მაშინ ექვთიმე თაყაიშვილს დაუბეჭდავს თავისი მოსაზრებანი, რაც ძალზედ საწყენად მიუღია ქალბატონ ელენეს. ამის გამო მას სიკო ფაშალიშვილისთვის მიუწერია ექვთიმესადმი საყვედურის წერილი, პირველი, იმის გამო, რომ ექვთიმე განიხილავს ილია ჭავჭავაძის მეუღლისა და მისი მულის, ღიზა საგინაშვილის ურთიერთდამოკიდებულების საკითხს, რაც ელენეს თქმით, სრულიად არასაინტერესოა ისტორიისათვის და მეორეც, იმის გამო, რომ ექვთიმეს წერილის მიხედვით „ყვარელში იური ჭავჭავაძემ (გენერლის ძმისწულმა),“ ვითომ აკაკისათვის მოწყობილი ზეიმის ხარჯების დასაფარავად ათი დესეტინა მიწა გაყიდაო. „ეს ადგილი (ილიას მეუღლისა და მისი მულის, ღიზა საგინაშვილის ურთიერთობას რომ შეეძება – თ. გ.) ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, მე მგონი, მკითხველზედ! მე დარწმუნებული ვარ, რედაქტორი ბევრს გამოსტოვებდა და კარგი იყო, ესეც გამოეტოვებინათ!?" (14, საქმე 28650-65, ფ. 1).

ელენე ჭავჭავაძე ექვთიმეს წერილის ძალზე უკმაყოფილოა. მას ისიც ცუდად აღუქვამს, რომ იური ჭავჭავაძე წერილის ავტორს მოსსენებული ჰყავს

გენერლის ძმისწულად. ქნი ელენე განმარტავს, რომ იური ჭავჭავაძე თვითონ არის საზოგადო მოღვაწე და არავის ძმისწულობით მოყვანა არ იყო საჭირო. იქვე გადაჭრით უარყოფს ათი დესეტინა მამულის გაყიდვის ფაქტსაც.

აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ზეიმს მაშინ დიდძალი ხალხი დასწრებია და ხმა გამოსულა, თითქოს ეს არნახული მასპინძლობა იური ჭავჭავაძეს ათი დესეტინა მამულის გაყიდვის ფასად დაუჯდაო. ექვთიმემ თავის მოგონებებში გაიმეორა ათი დესეტინა მამულის გაყიდვის ამბავი. ქალბატონი ელენე ს. ფაშალიშვილს სწერს, რომ მამულის გაყიდვა იური ჭავჭავაძეს ფიქრადაც არ მოსვლია, ამის გარეშეც ჰქონიათ საშუალება, რომ „იმ სასიქადულო ადამიანისათვის“ ზეიმი მოეწყოთ.

მეორედ და უკანასკნელად აკაკი სიღნაღს სწვევია ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილის მიპატიუებით. დიდი პოეტი აღფრთოვანებული დარჩენილა სიღნაღელთა მასპინძლობით.

რაც შეეხება აკაკის მანხანაში მიწვევას და იქ გამგზავრების საქმეს, იგი განუხორციელებელი დარჩა. ამ საკითხის წარმატებით გადაჭრის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად სხვა მიზეზებთან ერთად ქცეულა იმხანად სიღნაღში ახლად დაარსებული გაზეთი „ხმა კახეთისა“, რომელსაც, სიკოს თქმით, თბილისიდან ჩამოსული „ვაჭრების იდეოლოგი“ კოტე ტყავაძე რედაქტორობდა. მას „ხმა კახეთისაში“ წერილი დაუბეჭდავს, დიდი მგოსნის სტუმრობა უდროოდ მიუჩნევია და სჯობია აკაკი შემოდგომით გვეწვიოსო – განუცხადებია. ელენე ჭავჭავაძე თავის წერილში ამ საკითხსაც ეხება. იგი ს. ფაშალიშვილს მკაცრი ტონის გამო უსაყვედურებს და მიაჩნებს: თუ გადაათვალიერებს აღნიშნული გაზეთის ნომრებს, ნახავს, რომ „ეს გაზეთი სულ მეფის მოხელეების და იმ დროის რეჟიმს უჩივის და აგრეთვე მოვაჭრეების აღვირახსნილობას... თქვენ კი სწერთ ვაჭრების ორგანო იყო?... „აკაკის იქ მისვლა არ უნდოდათ“. ყველამ ვიცით, რომ კახეთში ყველაზედ საუკეთესო დრო შემოდგომაა, განა ამისათვის ისინი დასაძრახისი იყვნენ, რომ უნდოდათ ყველა მხრით ესიამოვნებინათ ძვირფასი ადამიანი“ (14, საქმე 28690, ფ. 3-4).

სიკოსთვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის, რომ მას თავისი ღარიბული სახლ-კარი დიდი პოეტის დასახვედრად შესაფერისად არ მიაჩნდა. ამიტომ, თავისთან ახლოს მცხოვრებ ბიძაშვილს, შაქრო ფაშალიშვილს შეუთანხმდა – აკაკის მის მშვენიერ კარ-მიდამოში მიიწვედნენ. ჩვენში ხომ არსებობს გამოთქმა – „მეზობელ კარისაო...“, მაგრამ ასეთივე ვიცით –

„თვალი თვალის მტერიაო...“ სიკოს ბიძაშვილს ძვირფასი სტუმრის მიღების მოლოდინში შეუძენია რბილი ავეჯი, გრაფიურები, ფარდები. როცა სახლის ეს მორთულობა სოფელში ჩაუტანია და გაუგიათ, ოჯახი აკაკის მასპინძელი იქნებოდა, სხვა უფრო მდიდარ მეზობლებს მეშხანური ბუზღუნი დაუწყიათ – ხედავთ? ნამოჯამაგირალი და მისი ბიძაშვილი ჩვენზე წინ დგებიანო... მაშინახოთო და სხვა. ამ მეშხანური გამოსტომებისათვის, როგორც ს. ფაშალიშვილი გადმოგვცემს, ტონის მიმცემი ადგილობრივი (სიღნაღის) გაზეთი „ხმა კახეთისა“ ყოფილა.

კახეთში სამოგზაუროდ მზადყოფნაში აკაკი თბილისს იცდიდა. ეს იყო 1914 წლის აგვისტოს დამდეგს. როცა სიკო ფაშალიშვილი თბილისში დაბრუნდა და აკაკის მოახსენა ყოველივე, ტკბილხმოვან მგოსანს მშვიდად უთქვამს, რომ ეგ არაფერია, ჩვენ სადამო გამართოთ და მაგ „მოძულეთ“ ნუ შემოვუშვებთო. აქედანაც კარგად ჩანს, თუ როგორი მონდომება გამოუჩენია მსცოვან პოეტს კახეთში სამოგზაუროდ. მაგრამ იმ „მოძულეთა“ აზრი რომ სიღნაღის პრესამ ქვეყანას ამცნო და აკაკის „ხმა კახეთისა“ გადაუკითხავს „გაზეთი შუაზე გაგლიჯა, დაჭმუჭნა, იატაკზე დაანარცხა და ტყავადის მისამართით მეტად მაგარი გამოთქმა იხმარა – რა ზრდილობაა, გაზეთში საქვეყნოდ რომ გამოვუჭენებოვარ... ნაწყენმა სინანულით მითხრა: ერთობ მეწადა ამ სიბერეში კახეთი კიდევ ერთხელ მენახა, მაგრამ ასეთი სტუმრობა არ შემიძლიან, ახლა კახეთში ვეღარ წამოვალ, არა უშავს, წავიდეთ იმერეთს და სადამოები იქ მოვაწყოთო“ (43, 81-82). დიდი პოეტის წადილს ახდენა აღარ ეწერა. იმავე წლის შემოდგომაზე აკაკი საჩხერეს წავიდა, სადაც იმ ზამთარს ლოგინად ჩავარდა და მალე გენიოსმა პოეტმა სამუდამოდ დახუჭა თვალი.

აკაკისთან ახლო მეგობრობისა და მისი სახელის მიმართ სიკო ფაშალიშვილის ღრმა პატივისცემის გამოძახილია მაშინდელი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით, ამ საზოგადოების თავმჯდომარის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გაგზავნილი ხელნაწერი წერილი (დაწერილია საზოგადოების ტიტულოვან ფურცელზე, დათარიღებულია 1915 წლის 9 ქრისტეშობისთვით), რომელშიც ავტორი ახალგაზრდა პოეტს ატყობინებს, რომ მომავალი წლის 26 იანვარს დაგეგმილია „ჩვენი ქვეყნის დიდება აკაკი წერეთლის“ გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე „მგოსნის პატივის საცემლად“ მიძღვნილი სალიტერატურო სადამოს ჩატარება. „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ დაადგინა მოგმართოსთ თქვენ თხოვნით,

მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ სადამოში თქვენი საკუთარს ლექსის წაკითხვით მგოსნის შესახებ" (14, საქმე №28651-53) და სთხოვს რაც შეიძლება მალე აცნობოს პასუხი. აღნიშნული საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის, დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის ეს წერილი ახალგაზრდა პოეტის აღიარებასაც წარმოადგენს.

ს. ფაშალიშვილის მემუარების წიგნის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს „არწივი ვნახე დაჭრილი“. სათაურიდანაც ადვილი მისახვედრია, რომ ავტორის მოგონება მთის არწივს, ვაჟა-ფშაველას ეხება.

თბილისში ჩამოსული სიკო ფაშალიშვილი თავდაპირველად „დროების“ რედაქციაში გაზეთების დამტარებლად მუშაობდა. ამ დროს პირადად გაეცნო იგი ვაჟა-ფშაველას. ბავშვობის წლებში, სოფელ მანხაანში, ალაზნის საძოვრებზეც გაეგონა დიდი ვაჟას სახელი მომავალ პოეტს. „ვაჟა-ფშაველას სახელი პირველად მწყემსისაგან გავიგონე, ეს იყო ბავშვობის წლებში, როცა მინდვრად ვიზრდებოდი და მენახირე მწყემსებში ვტრიალებდი" (43, 83).. მოგონებათა ავტორის თქმით ეს მწყემსი მოსე ბეგიაშვილი ყოფილა, კარგი მეწონგურე, რომელიც მწყემსურ „სადამოებზე“ ჰყვებოდა სხვადასხვა საგმირო ამბებს, ხოლო „აღუდას შაირს“, თურმე ჩონგურზეც ხშირად ამღერებდა.

მოსე ბეგიაშვილი ვაჟას ახლო სცნობია, მაგრამ მისი პოეზია მთიელი მწყემსებისაგან შეუსწავლია. პატარა სიკოს თვალწინ, ვაჟას სახით, თანდათან „დაიხატა კაცი, რომელსაც ქრისტეს ხატთანაც ჰქონდა საერთო, არწივთანაც..." (43, 86). 1990 წლის ზამთარს ვაჟა დროების რედაქციას სწვევია. სიკოს გადმოცემით, კარები შეაღო შუახნის, მაღალმა, ოდნავ ტანხმელმა კაცმა. მას გაცრეცილი, მუქი შინდისფერი ზედაჩოხა ეცვა და მხრებზე „აქლემის ყელის" ბაცი ყაბალახი ჰქონდა გადაადებული. ხელში ეჭირა ჩოხასავით გაცრეცილი კრაველის ქუდი. წვერმოპარსულს, კოხტად გადავარცხნილი, ვერცხლშერეული თმა სათნოების შარავანდედივით დაჰფენოდა შუბლზე და ნაქანდაკარი ცხვირი თავისებურ გამომეტყველებას აძლევდა მის ოდნავ მოგრძო სახეს. ვაჟას ცალი თვალის ქუთუთო შეწითლებულ-შეწყლულებული ჰქონია, რასაც თურმე დისონანსი შეჰქონდა მისი ანტიკური სახის ნაკვეთებში. სრულიდ ახალგაზრდა სიკოს, რომელიც იქვე იდგა, აზრადაც არ მოსვლია, რომ რედაქციის სტუმარი ვაჟა-ფშაველა იყო, რადგან მისი წარმოდგენით ცოცხალი ვაჟა არაფრით ჰგავდა იმ სურათს, აღექსანდრე ყაზბეგთან, ან შიო მღვიმელთან და დიმიტრი მანხანელთან რომ ჰქონდა დიდ პოეტს გადაღებული.

სიკო ფაშალიშვილი საგაზეთო რედაქციებში მუშაობისას დაუახლოვდა ვაჟას. დროთა სვლაში სულ უფრო განმტკიცდა მათი ნაცნობობა, ვაჟა, „თმაშევერცხლილი და მწვერვალს აღმავალი“, სიკო, „ასაკითაც და შემოქმედებითაც მცირეწლოვანი“, მახლობელნი გახდნენ. ეს, როგორც სიკო აღნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, ვაჟას გულწრფელობის, უანგარობის და უბრალოების შედეგი იყო.

მოგონებათა ავტორი გულდასმით მოგვითხრობს ყოველივე წვრილმანსაც კი, რაც ვაჟასთან მის ურთიერთობას ახლდა თან.

ს. ფაშალიშვილი ყოფილა მომსწრე და თვითმხილველი გასული საუკუნის 10-იანი წლების საქვეყნოდ გახმაურებული პოლემიკური დაპირისპირებისა ორ ბუმბერაზ პოეტს შორის. ქართველი მკითხველი საზოგადოება ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა და იჩენს ამ საკითხის მიმართ. დღესაც, მრავალმა ზეპირად იცის მოხდენილი ტაეპები ამ პოლემიკური ლექსებიდან. საკითხი ეხება აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ცნობილ პაექრობას, რომელიც ვაჟას პოეტური ენის კუთხურობის დაგმობის გამო წარმოიშვა. ფშაველ პოეტს დიახაც სჯეროდა საკუთარი პოეტური ძალისა, მაგრამ რაშიც იყო უძლეველი და შეუდარებელი, სწორედ იქ იყო თავმდაბალი და მოკრძალებულიც. პირად ცხოვრებაში ამაყი და შეუდრეკელი, ამასთან, ფიცხელი ხასიათის ვაჟა-ფშაველა მაღალბუნებოვანი ადამიანის სიღინჯით ისმენდა თავისი შემოქმედების კრიტიკას, რაც არც თუ იშვიათი მოვლენა იყო ხოლმე მის ლექსებში დიალექტური ფორმებისა და ვიწრო კუთხური ტერმინების მოძალების გამო.

იყო დრო, როცა კრიტიკა ვაჟასკენ შემობრუნდა. მაშინ ქართველმა მკითხველმა ყურად იღო ი. ჭავჭავაძის შეგონება – დროა ჩვენ, ძველებმა კალამი დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო, „შვლის ნუკრის ნაამბობის“ წაკითხვისას რომ წარმოთქვა დიდმა ილიამ.

„ივერიის“ პერიოდიდან მოყოლებული 1910 წლამდე ვაჟას შემოქმედებას თითქოს საკმაოდ არ აფასებდნენ. ს. ფაშალიშვილის თქმით, ცნობილი ყოფილა ქუთაისიდან გაგზავნილი ზოგიერთი ხელისმომწერის ანეკდოტური ხასიათის საპროტესტო წერილი „ივერიის“ რედაქციისადმი – ვაჟა-ფშაველას ბეჭდვას თუ არ უკლებთ, „ივერიას“ აღარ გამოვიწერთო. მოტივად ისევ ვაჟას პოეზიის კუთხური ტერმინებით აჭრელება და უკვე არაერთხელ მითითებული დიალექტი მოჰყავდათ. ვაჟა-ფშაველა ძალზე ფაქიზი ხასიათის შემოქმედი გახლდათ. ასეთ შემთხვევაში საკითხავია, თუ ვისგან მომდინარეობს კრიტიკა. ცნობილია, რომ

ვაჟას ლექსის ენა თვით აკაკი წერეთელმა დაიწუნა. რიგითი მკითხველის მიერ ვერდანახული სიდიდადუ პოეზიისა, ჭკმმარიტ შემოქმედს იმდენად ვერ შესძრავს უარყოფითი ემოციებით, მაგრამ დიდი აკაკის საყვედური - „ენას გიწუნებ ფშაველო“-ო, ვაჟასთვის ნამდვილად დიდი გულისტკენის მიზეზი გამხდარა. ეს მოხდა მაშინ, როცა ილიასეული შეფასება საბოლოოდ იქნა გაზიარებული ქართველი საზოგადოების მიერ და ვაჟას სახელი ზვაავით დაიდრა, მას იწვევენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, უმართავენ სადამოებს, ასხამენ ხოტბას. „არავითარი გაამპარტავნება, არავითარი ნიშნის მოგება საზოგადოებისათვის. როცა ამ თემაზე ჩამოუგდებდნენ სიტყვას, ის დინჯად მიუგებდა: - მე ეს იმდენად მახარებს, რამდენადაც მწერლის დაფასება და სიყვარული ხალხის კულტუროსნობას ამჟღავნებს, თორემ ჩემი მიზანი თვითონაც ვიცოდით“ (43, 97).

1910 წლის ოქტომბერში ვაჟა-ფშაველა პირველად მიიწვიეს ქუთაისში, რასაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე. სიკო ფაშალიშვილის თქმით, დღემდე გამოქვეყნებულ იმ მოგონებებსა და რეცენზიებში, რაც ვაჟას 1910 და 1913 წლების ქუთაისის სტუმრობას ეხება, უფრო გარეგნული მხარეა დანახული, ხოლო ამ ბუმბერაზი მწერლის სულიერი მდგომარეობის ანალიზი არავის მოუცია. „ივერიისადმი“ ზემოაღნიშნული კრიტიკული წერილების შემდეგ ქუთაისის ინტელიგენციის გადაწყვეტილება ვაჟა-ფშაველას მიწვევის შესახებ დიდი პოეტის განსაკუთრებული სიხარულის მიზეზი გამხდარა.

მოგონებათა ავტორი, ს. ფაშალიშვილი, სრულყოფილად აღწერს ვაჟა-ფშაველას ქუთაისში მეორედ მიწვევის ფაქტს.

1913 წლის 18 თებერვალს ქ. გორში გაუმართავთ ლიტერატურული სადამო ვაჟას მონაწილეობით. სხვებთან ერთად ამ სადამოს მონაწილე ყოფილა სიკო ფაშალიშვილიც, რომლის გადმოცემითაც, სადამოს დაწყების წინ, გორის თეატრის შენობაში მისულა უცნობი სტუმარი ქუთაისიდან, ახალგაზრდა პოეტი აკაკი სვანი, იგივე აკაკი მარგიანი (პოეტ რევაზ მარგიანის მამა – ს. ფ.). სტუმარს ვაჟასთვის წერილი გადაუცია და პირადად უთქვამს, რომ ქუთაისის ინტელიგენციის დავალებით თქვენთან გამომგზავნა პეტრე ყიფიანმა და გთხოვათ ქუთაისს ჩამობრძანდით ლიტერატურულ სადამოში მონაწილეობის მისაღებადო. ვაჟას წერილი წაუკითხავს და სიხარულისაგან დიდი სულიერი მღელვარება დასტყობია. „ვაჟასთან ახლოს ვიდექი მაშინ, ასე კმაყოფილი სახით ჯერ არ მყავდა ნანახი. ცდილობდა, მაგრამ აღელვებას ვერ მაღავდა. ეს

გულწრფელი, ნამდვილი სიხარული იყო. კარგა ხანს დუმდა" (43, 98). წერილის მიხედვით ორი დღის შემდეგ, 20 თებერვალს საღამო უნდა გამართულიყო. ვაჟა ცოტა შეყოყმანებულა. „ვეფიქრობ, სწორედ იმ ყოყმანისა და აღტაცების მომენტში დაებადა მას იდეა შესანიშნავი ლექსისა „იმერეთს" (43, 99). - იხსენებს ს. ფაშალიშვილი. ვაჟას გორშივე თან ხლებია თავისი ახლობლები - თედო და მიხა რაზიკაშვილები, თედოს უფროსი ქალიშვილი გულქანი. ყველას ძალზე გახარებია ვაჟას ქუთაისში მიწვევა. მეორე დღეს ვაჟას თავისთან უახლებია გულქანი და სიკო ფაშალიშვილი და გამგზავრებულა ქუთაისს. გაიარეს წიფის გვირაბი..., მოლითი..., ვაჟა კუპეში შესულა და დასასვენებლად წამოწოლილა. შორაპანთან პოეტს უკვე ხელში სჭერია ნაწერი ფურცელი და სიკოსთვის გადაუცია წასაკითხავად. ჯერ ისევ მელანშეუშრობელი, ხელნაწერი იყო ლექსი „შერიგება იმერეთთან", რომელიც ასე იწყებოდა:

„ერთხანად ჩემი მწყევარო,  
ლიხთიქეთურო დედაო!  
გავიგე შამრიგებისარ,  
მეც შენთან საღამს ვბედავო!.."

სიკო და გულქანი იყვნენ ამ შესანიშნავი ლექსის პირველი წამკითხველნი და ერთგვარად კრიტიკოსებიც. ამ „პირველ კრიტიკოსებს" მიუციათ პირველი შენიშვნებიც. ურჩევიათ, ამოელო სიტყვა „მწყევარო". ვაჟას უყოყმანოდ მიუღია ახალგაზრდების რჩევა. კიდევ დალოდებია შენიშვნას.

„ – სხვაფრივ შესანიშნავია..., -არა ჩემი ბახლებო, არა! მაგას მე ამაღამ ქუშტარას გაგკრავ, აქ მზადა მაქვს! და ღიმილით თავზე ხელი დაირტყა" (43, 101).

ქუთაისში ვაჟას დიდძალი ხალხი დახვედრია. იგი სასტუმრო „ივერიაში" დაუბინავებიათ. იმ ღამით საწერ მაგიდას მისჯდომია და დილით ისევ თავისი „კრიტიკოსები" მოუხმია. ამჯერად უკვე, ლექსი საბოლოოდ სრულყოფილი გადაუცია მათთვის. სიტყვა „მწყევარო" „მძრახავოდ" შეუცვლია, „გავიგე შამრიგებისარ"-ს ნაცვლად „ვხედავ რომ შამრიგებისარ". სათაურიც „შერიგება იმერეთთან" გადაუშლია და დაურქმევია „იმერეთს". იმავე დილით ლექსი ვაჟას ზეპირად დაუსწავლია.

ქუთაისში არნახული შეხვედრა და საღამო გაუმართავთ დიდი მგოსნისთვის. მეორე დღეს ვაჟა შეხვედრია ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს, გადაუღია სამახსოვრო ფოტოები დ. კლდიაშვილთან და სხვა ქუთაისელ



მოდგაწებთან.

შემდეგ ექსკურსია ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე... დიდი გულის სითბოთი და სიყვარულით გაუცილებიათ ვაჟა ქუთაისიდან.

სწორედ ის დღეები აღინიშნა ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის პოეტური დისკუსიით. 18 თებერვლის გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა აკაკის ლექსი „ენას გიწუნებ ფშაველო“. გაზეთი ტექნიკური მიზეზების გამო რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოვიდა. ვაჟა გორიდან ქუთაისს ისე გაემგზავრა, რომ ამ ლექსის შესახებ, ცხადია, არაფერი იცოდა. ქუთაისიდან დაბრუნებულს, ისევ გორში მიუტანეს „თემის“ 18 თებერვლის გამოშვება. ვაჟას წაუკითხავს ლექსი და ერთგვარად გაწბილებული დარჩენილა. აკაკის ლექსის მიზეზი – ენის კუთხურობა, რაც ფშაველ პოეტს უკვე დაძლეულად და წარსულად მიაჩნდა, ისევ წინ გადაეღობა და მერე როდის, „იმერეთთან ახლადშერიგებულს“ და სწორედ ქუთაისიდან აღფრთოვანებით წამოსულს. ხასიათამოცვლილ ვაჟას პასუხის გაცემაც მაშინვე დაუპირებია, მაგრამ „სახალხო გაზეთის“ თანამშრომლებს დაუშოშმინებიათ, მსცოვან პოეტს გავანაწყენებთო და ვაჟასაც ხელი აუღია განზრახვაზე. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნებოდა ცოდნა იმისა, თუ რა სალექსო კონტურებს აყალიბებდა ვაჟას პოეტური აზროვნება იმ „ცხელ გულზე“, მაგრამ ვაჟა იმხანად ისე წავიდა ჩარგალს, რომ აკაკისადმი უდიდესი პატივისცემისა და მოკრძალების გამო, საყვედური არ დასცდენია.

მაინც რატომ მოხვდა აკაკის ლექსი გაზეთ „თემის“ 18 თებერვლის ნომერში? ძნელი სავარაუდოა, რომ იგი ვაჟას ქუთაისში მიწვევას დაამთხვიეს. თუმცა „თემის“ რედაქციას, იმ დღეებში აღნიშნული ლექსის დაბეჭდვისგან მაინც უნდა შეეკავებინა თავი. ამას ამ მოგონების ავტორიც აღნიშნავს. აქვე დავსძენთ, რომ კიდევ უფრო იმდენად გაურკვეველია „თემის“ რედაქციის პოზიცია, რამდენადაც იქვე, იმავე სვეტში, აკაკის ლექსის შემდეგ იწყება პოეტი ქალის „განდევლის“ (დომინიკა ერისთავი) არც თუ მცირე მოცულობის წერილი სათაურით: „მგოსანი ვაჟა-ფშაველა“, რომელიც ეძღვნება დიდი პოეტის მოდგაწეობის 35-ე წლისთავს. ავტორი აღნიშნავს ვაჟას გაჭირვებულ მდგომარეობას და მიმართავს საზოგადოებას - „...მგოსნის სატრფო სამშობლოს, მივმართავ ვაჟას პატივისცემელთ, მივმართავ წერა-კითხვის საზოგადოებას და განსაკუთრებით ახალგაზრდა საქართველოს, დაუყოვნებლივ შეუდგნენ იმის მოგვარებას, თუ რაგვარად უზრუნველყონ ჩვენი საყვარელი მგოსანი... ვაჟამ

ბევრი რამ განბი შესძინა ჩვენს მწერლობას და აქ მას ხელი შეუწყო სწორედ თავისმა პირადმა სულიერმა ძალამ – სხვა მის პირობებში ჩაჰკლავდა, ჩაახშობდა ცით ბოძებულ ნიჭს.

ნათქვამია, შინ რომ ცოლ-შვილი სიმშლით გიწყდებოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო" (6). იქვეა რედაქციის მინაწერი: „ჩვენი მხრით სულით და გულით ვუერთდებით მწერალი ქალის მოწოდებას და ვუძღვით ამ საგანს ცალკე წერილს" (6).

საფიქრებელია, რომ რედაქციის მუშაკებს აკაკის ლექსი მწვავე კრიტიკულ გამოსვლად არ მიუჩნევიათ, თორემ ფშაველი პოეტისადმი მათი პატივისცემითი დამოკიდებულება და კეთილგანწყობა უდავოა.

ვაჟას, ჩარგალში ყოფნისას, მიზანშეწონილად მიუჩნევია გამოსხმარებოდა აღნიშნულ კრიტიკას და დაუწერია თავისი „დაგვიანებული პასუხი აკაკის". ეს ლექსი იმავე წლის მაისის ბოლოს თბილისს ჩამოუტანია და დასაბეჭდად სიკო ფაშალიშვილისთვის გადაუცია. „აი, მეც დავხზაპნე საპასუხო... ნუ დამზარდები, გეთაყვა, მითხოვე რედაქციელებს დღესვე დამიბეჭდონ, კორექტურა შენზე იყოს, მაგრამ ჯერ წავიკითხოთ!

და დაიწყო კითხვა. კითხულობდა ისეთი პათოსით, თითქოს იქვე ყოფილიყოს აკაკი, რომელსაც თავისი პოეტური გულის პასუხს უსაბუთებდა" (43, 104).

„ბუმბერაზთა კამათი" დამთავრდა „ბრალდებულის" პასუხით. ვაჟას ლექსს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია რედაქციის თანამშრომლებზე. „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს, არისტო ჭუმბაძეს, ლექსი მაშინვე გაუგზავნია სტამბაში. მეორე დღეს კი „სახალხო“, როგორც იტყვიან, „დღის ლურსმანი" ყოფილა.

ეს კამათი იყო ნამდვილი ლიტერატურული პოლემიკა ყველა ეთიკური ნორმის დაცვით. მოკამათეთა ურთიერთკრიტიკა ღირსეულ პიროვნებათა და შემოქმედთა სიდარბაისლის შესანიშნავი ნიმუშია:

„ენას გიწუნებ ფშაველო,  
მგოსანო მაღალ მთისაო,  
თუმც კი გვითესავ მარგალიტს,  
მკითხველიც იმას მკისაო".

–ეს ერთი მხრიდან.

„როს დავაპირე სიტყვის თქმა,

უცებ თავზარი დამეცა,  
სიტყვა მოსული სათქმელად  
ენაზე მომწყდა, გამექცა".

–მეორე მხრით.

მათი კამათი ღვთიურ ურთიერთ სიტყვათმიგებას ჰგავს და ტაქტიც მისივე შესატყვისია. იგი მონაწილეთა შესაფერი ნამდვილი ლიტერატურული ფორმებით დასრულდა. როგორც ს. ფაშალიშვილი ამბობს, თავიანთი სიცოცხლის მწუხრის მოახლოებისას ორმა ბუმბერაზმა ერთმანეთს ლექსით უთხრა გულისნადები, მაგრამ, როგორც გამოწვევაში, ისე პასუხში პირადულს ოდნავადაც არ გადაუხრია ზომიერების სასწორი. ისინი საზოგადო ტკივილებზე, მისი კეთილდღეობის სურვილებით გამოეხმაურენ ერთმანეთს. ამ დისკუსიით უთუოდ დავალებული დატოვეს ჩვენი პოეზია, მოგებული დარჩა მკითხველი საზოგადოება, ქართული პოეზია და მთლიანად ლიტერატურის ისტორია. კამათის ასეთი სახე არასოდეს დაჰკარგავს თავის ხიბლს.

ს. ფაშალიშვილი ამაყოფად ვაჟასთან სიახლოვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჟა-ფშაველას ძალზე მოსწონებია სიკოს ლექსი „მაშ, გამარჯობა ტკბილო სიცოცხლე“. მოგონებათა ავტორი ზედმიწევნით აღწერს ვაჟას ხასიათის ყოველგვარ გამოვლინებას. რესტორან „ანაგაში“ ქეიფისას მომღერალ შავტრიფონას თავიდან ორიოდვე სევდიანი ლექსი დაუმღერებია, მათ შორის ერთი ისევე სიკოს ლექსის სტრიქონები:

„ყურს ნუ დაუგდებ ჩემსა სიმღერას,  
თორემ აგიშლის გულის იარებს...“

მომღერალს ვაჟასთვის უთქვამს, ეს სიმღერა სიკოს ლექსიდანააო. დიდ პოეტს სახე მოღრუბლვია და წყრომით მიუმართავს სიკოსთვის - ჩემგან ნუ გეწყინება, მაგრამ ძალიან დაგიშავევია, ახალგაზრდა ხარ, სიმღერით ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდე, შენ კი წუწუნებ და „გულის იარებს“ გვიშლიო. ეს მკვასე საყვედური ბოლოს მაინც შეურბილებია და „ხალისი გაკლიათ ახალგაზრდებს“-ო - დასძინა თურმე. შიო მღვიმელი შეკამათებია და მისივე ლექსებიდან მოუხმია სევდიანი მაგალითები, მაგრამ შავტრიფონას „მაშ გამარჯობა ტკბილო სიცოცხლე“ წამოუწყია და ვაჟაც აღტაცებაში მოსულა. მოგონებათა ავტორის გადმოცემით „მთის არწივს“ უხალისო ლექსების გამო კამათი თედო რაზიკაშვილთანაც (ვაჟას ძმა) მოსვლია ხოლმე.

ვაჟა-ფშაველა თავიდანვე ყურადღებას იჩენდა სიკოსადმი. ზემოთ ვთქვით,

რომ ვაჟამ იგი იახლა ქუთაისს, მიმოწერა ჰქონდა მასთან. პირველი შეხვედრის დღიდანვე ახლო ურთიერთობა დამკვიდრდა მათ შორის. ვაჟა-ფშაველა მანხაანში, ფაშალიანთ მარანშიც მჯდარა და ფუძე-ჭერი დაულოცია.

ახალგაზრდა სიკო ფაშალიშვილს ყოველთვის ჰქონდა დიდი პოეტის გულისხმიერების იმედი. ვაჟა-ფშაველასადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „გადავწყვიტე „საღამო“ გამართო რამოდენიმე ალაგას და თუმცა ეს საღამოები ხოლერის ბაცილებსაგით მოედო ყველა კუთხეებს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ რამე დამრჩეს“ (13, 273). იქვე, წერილის ავტორი მოკრძალებულად სთხოვს დიდ მგოსანს, რომ იქნებ დასდოს პატივი და მონაწილეობა მიიღოს მის ლიტერატურულ საღამოში, რომლის გამართვაც ს. ფაშალიშვილს ახლო მომავალში თელავში ჰქონია განზრახული. ვაჟას მონაწილეობა ლიტერატურულ საღამოში დიდ სახალხო დაინტერესებას გამოიწვევდა და დამსწრე საზოგადოებაც ერთიორად მეტი იქნებოდა. ამიტომ ს. ფაშალიშვილი, რომლის ლიტერატურულ საღამოსაც არ ჰქონდა „ვაჭრული მიზანი, ჯიბის გასქელება“, გამოთქვამს იმედს დიდი მგოსნისადმი, რომ გამოიჩენს მამობრივ ღმობიერებას, უარს არ ეტყვის თელავს ჩასვლაზე. ვაჟას დასწრება იმდენ ავტორიტეტს შესძენდა საღამოს, რომ ფაშალიშვილი თხოვს მას, აცნობოს ჩამოსვლის რიცხვი და იმ დღეს დანიშნავდა თავის ღონისძიებას.

სიკო ფაშალიშვილის ნაცნობ-მეგობართა წრე მოიცავდა სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც. მოგონებათა წიგნში იგი დიდი სითბოთი მოგვითხრობს ცნობილ სომეხ კლასიკოს ოვანეს თუმანიანთან გულითადი ურთიერდამოკიდებულების შესახებ. სიკო თბილისში მცხოვრებ მრავალ არაქართველ მოღვაწესთან მეგობრობდა.

სიკო ფაშალიშვილისათვის პირველად დიდი ოვანესის შესახებ თავის მეზობელ სომეხ ჟურნალისტს არტემ ჩილიანს უამბნია.

ერთხელ კიდევ, თბილისში გამომავალ სომხურ გაზეთ „ბანგორი ძაინის“ თანმშრომელს მისაკ ქალაშიანს მისთვის ოვანეს თუმანიანის რჩეული რობაიები უჩუქები ასეთი წარწერით: „წაიკითხე მეზობელო და მეგობარო, ჩვენ ერთმანეთის კულტურას უნდა ვიცნობდეთ. ოვანეს თუმანიანი ჩვენთვის იგივეა, რაც თქვენთვის აკაკი წერეთელი“ (43, 124). სიკოს ძალზე მოწონებია ეს რობაიები, რომელთა შინაარსს იგივე მისაკის დახმარებით ეცნობოდა.

ქართველ პოეტს გადაუწყვეტია ზოგიერთი ლექსის თარგმნა ოვანესის წიგნიდან. ამისათვის მას დახმარება უთხოვია გამოჩენილი

მხატვარ-პეიზაჟისტისთვის, კავკასიაში და რუსეთში ცნობილი გიორგი ბაშინჯადიანისთვის, რომელიც სიღნაღელი ყოფილა და ოჯახიც ქართულენოვანი ჰყოლია. ბაშინჯადიანს უცნობებია, რომ მაშინ ოვანესის ლექსების თარგმნაზე მისივე დახმარებით უკვე მუშაობდა იოსებ გრიშაშვილი და სიკოსაც ხელი აუღია თავის განზრახვაზე.

ოვანეს თუმანიანი უმთავრესად საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობდა. სწორედ აქ, თბილისში კ. ბალმონტის ლიტერატურულ საღამოზე გაეცნო მას ს. ფაშალიშვილი. ოვანესი ინტენსიურად მუშაობდა ქართულ-სომხური კულტურის ურთიერთდაახლოების საკითხებზე. იგი ხშირად საკუთარ ბინაზე აწყობდა დარბაზობებს და იწვევდა ქართველ პოეტებს. მათ შორის არაერთხელ ყოფილა ს. ფაშალიშვილიც. ოვანესისათვის „სამაგიეროს გადახდის“ საშუალება ერთხელ სიკოსაც მიეცა. კერძოდ, 1923 წლის ივლისში, თბილისში, წითელი არმიის ცენტრალურ სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ს. ფაშალიშვილმა ოვანეს თუმანიანიც მიიწვია, რასაც ოვანესი სიამოვნებით დასთანხმებია და საკუთარი ლექსის წიკითხვის სურვილიც გამოუთქვამს. მაგრამ იმ დღეებში შეუძლოდ გამხდარა და „როგორც სიტყვის პატრონს“, ამის შესახებ წინასწარ შეუტყობინებია ს. ფაშალიშვილისთვის. ოვანესის წერილი დარბაზში შეკრებილთ წაუკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ კოტე მაყაშვილმა, რომელიც უძღვებოდა ამ საღამოს. სრულად გავეცნოთ წერილს:

„პოეტ ს. ფაშალიშვილს

ძვირფასო ს. ფაშალიშვილო!

ძლიერ ვწუხვარ, რომ დამოუკიდებელი მიზეზისა გამო არ შემოძლია დავესწრო და მონაწილეობა მივიღო თქვენს საღამოში. ხელს გართმევთ და გარწმუნებთ, რომ რამდენადაც ძვირფასია ჩემთვის საქართველო და ლამაზი ქართული სული, იმდენად ძვირფასნი არიან ის ადამიანებიც, რომელნიც ამ სულის მატარებელნი და გამომსახველნი არიან. ქართველი – ეს უკვე პოეტია, ხოლო ქართველი პოეტი – ორმაგად პოეტია!

სულით და გულით გისურვებთ, წილად გხვდომოდეთ საქართველოს ბედნიერებისა და მისი ნათელი დღეებისათვის სიმღერა“.

ს. ფაშალიშვილისადმი მიწერილი ეს წერილი ოვანეს თუმანიანს შეუტანია თავისი თხზულებების მე-6 ტომში. ამჟამად, აღნიშნული წერილი ინახება თბილისის ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ს. ფაშალიშვილის პირად არქივში

(14, საქმე 21545-413, ფ. 1).

ოვანესის გარდაცვალების შემდეგ ს. ფაშალიშვილმა მიიღო სომეხი პოეტის ქალიშვილის, ოვანეს თუმანიანის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელ აშხენ თუმანიანის წერილი (14, საქმე 21547-413) ერევნიდან, რომელშიც იგი მოკრძალებით სთხოვს ქართველ პოეტს ოვანესის წერილის ერევნის მუზეუმისთვის დათმობას ს. ფაშალიშვილის ფოტოსურათის თანხლებით.

საპასუხო წერილში ს. ფაშალიშვილი დიდ მადლობას უხდის სომეხ ქალბატონს გულთბილი წერილისათვის და თავის მხრივ დასძენს: „...ყოველთვის ვიამაყებ იმით, რომ ჩემი ფოტოსურათი ერთ-ერთ ექსპონატად იქნება მისი სახელობის მუზეუმში. თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, ბედნიერად ჩავთვლი თავს ვიხილო ეს მუზეუმი" (14, საქმე 28650-9).

ს. ფაშალიშვილის წერილი დაწერილია რუსულად. მისი ქართული თარგმანი პირველად შემოგვთავაზა მკვლევარმა დ. რევიამ საგაზეთო წერილში „ძვირფას ოქროდ დარჩება" (26).

აღნიშნული წერილის ორიგინალი უკვე თბილისის ლიტერატურის მუზეუმში ინახებოდა. ამიტომ სომხეთის დედაქალაქში გაიგზავნა მისი ფოტოკოპირი სიკოს ფოტოსურათთან ერთად. ერევნის მუზეუმში დიდი ოვანესის ისტორიულ ბარათს „უმზერს... სიკო ფაშალიშვილის პორტრეტი – ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის მოწმე და საბუთი" (64).

ს. ფაშალიშვილმა „ერთა ძმობის მომდევრად" პოეტს და ქართველი ხალხის მეგობარს, დიდ სომეხ კლასიკოსს ცალკე მიუძღვნა მშვენიერი ლირიკული ლექსი „ოვანეს თუმანიანს", რომელიც მთავრდება შემდეგი სტროფით:

„ნურც ნურასოდეს დადუმდებიან,  
ჩანგზე ეგ სიმნი ოქროისანი,  
სანამ ვარსკვლავებს ერთად ხვდებიან,  
არარატის და მყინვარის მთანი".

„შემთხვევით როდი აღმოჩნდა გიორგი ბაშინჯადიანი ს. ფაშალიშვილის „შუამავალი" დიდ სომეხ მოღვაწესთან. მისი გულითადი განწყობილება ბატონ სიკოსადმი ტრადიციულად გაჰყვა ბაშინჯადიანების ოჯახს" (26). გიორგი ბაშინჯადიანი არა მარტო შესანიშნავი მხატვარი, მწერლობაშიც გაწაფული პიროვნება ყოფილა. მოთხრობებს ხშირად ქართულადაც წერდა. მისი ერთ-ერთი მოთხრობა „ახირებული მასპინძელი" 1920 წ. დაბეჭდილა გაზეთში „სახალხო

საქმე", ხოლო მის მიერ სომხურად ნათარგმნი ა. წერეთლის ლექსების ნაწილი თბილისში გამომავალმა სომხურმა გაზეთმა „შმაკმა“, უფრო ადრე, 1915 წელს გამოაქვეყნა.

გ. ბაშინჯადიანი ერთგვარად რუსთაველოლოგიც იყო. მას ზედმიწევნით სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“ და შეუსრულებია სამი სურათი უკვდავი პოემის მიხედვით. სიღნაღში, ბაშინჯადიანების ოჯახი, როგორც ვთქვით, ქართულენოვანი იყო და ს. ფაშალიშვილთანაც ქართულად ჰქონია მიმოწერა. მხატვრის შვილებს მიზნად დაუსახავთ თავიანთი სახელოვანი მამის მოღვაწეობა აღეწერათ და თანამედროვეობისათვის გაეცნოთ. თავის დროზე ს. ფაშალიშვილს ქართულად გაუწვია გ. ბაშინჯადიანის ზემოხსენებულ მოთხრობაში ჩართული ლექსი. 1963 წ. 22 იანვარს გამოგზავნილ წერილში (14, საქმე 28650-93) – მხატვრის ქალიშვილი ა. ნიკოგოსოვა (ბაშინჯადიანი) დიდ მადლობას უძღვნის ქართველ პოეტს აღნიშნული ლექსის ქართულად გაწვობისა და თარგმანის შესახებ სასარგებლო რჩევებისთვის. ს. ფაშალიშვილის წერილი მას გაუგზავნია ერევანში თავისი ძმისთვის, ზაქარია ბაშინჯადიანისთვის, რომელიც იმ დროს სომხური პრესისთვის ამზადებდა წერილს თავისი მამის ქართულ მწერლობასთან ლიტერატურული კავშირის შესახებ, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორისადმი დამოკიდებულების საკითხებთან დაკავშირებით. ზაქარია ბაშინჯადიანი ერევნიდან გამოგზავნილ წერილში (14, საქმე 28650-84). ს. ფაშალიშვილს ატყობინებს, რომ სხვისაგან გაუგია „დაუვიწყარ შეხვედრებში“ გ. ბაშინჯადიანზე მოგონების შესახებ. იგი სინანულს გამოთქვამს წიგნის უქონლობის გამო და უმორჩილესად სთხოვს, იქნებ წერილით აცნობოს, რაც კი მხატვრის ცხოვრებასა და საქმიანობაზე იცის. ეს ყოველივე მას სჭირდებოდა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებელი წერილისთვის, რომელზეც იმუშავდა მუშაობდა.

ს. ფაშალიშვილს მისთვის ჩვეული გულისხმიერებით შეუდგენია საპასუხო წერილი, რომელიც მოგონებების წიგნთან და სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნესთან“ ერთად გაუგზავნია ქ. ერევანს.

ზაქარია ბაშინჯადიანი თვითონაც დაინტერესებული ყოფილა რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული საკითხებით. 1966 წ. 13 ივლისს ქ. სტავროპოლიდან გამოგზავნილ წერილში (14, საქმე 28650-85). იგი ს. ფაშალიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან და მის ავტორთან დაკავშირებულ მრავალ

საკითხზე სთხოვს განმარტებებს. ქართველ პოეტს, ცხადია, არც ეს დელიკატური თხოვნა არ დაუტოვებია ყურადღების მიღმა და დამატებითი მასალები გაუგზავნია სომეხი მეგობრისთვის.

შოთა რუსთაველის პოემის გ. ბაშინჯადიანისეულ დისურათებას ჩვენში „იმთავითვე ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოება. გაზეთი „ივერია“ – 1889 წელს წერდა... უფრო მოგვიანებით იოსებ გრიშაშვილი გამოეხმაურა პრესაში... ძალზე საგულისხმოა მიხეილ ჯავახიშვილის ნააზრვეი მხატვრის მანერაზე...“ (26)

რაც შეეხება მიმოწერებს, იგი დამეგობრებული სომხურ-ქართული ოჯახების შთამომავლებშიც გრძელდებოდა.

ს. ფაშალიშვილის „დაუვიწყარი შეხვედრები“ კიდევ მრავალ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს. მასში მკითხველი ბევრ უცნობ ეპიზოდს შეხვდება იროდიონ ევლოშვილის ცხოვრებიდან („ხალხის სიყვარულში დაფერფლილი გული“), რომელსაც ვიცნობთ თავისი ტრაგიკული ბედით. ავტორი დაწვრილებით სწორედ მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ წერს.

წიგნის ერთი მონაკვეთი, სათაურით „რაინდი მგოსანი“ ეძღვნება კოტე მაყაშვილის გახსენებას, რომლის შესახებაც ვახტანგ კოტეტიშვილს დერპტის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნისას წაუკიხავს შესანიშნავი ლექცია სათაურით „სადი გული“. შემდეგში, ურთიერთშეხვედრისას, კოტეს მადლობა გადაუხდია ვახტანგ კოტეტიშვილისათვის და უთქვამს: „შეიძლება ყველაფერში მართალი იყოთ, მაგრამ სადი გული კი ტყუილად მომაკერეთ. ათასი ისრით დაჭრილი გული სადი როგორ იქნებაო“ (43, 190). მართლაც, ღრმად დაჭრილ გულს დაატარებდა იგი საყვარელი შვილის, მაროს უდროო და ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ.

ვაჟა-ფშაველას ვრცელი მოგონების შემდეგ, ს. ფაშალიშვილი არც თედო რაზიკაშვილს ივიწყებს, რომელთანაც უშუალო სიახლოვე აკავშირებდა. წიგნის ავტორმა მას „არაგვის ნათლული“ უწოდა. ერთხელ, სადღეგრძელოში უთქვამს თედოს: „ჩვენი ვაჟა არაგვის შვილობილია, ჩვენ კია, მე და ბახანაი – მისი ნათლულები ვართ!“ (43, 176).

1913 წლის აპრილში, გორში გამართულ ს. ფაშალიშვილის ლიტერატურულ სადამოს ესწრებოდნენ თედო რაზიკაშვილი, კიტა აბაშიძე, ქუთაისიდან საგანგებოდ მოწვეული დავით კლდიაშვილი... სადამოს შემდეგ კლუბის რესტორანში გაშლილ სუფრას თედო რაზიკაშვილი თამადაობდა. ვახშმის



სუფრასთან იმყოფებოდა პოლონელი ოფიცერი, ვინმე ბიკოვი. თედოს, მიუხედავად თავისი „ბურსაკული რუსულისა“ (ასე დასცინოდა საკუთარ თავს აქცენტის გამო), მოუხიბლავს თანამესუფრენი სტუმართა შეკავშირების უნართა და საინტერესო სიტყვებით. ბიკოვის პატივსაცემად კი მოუხმია მიცკევიჩისა და სენკევიჩის ნაწარმოებთა მნიშვნელობა ცარიზმის წინააღმდეგ პოლონელი ხალხის შეუდრეკელი ბრძოლის საქმეში და პარალელები გაუვლია ქართული ლიტერატურის მებრძოლ იდეებთან.

„Будет свободная Польша, будет свободная Грузия. Да здравствует час освобождения! – წამოიძახა მან და სადღეგრძელო მიცკევიჩის სიტყვებით დაასრულა“ (43, 184).

შედვინებულ დამსწრეთა შორის ამ სიტყვებს აღტაცება გამოუწვევია. ბევრი გაბედული სადღეგრძელო თქმულა. უეცრად რესტორნის შორეული კუთხიდან გამოჭრილა პოდპოლკოვნიკის სამხრებიანი რუსი ოფიცერი და შეზარსოშებულს თურმე თედოსთვის შეუტევია:

„–Итак, значит, господа, вы призываете к бунту, не правда? Господин офицер, - მიუმართავს ბიკოვისთვის, - говорил, что Польшу надо освободить, так? и Грузию тоже, так?“ (43, 184).

ასეთ პროვოკაციულ გამოხტომას უეცრად დაბნეულობა გამოუწვევია იქ მსხდომთა შორის, მაგრამ არ შემდრკალა სუფრის თამადა. თედოს რუსი ოფიცრისთვის მეტიჩარა უწოდებია და მკაცრად მიუთითებია წესრიგისაკენ. რუსი ოფიცერი ამას თურმე არ მოელოდა და შემკრთალა, რადგან თედოს შემდეგ იგი მრისხანედ დაუტუქსავს დავით კლდიაშიელს, რომელმაც, მიუხედავად სიღინჯისა და თავმდაბლობისა, „უეცარი გულის მოსვლა იცოდა და ასეთ შემთხვევაში კი არავის დაზოგავდა, მით უმეტეს ცეცხლს დააყრიდა თუ ასეთი ახირებული ჩინოვნიკი ჩაუვარდებოდა ხელში“ (43, 184). თედოს მოხერხებულმა „გაღმა გადავებამ“ და „ღინჯი დავითის“ „მრისხანე შეტევამ“ უცხო ოფიცერი დააბნია. მას ბოდიში მოუხდია და განუცხადებია, რომ მხოლოდ „თავისი დამატებების“ შეტანა სურდა ორატორთა სიტყვებში.

ს. ფაშალიშიელის წიგნის ნათელი ფურცლებია მოგონებანი ვანო სარაჯიშიელზე, სანდრო ახმეტელზე, ვასო გოძიაშიელზე, ვალერიან გუნიაზე, ტასო აბაშიძესა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებზე.

მოგონებათა ავტორი უპირველესად ხაზს უსვამს ვანო სარაჯიშიელის ქართულ ხასიათს. მილანიდან ახლადსწავლადამთავრებული მომღერალი

თბილისში ჩამოსულიყო. მაშინ რუსეთიდან თუ ევროპა-ამერიკიდან „მრავალი მოპატიჟე“ გასჩენოდა მას, რომლებიც „ოქროთი სავსე პეშვებსაც უწვდიდნენ“, მაგრამ ვანო პირველ რიგში თავს ქართველ კაცად თვლიდა და როგორც მომღერალს, საკუთარი დაგაჟაკებით, თავისივე ოჯახში სურდა დამტკბარიყო. იმდროინდელი რომანსი, რომელიც კი იწერებოდა, მოწმდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი გამოვიდოდა იგი სარაჯიშვილის შესრულებით. რაც ქართული რომანსები მოგვეპოვება, მხოლოდ ვანოს შესრულებით შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ ქართულ და კარგ რომანსებად – ვკითხულობთ „დაუვიწყარ შეხვედრებში“. ავტორის თქმით, ვანო იყო საოცრად მოუსვენარი და დაუდგრომელი კაცი – სპორტსმენი, მონადირე, მოცეკვავე, სალამურზე დამკვრელი, ყველაფრის მიმღევარი, რასაც კი სიცოცხლისათვის ხალისის შემატება შეეძლო.

1922 წ. ივნისში ვანო სარაჯიშვილმა მონაწილეობა მიიღო ს. ფაშალიშვილის ლიტერატურულ საღამოში. ორი წლის შემდეგ კი პოეტს ბედმა არგუნა ვანოს ძმური პატივისცემა სამგლოვიარო ლექსით გადაეხადა და საქართველოს ბუღბული მწუხარე სტიქონებით გაეცილებინა ამ ქვეყნიდან. ს. ფაშალიშვილის ლექსი ასე მთავრდება:

„დღეს შენც გაცილებს შოპენის მარში  
და „თავო ჩემო“ ისმის მკენესავი,  
დღე კრთება მწარე ცრემლების ღვარში,  
სარაჯიშვილის სიცოცხლესავით!“

„ნუ გაგიკვირდებათ, ზოგჯერ კაცს თავისებური პოეზიაც გაიტაცებს ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მას ლექსების წერასთან საქმე არა აქვს!“ (43, 171). ამ აზრს ს. ფაშალიშვილი ალექსანდრე ახმეტელაშვილის (იგივე სანდრო ახმეტელის - თ. გ.) უცნაური ბუნებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე გამოთქვამს. ავტორისავე თქმით, სანდრო თავიდან ტექნიკოსობდა კიდევ. ცხრაასსუთიანი წლების ბობოქარ დღეებში ბომბებს ამზადებდა და რევოლუციონერებს აწვდიდა. თუ სოფლად იყო, თავისი დროის ახალგაზრდებს თეატრალურ ცხოვრებაში აბამდა, ჭარმაგებს კოოპერაციული ამხანაგობების დაარსებაში ეხმარებოდა, სიღნაღსა და წნორში თამბაქოს წარმოებას ქადაგებდა. იყო ხალისით სავსე კაცი, უცნაური მოფიქრებებისა. ერთ დროს მონოპლანის შექმნის იდეაც აწუხებდა თურმე. კიდევაც დაამზადებინა ქვემოთაჩხაანელ დურგალს სათანადო ხელსაწყოები და ავიაგამოცდაც

ჩაუტარებია „მთადიდებულზე“, მაგრამ, რასაკვირველია, ცდას მარცხი განუცდია.

მოგონებათა ავტორი ზედმიწევნით ახლოს იცნობდა სანდროს, ვინაიდან იგი ქიზიყში, მეზობელ სოფელ ანაგაში ცხოვრობდა და მთელ დროს მანხაანში ატარებდა. ზემო მანხაანში მასწავლებლობდა მისი მეუღლეც ანასტასია როსტომაშვილი. სწორედ მაშინ, 1908 წელს გადაიხადეს მანხაანელებმა აკაკის იუბილე, რომელშიც ყმაწვილმა სიკომ მიიღო მონაწილეობა. მაშინ იგი პირველად გამოვიდა სცენაზე ხალხის წინაშე. მომავალი მწერალი თვითონ უყურებდა, თუ როგორ ამზადებდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს სცენაზე გამოსასვლელად ჯერ კიდევ თეატრალურ ცხოვრებაში უცნობი ალექსანდრე ახმეტელაშვილი. მოგონებათა ავტორმაც რა იცოდა მაშინ, რომ მომავალი დიდი თეატრალის გაკვეთილებს ესწრებოდა. შემდეგში ამ დღეების გახსენება მწერლისთვის ყოველთვის სიამაყის მომგვრელი იყო.

თბილისში ჩამოსვლის პირველსავე დღეებში სიკო ფაშალიშვილი დაუახლოვდა იოსებ გრიშაშვილს, რომელიც, გარდა იმისა, რომ ცნობილი პოეტი იყო, თეატრლობდა კიდევ. იგი ქართულ თეატრში მოკარნახედ მუშაობდა, ძალზე დაახლოებული იყო ვასო აბაშიძესთან, ვალერიან გუნიასთან, ტასო აბაშიძესთან და იმდროინდელი ქართული თეატრის სხვა კორიფეებთან. ი. გრიშაშვილთან სიახლოვემ სიკოც მალე დაახლოვა თეატრთან. როგორც თავის მოგონებებში აღნიშნავს, ქართული თეატრის „მეტად ხშირი სტუმარი“ იყო და „მშვენიერ მსახიობთა“ დასში ტრიალებდა. იმხანად სიკო თვითგანათლებას ეწაფებოდა, ბევრს კითხულობდა, ლაპარაკის სტილს ხეწდა. ამასთანავე, მშვენიერ ლექსებს წერდა, ხშირად საუბრობდა თეატრალურ საკითხებზე ვასოსთან, ვალერიან გუნიასთან, ლადო ალექსი-მესხიშვილთან, რომელთაც თანდათან „ჭკუაში უჯდებოდათ“ ახალგაზრდა პოეტის საუბრები და მალე უკვე „შორეულ კაცად“ აღარ მიაჩნდათ.

ეს შესანიშნავი დასი თან ახლდა სიკოს ზესტაფონში გამართულ ლიტერატურულ სადამოზე 1917 წლის ზაფხულში. ეს სადამო ახალგაზრდა პოეტს მარო მდივანმა და ვასო ურუშაძემ მოუწყვეს ვასო აბაშიძის მონაწილეობით. ხალხით გატყედილი იყო ზესტაფონის თეატრის დარბაზი. სადამომ ტრიუმფით ჩაიარა. სიკოს გვერდით ხშირად იდგნენ და ურთიერთობდნენ შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ვალერიან შალიკაშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი და სხვები.

1923 წლის ზაფხულში წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში გამართულ

ს. ფაშალიშვილის ლიტერატურული საღამოს მშვენებას წარმოადგენდა ალექსანდრე იმედაშვილისა და ტასო აბაშიძის დუეტი. მათ მიერ მოხდენილად გათამაშებულ ვოდვილს, მშვენიერ ვოკალურ ნაწილსა და პოეზიის განყოფილებას შესანიშნავი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრე საზოგადოებაზე.

სიკოს ბედმა გაუღიმა და ბავშვობაშივე გაეცნო ვალერიან გუნიას, ვასო აბაშიძეს, ნიკოლოზ (კოლა) ერისთავს, და ლადო ალექსი-მესხიშვილს, რომლებიც სიღნაღთან და მანხანთან ნათესაურად ყოფილან დაკავშირებული და ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე მას. სიკო გადმოგვცემს იმ ბავშვური ცნობისმოყვარეობის შესახებ, რასაც განიცდიდა ამ „დიდებული სტუმრების“ ხილვისას. მწერალს გული წყდება, რომ ყრმობისდროინდელი ამბების გახსენება სიბერეში უხდება, კერძოდ მაშინ, როცა მოგონების ადრესატთაგან არც ერთი უკვე ცოცხალი აღარ იყო და დაგვიანებისათვის თავისადმი გულისწყვეტას გამოთქვამს. უფრო კმაყოფილი დარჩებოდა, რომ მოესწრო და ეს მოგონებანი მკითხველისთვის მათსავე სიცოცხლეში გაეზიარებინა. იქვე აღნიშნავს, რომ განვლილი ნახევარი საუკუნე მწერალს არა მარტო მათი განუმეორებელი ტალანტის თაყვანისცემაში გაუტარებია, არამედ მათთან სიახლოვესა და მეგობრობაში. იმავე დროს სიკოსთვის დაუვიწყარია ის დიდი ამაგი და ყურადღება, რასაც ისინი იჩენდნენ ახალგაზრდა დრამატურგისადმი.

მოგონებათა ავტორი თავისი ხანდაზმულობის გადასახედიდან გასცქერის ნახევარსაუკუნოვანი დროის მონაკვეთს და ნათლად ხედავს დაუვიწყარ ადამიანებს, რომელთაც მის თვალწინ გაუვლიათ, მათი ხმა ხსოვნაში დაუვიწყარად ჩარჩენია. ხშირად შეხვედრია და პირადი ურთიერთობა ჰქონია აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, იაკობ გოგებაშვილთან, იროდიონ ევდოშვილთან, დავით კლდიაშვილთან, კოტე მაყაშვილთან, ვასილ ბარნოვთან, ოვანეს თუმანიანთან, კოტე მარჯანიშვილთან, ლადო მესხიშვილთან, ალექსანდრე სუმბათაშვილთან, ზაქარია ფალიაშვილთან, დიმიტრი არაყიშვილთან, ნინო და უშანგი ჩხეიძეებთან და სხვა მრავალ გამოჩენილ პიროვნებასთან. მოწმე ყოფილა იმ დღეებისა, როცა იქმნებოდა და სცენაზე იდგმებოდა „აბესალომ და ეთერი“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მისი თანამედროვე სხვა შედეგები.

მწერალი თაყვანისცემით იხსენებს თავისი მასწავლებლებისა და მზრუნველების უძვირფასეს სახელებს: ნინო და კოტე ყიფიანებს, მარიამ

ორბელიანს, პეტრე მირიანაშვილს, ნინო და ილია ნაკაშიძეებს, ივანე გომართელს... მეგობრობაში უფროსებს და თანშეზრდილებს - კონსტანტინე რაჭველიშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს, მაქსიმე ბერძენიშვილს და მრავალ სხვას, რომელთა სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია. სიკოს თქმით, მთელი ტომიც ვერ დაიტევს იმ სახელებს და კეთილ საქმეებს, რომელთა „დამკვიდრების მოწმე“ თვითონ ყოფილა და „გულში ჩაჰბეჭდია როგორც დიდი სიხარული“.

ს. ფაშალიშვილის მემუარები მარტო „დაუვიწყარი შეხვედრებით“ არ ამოიწურება. მწერლის პირად არქივში ინახება სახელოვან ადამიანებთან ურთიერთობის ამსახველი მრავალი მოგონება, მილოცვა და წერილი, რომელთა მწერლური დახვეწა და მემუარების წიგნში შეტანა მიზანშეწონილად აღარ მიუჩნევიან.

შეიძლება ითქვას, „დაუვიწყარი შეხვედრები“ ავტორის ერთ მთლიან მხატვრულ-ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენს. იგი თავგადასავალთა პოეტურ თხრობას ჰგავს, რომელსაც ჰყავს მოქმედი პირები - თეთრად თმდათოვლილი დიდი აკაკი, მთის არწივი ვაჟა-ფშაველა, იროდიონ ევდოშვილი თავისი ტრაგიკული ბედით, კოტე მაყაშვილი - გარეგნული ზვიადობით, შინაგანი სითბოთი და „დაჭრილი გულით“, ოვანეს თუმანიანი - ბრწყინვალე წერილითა და უფრო ბრწყინვალე აზრით ქართველთა პოეტობაზე. თედო რაზიკაშვილი – ჩამწარებული სიცოცხლით, ნიკო სულხანიშვილი – უიღბლო, უდროოდ წასული ამქვეყნიდან... ჩვენს თვალწინ იშლება ნათელი ფურცლები სიკოს მეგობრობისა და ვით კლდიაშვილთან, ვანო სარაჯიშვილთან, კიტა აბაშიძესთან. წიგნის ღირსება ის არის, რომ მრავალი რამ მივიწყებული და საერთოდ უცნობი, მკითხველი საზოგადოებისთვის ამ წიგნით ნაცნობი გახდა. ს. ფაშალიშვილის მემუარების საშუალებით გავიგეთ ბევრი რამ ახალი და საინტერესო, არა ზერედე და ყურმოკრული, არამედ თვით ავტორის მოსმენილი და ნახულ-განცდილი, მხატვრულად აღწერილი. წიგნი თავგადასავალთა და მოგონებათა პოეტური თხრობაა. ამიტომაც იგი ასე საინტერესოდ იკითხება.

## გ) პუბლიცისტიკა

ს. ფაშალიშვილის შემოქმედებას ყოველთვის თან ახლავს მკვეთრი

პუბლიცისტური პათოსი. პუბლიცისტური სახით წარმოჩენილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ სამეურნეო მდგომარეობის ამსახველ საკითხებს მწერლობა ყოველთვის ფართოდ ეხმიანებოდა. ს. ფაშალიშვილის გადმოცემით, მწერალთა კავშირის სხდომაზე პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა წამოჭრა ნარკვევის საკითხი და დარბაზში მსხდომთ სთხოვა აზრის გამოთქმა თვით ნარკვევის სახეობაზე და მის მიზანდასახულობაზე (საქმე ეხება ნარკვევის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით 1934 წლის ცნობილ პოლემიკას, რომლის წამომწყებიც ს. ჩიქოვანი გახლდათ). აღნიშნული სხდომა აყალიბებდა აზრს „ნარკვევების მხატვრული ლიტერატურის დარგიდან განკვეთის შესახებ, მაგრამ ჟანრმა მაინც დაიცვა თავისი უფლება. მის დასაცავად გამოვიდნენ... კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტო" (41, 25). აღნიშნულ პოლემიკაში აქტიურად ჩაერთო ს. ფაშალიშვილი. მაშინ სხდომამ მხარი დაუჭირა წამოჭრილი საკითხის განხილვას. მხატვრული ნარკვევის ამ ლიტერატურული ჟანრისათვის სახელის დარქმევის საქმე მაშინდელ მწერლობაში დაგვიანებულადაც მიიჩნიეს. აღინიშნა, რომ ეპოქამ ეს საკითხი სტიქიურად წამოჭრა.

ს. ფაშალიშვილი თავის ვრცელ გამოსვლაში მიესალმა ს. ჩიქოვანის მიერ ნარკვევის პრობლემის ასე აქტუალურად და ორგანიზაციულად დაყენების ინიციატივას, ვინაიდან, მისი აზრით, უკვე დამკვიდრდა დროის ძირითადი მოვლენების ფართო მასებისათვის გაცნობის მეთოდი.

მწერლის თვალთახედვით, ამ კუთხით თავისებური უარყოფითი მხარეებიც წარმოჩინდა – გახშირდა „ნარკვევის გახალტურების" შემთხვევები. ამიტომ მისი მოწოდებით, ქართულ მწერლობას ხელში უნდა აეღო ის საჭე, რომელიც წამყვან გზას მისცემდა მხატვრული ლიტერატურის ამ მეტად საინტერესო ჟანრს, ნარკვევს, იგივე პუბლიცისტიკას. აქედან საჭირო გახდა მხატვრული ნარკვევის ძირითადი ხასიათის, დანიშნულების განსაზღვრა, მისი, ასე ვთქვათ, სტილის დადგენაც.

ამ მიმართულებით სხდომაზე საინტერესო დებულებები იქნა მოსმენილი. გამომსვლელებმა დაასახელეს მრავალი მასალა, როგორც მხატვრული ნარკვევები, ანუ ისეთი ნაწერები, რომლებიც თავისი აღნაგობით მათ უახლოვდება. დასახელებული იყვნენ როგორც უცხო, ისე ქართველი კლასიკოსები საკმაოდ შორეული წარსულიდანაც კი. ითქვა, რომ უწინდელ დროში პუბლიცისტური ჟანრის, იგივე ნარკვევის, შესახებ არავინ საუბრობდა, მაგრამ ნარკვევს ყოველთვის უნდა ჰქონდეს ეპოქის შესატყვისი

მიზანდასახელობა.

მწერალთა კავშირის აღნიშნულ სხდომაზე, ს. ფაშალიშვილის თქმით, ნარკვევის ავტორებად დაასახელეს იოანე ბატონიშვილი („კალმასობა“), პლატონ იოსელიანი, სულხან-საბა, გიორგი მერჩულე, ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, გ. წერეთლის „კიკოლიკი-ჩიკოლიკი...“ და სხვები. „მე ვფიქრობ საკითხის ასე დაყენება არ არის სწორი... მიუხედავად აქ დასახელებულ ნაწარმოებთა გენიალურობისა, არც ერთი მათგანი არ შეიძლება აღიარებული იქნას როგორც ისეთი ნარკვევის ტიპური ნიმუში, რომელსაც მოქალაქეობა უნდა მისცეს ჩვენმა ეპოქამ, როგორც თანამედროვე მხატვრულ ნარკვევს. იმიტომ კი არა, რომ ისინი ჩვენი დროის პრობლემებს არ ეხებიან, არამედ იმიტომ, რომ მათ სრულიად სხვა სახე და ხასიათი აქვთ“ (14, საქმე 28649-3, ფ. 2). მართლაც, მათი უმრავლესობა სამოგზაურო აღწერილობაა, ნაწილი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიულ მიმოხილვას შეიცავს, ხოლო ზოგიერთი დღიურებს განეკუთვნება. მწერალს მაგალითისათვის მოჰყავს „მგზავრის წერილები“ და აღნიშნავს, რომ იგი შეიძლება ყველაზე უდავო ნარკვევად იქნას მიჩნეული, ოღონდ შესაბამისად თავისი ეპოქისა: „ის ილიას ან მისი პოლიტიკურ - საზოგადოებრივი კრელოს სქემა უფროა, შესანიშნავი ლირიკულ - ელეგიური შესავლით და პოლიტიკური დასკვნით“ (14, საქმე 28649-3 ფ. 2).

ს. ფაშალიშვილის აზრით, ჩვენს ნარკვევს არ ევალება რომელიმე სამეურნეო დარგობრივი პრობლემის გადაჭრა ან საზოგადოებრივ - პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა. ასეთ საკითხებს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა და ისტორია გადაჭრის. ჩვენი ნარკვევის მოვალეობას უნდა შეადგენდეს ისტორიის მიერ გადაწყვეტილი პრობლემების საფუძველზე ქვეყანაში შექმნილი რეალობის ჩვენება და არა მათი უშუალო გადაჭრა, თუმცა ხსენებულ პრობლემათა გადაჭრისათვის ბრძოლის არცთუ პასიური მონაწილის როლი შეეხება. მწერალი, ხშირად, თავისი მახვილი თვალით უფრო ადრე დაინახავს ეპოქალური მნიშვნელობის სირთულეებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა. რაც უფრო დიდია შემოქმედი, რამდენადაც ახლოს იცნობს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და დროებას – აწმყოს და ნამყოს, მით უფრო სრულყოფილად ასახავს არსებულ სინამდვილეს, ან მომავლის მოსალოდნელ ძვრებს.

ს. ფაშალიშვილი რამდენიმე სიტყვით ჩერდება „ნარკვევის“, როგორც ასეთის, ტერმინის შესახებ და მართებულად მიანიშნებს, რომ ნარკვევი გამორკვევის შედეგია. მისი აზრით, სიტყვა „ნარკვევი“ მთლიანად განსაზღვრავს

როგორც მის შინაარსს, ისე მის დანიშნულებასაც. სრულიად ზედმეტად მიაჩნია ყოყმანი იმაზე, თუ რამდენად შესაფერისია სიტყვა „ნარკვევი“ ასეთი ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებისათვის.

ს. ფაშალიშვილი არ გამორიცხავს, რომ ყველა მწერალი შეიძლება ვერ წერდეს ნარკვევს. იგი შეეხო ზემოაღნიშნულ სხდომაზე კ. გამსახურდიას სიტყვაში ჩამოყალიბებულ აზრს, რომ ნარკვევის ხარისხის ბედი დამოკიდებულია მწერლის მარჯვენაზე. ამ წინადადების საპირისპირო მაგალითად ს. ფაშალიშვილი იმოწმებს გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის სახელს, რომლის მიმართ უდიდეს მოწიწებას იჩენდა კ. გამსახურდია: „ჭეშმარიტად „ციდან ჩამოვარდნილი“ მწერალია იგი... ჭაბუკობისას მიგემია მისი სურნელოვანი რომანები" (5, 25). ს. ფაშალიშვილს შეაქვს კორექტივი კ. გამსახურდიას სიტყვაში და აზუსტებს, რომ კარგი მარჯვენა კიდეც არ წარმოადგენს ნარკვევის წერის სრულ გარანტიას. „თუნდაც ისეთი მსოფლიო ავტორიტეტი, დიდი მწერალი, როგორც კნუტ ჰამსუნია... მან საქართველოში მოგზაურობის დროს დაწერა ისეთი ტიპის მიმოხილვა, როგორსაც აქ ნარკვევები უწოდეს. გროშად არ ივარგა, მიუხედავად კნუტ ჰამსუნის „კარგი მარჯვენისა“ და გენიალური კალმისა" (14, საქმე 28649-3, ფ. 3).

ს. ფაშალიშვილს შემდეგ მოჰყავს მაგალითები ქართული მწერლობიდან და აღნიშნავს, რომ ბოლო დროს ლიტერატურულ პრესაში ხდებოდა ნარკვევების დემონსტრაცია, რომელთა ავტორები ჩვენი „სახელმძღვანელო მწერლები არიან, მათ საუცხოო მარჯვენა აქვთ ლექსებისა თუ მოთხრობების წერაში, მაგრამ მათი ნარკვევების დიდი უმრავლესობა მეტად მოისუსტებდა. თვალსაჩინო ნაწილი კი იმდენად უვარგისი იყო, რომ აი, ამ დარბაზში „ხალტურაც“ უწოდეს" (14, საქმე 28649-3, ფ. 3). იქვე მიაჩნებს, რომ ნარკვევს აქვს თავისი სპეციფიური რაღაც საიდუმლო რგოლი, რომელსაც მწერალი თუ ვერ იპოვის, მაშინ მარჯვენაც ვერ უშველის, ასევე, ვერც ცალ-ცალკე - კარგი ბელეტრისტობა და კარგი პოეტობა.

ს. ფაშალიშვილის მთელი შეგნებული სამწერლო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, დაემთხვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და მკაცრი დიქტატურის პერიოდს. იმ დროს, ისე როგორც სხვა ყველა, სიკოც უნდა დამორჩილებოდა პარტიულ-ადმინისტრაციულ მოთხოვნებსა და მითითებებს. მწერალი თავის სიტყვაში კიდეც აღიარებს, როცა აღნიშნავს, რომ ნარკვევი მარტო ბელეტრისტული მიდგომითაც ვერ დაიწერება,



რადგან ბელეტრისტიკას უყვარს ფაქტების თვითნებური დალაგება, ზოგჯერ მათი შექმნაც და ისეთი არქიტექტურული შენობის აგება, რომელიც კიდევ არი და არც არის სინამდვილე. ასეთი ნარკვევის დაწერისას „მეორე დღესვე ფეხზე დადგება პარტკომი, პროფკომი თუ ღირექცია. მარტო მზა ფაქტებიც არ მოგცემთ ნარკვევს, იგი მშრალი საანგარიშო მოხსენება გამოგივათ. მაშასადამე, აქ საჭიროა პოლიტიკურ-მხატვრული ალღო, ჟურნალისტისა და ბელეტრისტის შეერთება და რა თქმა უნდა კარგი მარჯვენაც" (14, საქმე 28649-3, ფ. 4).

ს. ფაშალიშვილის აზრით, ჩვენს მწერლობაში თითქმის ყველამ სცადა კალამი ნარკვევის წერაში, ბევრმა მათგანმა გამოიჩინა თავი როგორც ამ საქმეში მაღალი ნიჭით დაჯილდოებულმა.

მწერალი იქვე შეეხო პარალელების საკითხსაც. მაგალითისათვის მოიყვანა მწერალ კ. მელაძის უარყოფითი დამოკიდებულება ნარკვევებში პარალელების – ძველისა და ახლის შეპირისპირების საკითხზე. სიკო, ისე როგორც ზოგიერთი სხვა, არ დაეთანხმა კ. მელაძის დებულებას და დროის მოთხოვნების შესაბამისად დაასკენის, რომ ძველისა და ახლის პარალელი აუცილებელია, მხოლოდ სხვა რამეა, თუ ნარკვევის ავტორი ხელს მიჰყოფს ძველის იდეალიზაციას. ეს ყოველივე, როგორც მწერალი მიგვანიშნებს, მისი პირადი დაკვირვებიდან მომდინარეობს.

ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ მწერალთა წრეში, თავის დროზე, ნარკვევის საკითხი მნიშვნელოვანი კამათის საგანად იქცა. როგორც ცნობილია, ლიტერატურისმცოდნეთა დიდი ნაწილის აზრით ნარკვევი მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელშიც სინამდვილის ასახვა პუბლიცისტურ ასპექტში ხორციელდება. ნარკვევის ავტორი ახდენს არსებული რეალობის თავისებურ ახსნას და ჩვეულებრივ კომენტარებას რეალურად არსებული ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვის დროს. ზოგჯერ ნარკვევში მხატვრულ ელემენტს განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი აქვს მინიჭებული. განსაკუთრებით მთავარია სახეების მხატვრულად წარმოჩენა, თუმცა „მაღალოსტატურად დაწერილ ნარკვევში პუბლიცისტურიც ცოცხლად, ხალისიანად გადმოიცემა, პუბლიცისტურიც ისევე განსაკუთრებულია, როგორც სინამდვილის თემატური მასალა" (18, 4-5) - ამბობს მკვლევარი დ. იოვაშვილი ს. ფაშალიშვილის ნარკვევებთან დაკავშირებით

1934 წელს „სახელგამმა" ცალკე წიგნად გამოცა ს. ფაშალიშვილის ნარკვევების კრებული, რომელსაც „ძველ ყამირებზე" ჰქვია.

აღნიშნულ წიგნში ავტორის ნარკვევთა უმეტესი ნაწილია შესული. ზოგიერთი გამოქვეყნებულია ქართულ პრესაში. „ეს ნარკვევები... ეხება მოვლენებსა და ადამიანებს, რომელთაც ავტორი იცნობს არა ერთის ნახვით, უბრალო თვალის გადავლებით... ზედმიწევნით ფლობს მთელ მასალას, რის გარშემოც წერს. ეს მასალა მას გულმოდგინედ აწონილ-დაწონილი, გაფილტრული შემოაქვს თხრობაში“ (18, 80). ძირითადი ბეჭდვითი ორგანო, რომელშიც ს. ფაშალიშვილის ნარკვევები იბეჭდებოდა, იყო გაზეთი „მუშა“. აღნიშნული ნარკვევები ძირითადად საბჭოთა ეპოქის კახეთის რეგიონის სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების (მევენახეობა, მეცხოველეობა, მარცვლეულის წარმოება, სამედიკალინო მშენებლობანი...) განვითარებისათვის მიმდინარე მნიშვნელოვან ძვრებს ასახავს, როცა კომუნისტური ენთუზიაზმი იყო ხელისუფლებისგან მიზანდასახული საყოველთაო მოწოდება მშრომელი მასების გპირული შემართების გამოსავლენად. იმდროინდელი კახეთი ეგრეთწოდებული „დამკვრელი“ შრომის ჩასაბარებელი გამოცდების უნივერსიტეტად იქცა, რაშიც სოფლის მშრომელებმა, სწორედ საბჭოთა ხელისუფლების სახელმწიფოებრივი დიქტატურის წყალობით, თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალ დარგში.

ს. ფაშალიშვილის ნარკვევები იწერებოდა მაშინ, როცა საბჭოთა ცხოვრების წესი მყარად ფეხმოკიდებული იყო. მწერლის კალამს უცილობლად თან უნდა ხლებოდა დროის შესაბამისი იდეოლოგიური გამართულობა. სხვაგვარად წერისა და აზროვნების უფლება არავის ჰქონდა.

მწერალი ნამდვილი მხატვრული გემოვნებით, მწერლური ხელოვნების მაღალი ოსტატობით მკითხველის თვალწინ წარმოაჩენს კახური ვაზნარის, უდაბნოს აყვავების, ალაზნის აუზის, შირაქის საძოვრების თვალწარმტაც სურათებს და იმ წარმატებებს, რომელსაც იმდროინდელმა საზოგადოებამ გარკვეულ ეტაპზე მიაღწია.

ს. ფაშალიშვილის პუბლიცისტური ნარკვევები არა მხოლოდ დოკუმენტური და ციფრული ანარიცხებია იმდროინდელი ეპოქის გარკვეული მიღწევებისა, არამედ ისინი წარმოადგენენ ავტორის შემოქმედებითი ოსტატობის შესანიშნავ ნიმუშებს.

წიგნი „ძველ ყამირებზე“ ერთგვარი სრულყოფილებით ასახავს კახეთის შემოგარენში გაშლილ შრომით საქმიანობას, რის შედეგადაც მრავალი ხრიოკი და ჯაგნარი ნამდვილ ბაღნარად გადაიქცა. ერთ - ერთ ასეთ ნარკვევს

წარმოადგენს „უდაბნო“. „დღეს გულში სურვილი ჩავიდე, ჯიბეში ბლოკნოტი და ჰაიდა თრიალეთისაკენ" (41, 5), მოგვითხრობს ავტორი თავისი შემოქმედებითი მოგზაურობის შესახებ.

წიგნის შესავალ ნაწილში ს. ფაშალიშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სოფელი უდიდესი თემაა მხატვრული შემოქმედებისთვის. ახალმა საზოგადოებრივმა რეკონსტრუქციამ ისტორიული ძვრები გამოიწვია სოფლად და გეოგრაფიულადაც შეცვალა მისი იერსახე. უდიდესმა სარწყავმა არხებმა გადაჭრეს კახეთის ყამირი ველები. ავტორი მოგვითხრობს ადრეული შუასაუკუნეების (თამარისა და მისი წინარე ეპოქის) სამელიორაციო სისტემაზე, რომელსაც კახეთში უარსებია. აქ იხენს თავს მწერლისმიერი ასახვითი პარალელები, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი. არხების მშენებლობის დამთავრებამ „გაანედლა გადახრუკული მიწის ზედაპირი“. „ამონალის ფხვიერმა დახლიჩა სალი კლდეები" და ახალმა გზებმა ყამირებში „ურთულესი მანქანები" შეიყვანა. სწორედ ამ სურათებმა მისცა შემოქმედებითი მასალა ქართულ მწერლობას ისეთი, როგორსაც სოციალისტური იდეოლოგია მისგან მოითხოვდა.

ს. ფაშალიშვილმა ფეხდაფეხ შემოიარა თითქმის ნახევარი საქართველო. მონახულა შირაქისა და ალაზნის მარცვლეულის გიგანტები.

მწერალი აგვისახავს წინანდალს, „რომელიც ოდესღაც... გარსევან ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, შემდეგ კი რუსეთის საიმპერატორო ოჯახს, მაგრამ მაინც გაპარტახებული და ამოგდებული იყო" (41, 3-4).

„უდაბნო" პირველ ნარკვევადაა შეტანილი აღნიშნულ წიგნში. მწერალს უდაბნოსაკენ გეზი ბორჯომის ხეობიდან აუღია. იგი სასიამოვნო მწერლური ენით, მრავალნაირ ფერებში წარმოსახავს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის ამსახველ სურათებს, რასაც მოხდენილად უხამებს მთიდან დაქანებული პატარა რუების ჩხრიალის ხმას და ირგვლივ ამწვანებული ტყეებით გარემოცული ბუნების სიმშვენიერეს. ს. ფაშალიშვილი საკითხის მწერლურ გარდასახვას არც იწყებს და არც ამთავრებს მშრალი საადრიცხვო მასალის მოწოდებით. წიგნის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე ეხება მაღალმხატვრულ მოთხრობას თუ ნოველას. ფაქტებისა და მოვლენების პარმონიაში შერწყმა მიმზიდველ საკითხავად წარმოგვიდგენს აღნიშნულ ნარკვევებს. ზოგიერთ მათგანს ავსებს ისტორიული მასალა, რომელიც თხრობის მიმდინარეობაშია ჩართული.

ავტორს მიზანდასახულობის მიღწევის ერთ-ერთ აქტიურ საშუალებად გამოყენებული აქვს ხალხური სიტყვა-თქმანი - ფოლკლორული მასალა ცხვარძროხის გამრავლების და ნადირისაგან დასაცავი ღოცებისა და ლექსების მოხმობით. ცხვრის კულტი ოდიტგანვე ყოფილა გაბატონებული აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში - როგორც მთაში, ისე ბარში. ჰყოლიათ მეცხვარეობის მფარველი ხატ-ღმერთები და მათთვის მსახურების ადათ-წესებიც ჰქონიათ გამომუშავებული. „ცხვრის, როგორც კუთხის სამეურნეო ობიექტის, შენარჩუნების სიფრთხილის ალღო უძევს საფუძვლად, მაგალითად ონხარის, ანუ ონხის ტრადიციას, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, როგორც ჩვენი მეცხვარეობის სპეციფიკურმა ჩვეულებამ" (41, 14).

ონხარი ანუ ონხი წარმოადგენდა თემური წყობილებიდან მოყოლებული ჯგუფური შეწირულების მოწყობას დაზარალებული მეცხვარის სასარგებლოდ.

კლიმატური პირობების ცვალებადობის შემთხვევაში ცხვარი ხშირად ავადდებოდა. როგორც დაავადების, ასევე ცხვრის მოვლა-მოშენების საქმეში მთავარი იყო შელოცვები და არა წამლობის რაიმე საშუალებების გამოყენება. ყოფილა შემთხვევები, როცა მთელი ფარა დაღუპვია მეცხვარეს, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევია და ახალი იმედებით შესდგომია მეურნეობის აღდგენას.

მეცხვარეებს ყოველთვის გააჩნდათ ურთიერთთანადგომის შეგნება. დაზარალებულს გასაჭირში მარტო არავინ მიატოვებდა. წესის მიხედვით ეს უკანასკნელი მოამზადებდა ხორაგს, ლუდსა და არაყს და ხონჩებით მიიტანდა დათქმულ ადგილზე. იქ იყრიდნენ თავს შემწეობის აღმომჩენი მეცხვარეებიც, რომლებიც ასეთ შემთხვევაში ათეულობით ცხვარს უსაჩუქრებდნენ დაზარალებულს. ამას ერქვა ონხარის გამართვა. ავტორს მრავალი ზეპირსიტყვიერი მასალა შეუგროვებია თუშ - ფშაველთა შორის გავრცელებული ონხარის შესახებ. ზოგიერთ გადმოცემას თან ერთვის კურიოზული ეპიზოდები. ასეთია დარიბი თუში მეცხვარის ამბავი, აგრეთვე თქმულება მეცხვარე ჭრელუას ავ ბედზე, რომელსაც ცივ ამინდში მთაზე გადასვლისას თოვლ - ჭყაპში „მთლად ჩაურეგვა ფარაი, მეტ რო ებადა თმაზედა“. ჭრელუა მხოლოდ გადარჩენილი ძაღლებითდა „დაბრუნდა გზაზედა“. ჰკითხავენ:

„-ჭრელუა რათ გი ძაღლები,  
რალათ მაგიდის ბარჩია?  
-კიდევაც გამამადგებან  
ონხარით ნაშოვ ცხვარჩია!"

ასეთი იმედის მომცემი იყო ონხარი ყოველი დაზარალებული მეცხვარისათვის.

ხალხური გადმოცემებიდან ვგებულობთ, რომ „კერძო საკუთრების განსამტკიცებლად თავის კლასობრივ მოძმეს ზოგჯერ ასობითაც სწირავდა მდიდარი თუში, რომელსაც „ტალავარ არ ეცვა ტანზედა“ (41, 16), – დაასკვნის მწერალი.

ს. ფაშალიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ დაძლეულ იქნა საუკუნეობრივი პრობლემა – ქისტებსა და თუშ-ფშავ-ხევსურთა შორის არსებული წინააღმდეგობანი, ცხვრისა და საქონლის ჯოგების ურთიერთ დატაცებაში რომ გამოიხატებოდა. დამთავრდა მათ შორის საძოვრების გადანაწილების მტკივნეული საკითხიც. გატარებულმა ღონისძიებებმა წერტილი დაუსვა სისხლისღვრასა და მკვლელობებს მხარეთა შორის, რაც იმდენად ფეხმოკიდებული ყოფილა, რომ ხალხში ამის გამო მრავალი ლექსი, სიმღერა და თქმულება შემორჩენილა.

ქისტებში გავრცელებული ცხვრის ფარებისა და საქონლის ჯოგების ურთიერთსესხების ტრადიცია იმ გარანტიებს ემყარებოდა, რომ ზაფხულში თუშ-ფშაველთა ცხვარ-ძროხა მოეფინებოდა საძოვრებს და მათი დატაცების შემდეგ გაისტუმრებდნენ ვალს. „სამას სულ გვასესხევითო, შამოუთვლიან ჯოყოლოურებს პირიქეთელთა, – ახლა ზაფხულ დგებისაო, თუშების ცხორ ამოვა სამთოთა, მავიტაც და დაგიბრუნებთავ სესხსაო“ (41, 21). ასე უამბნია ჩვენი მწერლისთვის შირაქის გზაზე ერთ პანკისელ მეცხვარეს. ამ ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირება იმდენად მწვავე იყო, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა მკვლელობებს ორ მეზობელი ტომის წარმომადგენლებს შორის. დღესაც მღერიან თუშეთში ხალხური ლირიკიდან ინერციის ძალით შემორჩენილ ასეთ სტრიქონებს:

ატირდნენ ქისტის ქალები,  
ადარ მოუვათ ქმარები,  
ვაი, თუ შეხვდნენ თუშები,  
დააყრევინენ თავები.

ადგილობრივთა გადმოცემით იგივე სტრიქონები ქისტების საყვარელი სიმღერაცაა, ოღონდ თუშების მისამართით.

ცხვრის ფარებისა და საქონლის ჯოგების მტაცებლობის საუკუნეობრივი ტრადიციების არსებობის აღმოფხვრას, მეზობელთა შორის შუღლის მოსპობას

და შინა საძოვრების გარშემო ატეხილი დავის მოწესრიგებას (უფრო დათრგუნვას – თ. გ.) ავტორი საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევს და სრულიად სამართლიანადაც. ფშაურ-ქისტური პრობლემის „მოგვარება“ რა მოსატანია იმ მასშტაბური პრობლემების გვერდით, რაც საბჭოთა იმპერიამ მსოფლიო არენაზე „მოაწესრიგა“ თავისი სასტიკი მეთოდებით.

სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ შეარყია და მოშალა ოდითგანვე ფეხმოკიდებული და დროთა სვლაში განმტკიცებული წეს-ჩვეულებანი აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, კერძოდ, მეჯოგეობა-მეცხვარეობაში. 1928 წლიდან ჩამოყალიბებას იწყებს საზოგადოებრივი კოლექტიური მეურნეობები. „ამ დღიდან დაიწყო ცხვრის მასიური შესყიდვა საქართველოს ყველა კუთხეში“ (41, 23). თუ რას ნიშნავდა ეს „შესყიდვა“, ამის მომსწრე და თვითმხილველნი ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენში. ავტორი იძულებულია გვერდი აუაროს ამ ფაქტობრივ მასალას და მხოლოდ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას – უდაბნოში ცხვრის უზარმაზარი ფარა ძოვს ნოყიერ ბალახს. მეცხვარეობის ზრდის დაჩქარებულ ტემპებს ესაჭიროებოდა გამოცდილი მუშაკები, მცოდნე, ერთგული და საქმის მოყვარე ადამიანები. იწყება ასეთი კადრების მოზიდვა. „...და უდაბნოში მოვიდა ხალხი კომბლებითა და ჩანთებით, ხელეჩოებითა და ნაჯახებით, ხე-ტყითა და ცემენტით, დატვირთული მანქანებისა და ურმების ქარავნებმა პირველად დაქნეს ბილიკები...“ (41, 23).

ამ დასაწყისის შემდეგ ათეული წლები გავიდა. უდაბნო ერთ-ერთ მოწყობილ, მოზრდილ სოფლად იქცა კახეთის რეგიონში.

მეცხვარეობის განვითარების საქმეში აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საძოვრებით უზრუნველყოფის საკითხი. „ელდარი – ცხვრის დედა“ – ასე დაუსათაურებია ერთ-ერთი ნარკვევი ავტორს.

ს. ფაშალიშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ მეცხვარეობის ტრადიცია ჩვენში სოციალიზმის ეპოქით არ დაწყებულა. ზემოთ გვექონდა საუბარი, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგს გავლილი აქვს მნიშვნელოვანი გენეტიკური განვითარების საკმაოდ სერიოზული საფეხურები. ამას, ცხადია, თან უნდა ხლებოდა მოვლის პირობების გაუმჯობესებაც, მაგრამ როგორც ავტორი ამბობს, სავარაუდოა, რაიმე ისტორიულმა უკუღმართობამ აღნიშნული დარგი კვლავ პრიმიტიულ დონემდე დაიყვანა და ასეთი მდგომარეობით მოვიდა ჩვენამდე, იქნებ მთლად ასე არც იყო საქმე, მაგრამ ის კი უდავოა, რომ მეცხვარეობის განვითარებას ძალზე

შეუწყო ხელი ელდარის ველების საძოვრებად გამოყენებამ. ავტორი ამ საძოვრების „წარმოშობას“ საბჭოთა ხელისუფლების დამსახურებად მიიჩნევს.

ს. ფაშალიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კახეთში მევენახეობის განვითარების საკითხს. ბუნებრივია, იგი ვაზს განიხილავს ქართველი ხალხის, მით უფრო, კახეთის მხარის უძველეს კულტურულ სიამაყედ და დღევანდელობის სიდიადედ. მწერალი გულდასმით მოგვითხრობს ვაზისადმი კახელი გლეხის სათუთ დამოკიდებულებაზე, ვაზის მოვლა-პატრონობის უძველესი ტრადიციების უკვდავებაზე.

ნარკვევებში – „ახალი ვაზნარი“, „წინანდალი“, „ყვარელი“, „ვაჭვეი“ – ს. ფაშალიშვილი სრულ წარმოდგენას გვიქმნის წინანდლის, მუკუზნის, ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობების მევენახეთა მიღწევებზე. მწერალს თხრობაში გვემაზომიერად შეაქვს ისტორიული ფაქტები. ნარკვევების ავტორს გარკვეული მუშაობა ჩაუტარებია მემატიაწიანსაგან აუსახველი, მაგრამ ადგილობრივი ზეპირგადმოცემებით მოღწეული ისტორიული მასალების შესაგროვებლად. მათი გამოყენებით ამდიდრებს და უცნობი დეტალებით ავსებს ქრონიკებში გადმოცემულ ფაქტებს. ამიტომ იგი მიზანმიმართულად აღწერს წინანდლის ჭავჭავაძეთა საგვარეულო ადგილ-მამულის მოშლისა და გაუქმების ისტორიულ ამბავს. ამით იგი თავს აღწევს შესაბამისი ნარკვევის მშრალ მასალაზე აღმოცენებას და საინტერესო საკითხავად აქცევს მას. „ზედმეტად არ მიმაჩნია მცირე ცნობების მოყვანა ამ მამულების რუსეთის იმპერატორთა ქონებად გადასვლის შესახებ“ (41, 162), – გვეუბნება ავტორი და მოკლედ მიმოიხილავს გარსევან ჭავჭავაძის წარჩინებული ოჯახის წარსულ სიდიადეს. გვესაუბრება გარსევანის მემკვიდრის, რომანტიკოსი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის სიახლოვეზე რუსული არისტოკრატის წარმომადგენლებთან, მისი ოჯახის დიდ კულტურულ დამსახურებაზე აღმოსავლეთ საქართველოში. გვაწვდის ხალხში მიმობნეულ ზოგიერთ ზეპირ ცნობას ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის შეუღლებისა და ჯვრისწერის შესახებ. მწერლის თქმით, ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“-ის მრავალი სტროფი წინანდლის სასახლეში უნდა იყოს დაწერილი.

ს. ფაშალიშვილი ეხება შამილის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების საკითხსაც და გადმოგვცემს დავით ჭავჭავაძის (ალ. ჭავჭავაძის მემკვიდრის) ოჯახის დატყვევების ამბავს. ცნობილია, რომ დავითმა ტყვეთა გამოსასყიდი თანხა – ოთხასი ათასი ოქრო იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანებით

სახელმწიფო ხაზინიდან სესხად მიიღო და შამილს გაუგზავნა. აღებული ვალის გადახდა დავითმა ვედარ შეძლო და დაგირავებული მისი მამულები წინანდლის სასახლიანად იმპერატორის ოჯახმა დაინარჩუნა.

მეურნეობის გაფართოების მიზნით მეფის ხელისუფლებამ სახლკარიანად აპყარა ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი. დაიწყო ახალი ვენახების გაშენება წინანდალში, მუკუზანსა და ნაფარეულში. ისინი „საუფლისწულო მამულებად“ აქციეს. გატარებულ ღონისძიებათა გამო მთლიანად გაუქმდა აღ. ჭავჭავაძის ისტორიული ოჯახი და კულტურულ-ლიტერატურული სალონი. ასე დაუფასა საიმპერატორო კარმა გარსევან ჭავჭავაძეს და მის შთამომავლებს უდიდესი დამსახურება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში.

ერთგვარად იდეოლოგიური შებოჭილობა ახლავს თან ძველი და ახალი დროის ურთიერთშედარებით წარმოსახვას. წინანდალი რომ ოდითგანვე მევენახეობით განთქმული იყო, ამაზე საუბარი არც არის საჭირო. მაგრამ ავტორი მწვავე, რადიკალური სიმძაფრით წარმოაჩენს რუსი მმართველების, ამ ახალი ბატონ-პატრონების ზედამხედველობის ქვეშ ზვარში მომუშავე კახელი გლეხების გაუსაძლის მდგომარეობას, თუმცა იგი ამ შემთხვევაშიც ნამდვილ ფოლკლორულ მასალებს ეყრდნობა.

საბოლოოდ, მწერალი მშრომელების ასეთი გაუსაძლისი ყოფის დასასრულსაც ახალი დროის მონაპოვრად თვლის. 1921 წლიდან დაწყებული ამ ადგილებში ზვრების განახლება სრულიად ახალი ნამყენითა და კულტურულად გაშენებული ვენახებით. ს. ფაშალიშვილი მოგვითხრობს ახალი ვაზნარის გაშენების დადებით შედეგებზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას კახეთის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლება მოჰყვა, რასაც თანდათან უწყობდა ფეხს კულტურული წინსვლა – მოსახლეობაში სწავლა-განათლების დანერგვა. დღის წესრიგში იდგა სოფლის მეურნეობის ადგილობრივი კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. კახეთმა ეს პრობლემაც წარმატებით დაძლია.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ არხებისა და საერთოდ სარწყავი სისტემების არსებობა ადრეულ საუკუნეებს განეკუთვნება. ნათესი მიწების მორწყვის აუცილებლობა ყველა დროის პრობლემას წარმოადგენდა. ს. ფაშალიშვილი გვესაუბრება XII საუკუნეში აშენებული კახეთის სარწყავი სისტემის ნაშთების შესახებ, რაც დღემდე ყოფილა შემორჩენილი ალაზნის მიდამოებში. ქართველთა წინაპრებს არხებიც უშენებია და პურიც მოუწევია.



სხვანაირად არც იქნებოდა. როგორც ჩანს, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, საბჭოთა ეპოქის ალაზნის არხის მშენებლობა არ ყოფილა პირველი წამოწყება. მხოლოდ, ახალმა დროებამ სხვა ეპოქალური მასშტაბების მშენებლობანი მოითხოვა. საბჭოთა ქვეყანამ მშრომელი მასების სამუშაო ძალის დაუზოგავი მობილიზებით და თავისი დროის ტექნიკის გამოყენებით შეძლო არსებული რელიეფური სირთულის დაძლევა და შექმნა სარწყავი არხის მშენებლობის ახალი ვრცელი სისტემა (ადვილი მისახვედრია, თუ რა ძალისხმევა დასჭირდებოდა იმ ძველი არხის მშენებლობის მესვეურთ მაშინდელ დროში).

წარმოდგენილად დიდია ალაზნის არხის მნიშვნელობა კახეთის სოფლის მეურნეობის წარმატებული განვითარების საქმეში. ალაზნის არხის მშენებლობის იდეის განხორციელების შემდეგ შეიძლებოდა „ოქროს მოსავლის“ მიღება. ნარკვევების ავტორი ამბობს, რომ ალაზნის აუზის დიდი ნაწილი საუკუნეობით გამოფიტული და დამყაყებული იყო. მწირი, ხრიოკი შოროქნები სარეველა ბალახებით, ჩირგვებით გადავსილი უსარგებლოდ და უნაყოფოდ თვლემდა და კახეთის მშრომელი მოსახლეობა ყოველთვის ვერ იყენებდა მას.

მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხსენებული არხის გაყვანას მილიონები, „უჯიათი შრომა“ და მშრომელი ხალხის „დიდი ნებისყოფა და გამძლეობა“ დასჭირდა. „ყველაფერი ეს გააჩნია საბჭოთა ქვეყანას და უხვად დაახარჯა მას“ (41, 122), – დაასკვნის იგი.

ს. ფაშალიშვილი სოციალიზმის თანამედროვეა და დროის შესაბამისობაში აქცევს კახეთის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის დაჩქარებული ტემპით განვითარებასაც და სარწყავი სისტემის შექმნასაც. მიუხედავად ამისა, მწერალი არ იძლევა მშრალ ციფრულ მონაცემებს სოციალისტური კახეთის წარმატების აღსანიშნავად. თითოეულ ნარკვევში მოცემულ მასალას, ანუ თითოეულ მწერლურ თემას განიხილავს ისტორიულ წარსულთან შეპირისპირებაში, ძველისა და ახლის პარალელებში, არა იმიტომ, რომ ნათლად დაგვანახოს თავისი დროის სიდიადე, პირიქითაც შეიძლება იქნეს დანახული ყოველივე არაფერია უცხო იმაში, თუ დღევანდელი გუშინდელს სჯობს და ავტორი ამას აღნიშნავს. დიდი აკაკის თქმისა არ იყოს, რასაც ახლა ვჯერდებით და რითაც დღეს ვართ კმაყოფილები, ხვალ ის საკმარისი აღარ არის. საზოგადოებრივი ცხოვრება პროგრესს თავისთავადაც განიცდის და წინსვლაც თავისთავადი მოვლენაა ან, ლოგიკის გათვალისწინებით, ასე უნდა იყოს. ავტორს, როცა სოციალიზმის დროის მეჯობობა-მეცხვარეობას ეხება, ლავირებული სვლებით

იმის რწმუნებამდე მიჰყავს მკითხველი, რომ აქ ახალი არაფერია, რომ ცხვარსა და საქონლის ჯოგებს კახეთსა და თუშეთში ოდითგანვე უარსებია. ასახელებს იმ ცნობილ მეცხვარეთა გვარებს (ბუქურაულები, გუგუთაშვილები, ყაყინაშვილები), რომლებსაც ათიათასობით სული ცხვარი ებადათ. საუბრობს მოსახლეობაში ცხვრის კულტზეც კი.

წინანდლისა და მუკუნის, ნაფარეულისა და ყვარლის ახალი ვაზნარიც არაფერს ამბობს განსხვავებულს. იქვე, ავტორი ვრცლად საუბრობს ვაზის კულტურის უძველესობაზე კახეთში. კახეთი ოდითგანვე განთქმულია მევენახეობა-მეღვინეობით. კახელ გლეხს თავისი მოწვეული პურით და ღვინით ყოველთვის შეეძლო ოჯახის დარჩენა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ს. ფაშალიშვილი მკვეთრად უარყოფით განწყობილებას ამჟღავნებს მეფისდროინდელი რუსი მოხელეებისაგან ადგილობრივი მშრომელებისადმი არაადამიანური მოპყრობის გამო. ძველი და ახალი დროების ამსახველი პარალელური აღწერის საშუალებით ავტორი ავლენს მწერლურ რადიკალიზმს – რუსული მართვა-გამგეობის მსგავსი დესპოტიზმი, როგორსაც იგი ნარკვევებში წარმოსახავს, თვით შუა საუკუნეობრივი აღმოსავლური განუკითხავი ექსპანსიების დროსაც კი არ იცოდა ჩვენმა საზოგადოებამ.

ამრიგად, ს. ფაშალიშვილის ნარკვევები წარმოადგენს ისეთ პუბლიცისტურ ნაწარმოებებს, რომლებშიც ურთიერთშერწყმულია ავტორის პუბლიცისტურ-მხატვრული ალღო, ჟურნალისტურ-ბელეტრისტული მთლიანობა და დახელოვნებული „მწერლის კარგი მარჯვენა“.

მხატვრული ლიტერატურის ეს ჟანრი, რომელიც უახლეს ქართულ მწერლობაში გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა და სახელდებულია მხატვრულ ნარკვევად, ქართული პროზის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

### თავი III.1920 წლის ლიტერატურული ოლმის და სიკო ფაშალიშვილი

1920 წლის გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმ დროის ქართულ მწერლობაში. ერთმანეთის პირისპირ გამოვიდნენ გრიგოლ რობაქიძე და იოსებ გრიშაშვილი. ი. გრიშაშვილის მხარი დაუჭირა სიკო ფაშალიშვილმა. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ გ. რობაქიძე და ი. გრიშაშვილი ორიოდ წლით ადრეც უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ქართულ პოეზიაში სონეტის წარმოშობისა და დამკვიდრების საკითხთან დაკავშირებით. მაშინაც იყო ვნებათა ღელვა. დიდი ენერჯია დაიხარჯა, მრავალი ურთიერთკრიტიკული წერილი გამოქვეყნდა პრესაში, მაგრამ 1920 წლის პოლემიკა უფრო გახმაურებული, ხანგრძლივი და დაუნდობელი აღმოჩნდა. იგი არ წარმოადგენდა 1918 წლის პოლემიკის გაგრძელებას. უნდა ითქვას, რომ გრიგოლ რობაქიძე ერთ-ერთი იმ შემოქმედთაგანი იყო, რომელიც მუდამ პატივს სცემდა ი. გრიშაშვილის პოეტურ ნიჭს. მრავალი მშვენიერი ციტატის მოყვანა შეიძლება, სადაც იგი გრიშაშვილის პოეზიას მაღალ შეფასებას აძლევს. 1917 წელს ი. გრიშაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალ „ლეილას“ პირველ ნომერს დართული აქვს გ. რობაქიძის მეთაური წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „ლეილა“ – აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს, ეს ჟურნალი რომ ამ სახელით მოუნათლავს“ (28. 1). მომდევნო წელს კი რობაქიძე-გრიშაშვილს შორის უკვე მიმდინარეობს მძაფრი კამათი სონეტის გარშემო.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთ საღამოზე გ. რობაქიძეს წაუკითხავს თავისი „სონეტი სიმონს“ (იგულისხმება სიმონ ჯაფარიძე – თ. გ.), რომელსაც წინ წაუმძღვარა ზეპირი პროზაული ექსკურსი სონეტის შესახებ და მიანიშნა „ცისფერყანწელთა“ დამსახურებაზე სონეტის ქართულ პოეზიაში პირველად შემოტანის და დამკვიდრების საქმეში. ამას მოჰყვა ი. გრიშაშვილის წერილი „საითნოვა“, რომელშიც ავტორი საუბრობს სონეტის ვერსიფიკაციაზე.

ქართულ პოეზიაში მისი დამკვიდრების თარიღად ასახელებს 10-იანი წლების დასაწყისს. ი. გრიშაშვილის აზრით, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის ჩამოყალიბებამდე ჩვენში უკვე იწერებოდა ტიპური სონეტები. ამით დაიწყო პაექრობა. დაპირისპირების არენად იქცა გაზეთები „საქართველო“ და „სახალხო საქმე“. 1920 წლის პოლემიკაც ამ გაზეთების ფურცლებზე გაიშალა.

ზოგიერთ თანამედროვე კრიტიკულწერილში (ა. ხინთიბიძე, გ. იმედაშვილი – თ. გ.) მართებულადაა მითითებული, რომ ბოლოს ეს „დაუნდობელი წაკიდება ორივეს სანანებლად გაუხდა და გრიშაშვილმა სონეტი უძღვნა რობაქიძეს. სამაგიეროდ „ლეილას“ პირველ ნომერს გ. რობაქიძის წერილი მეთაურად უძღვის“ (17, 12). უფრო მეტი სიცხადისათვის ვიტყვით, რომ ჟურნალ „ლეილას“ პირველი ნომერი 1917 წლის იანვარში გამოვიდა გრიგოლ რობაქიძის მეთაური წერილით შემკობილი, ხოლო ზემოხსენებული კამათი 1918 წელს გაიმართა. ამავე წელს ი. გრიშაშვილმა გრიგოლ რობაქიძეს უძღვნა ცნობილი სონეტი და ისიც კამათის დაწყებამდე, ვინაიდან, მაშინ ეს სონეტიც კრიტიკული განხილვის ცეცხლში მოექცა – კერძოდ, გ. რობაქიძის წერილში „პასუხად გრიშაშვილს“ (31). ავტორი ეხება რა სონეტის შემოღებას საქართველოში, საუბრობს სონეტის ფორმაზე, რითმაზე, გარეგან და შინაგან მხარეზე, რიტმულობაზე. აღნიშნავს, რომ გრიშაშვილმა არც ისტორია იცის სონეტის და არც მისი ფორმა ემარჯვება. ხოლო „სონეტი რობაქიძეს“ მიუხედავად იმისა, რომ რითმები კანონიერად არის ასხმული... სონეტს გარდა გარე მხარისა, შინაგანი მხარეც ეჭირვება“ (31).

საპასუხო წერილში „რობაქიძესთვის“ გრიშაშვილი უმაღლესად წამოიძახებს: „ავსუს მსჯელობავ!... იქნებ, ბატონ რობაქიძეს ჩემი სონეტის „შინა მხარე“ (რომელსაც მას ვუძღვნი) იმიტომ არ მოსწონს, რომ შიგ მოხსენებული ზოგიერთი სიტყვა იმის ქებას არ წარმოადგენს“ (10).

ამდენად, არც „სონეტი რობაქიძეს“ არის მოკამათეთა დაზავების შედეგი და არც „ლეილას“ რობაქიძისეული მეთაური წერილია აღნიშნული სონეტის სამაგიერო.

კამათი კიდევ გაგრძელდა. მხარეები ვერც ერთ პრინციპულ ლიტერატურულ საკითხში ვერ შეთანხმდნენ.

დადგა „შესვენების ხანა“. შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ეს დრო ენერგიის მობილიზება იყო ახალი კრიტიკული „შებმისთვის“, რომელიც გაიმართა 1920 წელს.

ამჯერად, ჟურნალ „შვიდი მნათობის“ 1919 წლის №2-ში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის მიერ თარგმნილი ოსკარ უაილდის დრამა „სალომეა“. ი. გრიშაშვილს ჟურნალ „ლეილაში“ მსუბუქად გაუკრიტიკებია აღნიშნული თარგმანი – ქართულისათვის ზედმეტად მიუჩნევია მასში ნაცვალსახელების სიმრავლე და ზოგიერთი სიტყვის ორთოგრაფიული უზუსტობანი. ასე, მაგალითად, „ვეცხლი“, „კვტარები“, „შეპუდრულნია“, „გაიარს“ და სხვა.

ამ შენიშვნას გაულიზიანებია ამაყი ხასიათის გრიგოლ რობაქიძე და მოგვიანებით გაზეთ „საქართველოში“ ორი ფელეტონი დაუბეჭდავს სათაურით „ქართული რიტმული“. მეორე ფელეტონში გრიშაშვილსაც „გადაჰკრა“: “როცა „სალომეა“ ვთარგმნე, ბევრი სიტყვის, მაგალითად: „მკვდარის“ მაგიერ, რომელიც ენას მოსტეხს წარმომტქმელს, მე ვიხმარე „კვდრის“, „მანი“ მოვაცილე, რადგან არ ისმის და სიტყვა რიტმულად გაიშალა. ეს არ მოსწონებია ვიღაც მარუთა შუამდინარელს, მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ფინახს, რომელსაც ფსევდონიმიც ვერ გამოუგონებია არაგამაკრეტინებელი” (34) (ი. გრიშაშვილი წერილებს მარუთა შუამდინარელის ფსევდონიმით აქვეყნებდა – თ. გ.).

ი. გრიშაშვილს ეს წერილი წადვერში ყოფნისას წაუკითხავს. მეტად დაღონებულა გ. რობაქიძის ამ „გაბოროტებული ფრაზის“ წაკითხვისას. მასალების უქონლობის გამო პატარა წერილი დაუწერია („სალომეას გარშემო“) და „სახალხო საქმის“ რედაქტორისთვის გაუგზავნია, წერილი მის. საყვარელიძეს მიუღია, რომელსაც მალევე დაუბეჭდავს იგი.

ი. გრიშაშვილი თავის წერილში გ. რობაქიძეს მოიხსენიებს იმ მწერლად, რომელიც „სიცოცხლეშივე არქეოლოგიურ ნაშთად“ იქცა, რომ იგი ამას თავადაც გრძნობს და ამიტომ დაანება თავი ლექციების გამართვას „ცნობილი ლექტორის“ სახელით. ახლა კი წყალწყალა წერილებს წერს „ბრაზისა და ბოდმის გადმოსანთხევად“ იმათზე, ვინც გაბედა და რობაქიძის პროტობაზე ძვირი რამ თქვა. რობაქიძე დიდხანს სდუმდა (მისი ფელეტონები ი. გრიშაშვილის შენიშვნებიდან რვა თვის შემდეგ დაიბეჭდა – თ. გ.), დღეს კი ეროვნულ-დემოკრატიების ორგანოში შეფარებული ფუტურისტი უხეიროდ გაჰკივის ათასჯერ გადაღეჭილ ერთსა და იმავე აზრებს. „რიტმის თუ რითმის“ შესახებ საკითხი, განაგრძობს გრიშაშვილი, თავისთავად საინტერესოა და არა ერთი მცოდნე პირი შეხებია მას სრულიად მიუკერძოებლად, ზოგადად, და „მეცნიერებაში ერთხელ დამკვიდრებული ზომიერებით“. რობაქიძეს კი ასეთი წერილები „პირადი ინტერესების დასაოკებლად გაუხდია“.

„ხუმრობა იქით იყოს და მე ვამტკიცებ, რომ რობაქიძემ ქართული ენა და ქართული ენის ბუნება სრულებით არ იცის. შეიძლება რობაქიძე კარგი მოლაპარაკე იყოს სცენიდან, მაგრამ იგივე ნალაპარაკევი ქაღალდზე გადატანილი ჰკარგავს თავის შთაბეჭდილებას" (11). ამ ნათქვამის დასამტკიცებლად ი. გრიშაშვილს მოაქვს „სალომეას" ქართული თარგმანი, რომელიც, მისი თქმით, ჯერ რუსულად არის მოფიქრებული და მერე ქართულად ნათარგმნი, დატვირთული „პროვინციული გამოთქმებით" და აუარებელი ნაცვალსახელებით, რაც ქართულ ენას „სრულიად არ ეგუება".

ბოლოს ი. გრიშაშვილი წინადადებას აძლევს გაზეთ „საქართველოს" რედაქციას, რომელმაც „უშენიშვნოდ" მიიღო მისი „ფინანსობა" და ამით მფარველობა გაუწია რობაქიძის თარგმანს, რომ შეირჩეს „საპაექრო ჯგუფი", რომელშიც შევლენ „როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის მცოდნე პირები" და თუ ეს ჯგუფიც მოიწონებდა ასეთ გამოთქმებს – „კეტარი", „გაიარს", „ვეცხლი", „მაგარი" (მაგ არი, ვითომ „ეგ არი" – ი. გ.), „შეკუდრულნია" და სხვა ასეთებს, მაშინ „მათი ხმალი და ჩემი კისერი" – დაასკვნის წერილის ავტორი. მინაწერში ი. გრიშაშვილი განმარტავს თავისი ფსევდონიმის (მარუთა შუამდინარელი) მომდინარეობასაც და აღნიშნავს, რომ რობაქიძეს არ აინტერესებს ძველი ქართული მწერლობა, თორემ გაიგებდა, რომ ეს სახელი და გვარი უკვე არსებობდა ძველ საქართველოში. რობაქიძეს, რუსეთის გარდა, საქართველოს წარსულიც რომ აინტერესებდეს გაიგებდა, რომ „მარუთა შუამდინარელი იყო კაცი ფრიად ნიჭიერი, ძველ სახარებათა ერთგული დარაჯი (გადამწერელი, შემნახველი) – რათა საეკლესიო მწერლობა დაეცვა მკრეხელთა ხელისაგან (იხ. კორნელი კეკელიძის „კიმენი)", ვინიდან ი. გრიშაშვილის სოფელსაც თურმე შუაში მდინარე ჩამოუდის, უსარგებლებია ამ ფსევდონიმით, რომ „კრიტიკული შთაბეჭდილებანი" (სხვადასხვა მიზეზთა გამო) ამ სახელწოდებით ეწერა და ამით ქართული პოეზია გაეთავისუფლებინა „რობაქიძისთანა მკრეხელთა ხელისაგან", ისე, როგორც მარუთა შუამდინარელი იცავდა საეკლესიო მწერლობას მკრეხელთაგან.

ი. გრიშაშვილის ამ პასუხს ამჯერად მალე გამოეხმაურა გრიგოლ რობაქიძე, მანამდე კი ი. გრიშაშვილს მხარი დაუჭირა სიკო ფაშალიშვილმა და გრიგოლ რობაქიძის პირველსავე კრიტიკულ წერილს შეახვედრა „საპასუხო". ს. ფაშალიშვილის ჩარევა აღნიშნულ პოლემიკაში სრულიად კანონზომიერი ჩანს გ. რობაქიძის წერილიდან („ქართული რიტმული") გამომდინარე. მან არა მარტო

ეპიზოდურად და სხვათაშორის მოიხსენია ს. ფაშალიშვილის სალექსო სტრიქონები დამცირებულად, არამედ ზოგიერთი აბზაცი მთლიანად დაუთმო მის კრიტიკას, რაც გამოწვევად აღიქმება. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ, უშუალოდ წერილების განხილვისას, გვექნება საუბარი.

„საპასუხო“ ძალზე მოსწონებია ი. გრიშაშვილს. სიკოსადმი გაგზავნილ პირად წერილში იგი წერს: „სიკო! ეს არის ახლა წავიკითხე რობაქიძის პასუხი. შენიც დახვდა. „მოვიდა სექცვა“ მაგონდება. შენი პასუხი მომეწონა ძალიან. მაგრად და ღრმად არის დაწერილი... მთავარ აზრში ვამარცხებთ. რობაქიძის აზრი მარუთასადმი ანდაზას ჰგავს:

–გამარჯობა, პეტრე,

–აკურას მივდივარ-ო.

მე „სალომეზე“ ვეკამათები („კვტარზე“, ვეცხლზე“), ის კი „გარებას“ ჩაჰფრენია... მე კი „სალომეს“ გარშემო ვკამათობ და ვწუხვარ, რომ ოსკარ უაილდის მშვენიერი „სალომე“ რობაქიძემ გააუპატიურა. ეს არის და ეს“ (14, საქმე №28650-26, ფ. 4).

ს. ფაშალიშვილის „საპასუხო“ კარგად აწონილ-დაწონილი, ელასტიური და მოქნილი ენითაა დაწერილი, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ამ კამათის მთავარ მონაწილეთა სტილისაგან. ს. ფაშალიშვილიც და ი. გრიშაშვილიც უპირველესად საყვედურს გამოთქვამენ გ. რობაქიძისადმი, რომ მან არ იცის მოპაექრისადმი პატივისცემა და ჯიუტობს, ამასთან, არ ერიდება უმართებულო სიტყვების გამოყენებას.

ს. ფაშალიშვილი ხაზს უსვამს, რომ გ. რობაქიძემ თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას ტენდენციური ხასიათი მისცა. ხელოვნური კრიტიკა ჯგუფობრივი ბრძოლის საშუალებად გადააქცია და სისტემატურად განაგრძობს ამ მეთოდის გამოყენებას. მისი აზრით, რობაქიძის ტენდენციურობა მიმართული იყო მწერალთა ერთი ჯგუფის საწინააღმდეგოდ, კერძოდ, იმათ საწინააღმდეგოდ, რომელიც არ ეკუთვნის „ყანწურ“ მიმართულებას და ამით ოპოზიციაში უდგას რობაქიძეს და მის ჯგუფს.

გ. რობაქიძის სიმპათიები „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის მიმართ ყველასათვის კარგად ცნობილია. იგი ნამდვილი სონეტის ავტორად სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენლებს და საკუთარ თავს მიიჩნევს. ს. ფაშალიშვილის აზრით, „ყანწელები“ „თავისი სახელის გამართლებას სხვის დასამარებაში ექებენ“ და რობაქიძეც, როგორც მათი მედროშე, აწარმოებს

მუდმივ „ლაშქრობას“ ხსენებული ოპოზიციის წინააღმდეგ.

„პირადი ანგარებით აღძრულ რობაქიძეს წერთა თუ ლაპარაკით ხშირად უხდება ძველი ფავორიტების უარყოფაც, რომლებისთვისაც ერთ დროს დიდად თავგამოდებული იყო და მათთვის „ცეცხლოვან“ ღითორამბებს ჰხარჯავდა“ (49).

უნდა ითქვას, რომ ს. ფაშალიშვილის ეს მინიშნება არცთუ სიმართლეს მოკლებულია. ზემოთ ვახსენეთ XX საუკუნის 10-იან წლებში რობაქიძე - გრიშაშვილის ურთიერთობის ამსახველი ფაქტები. ნამდვილად საკვირველია რობაქიძის მიერ ყოველთვის ხოტბაშესხმული გრიშაშვილის ახლანდელი დაუნდობელი კრიტიკა, უფრო ლანძღვა. აღნიშნული დაპირისპირება სცილდება ლიტერატურული პოლემიკის ნორმებს და ურთიერთშეურაცხყოფამდე მიდის.

ს. ფაშალიშვილი ამბობს, რომ ახლა დრონი იცვალენ, „რობაქიძეც გაპოეტდა და ჩატყდა ხიდი“. ამაში ხედავს იგი რობაქიძის ცალმხრივობის მიზეზს.

ს. ფაშალიშვილის „საპასუხოში“ ვკითხულობთ ავტორის საინტერესო მსჯელობას ქართული სიტყვის რიტმული დახვეწისა და ლექსის მუსიკალური აქტუალების თაობაზე, რომელიც წინა პლანზე წამოწია გ. რობაქიძემ თავის ზემოაღნიშნულ წერილში „ქართული რიტმული“.

ს. ფაშალიშვილი აღნიშნავს, რომ მისასაღმებელია და ფრიად საინტერესოა რობაქიძის მიერ ამ ყურადსაღები საკითხის წამოყენება, „პრიმიტივმა და შაბლონმა დიდი ხანია დრო მოსჭამა ქართულ ლექსში, საჭიროა ახალი გზა და სიტყვაში მუსიკალობისათვის ესთეტიური გადაჯგუფების მანევრი“ (49). სიკო იქვე მიანიშნებს, რომ ქართული ენა გაუქლიბავია და გაუმართავი. ამით აიხსნება, რომ ჩვენში მწერალს სიტყვის თავისი სტილი აქვს. ერთმანეთში ირევა პროვინციული, ინდივიდუალური, კანონიერი, უკანონო. რუსულში კი ასე არ ყოფილა. მისი აზრით, ქართული სიტყვის „ფსიქიკას“ სჭირდება „ანატომიური“ შესწავლა და „ესთეტიკური ქირურგია“ გრამატიკული კანონის დაცვით.

„ამ დარგში თუმცა თვით რობაქიძეც ავტორიტეტიანი კაცია, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევს მას უფლებას, რომ თავისი ნათქვამი წინასწარ კანონად გამოაცხადოს და ამისათვის „ბღღვირი აღინოს“ ქვეყანას.

ეს მწერლური თვითნებობაა მხოლოდ, რასაც არ მოერიდა რობაქიძე და გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული წერილი კინკლაობის საშუალებად გამოიყენა“ (49).

აქედან გამომდინარე, სიკო ეხება გ. რობაქიძის უკანასკნელ ფელეტონს და



აღნიშნავს, რომ წერილში ბევრია მისაღები თუ არა ყურადსაღები მაინც, განსაკუთრებით ქართული სიტყვის რიტმული მელოდიის თავისებურებებისა და სართიმო სიტყვების „თანასწორ მახვილზე დანასკვის მეთოდის“ შესახებ. იგი მიესალმება გ. რობაქიძის სურვილს – ერთგვარი ქირურგიული ცდა მოახდინოს ზოგიერთი მძიმე და არამუსიკალური სიტყვის სტრუქტურის სარეფორმაციოდ, რათა უფრო მელოდიური და მარტივი გახდეს ლექსის რიტმული წყობა. მაგრამ, მისი აზრით, ანალიზის ჯერის დადგომისთანავე „რეფორმატორი“ რობაქიძე მშრალზე რჩება. ნიმუშად მხოლოდ თავისი „ავტორიტეტული“ ლექსის მეთოდები მოჰყავს. ნათქვამის გასამართლებლად საჭიროდ მიიჩნევს გრიშაშვილის, ფაშალიშვილის და სხვების „გამათრახებას“ და ცდილობს ფონს გასვლას .

ამის შემდეგ ს. ფაშალიშვილს მოჰყავს ვრცელი ამონარიდები გ. რობაქიძის წერილიდან და დაწვრილებით განიხილავს მათ. იგი არ იზიარებს რობაქიძის თეორიას, რომ მწერალმა თავი უნდა დააღწიოს ზოგიერთ „მაჯღაჯუნა სიტყვას“ და ამისათვის მას უნდა ჩამოაცილოს რამდენიმე ძნელად სასმენი და ყრუ თანხმონები და სიტყვა „მოჰკვეთოს ისე, რომ მოკლე იყოს“ და შიგ „ხმონები სჭარბობდეს“. გ. რობაქიძის თქმით, მას „სალომეა“ უთარგმნია ისე, რომ ბევრი სიტყვა გაუშლია და სიტყვიდან „მკვდარი“ ამოუგდია „მანი“. ს. ფაშალიშვილი შენიშნავს, რომ ეს მეთოდი აბსურდამდე მიგვიყვანს. „მანთან“ შედარებით უფრო ყრუდ ისმის „ვ“. ასეთი მიდგომით უკეთესი სასმენი და რომ ენას არ მოსტეხს წარმომთქმელს „კდარი“ უფროა. ასეთი განზომილებანი წერილის ავტორს მიუღებლად მიაჩნია და კატეგორიულად არ ეთანხმება მას, ვინაიდან, სიკოს თქმით, ლოგიკა დაავადებს რობაქიძეს, რომ ასევე მოეპყროს სხვა სიტყვებსაც. მაგალითად მოჰყავს გ. რობაქიძის მიერ „დაწუნებული“ სიტყვა „მტკვარი“, რომელშიც ერთი ხმონით გამოითქმის ექვსი თანხმონი. საბოლოოდ „მტკვარის“ ნაცვლად დაგვრჩება „კვარის“, ხოლო ბრუნვაში „მტკვრის“ ნაცვლად „კვრის“ და ამგვარი „აბსურდი კი კურიოზებით აავსებს ჩვენს დაუშუშავებელს, მაგრამ დარბაისელს ენას“. რობაქიძეს ლაკონისტობისა და მელოდიურობის სურვილით სწორედ რომ „გაკრეტინებამდე“ მიჰყავს თავისი თავი, არღვევს სიტყვის ბრუნვის კანონსაც და მის მნიშვნელობაშიც დისონანსი შეაქვს – დაასკვნის ს. ფაშალიშვილი.

როგორც წერილიდან ჩანს, ს. ფაშალიშვილის მოსაზრებანი გულიდან და გონებიდან ნასაზრდოებია, შორსაა ემოციურობისგან. არ შეიძლება არ დაეთანხმოს მის კანონზომიერ დასკვნებს სიტყვის მნიშვნელობის ხელოვნური

ცვლის უმართებულობაში. მისი აზრით, გ. რობაქიძეს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი შეხედულება და წეროს კიდევ თავისი სურვილით, მაგრამ „აღსანიშნავია ის ახირებული პრეტენზია, რის წყალობითაც იგი თვითმპყრობელის გულისწყრომას აცხადებს მარუთა შუამდინარელის მიმართ, რომელსაც არ მოსწონებია რობაქიძის „რემონტი“ ქართულ სიტყვაში, და რობაქიძე იმდენად გაწიწმატებულა, რომ „ფინანს“ უწოდებს მას“ (49).

ს. ფაშალიშვილი თანდათან აშკარად გამოდის გრიშაშვილის მხარეზე. იგი ახლა მარტო თავისი მოსაზრებით კი არ უპირისპირდება გ. რობაქიძეს, არამედ გრიშაშვილის მოსაზრებებსაც იზიარებს და აღიარებს მათ. სიკო მიმართავს გ. რობაქიძეს, რათა გაითვალისწინოს, რომ გრიშაშვილი „ვიდაც“ კი არ არის, არამედ მისთვის კარგად ნაცნობი მწერალია.

„ესეც არ იყოს რას ნიშნავს სიტყვა „ფინანსი“? რობაქიძეს უყვარს ჯენტლმენობა და ლაპარაკში უნდა ფრთხილობდეს, რომ შეუფერებელი ფრაზით არ გამოაჩინოს სულის მეშინაობა“ (49).

ამის შემდეგ წერილის ავტორი ისევ მსჯელობის საგანს უბრუნდება. იგი ეთანხმება გ. რობაქიძის შენიშვნებს, როგორც ი. გრიშაშვილის, ისე ა. აბაშელის, შ. ამირეჯიბის, გ. ტაბიძის და სხვათა მიმართ. „მეც მეხება და ამბობს: „მაშ მაგ არა რწმენის ტაძარს“ გაუგებარია, რადგან გამოდის: „მაშმაგა რა „ და სხვაო“.<sup>157</sup> ამ შენიშვნას სიკო თავმდაბლად ღებულობს და აღიარებს, რომ მისი მხრიდან მხატვრული გამოთქმა ნაკლებხარისხოვანია, თუმცა მთლიანი სტრიქონის აზრი გასაგებია და ასე თქმაც მიაჩნია შესაძლებლად. მაგრამ თუ „ზმის კომბინაციებზე“ მიდგება საქმე, ყოველი გამოთქმის გადატრიალება შეიძლება აზრის მხრივ, - „შენ და რობაქიძეს“ მაგიერ შეიძლება გავიგოთ: „შენ დარო ბაქიძე“ ან „შენ დარობ აქ იძე“, მაგრამ ასეთი რამ შარადისთვის გამოდგება მხოლოდ – დასძენს ავტორი.

ს. ფაშალიშვილი რეაგირების გარეშე არ ტოვებს რობაქიძის მძაფრ შენიშვნას სალექსო სტრიქონების გამეორებას და ამ საშუალებით „ცარიელი ადგილების ამოვსებას“ რომ შეეხება. მისი აზრით, ასეთ ფორმებს ყველგან მიმართავენ, თვით რობაქიძისთვის უეჭველი უცხოელი ავტორიტეტებიც კი, და მოჰყავს მრავალი შესაბამისი ნიმუში მათი პოეტური შემოქმედებიდან. აი, ზოგიერთი მაგალითი:

ჰოფმანი:

„ . . .

как в душу вкралась, как вкралась грусть

. . . . .

их было много, их было много"

ალექსანდრე ბლოკი:

„ Все на свете, все на свете

знают, счастья нет "

ბალმონტი:

„ Я мечтаю ловить уходящая тени

уходящая тени погосовшего дня " და მრავალი სხვა.

ამის შემდეგ ასახელებს მსგავს მაგალითებს თვით გ. რობაქიძის ლექსებიდან „ადონელა“, „იწვის შქერი“, „ვერის ხიდზე“, სადაც თურმე „განმეორებანი ფერხულივით ბრუნავენ“.

ს. ფაშალიშვილი სათანადო ყურადღებას უთმობს სიტყვა „და“-ს გამოყენების რობაქიძისეულ უარყოფას და ამბობს, რომ რობაქიძე ისეთ მაგალითებს იხმობს, სადაც „და“-ს გამოყენება ლოგიკური აუცილებლობაა, მაგრამ აქაც „დამნაშავეის სკამზე გრიშაშვილი და ფაშალიშვილი სხედან“. გ. რობაქიძის მინიშნებით, ი. გრიშაშვილს „და“- თი დაწყებული სტრიქონების „საშინელ კაკაფონიაში...“ კარგი შეგირდი ჰყავს ს. ფაშალიშვილი... შეადარეთ მისი ლექსი „ოქროს ჯვარი“ ი. გრიშაშვილისას... აქ რიტმზე ლაპარაკი ზედმეტია. აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილიცა და ფაშალიშვილიც ბოლო ხანებში ცოტა ადგილს როდი უთმობენ ლექსში ასეთს უბედურ „ცინდრიკს“ (34). სიკოს თქმით ეს ყოველივე სხვის თვალში ბეწვის ძიებაა. „და“-ს ასევე იყენებენ რუსი პოეტებიც, თვით რობაქიძეც, ხოლო მისი „უმცროსი ძმები („ყანწელები“)... ჩვენზე ნაკლებად არ მიმართავენ ამ ხერხს“. მრავალი მსგავსი მაგალითი მოჰყავს წერილის ავტორს თვით გ. რობაქიძის, ასევე ელენე დარიანის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის სალექსო ტაეპებიდან: „საინტერესოა, რობაქიძე თავის ჰამქრელთა „და“-ს კანონად მიიღებს თუ „საშინელ კაკაფონიად“ გამოაცხადებს?.. ეს „პოეტმა“ რობაქიძემ იცოდეს“ (49), – დასძენს ბოლოს წერილის ავტორი.

თითქოს უნდა დამცხრალიყო ვნებათაღელვა, ან რაღაც ეტაპი მაინც უნდა გამოკვეთილიყო ამ, მართლაც, „დაუნდობელ“ პოლემიკაში, მაგრამ ყოველივე ზემოაღნიშნული არ აღმოჩნდა საკმარისი „ურთიერთკვეთებისათვის“, არც გამოუცხადებელი „შესვენება“ ჩამოვარდნილა მათ შორის.

გ. რობაქიძემ არ დააყოვნა და სულ მალე, ორ დღეში, გამოაქვეყნა ს. ფაშალიშვილისადმი მიმართული ახალი კრიტიკული წერილი „კიდევ რიტმისთვის“ (27), ხოლო მეორე წერილი „მარუთა შუამდინარელს“ (29), ბუნებრივია, ი. გრიშაშვილს „უძღვნა“. უკანასკნელი წერილი არ ადაბლებს ადრესატის შეფასების კრიტერიუმს. კიდევ უფრო გაძლიერებულად ქდერს „ფინაჩი“. საკუთარ პიროვნებას მოკლებული სხვისი სახელის მიმთვისებელი, უაილდის სიტყვის „ინსტრუმენტაციაში“ სრულიად უცოდინარი, ქართულის ცოდნაში „უვიცი“, აი, ასეთი „უკაცრავად პასუხია მწერალი“ გრიშაშვილი იწუნებს „სალომეას“ თარგმანს და იწვევს საპაექროდ რობაქიძეს, რომელსაც „ამაზე მეტი უბედურება“ ვერ წარმოუდგენია, მაგრამ „ქართული ლიტერატურის ინტერესებისათვის“ მაინც იღებს მის გამოწვევას.

შემდეგ გ. რობაქიძე ისევ უბრუნდება რიტმულად გამოთქმის საკითხს. განიხილავს ზოგიერთ კონკრეტულ სიტყვას, გამოყენების თვალსაზრისით იძიებს მის წარსულსა და აწმყოს. ამიტომ იხმობს რუსთაველის, სულხან-საბას, ნ. ბარათაშვილის და სხვათა შემოქმედებაში გამოყენებულ ამა თუ იმ განსახილველ სიტყვას და საკუთარ მოსაზრებათა მართებულობას ასე უმტკიცებს მოპაექრებს.

გ. რობაქიძის წერილი „კიდევ რიტმისთვის“ შეიცავს ავტორისათვის დამახასიათებელ „ამპარტავან“ „უკარებელ“, „თავკერძ“ (ი. გრიშაშვილის „სონეტი“-დან გრიგოლ რობაქიძეს - თ. გ.) ტონს უფრო მცირე სალანძღავი სიტყვებით. იგრძნობა, რომ ზოგ შემთხვევაში ავტორს გათვალისწინებული აქვს ს. ფაშალიშვილის შენიშვნები და უკანაც კი დგამს ნაბიჯს. ასე მაგალითად, ცალკეული სიტყვის გაშლასთან დაკავშირებით გაუთავებელი კამათის გამო („მკვდარი“ – „კვდარი“ – „კვტარი“) გ. რობაქიძე თითქმის ეთანხმება ს. ფაშალიშვილის კრიტიკულ აზრს და აღნიშნავს: „ჩვენში ჯერ აკადემია არ არსებობს და ამისათვის საბოლოოდ არც ის არის გადაჭრილი, „კვდარი“ უნდა თუ „მკვდარი“. აქ „მანის“ საკითხი პრობლემაა და ჩემს თქმაში არ არის კატეგორიულობა“ (27). ს. ფაშალიშვილს ეჭვი შეაქვს გ. რობაქიძის გულწრფელობაში, ეს სიტყვები მის დიპლომატიურ უკანდახევად მიიჩნია და აღნიშნავს, რომ რობაქიძეს თავისი მოსაზრებანი ამა თუ იმ საკითხზე მიაჩნია კანონად და აუცილებელ გასათვალისწინებლად სხვებისათვის. სიკოს თქმით, ფაქტები ამას ჰდადადებენ. „მკვდარი“-დან „მანის“ განდევნა კანონად მიაჩნია და „მარუთა დატუქსა, როგორც ამ კანონის დამრღვევი და არმცოდნე“. რობაქიძე

„ტყუილად უარყოფს" თავის კატეგორიულობას - დაასკვნის იგი.

გ. რობაქიძისთვის პოეზია პირველ ყოვლისა რიტმული სიტყვაა და პოეტმა ყოველთვის რიტმული უნდა არჩიოს არარიტმულს. „აი, რა არის მთავარი ჩემს წერილში ბ-ნო ფაშალიშვილო, დაარღვიეთ ეს და შემდეგ ილაპარაკეთ გაცხარებულად" (27).

ს. ფაშალიშვილის მეორე კრიტიკული წერილიდან „რობაქიძიდა"(48) ნათლად ჩანს, რომ გ. რობაქიძის ეს სიტყვები სიკოსთვისაც იგივე ჭკმმარიტებაა - „არარიტმულს სჯობს რიტმული, ცუდს - კარგი..." ამბობს იგი და იქვე გარკვევით მიანიშნებს, რომ ენის ნორმას უნდა გაეწიოს ანგარიში და „რობაქიძის აბსურდებით" არ უნდა იცვლებოდეს სიტყვის ფორმები. მისი ღრმა რწმენით აქ „ხათრისათვის არ შეიძლება კომპრომისი" და განაგრძობს, რომ საჭიროა სიტყვის სულის შესწავლა. თუ ვიტყვით „ნიორის გემო", „იორის ველი", მაშინ უნდა ვთქვათ „ქათამის ხორცი", „გუთანის დედა", „ურემის თვალი", „ირემის კვალი" „...მაგრამ „ლიტერატორი არ იტყვის „გუთანის დედას"... ასე მხოლოდ ბავშვები ლაპარაკობენ ხოლმე... მაშასადამე... ბავშვებს აკადემიური ენა სცოდნიათ" (48). ს. ფაშალიშვილი ამ შემთხვევაში ისე, როგორც ზოგიერთ სხვა საკითხთან შეხებისას, დაჟინებით მოითხოვს რობაქიძისაგან პასუხს კითხვაზე - აქარწყლებს თუ არა ეს ფაქტი მის „კატეგორიულ" სტრიქონებს? კომენტარსაც მას მიანდობს.

სიკოს უკვირს გ. რობაქიძის გაღიზიანებული ტონი და მისი „ლაშქრობის" მთავარ მიზეზს პირადი ინტერესებითა და რევანშის წყურვილით ხსნის. პირველ წერილში („საპასუხო") ს. ფაშალიშვილი შუღლის დამთესად და „განხეთქილების ვაშლად" რობაქიძის „გაპოეტებას" ასახელებდა. ახლაც იგივეს იმეორებს და ცდილობს მის დასაბუთებას. სიკოს თქმით, ამ რამდენიმე წლის წინ რობაქიძე ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა ქართულ ლიტერატურულ სარბიელზე. მაგრამ მაშინ თურმე იგი ლექსებს არ წერდა. ხოლო მის მჭევრმეტყველურ ლექციებში ერთიმეორეს ცვლიდა დიდი სახელები - ნიცშე, გიოტე... ქართველთაგან შოთა, ილია, აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი... როცა რობაქიძე თანამედროვე პოეზიას შეეხებოდა, მაშინ კი სულ „გრიშაშვილის სიახლე", „გრიშაშვილის მოდერნისტობა", „გრიშაშვილის ნიჭი" ეკერა პირზე.

ურთიერთპატივისცემა სუფევდა მათ შორის სონეტის საკითხის წინა პლანზე წამოწვევამდე (1918 წ.). არც იმ საბედისწერო სონეტის საკითხი ყოფილა

გრიშაშვილის საწინააღმდეგოდ წამოჭრილი. გ. რობაქიძემ ზოგადად განიხილა სონეტი და მასში „ცისფერყანწელთა“ დამსახურების გამოკვეთა ი. გრიშაშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. იგივე ითქმის მეორე მხარეზეც – გრიშაშვილის შენიშვნაზე „სალომეას“ თარგმანის მიმართ, რომელიც არ ჰგავდა საომარ გამოწვევას. აქაც მცირედი გახდა ურთიერთგადამტერების მიზეზი. ქართული ანდაზა „ჩიტი ბდღენად არ ღირდაო“ – ორივე პოლემიკის საწყისს შეესაბამება – სონეტის საკითხსაც და „სალომეას“ თარგმანსაც.

ს. ფაშალიშვილი იხსენებს გ. რობაქიძის მიერ 1913 წელს გამოქვეყნებულ წერილს „ფოთლები“, რომელშიც გ. რობაქიძე ხოტბას ასხამს ი. გრიშაშვილის პოეზიას. იქვე ასახელებს მეორე წერილს, რომელიც გ. რობაქიძეს „Кавказ“-ში გამოუქვეყნებია. მოაქვს ამონარიდი: „Гришашвили исключительное явление, многими он признан, многими нет, но мимо него никто не проходил“.

სიკოს მიაჩნია, რომ ეს „შესხმის ფურცლები“ რობაქიძემ მაშინ დაწერა, როცა გრიშაშვილი ჯერ კიდევ გაცილებით ახალგაზრდა პოეტი იყო. მას შემდეგ ერთი ტომით მეტი ლექსი აქვს დაწერილი. უფრო დახელოვდა, გაიშალა და უდავოდ დიდ პოეტად იქცა. მაშ, ახლა რატომ მიაქვს უკან თავისი ადრე ნათქვამ-ნააზრევი? – კითხულობს სიკო. „მე ვიცი რაც მოხდა“ – აცხადებს იგი და თვითონ პასუხობს დასმულ კითხვას. კერძოდ, აღნიშნავს, რომ ახლა რობაქიძემ ლექციების კითხვას უკლო და უფრო „გაგვიპოეტდა“. მან „ამ დარგში დაიწყო ბაზრის ძიება. და ვინაიდან იცის, რომ „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმინდოს“, შეუდგა გრიშაშვილისა და მის თანამოკალმეთა გაბახებას და დასამარებას“ (48).

იქვე ასახელებს მეორე მიზეზსაც, რაც გრიშაშვილსა და რობაქიძეს შორის ქუთაისში გამართულ საღამოზე მომხდარ პირად უთანხმოებაში მდგომარეობს. კამათი აქაც სონეტის შემოღების საკითხზე აღიძრა. სიკოს თქმით, ამ კამათში გრიშაშვილს გაუმარჯვნია. შემდეგ ს. ფაშალიშვილს, როგორც თვითონ ამბობს, ორი წერილი გამოუქვეყნებია „მშვილდოსნელთა“ შესახებ, სადაც „რობაქიძის პოეტობა ავად მოუხსენებია და ვითომ ეს არის მიზეზი რობაქიძის სამუდამო გადამტერებისა და პოლემიკის გამართვისა, მაგრამ რობაქიძემ უპასუხოდ „მიაფუჩეა“ ეს ბრალდებები, ისევ ძველის განმეორება დაიწყო – გვეუბნება წერილის ავტორი.

რაც შეეხება გრიშაშვილთან სიტყვების განმეორების რობაქიძისეულ კრიტიკას, სიკო პასუხობს, რომ ადრე ასეთ ფორმებს გრიშაშვილის

მუსიკალობად მიიჩნევდა რობაქიძე, მაგრამ ახლა ფრონტი იცვალა და იგივე ფორმისთვის თავს დაესხაო. ცნობილია, რომ სიტყვათა განმეორებისათვის რობაქიძე მსუბუქად იმ ადრეულ - „ლეილასთვის“ წამმღვარებულ წერილშიც („ფოთლები“) აკრიტიკებს გრიშაშვილს. იქ, სადაც გაბედულ პოეტურ შედარებებს უწონებს, ამბობს - „...გარდა ამისა, მას უყვარს სიტყვებისა და ფრაზების განმეორება, მუსიკალობისათვის ესეც კარგია, მაგრამ გადამლაშებას აქაც უნდა ერიდოს ნამდვილი ხელოვანი“ (32).

შეიძლება ითქვას, რობაქიძე სწორედ გადამლაშებად და ცარიელი ადგილების შევსების საშუალებად თვლის გრიშაშვილთან და მის თანამოკალმეებთან სიტყვათა განმეორებას თავის კრიტიკულ წერილში. ამ შემთხვევაში მხოლოდ მუსიკალობაზე აღარაფერს ამბობს. შესაძლებელია, ყოველივე ბოლო დროის განწყობილების შედეგია. ისიც გასათვალისწინებელი და დასაშვებია, მართლაც, გადამლაშებად მიაჩნდეს განმეორებითი ფორმები წერილის ავტორს.

ს. ფაშალიშვილი სიტყვათა განმეორებაში მიუღებელს ვერაფერს ხედავს და ამიტომ რუსი პოეტების ლექსებიდანაც იხმობს მაგალითებს. რობაქიძის პასუხი, რომ ბალმონტს სიტყვების განმეორება წყობის ფორმად აქვს აღებული, - გადმა გადავებად მიაჩნია და უკიჟინებს:" ეს მე მაშინაც ვიცოდი ბატონო რობაქიძევ, მოგახსენებთ, რომ ბალმონტის ლექსი სწორედ ამით არის ლამაზი (მე ამის თქმა გამომრჩა მაშინ), მაგრამ სად მიაფუჩნეთ ბლოკისა და გოფმანის ლექსები, რატომ კრინტი არ დასძარით მათზე? ხელს არ გაძლევდათ? მაშინ სიჩუმეს გირჩევდით" (48). სიკო სვამს კითხვას, - თუ ბალმონტის მიერ ლექსის ფორმაა სიტყვის განმეორება, მაშინ რას იტყვის რობაქიძე გრიშაშვილის შემდეგ სტრიქონებზე:

„დღეს აჭიკჭიკდი საიღუმლოვ, იყავ ჩუმი ხვალ,  
იყავ ჩუმი ხვალ, დღეს კი დასტკბი, დასტკბი შემთხვევით,  
სამარადისო ძეგლს ავიგებს, დარჩი, ნუ მიხვალ,  
დარჩი, ნუ მიხვალ – გევედრები ღოცვით, კურთხევით.“

ან კიდევ:

„ტოკავდა, ტოკავდა პატარა ნარგიზი,  
პატარა ნარგიზი, კოსტა და ფაქიზი“.

სიკო ისევ კითხულობს, - აქაც ხომ წყობის ფორმაა, მაშ, რად არ გაიხსენებთ? თავადვე პასუხობს, რომ რობაქიძეს „საქმის არსებითი მხარე“ კი არ

ანტიერესებს, არამედ „ჭეშმარიტებისათვის გვერდის ახვევა, გრიშაშვილის ჩაწიხვლა და ფაშალიშვილის გამტყუნება. თითქოს გრიშაშვილი ყველგან „ამასხარავებს“ ამ ფორმას. აი, მე გიჩვენეთ მისი ლექსები. სად არის „გამასხარავება“ და „კაკაფონია“.

სამართლიანია ს. ფაშალიშვილი, როცა ამბობს, რომ შეიძლება ბალმონტმა აიღო ეს ფორმა პირველად და გრიშაშვილმა მისი ტრაფარეტი გამოიყენა. განა აუცილებლად ბალმონტი უნდა ეძიებდეს ფორმის თავისებურებებს? მაგალითად, ი. გრიშაშვილის ლექსი „შორეულს“ „და“ - თი იწყება და ყოველ ხანას თავში „და“ უზის. ესეც ხომ წყობის ფორმაა, თავისებური ხერხია. რობაქიძე კი ამ ხერხს გრიშაშვილისაგან გამასხარავებად მიიჩნევს – აღნიშნავს სიკო და განაგრძობს, რომ რობაქიძე ცდილობს გაამართლოს თავის ლექსებში დაშვებული სიტყვათა განმეორებანი და ამბობს, რომ მეც მაქვს ლექსის მეტრში სხვადასხვა განმეორებაო, მაგრამ გამონაკლისი მაინც გრიშაშვილი და ფაშალიშვილია. სიკოს მოჰყავს სიტყვათა განმეორებანი რობაქიძის ლექსებიდან: „ჰხედავ, ჰხედავ იმ კლდის პირას, სქელ ფოთლოვან მუხის ძირას, იწვის შქერი, იწვის შქერი, იწვის შქერი...“ და ასე შემდეგ. „თუ ეს „სხვადასხვა“ სახის განმეორება რობაქიძისათვის კანონია და გრიშაშვილისთვის „კაკაფონია“, მე აღარ ვიცი, სად არის კალმოსნური „ცინდრიკი“ და რა არის მართლაც „კაკაფონია“? – ეს რობაქიძემ განმარტოს“ (48).

საღიქსო სტრიქონის „და“ - თი დაწყების ბრალდებას ს. ფაშალიშვილი პასუხობს, რომ რობაქიძე „თვალთმაქცურად“ ჰკრეფს, რაც გრიშაშვილის წიგნში „და“ მოიპოვება, ან განმეორებული სიტყვები. ყველას ამათ ერთად ალაგებს, თითქოს ყველა „და“ ან „ჰოდა“ ერთიმეორეს მოსდევს და ასეთის „დომხალით აყრის მკითხველს თვალეებში მტვერს, რათა თეთრი შავად მოაჩვენოს“. საკითხავი კი ის არის, თუ რად „გადაყლაპა“ რობაქიძემ თავის ჯგუფელთა „და“. რობაქიძემ ამ კითხვაზე არ მიპასუხა. „ეს არის მიუკერძოებლობა? ეს არის პოეზიით წვა?...“ – კითხულობს სიკო.

ის, რომ გ. რობაქიძე თავისი წერილის შინაარსის „ვერ გაგებას“ საყვედურობს ს. ფაშალიშვილს, ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ სიკო ისევ ეკითხება გრიგოლს, - რა არის მის ნათქვამში გაუგებარი? და თვითონვე პასუხობს, რომ გაუგებარია მისი პოეტურობა, მისი ცალმხრივობა, მისი ჯგუფური საზომი პოეზიაში, „რაც საწყენია ფრიად“ .

ბოლოს ს. ფაშალიშვილი ეხება გ. რობაქიძის წერილის უკანასკნელ



ფრაზას, რომლის მიხედვითაც, ქართულ საზოგადოებაში „არშინ მაღალანს“ უფრო აქვს გასავალი, გრიშაშვილებს და ფაშალიშვილებს შეუძლიათ გაიხარონო და ამბობს, ეს ფრაზა პასუხის ღირსიც არ არის, რადგან იგი კრიტიკა კი არა რობაქიძისაგან მხოლოდ თავის აგდებაა. „ჯენტლმენს უფრო მეტი სიღარბისლე მოეთხოვება," – დასძენს სიკო.

აქ განხილული პოლემიკური წერილებიდან ირკვევა, რომ სიკო ფაშალიშვილი ამ რთული პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა. მიუხედავად ამისა, მას წონასწორობა არ დაუკარგავს და ბოლომდე ღირსეულად ეჭირა თავი. ღირსება და თავდაჭერა არასოდეს ჰკლებიათ გ. რობაქიძეს და ი. გრიშაშვილს, მაგრამ უარყოფითმა ემოციამ მაინც დასძლიათ.

„რობაქიძიდა" იყო ბოლო წერილი სიკოსაგან გ. რობაქიძის მიმართ გამოქვეყნებული. ამის შემდეგ მან მიიჩნია, რომ თავისი სათქმელი ამოწურა და მეტის საჭიროება აღარ იყო. მაგრამ გ. რობაქიძემ დიდხანს არ დააყოვნა და ისევ მალე გამოაქვეყნა მძაფრი წერილი „პასუხად" (30) – უშუალოდ ს. ფაშალიშვილის მისამართით.

გ. რობაქიძის ახალი გამოსვლის მიუხედავად, ს. ფაშალიშვილმა, თავის მხრივ, მეტის თქმა მაინც აღარ ჩათვალა საჭიროდ. ვფიქრობთ, სამართლიანადაც მოიქცა. იგი არ ეძებდა მიზეზებს და გამოწვევებს, არ ახირობია მოწინააღმდეგეს. მხოლოდ დაელოდა ი. გრიშაშვილის პასუხს ზემოხსენებულ წერილზე „მარუთა შუამდინარელს". პოლემიკა გაგრძელდა სიკოს გარეშე.

გ. რობაქიძის „პასუხად" ავტორისათვის ზედმიწევნით მწყობრად და კარგად ნაფიქრ-ნამსჯელები კრიტიკული წერილია. შეიძლება ითქვას, გ. რობაქიძე არც აქ ღალატობს ჩვეულ სტილს, მაგრამ რამდენადმე მაინც იგრძნობა სიმშვიდე, თუმცა ამ სიმშვიდეშიც გამოსჭვავის დამამცირებელი აზრები, რაც ერთგვარად დამახასიათებლადაც კი აღიქმება გ. რობაქიძისათვის ასეთ გაცხარებულ მდგომარეობაში ყოფნისას.

წერილის მიხედვით, გ. რობაქიძეს საქართველოში ვერ წარმოუდგენია ესთეტიკის საქმის ისე გაუკუღმართება, რომ გრიშაშვილებზე და ფაშალიშვილებზე ილაპარაკონ. ვერ ურიგდება ფაშალიშვილის გამოსვლას, რომელსაც „ისე აშლია წერის საღერდელი", რომ ფელეტონებს ერთიმეორეზე ბეჭდავს გრიშაშვილის დასაცავად. ფაშალიშვილს, რომელსაც „ქიზიყის ველების მეტი არა უნახავს", ვერ გაუგია რობაქიძის აზრი სიტყვათა განმეორების შესახებ, რაც ლექსის წყობას ახასიათებს. ეს „ვერ გაგება" თან

სდევს ანრდილივით. რობაქიძის თქმით, ფაშალიშვილს ისევ ვერ გაუგია, რომ გრიშაშვილის ლექსში „ტოკავდა“ სიტყვათა განმეორებანი წყობის ფორმად არ არის აღებული. „აქ განმეორებით ვერავითარ წყობას ვერ გამოვიყვანთ. არც ლექსი „შორეულს“ არის ასეთი, როგორც მას ჰგონია (ყოველი ხანა „და - თი იწყებაო), რადგან ხანა მასში ხუთი არის და სტრიქონის „და“- თი დაწყება კი შვიდი“ (30).

გ. რობაქიძისათვის მიუღებელია ს. ფაშალიშვილის განმარტებები „რიტმზე, ლექსის ღირსებაზე. „რობაქიძიადაში“ სიკო ლექსის ღირსების შესახებ ამბობს – ეს ცალკე სასაუბრო თემააო. იქვე დასძენს, ყოველთვის ვიტყვი, გრიშაშვილს, ფაშალიშვილს და სხვებსაც შეიძლება ბევრი სუსტი სალექსო სტროფი გააჩნდეს, ზოგი ლექსი შეიძლება სულაც ამოიხიოს რვეულიდან, მაგრამ რამოდენიმე ლექსის დაწუნება პოეტს ვერც მოკლავს და ვერც სახელს წაართმევსო.

გ. რობაქიძე ამაზე პასუხობს, რომ ფაშალიშვილმა უნდა იცოდეს, ლექსის ღირსებაში იმთავითვე შედის რიტმიც და სიტყვების განმეორება სწორედ რიტმის საკითხია. მაგრამ თურმე ესეც არ გაეგება ფაშალიშვილს. უწუნებს მსჯელობის ხეირიანად გაუმართაობას. გრიშაშვილის ლექსების რიტმში რომ თავიდან ბოლომდე „კაკაფონიაა“, ამას რობაქიძე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

გრიშაშვილის პოეზიისადმი ადრეულ საკებარ სიტყვებს „ჩაბლაუჭებული“ ფაშალიშვილის მისამართით გ. რობაქიძე კითხულობს, ფაშალიშვილს რატომ არ ებადება კითხვა, თუ რომელი რობაქიძე იყო მართალი – უწინდელი თუ ახლანდელი. მაგრამ „ფაშალიშვილს ეს არ აინტერესებს, ის არ შორდება სილლოგიზმს“, ამბობს იგი და განმარტავს, რომ შესაძლოა რობაქიძეს თავის „ესთეტიურს ვითარებაში“ აზრი შეეცვალა, მაგრამ ეს ისევ არ აინტერესებს ფაშალიშვილს. პრიმიტიულ მსჯელობად მიაჩნია ფაშალიშვილის მოყვანილი ციტატები რობაქიძის ლექციებიდან, „ფოთლებიდან“, „Кавказ“-იდან. ასევე პრიმიტიულად მიაჩნია მოსაზრება „ბაზრის ძიების“ შესახებ პოეზიაში. შეაქვს შესწორებანი სიკოს მიერ მოყვანილ რუსთველურ თქმაში – „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმინდოს“. მიაჩნებოდა, რომ მწერალს ევალება ნ. მარის ცოდნა, რომელიც რუსთველს „ეპოტინება“, რათა არ დაამახინჯოს იგი. ამასთან, შენ ამაღლდე, სხვა ამაგო – მხოლოდ კაცუნებისა და სმერდიაკოვების თვისებად მიაჩნია, ხოლო ფაშალიშვილები რასაც თავის თავში მზერენ, სწორედ ის ელანდებათ სხვის სულში. მაგრამ ფაქტები? – კითხულობს წერილის

ავტორი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაკვეთში გ. რობაქიძეს აშკარად მღელვარება ძღვეს, სისუსტე ეტეობა მის კალამს.

ამის შემდეგ გ. რობაქიძე სწორედ ფაქტებს ეხება. ფაშალიშვილის საყურადღებოდ ამბობს, თუ არ იცის სხვებისაგან მაინც შეიტყოსო – და განმარტავს, რომ ქუთაისში მას გრიშაშვილთან კი არა, სერგო კლდიაშვილთან მოსვლია უთანხმოება. რაც შეეხება სონეტის საკითხში ვითომ უკან დახევას, რაზედაც თავის წერილში საუბრობს სიკო, რობაქიძე „მოთხზულ ამბავს“ უწოდებს და თავის პოზიციას კიდევ უფრო განამტკიცებს. მისი აზრით, ამას დაიჯერებს ის, ვისაც „ბარაშკაჯანის“ მეტი არა წაუკითხავს რა. სონეტის საკითხზე გრიშაშვილის ”საიათნოვაში“ გამოთქმული მოსაზრებანი უვიცობად წარმოუდგენია.

„რობაქიძიადაში“ გამოთქმულ აზრს, „შვილდოსნელთა“ შესახებ ორი ფელეტონის გამოქვეყნების გამო გაღიზიანებული რობაქიძის მოსაზრებების „პირადი ინტერესებიდან“ გამოსვლის შესახებ რობაქიძე პასუხობს, რომ შეუძლია მშვიდად იყოს ფაშალიშვილი, ვინაიდან ის წერილები დღემდე არ წამიკითხავსო, ალბათ, ჩემი ბაქოში ყოფნისას დაიბეჭდაო, უინტერესობის გამო არც წაკითხვას ვაპირებო და სხვა.

ბოლოს დაასკვნის, რომ სადაც გრიშაშვილებსა და ფაშალიშვილებს აქვთ გასავალი, იქ რობაქიძე ან რომელიმე „ყანწელი“ არათუ ბაზრის ძიებას დაიწყებს, არამედ უბრალო გავლასაც სირცხვილად მიიჩნევს.

აღნიშნული წერილით დასრულდა რობაქიძე-ფაშალიშვილს შორის პოლემიკა. სიკომ, როგორც ვთქვით, საჭიროდ აღარ ჩათვალა დამატებითი აზრების გამოთქმა უკვე განმარტებულ საკითხებზე.

ისედაც საკმაო წყენა მიაყენეს ერთმანეთს, მრავალი ზედმეტი სიტყვა დაიხარჯა.

ამ პოლემიკის დადებითი შედეგები იყო ლიტერატურის თეორიის საკითხების წინა პლანზე დაყენება, კრიტიკული შეფასებანი.

პოლემიკამ ცხადყო მონაწილეთა დიდი ერუდიცია. სიკო ფაშალიშვილი თავისუფლად ფლობს ლექსწყობის თეორიულ საკითხებს, არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ და დასავლურ პოეზიაში. ახდენს აღნიშნული პოეზიის თეორიულ ანალიზს.

როგორც ვთქვით, ს. ფაშალიშვილი გ. რობაქიძის ბოლო წერილს აღარ

გამოსმაურებია, მაგრამ ძირითად მონაწილეებს პოლემიკა არ შეუწყვეტიათ. ი. გრიშაშვილმა და გ. რობაქიძემ კიდევ მრავალი წერილი „უძღვნეს“ ერთმანეთს. კორექტულობა ისევ იგნორირებული იყო. ი. გრიშაშვილმა დაბეჭდა „ნაწამები სალომე“ (9), სათაურშივე ჩანს „სალომეას“ მთარგმნელისადმი აგრესიული განწყობილება, რომელსაც მოჰყვა გ. რობაქიძის წერილების სერია სათაურით „ქართულის გარშემო“ (33), რომლებიც გამოირჩევა ლიტერატურულ საკითხებზე სრულყოფილი თეორიული მსჯელობებით და ისევ გრიშაშვილის ლანძღვით.

ვალში არც ი. გრიშაშვილი დარჩენილა და რობაქიძის საწინააღმდეგოდ ერთი სათაურის ქვეშ გამოაქვეყნა კიდევ ორი წერილი - „სალომე - რობაქიძის გარშემო“ (12), ისეთივე მსჯელობებითა და ლანძღვით საპირისპირო მისამართით.

მიუხედავად უკიდურესი გამძაფრებისა, მოპაექრე მხარეებს არასოდეს გამოუჩენიათ სულის სიმდაბლე. მოგვიანებით, უკვე ევროპაში ემიგრაციაში მყოფი გ. რობაქიძე ქართული ხელოვნებით (ცეკვის ანსამბლით) მოხიბლული ახასიათებდა რა ძველი თბილისის ცეკვებს, თურმე მიუთითებდა, რომ ამის გაგება ყველაზე უკეთ ი. გრიშაშვილსა და ლ. გუდიაშვილს შეუძლიათო. თავის მხრივ გრიშაშვილსაც მუდამ აწუხებდა ბედი სამშობლოს დანატრებული მწერლისა და მეგობრისა, რომელსაც ახალგაზრდობაში მშვენიერი სონეტი უძღვნა.

„მე, პირადად, მოწმე ვარ, თუ როგორ განიცადა ი. გრიშაშვილმა გ. რობაქიძის სიკვდილი. როგორ იღვრებოდა ცრემლად, როცა მისი გარდაცვალების ამბავი მიუტანეს“ (61), - ამბობს მკვლევარი აკ. ხინთიბიძე.

1920 წლის ლიტერატურულ პოლემიკაში ს. ფაშალიშვილის მკვეთრად გამოსატული პოზიცია, კოლეგებისა და მეგობრების მიმართ მისი მოკრძალების მიუხედავად, გვარწმუნებს, რომ მწერალს გააჩნდა შეუვალი შემოქმედებითი პრინციპები. არსებული დაპირისპირების განმავლობაში იგი მტკიცედ და სამართლიანად იცავდა საკუთარ შეხედულებებს და ბოლომდე ღირსეულად ეჭირა თავი. რაც მთავარია, ვგრძნობთ, რომ ს. ფაშალიშვილი ყოფილა საკმაო ერუდიციის მქონე ლიტერატურის თეორეტიკოსი და შემოქმედი, რომლისთვის ლიტერატურული ნაწარმოები, ლიტერატურული წერილი, თუ საჯარო გამოსვლა შემთხვევითი და ზერედე კი არ იყო, არამედ როგორც მისი პიროვნული მახასიათებელი, დროის მკაცრი აუცილებლობით ნაკარნახევი და ნაგულისხმევი, რაც მიგვანიშნებს, რომ მისებრ დაკვირვებული, შრომისმოყვარე ადამიანები მრავალ სფეროს შეებმებიან, უჭირთ მხოლოდ ერთი ბომონისადმი მონება და

მათი შინაგანი შესაძლებლობა, შემოქმედებითი პოტენცია უხვად გაიბნევა ამ მრავალფეროვნებაში. საზოგადოდ, როცა შემოქმედსა ან, უბრალოდ, პიროვნებაზე, მის როლსა და დანიშნულებაზე ვმსჯელობთ ლიტერატურასა თუ საზოგადოებაში, უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ეს და მისი პიროვნული სახე, სწორედ ამ დახარჯული ენერჯის ექვივალენტით უნდა შევაფასოთ. თუ ამ მხრივ ვიმსჯელებთ სიკო ფაშალიშვილზე და მის პერსონოლოგიურ პორტრეტს შეგქმნით, დაგრწმუნდებით, რომ ამ ნიადაგ ფუსფუსა, შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით სავსე პიროვნებამ განუზომელი ძალა და ენერჯია გადმოაფრქვია იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც ვფიქრობთ ჯეროვნად უნდა იქნეს შეფასებულიც და დაფასებულიც. ადამიანი, სიკეთისა და სინათლის შემომტანი ერის ცხოვრებაში სათანადოდ უნდა დაფასდეს, რათა მომავალმა თაობებმა შეიმეცნონ მათი კეთილი საქმე და გაითვალისწინონ მათი დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. წინამდებარე ნაშრომიც სწორედ იქეთკენაა მიმართული, რომ რაღაც მიზეზებით გარკვეულად ჩრდილით დაფარული სახე ისეთი მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედისა და მოღვაწისა, როგორც სიკო ფაშალიშვილია, დავიწყების ლაბირინთებში არ მოექცეს, და უსათუოდ დაიმკვიდროს კუთვნილი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

## თავი IV

### სიკო ფაშალიშვილის შემოქმედების როლისა და ადგილისათვის მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში

მე-20 საუკუნის დასაწყისი დიდი სულიერი ძვრების ეპოქა იყო საქართველოსთვის. ამ დრომ მრავალი ახალი პრობლემა დააყენა როგორც ზოგადად ხელოვნების, ისე ლიტერატურის წინაშე. ქართული მწერლობა ყოველთვის მიზანმიმართულად და საინტერესოდ წარმოსახავდა ეპოქალურ საკითხებს, მდიდრდებოდა მისი მსოფლმხედველობრივი არეალი და ახალი სახელები ემატებოდა მის ფონდს. შემთხვევითობა არ იყო ის, რომ ამდროინდელ ქართულ მწერლობაში განსხვავებული შეხედულებებისა და პოტენციალის მწერლები მოვიდნენ, მაგრამ უნდა მივუთითოთ, რომ თითოეული მათგანისათვის თავისი ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობა უმთავრეს და უპირველეს პრობლემად რჩებოდა.

ერთ-ერთი იმათგანი, რომლებმაც სამშობლო და მისთვის თავდადება სიტყვითა და კალმით ცხოვრების ლაიტმოტივად გაიხადეს, სიკო ფაშალიშვილიც იყო.

სიკო ფაშალიშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას წინ უძღოდა დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა – 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, რომლის სუსხმაც მომავალ მწერალს ყოველგვარი ძალმომრეობისადმი მკვეთრად უარყოფითი შთაბეჭდილება შეუქმნა, რაც აისახა კიდევ მის შემოქმედებაში. აღნიშნული რევოლუცია რუსეთში მარქსისტული იდეების გავრცელების შედეგი იყო. მსგავსი იდეები საქართველოში მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ვრცელდებოდა.

რევოლუციური აზროვნების განვითარების კვალდაკვალ ჩვენში წარმოიშვა შესაბამისი რევოლუციურ მწერალთა ახალი ჯგუფი, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში ისე, როგორც საქართველოს ისტორიაში, „მესამე დასის“ სახელითაა ცნობილი. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, აღნიშნული შემოქმედებითი ჯგუფის ჩამოყალიბება მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ აღიარებულია უახლესი ქართული მწერლობის საწყისად. „მესამე დასის“ პარალელურად მოღვაწეობას განაგრძობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით აღჭურვილი

„თერგდალეულთა“ მთელი პლეადა. ერთგვარად შეუსაბამოა სალიტერატურო კრიტიკაში განვითარებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მწერალთა ეს რევოლუციური ჯგუფი „სრულიად ახალი ტიპის მწერლობა იყო, რომელიც აგრძელებდა მე-19 საუკუნის დიდი კლასიკური მწერლობის ტრადიციებს და ამავე დროს ქმნიდა ახალ საფეხურს, ახალ პერიოდს ჩვენს მწერლობაში“ 40, 4). მოტანილ ციტატაში განვითარებული აზრი საბჭოთა ეპოქიდან ინერციის შედეგია თანამედროვე კრიტიკაშიც. ადრეული მოსაზრებებით „მესამე დასი“ 60-იანელთა ლიტერატურული სკოლის მემკვიდრედაცაა წარმოდგენილი. მისასაღმებელია, რომ უმეტეს მკვლევართა ახალ ნააზრევებში აღნიშნული საკითხების ასეთი განხილვა ძირითადად უარყოფილია და ამ ჯგუფის ლიტერატურული და პრაქტიკული საქმიანობა სრულიად სხვაგვარადაა შეფასებული.

საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსთა მიერ „მესამე დასის“ 60-იანელთა მემკვიდრედ მიჩნევას მათი შემოქმედების სოციალური პრობლემატიკითა და რეალიზმისადმი ერთგულებით ხსნიან.

რეალიზმისადმი ერთგულება და თერგდალეულთა შემოქმედებითი მიმართულებისთვის ახალი მუხტის შექმნა (თუ ეს ასეა), მაინც ვერ ამაღლებს მათი მემკვიდრის მდგომარეობამდე. ამ ჯგუფის პუბლიცისტთა შემოქმედებითი და პრაქტიკული საქმიანობა, ფიქრი და ოცნება ყოველგვარი ეროვნულის დათრგუნვას და მის ინტერნაციონალურთან შერწყმას ემსახურებოდა, რისთვისაც თავგანწირულად იბრძოდნენ. „მაგრამ ამ საბედისწერო მოვლენებს იმდროინდელ მწერლობაში, საბედნიეროდ, თითქმის არავითარი გამოხატულება არ უპოვიათ. ეროვნული ლიტერატურის მაგისტრალური მიმართულება ამ შემთხვევაშიც უდალატოდ მიჰყვებოდა გასული საუკუნის ჩვენი მწერლობის საუკეთესო ოსტატების მიერ დამკვიდრებულ ტრადიციებს“ (24, 9).

1910-იანი წლებიდან აქტიურ შემოქმედებით მუშაობას იწყებს სრულიად ახალგაზრდა პოეტი სიკო ფაშალიშვილი. სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლა დაემთხვა ჩვენში მიმდინარე ძალზე საინტერესო ლიტერატურულ პერიოდს, როგორც შემოქმედებითი თვალსაზრისით, ისე ორგანიზაციული წყობითაც. ყველაზე მკაფიო შუქს მაინც 1915 წელს დაარსებული „ცისფერყანწელთა“ ორდენი გამოსცემდა, რომელიც განყენებული იდეების განვითარებას სრულიად ახალ პოეტურ ფორმასა და შინაარსში წარმოსახავდა. როგორც ცნობილია, აღნიშნული ლიტერატურული ჯგუფის წევრები მემკვიდრეობის საკითხში ევროპელ (ფრანგ) სიმბოლისტებს ენათესავებოდნენ. საზოგადოებაში ლიტერატურის როლისა და დანიშნულების

შესახებ მათ სულ სხვაგვარი წარმოდგენა გააჩნდათ. მათი მოდერნისტული შემოქმედებითი აზროვნება უპირისპირდებოდა „თერგდალეულთა“ ეროვნულ და ესთეტიკურ შეხედულებებს. „ცისფერყანწელებმა“ ზურგი აქციეს ლიტერატურაში უკვე კარგახნის ფეხმოკიდებული რეალიზმის ტრადიციებს. შეიძლება ითქვას, მათ ომი გამოუცხადეს განვლილ (მე-19 საუკუნის) ლიტერატურულ გზას და ხელი მიჰყვეს საკუთარი პოეტური სკოლის დამკვიდრებას. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ახალი, დასავლური სალექსო სტილის (მათ შორის სონეტების) გამართვისა და სრულყოფის საქმეში.

„ცისფერყანწელებმა“ დაგმეს „თერგდალეულთა“ იდეური მიმართულება, მაგრამ ილიასა და აკაკის აზრთა თაყვანისმცემლებმაც საგულდაგულოდ „გადაუკეტეს კარი“ მათს სიმბოლისტურ აბსტრაქციებს. მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ქართული პოეტური სიტყვისა და ეროვნული აზროვნების (განსაკუთრებით 20 – იანი წლების შუახანებიდან) განვითარების საქმეში.

აღვნიშნეთ, რომ სიკო ფაშალიშვილი სამოდვაწეო ასპარეზზე 10-იანი წლების გარიჟრაჟზე გამოვიდა. როგორც უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ „ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში 1905-1908 წლებში უხვად იბეჭდებოდა ნ. ჩხიკვაძის, ვ. რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, შ. დადიანის... ს. ფაშალიშვილის... და სხვათა ლექსები“ (40, 20). აქ კონკრეტული წლების მინიშნებაში ერთგვარი უზუსტობაა. სიკომ პირველი ლექსი თხუთმეტი წლის ასაკში გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1909 წელს. ამის შემდეგ კი, მართლაც, აღარ შეჩერებულა მისი პოეტური მუზა მრავალი წლის მანძილზე.

იმ რთული ლიტერატურული ძიების წლებში, სავარაუდოა, რომ ახალი შემოქმედებითი ძალით აღსავსე სიკო ფაშალიშვილი „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი ჯგუფის წევრი თუ არა, თანამგრძნობი მაინც უნდა ყოფილიყო. მაგრამ საქმე სრულიად საპირისპირო ფაქტთან გვაქვს. იგი უპირისპირდება „ცისფერყანწელთა“ ორდენის ახალ იდეებსა და ესთეტიკურ პრინციპებს. მართალია, ეს დაპირისპირება 20-იანი წლების დასაწყისიდან უფრო თვალში საცემია, მაგრამ სიკო ამ ორდენს ჩამოყალიბებისასაც არ გაჰკარებია სიახლოვეს. იგი სხვა მიმართულებას ირჩევს. უფრო სწორად, ასპარეზზე გამოსვლისთანავე არჩევანი მკვეთრად განსაზღვრული ჰქონდა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა. სიკოს თბილისში ჩამოსვლისას (1909 წ.) უკვე ცოცხალი აღარ იყო ილია ჭავჭავაძე, „მაგრამ დიდი ინტელექტისა და



ნათელკაცობის ანარეკლი მაინც უშუალოდ ანათებდა ჩემს თაობას და ამ ანარეკლს აკაკის სახითაც ვხედავდით" (14, საქმე 26651, ფ. 2), - ამბობს იგი. ლიტერატურულ კრიტიკაში გამოთქმული აზრიც სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ სიკო ფაშალიშვილი ყველაზე უფრო XIX საუკუნის რეალისტ შემოქმედთა იდეების მატარებელია. მაგალითად, ს. ჭილაია მას სიტყვის ოსტატს უწოდებს და მართებულად შენიშნავს: „სიკო ფაშალიშვილი, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნიდან მოსული კაცი იყო ქართული მწერლობის ოჯახში. მას იქიდან მოჰყვა საგზლად XIX საუკუნის მოღვაწეთა მადლი და ეშხი. იგი დაუზარებლად უზიარებდა ჩვენს თანამედროვეებს მართალი გულით, პატიოსანი შრომითა და დეაწლით სავსე მოღვაწე კაცის სიკეთეს" (60). დიას, მშობელი ხალხისა და სამშობლო მხარის სიყვარული, ხალხისათვის სამსახური და ყოველი განცდა კეთილისა სწორედ მე-19 საუკუნის კლასიკოს შემოქმედთაგან შეუთვისებია ახალბედა პოეტს.

ს. ფაშალიშვილმა თავიდანვე დაგმო „გონებადაკარგული ხალხისთვის ცისფერი ტაძრისკენ“ მიმავალი მოღური ლექსის გზა. მან არაერთხელ გააკრიტიკა „ცისფერყანწელები" და მათი პერიოდული გამოცემები. ერთხანს უარყოფითი განწყობა და დამოკიდებულება გააჩნდა გაზეთ „ბახტრიონისა" და მისი რედაქტორის გიორგი ლეონიძის მიმართ. მეტი სიცხადისათვის უინტერესო არ იქნება მწერლის ერთი ჩანაწერის, სათაურით - „შენიშვნის მაგიერ" აქ მოტანა: „ტფილისში გამოდის ერთი განცხადებებისა და ქრონიკის გაზეთი ეგრედწოდებული „ბახტრიონი" ვინმე გ. ლ ე ვ ა ნ ი ძ ი ს (ხაზგასმა ჩემია - თ. გ.) „რედაქტორობით". ამ გაზეთს უდის ქონის სუნი და იგი ეპოტინება პრეტენზიებს; არის ქონდრისკაცური პათოსი: პოეზია, სტატიკა, კრიტიკა. ხელოვნების ყოველი დარგი არეულია „ტყავაკაშირებისა" და „თამბაქოს ტრესტების" განცხადებებში. ამ გაზეთის გარშემო თავს იყრიან ჩვენში სკანდალებით ცნობილი მწერლები, რომელთაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქართული პოეზიის სახელი საკუთარ - საოჯახო საქმედ გადააქციეს და ხელოვნების ნიდაბით სისხლის დანაშაულიც კი ჩაიდინეს. ყანწელებზე მოგახსენებთ.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ხალხის მეთაურობა გადავიდა ამ სათაურებით გაზრდილ ბურსაკის ხელში, რადგან ამ ჟამად მათ „ალიანსში" (ყანწელების დუქანია, რესტორანი) გახურებული ვაჭრობა აქვთ" (14, საქმე 11-167).

საბოლოოდ, ერთი კუთხის შეილება განსხვავებულ ლიტერატურულ მიდრეკილებებს პირადი ურთიერთობები მაინც არ შესწირეს. 1959 წელს

გამოცემული სიკო ფაშალიშვილის პოეტური ერთტომეულის რედაქტორობა და წინასიტყვაობის ავტორობა გიორგი ლეონიძემ ითავა.

დიდი ილიას იდეების მიმდევარმა ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა თაობამ, რომელშიც სიკო ფაშალიშვილი ერთ-ერთი იყო, იმთავითვე სცადა ეროვნული ხასიათის ლიტერატურული ჯგუფის შექმნა, რისი განხორციელებაც მაშინ იოლი საქმე არ გახლდათ. შემოქმედებითად იმ ძალზე საინტერესო ხანაში სამწერლო ასპარეზზე გამოსული ნიჭიერი თაობის განსხვავებული მწერლური პრინციპების არსებობაც ძალზე ართულებდა საქმეს. მიუხედავად ამისა, წიწამურის ტრაგედიიდან თითქმის ათწლიანი მცდელობის შემდეგ, 1917 წელს, ინიციატორთა თაოსნობით (აქტიურობდა კ. გამსახურდიამ), ოქტომბრის რევოლუციამდე რამდენიმე დღით ადრე შეიქმნა ქართველ მწერალთა კავშირი, რომელშიც გაერთიანდა ახალგაზრდა სიკო ფაშალიშვილიც (ამაზე მეტყველებს მის მიერ შევსებული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირადი ბარათი) (14, საქმე 22665). ეს იყო მნიშვნელოვანი და წარმატებული პირველი ცდა სხვადასხვა თაობისა და ლიტერატურული მიმართულების მწერალთა გაერთიანებისა, რომელთა ძალისხმევითაც გაიმართა დამფუძნებელი კონფერენცია. „კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კ. მაყაშიელმა, ვ. ბარნოვმა, დ. კლდიაშვილმა, კ. გამსახურდიამ, პ. იაშვილმა, გ. რობაქიძემ, ლ. ქიაჩელმა და სხვებმა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კოტე მაყაშიელი, რომელიც 1926 წლამდე თავკაცობდა ამ საქმეს" (25, 8). „ქართველ მწერალთა კავშირი" იქცა წინამორბედ ჯგუფად „აკადემიურ მწერალთა ასოციაციისა", რომელიც შეიქმნა 1922 წელს. სიკო ფაშალიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა „ასოციაციის" პერიოდულ გამოცემებში – „ხომალდი", „ილიონი", „ქართული სიტყვა", „ლომისი", „კავკასიონი". დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის წლებში „აკადემიურ მწერალთა ასოციაციაში" ს. ფაშალიშვილს განსაკუთრებით აქტიური პოზიცია უკავია. მას ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად (36, ფონდი 8, საქმე 288, ფ.32), საგაზეთო სექციის წევრად (36, ფონდი 8, საქმე 49, ფ.2), საფინანსო კომისიის წევრად (36, ფონდი 8, საქმე 46, ფ.1) ამ პერიოდში მწერალი ძალზე უჩიოდა მატერიალურ სიდუხჭირეს. აღნიშნულ დოკუმენტებში მოიპოვება 1919 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული ს. ფაშალიშვილის წერილი მწერალთა კავშირისადმი, რომელშიც იგი სთხოვს კავშირის გამგეობას 700 მანეთს სესხად ორი თვის ვადით (36, ფონდი 8, საქმე 9, ფ. 27).

აღსანიშნავია, რომ მწერალთა „აკადემიურ ასოციაციაში“ გაერთიანებული იყო იმდროინდელი ქართული მწერლობის ყველა აღიარებული წარმომადგენელი სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფიდან (არაგინ იყო „ცისფერყანწელებიდან“ „პროლეტარული მწერლებიდან და ფუტურისტებიდან), ამდენად „ასოციაცია“ არ წარმოადგენდა ერთგვაროვან ლიტერატურულ გაერთიანებას. „უმთავრესი პრინციპი, რითაც ამ ასოციაციის წევრები იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მათი მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური სულისკვეთება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ სწრაფვა იყო“ (25, 11). „ასოციაციის“ ასეთი პრინციპულობა იმდროისათვის ნამდვილ გმირობას წარმოადგენდა. „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მწერალთა ეს დაჯგუფება ხელუხლებელი დარჩა ორგანიზაციულადაც და იდეურადაც. „კავშირი“ განსაკუთრებით ეროვნულ საკითხში ერთგვარად ემიჯნება საბჭოთა ხელისუფლებას“ (59, 57). აღნიშნული „ასოციაციის“ მიზანი იყო ლიტერატურის სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისაგან დამოუკიდებლობა. მე-20 საუკუნის 60-იანელთა ეროვნული მრწამსისადმი მემკვიდრული დამოკიდებულება მას თავისთავად აპირისპირებდა ახლადდამყარებულ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რაც ძალზე სახიფათო იყო.

20-იანი წლების შუახანებიდან „ცისფერყანწელთა“ მოდერნისტული პატრიოტული პოეზიაც საზრდოდ მე-19 საუკუნის 60-იანელთა ეროვნულ ფესვებს დაეწაფა. ახლებურად გააზრებული სამშობლოს თემა და „ცისფერყანწელთა“ უმაღლესი პოეტური კულტურითა და გემოვნებით მისი გადმოცემა თავისთავად აქცევს ამ ჯგუფს ილიასა და აკაკის ეროვნული იდეების მემკვიდრედ. ამ მხრივ ტიცციან ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, პაოლო იაშვილს ბადალი იშვიათად მოეპოვებათ. თანდათან ძალმოცემული საბჭოთა ხელისუფლება კი ეროვნული მრწამსის გამოვლინებას არავის კპატიობდა და მრავალი ღირსეული მწერალი-მამულიშვილი რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პათოსი გასდევს მწერალთა „აკადემიური ასოციაციის“ ზემოხსენებულ პერიოდულ გამოცემებს, რომლებშიც ხშირად იბეჭდებოდა სიკო ფაშალიშვილის შემოქმედება. განსაკუთრებული ინტენსივობით მაინც იგი გაზეთ „სახალხო საქმესთან“ თანამშრომლობდა. მასში სისტემატურად ქვეყნდებოდა სიკო ფაშალიშვილის ლექსები, მოგონებები და პოლემიკური წერილები. აქვე ვიტყვით, რომ გაზეთი

„სახალხო საქმე“ წარმოადგენდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ბეჭდვით ორგანოს. სიკო განსაკუთრებით ახლოს იდგა ამ პარტიულ ჯგუფთან. მოპოვებული ზეპირი ცნობებით, სიკო და მისი უფროსი ძმა გიგა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრები ყოფილან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხელოვნება მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ მოექცა. ლიტერატურას იდეოლოგიური წნეხი დაუწესეს, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა 1924 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ. ქართველი მწერლების უკიდურესი შევიწროება არა მხოლოდ ცენზურის სიმკაცრეში გამოიხატებოდა, დაიწყო „ძველი ცოდვების“ გახსენებაც. ლიტერატურის შემოქმედთა ერთი ნაწილი რეპრესიებში მოყვა, ზოგი მათგანი ფიზიკურად გაანადგურეს, ზოგსაც შორეულ მხარეებში გადასახლება ხვდა წილად. ეს პროცესი თავის პიკს 30-იან წლებში აღწევს. მწერლობა იძულებული გახდა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული სოციალისტური რეალიზმის პრინციპს დამორჩილებოდა, ე. ი. ერთგვარად „მოთვინიერებულიყო“. სიკო ფაშალიშვილიც ისე, როგორც მრავალი სხვა, „ჩადგა“ ახალი დროის სამსახურში. იგი იძულებული იყო, თავისი წარსული საქმიანობიდან ბევრი რამ მიეჩქმადა, რათა ხელისუფლების მტრად არ მიეჩნიათ და როგორმე თავიდან აეცილებინა მკაცრი დიქტატურის წინაშე პასუხისმგებლობა. მით უმეტეს, „მისი გადმოსვლა საბჭოთა პოზიციებზე არ მომხდარა უმტკივნეულოდ და ყოველგვარი დაეჭვების გარეშე. მან თავიდან ერთგვარი „თავშეკავებულობაც“ გამოიჩინა“ (21, 140). ეს ამონარიდიც სოციალიზმის ქება-დიდების წლებშია დაწერილი. მეტის თქმა არც შეიძლებოდა. სიკოს გულმოდგინედ გაუნადგურებია სოციალ-ფედერალისტებთან ურთიერთობისა და საერთოდ პარტიულ-პოლიტიკური იდეების დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი. მხოლოდ შემორჩენილია კეთილი ურთიერთმიმოწერები აღნიშნული პარტიის ზოგიერთ ცნობილ წევრთან.

სიკო ფაშალიშვილი არასოდეს მიჰკედლებია სხვა რომელიმე პარტიულ ჯგუფს, მათ შორის არც სახელისუფლებოს. იგი, იდუმალად, ერთხელ არჩეული შემოქმედებითი იდეის ბოლომდე ერთგული დარჩა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ პოლიტიკური მის წინაშე, როგორც შემოქმედისთვის, დიდად მნიშვნელოვან პრობლემად არ იდგა, მაგრამ თავისთავად საქართველოს ცხოვრების პოლიტიკური სპექტრი, საშუალებას არ იძლეოდა, მწერალი შორს დამდგარიყო მისგან, სწორედ ამიტომ იყო მისი ცხოვრება თავის დროზე დაკავშირებული სოციალ-

ფედერალისტებთან და შემდეგ, დღიდან მათთან დაშორებისა, სხვებს არც დაკავშირებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაგაკეთოთ დასკვნა, რომ სიკო ფაშალიშვილმა გარკვეული როლი შეასრულა საქართველოს 10-იანი და 20-იანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქართულ მწერლობაში მრავალი ახალი მიმართულება გაჩნდა, რომელთა ლიტერატურული მსოფლმხედველობა დიამეტრალურად დაპირისპირებული იყო ერთმანეთთან, სიკო ფაშალიშვილს ერთხელ არჩეული გზისთვის არ უღალანტია. ის სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ლიტერატურულ აზროვნებასთან და ყოველივე იმ ქართულ და სამომავლო იდეურ მსოფლმხედველობასთან, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის გადასარჩენად. ისევე როგორც ილია ჭავჭავაძეს (იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა ილიას იდეოლოგიური მსოფლმხედველობისა), სიკო ფაშალიშვილსაც „ერის წყლული წყლულად მიიჩნდა“, და ფიქრობდა, რომ „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცაშა“. საერთოდ, ცნობილია, რომ ხელოვნებაში ყველა შემოქმედი მეტნაკლებად განიცდის სხვათა ზეგავლენას და დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, ვის ეყრდნობა მისი აზრი და გრძნობა. სიკო ფაშალიშვილის მიერ ილია ჭავჭავაძისადმი, მისი შემოქმედებისა და მსოფლმხედველობისადმი ერთგულებამ განსაზღვრა მომავალი მწერლის მოღვაწეობის გზაცა და შემოქმედებითი მიზანდასახულობაც. ს. ფაშალიშვილი „თერგდალეულთა“ აზრის თაყვანისმცემელი, მათი იდეების დამფასებელი და მემკვიდრეა. იგი არ შერევია XX საუკუნის დასაწყისიდანვე მრავალ ნაკადად მომსკდარ პოეტურ ნიაღვრებს, არ გაუთავისებია მათი სტილი. როგორც ითქვა, მხოლოდ რეალისტური იდეებით აღჭურვილი „აკადემიური ასოციაციის“ წევრი გახდა და სტილითაც, იდეითაც XIX საუკუნის 60-იანელებს ეხმიანებოდა. აკაკი წერეთლის ლექსებმა უბიძგა პოეტობისკენ. დიდი ილიას, აკაკის, ვაჟას აზრებით შთაგონებული ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე. ლექსი „სიმღერა“ ვაჟას მიბაძვით დაუწერია, ამაზე მეტყველებს სათაურთან მინაწერი – ვაჟა-ფშაველას, მისებურად („სიმღერა“ ვაჟა-ფშაველას მრავალი ლექსის სათაურიცაა). იმის მტკიცება, რომ ს. ფაშალიშვილი სრულიად თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სტილის პოეტია, უმართებულო იქნება, მაგრამ ვერ დავეთანხმებით პროფესორ გაიოზ იმედაშვილის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ სიკო ფაშალიშვილი ი. გრიშაშვილის სტილით წერდა. ი. გრიშაშვილის პოეზიის დახასიათებისას კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ პოეტის მრავალი ლექსი ეძღვნება

ქალს, ტრფობას, კოცნას, სიყვარულის სიმფონიას. მისი აზრით, ამ თემაზე წერა ადვილია და ბევრისთვის მიბაძვის საგანი გამხდარა. მაგრამ იგი მხოლოდ გრიშაშვილისეულად მიაჩნია და იქვე დასძენს: „სიკო ფაშალიშვილმა რომელიც მისი სტილით წერდა მხოლოდ უპერსპექტივო ეპიგონის სახელი დაიმსახურა“. მიგვაჩნია, რომ ასეთი შეფასება არათუ სიმართლეს არ შეიცავს, უმართებულოა და ს. ფაშალიშვილის პოეზიის პასუხისმგებლობითი განხილვისგან დაშორებულია. ყოველივე პირად ანტიპათიას ჰგავს და კარგი იქნებოდა სახელმძღვანელო კრიტიკოსს პოეტის სიცოცხლეშივე გამოეთქვა ეს მოსაზრება. სიკო ფაშალიშვილი სწორედ პოეტური და პიროვნული დამოუკიდებლობით იმსახურებდა იმ დიდ პატივისცემას, რომელსაც მის მიმართ გამოხატავდნენ თანამედროვენი – ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ს. ყაუხჩიშვილი, ე. თაყაიშვილი, დ. ბენაშვილი, გ. ლეონიძე, შ. დადიანი და მრავალი სხვა. აქვე ვიტყვით, რომ ი. გრიშაშვილს და ს. ფაშალიშვილს ბევრი საერთო ჰქონდათ. ი. გრიშაშვილმა ახალგაზრდობაშივე მიუძღვნა ს. ფაშალიშვილს მშვენიერი ლექსი „ზეგ“. ი. გრიშაშვილის გარდაცვალების გამო გაზეთ „კომუნისტში“ (1965 წ. №49) დაბეჭდილ ს. ფაშალიშვილის გამოსათხოვარ სიტყვას თან მოსდევს რედაქციის მიერ გამოტანილი ი. გრიშაშვილის ლექსი „წერილი ძმასთან“, რომელიც ხარფუხელმა პოეტმა ს. ფაშალიშვილს 1931 წელს მიუძღვნა. მათ ხშირად გააჩნდათ თანხედენილი მოსაზრებანი პოეზიაზე და ლიტერატურის თეორიის ამა თუ იმ საკითხზე. სიკოსადმი მიწერილი ერთი ხელნაწერი წერილით ი. გრიშაშვილი მას ურჩევს, გადაათვალიეროს „ავგისტოს თვის... სამშაბათის“ გაზეთი „ტრიბუნა“ და ნახოს რაჟდენ გვეტაძის ლექსი, რომელშიც მას (რ. გვეტაძეს) „ჩვენი ფორმა („ილიონის“ პირველი ფურცლები) ჩაუგდია ხელთ და ყველა ლექსიდან ვინიგრეტი გაუკეთებია... მერე ქვეშ მიუწერია 5 მაისით. ყველამ იცის, რომ ჩვენი ფორმა დაიბეჭდა პარასკევს, 25 ივლისს, იმისი ლექსი კი 1 ავგისტოს, სამშაბათს. ვის ატყუებს, არა, შეიძლება ისეთი არაფერი იყოს, მაგრამ როგორ შეუძლიან ამ ხალხს, რომ ჩვენ დაგვცინოდეს... ჯერ საიდუმლოდ შეინახე, მერე ერთბაშად დაესცხოთ, თორემ გაიგებენ და სხვანაირად იჭულიკებენ“ (14, საქმე №28650-30, ფ. 1). როგორც ირკვევა, ისინი ძირითადად თანამოაზრენი იყვნენ. ი. გრიშაშვილი მიტაცებულ ან მიმსგავსებულ რიტმას და პოეტურ სტილს დაუყოვნებლივ ამხელდა, რაც მოტანილი წერილიდანაც გასაგებია. ამდენად „უპერსპექტივო ეპიგონის“ იარღილი სრულიად მიუღებლად უღერს მით უფრო, რომ ს. ფაშალიშვილის სატრფიალო ლექსებში

ქალით გატაცება და ჰედონიზმი (ი. გრიშაშვილისაგან განსხვავებით) სრულებით არ იგრძნობა.

შეიძლება ვთქვათ, რომ სიკო ფაშალიშვილი, მართლაც, მიზანმიმართული მწერალი იყო. მისი სიტყვა თუ ლექსი შთაგონებული იყო ერთი უმთავრესი პრინციპით – სულიერი ნუგეში მიენიჭებინა მშობელი ხალხისა და ქვეყნისთვის. მისთვის დამახასიათებელი არ იყო, როგორც გალაკტიონი ბრძანებდა, ე. წ. „ფუტურო სიტყვები“, მისი სიტყვა და აზრი შთაგონებული იყო სამშობლოსადმი სიყვარულითა და მისადმი სამსახურით. სწორედ ამის გამოა, რომ დროთა განმავლობაში სიკო ფაშალიშვილის შემოქმედებითი აზროვნება შეიმატებს დანიშნულებას, მისი სიტყვა და ლექსი ფუნქციონირებს არასოდეს იქნება. ს. ფაშალიშვილის, როგორც შემოქმედის, არსებობა მისსავე ლიტერატურულ აზროვნებაში დევს და დღესაც თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემებით გაჯერებულ ყოფას ესადაგება და ესაღბუნება კიდევ.

ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ თანამედროვეობა ვაღიარებულაა ყურადღება შეაჩეროს სამშობლოს მესაღბუნე და მისი ტკივილების „მოყურადე“ შემოქმედზე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება, სიტყვა, გული და გრძნობა მისი ხვალისდელი დღის არსებობის აზრით გააჯერა.

. . .

სიკო (სვიმონ) ფაშალიშვილი დაიბადა 1894 წლის 6 ნოემბერს სიღნაღის მაზრის სოფელ მანხაანში. მწერლის წინაპრებისა და ოჯახური გარემოს შესახებ საარქივო მასალებთან ერთად საუკეთესო პირველწყაროს წარმოადგენს მისივე ლექსებიდან ამოკრებილი ცნობები (მაგალითად: „პაპა ამბობდა, მე ვიმეორებ“, „ჩემი გვარის მოსაგონად...“) და მემუარული ხასიათის მოთხრობა „დღენი ჩემი ცხოვრებისა“, რომელიც ავტორს ხანდაზმულობის უამს დაუწერია. მასში ს. ფაშალიშვილი „გულის კარნახით“ მოგვითხრობს საკუთარ თავგადასავალს, იმ განცდილსა და გაგონილს, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მისი გულისა და გონების მკვებავი ძარღვი გამხდარა. ზემოხსენებული ლექსები ასევე გვაუწყებს საკუთარი გვარის მესხურ წარმომავლობაზე. სიკო ფაშალიშვილი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნებაა.

მწერლის მამა, ილია ფაშალიშვილი, ღარიბი გლეხი ყოფილა, ხოლო დედა, სოფიო ბეგიაშვილი, ოჯახისა და შვილებისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მზრუნველობით გამორჩეული დედა-დიასახლისი. ილიას და სოფიოს რვა შვილი ჰყოლიათ – სამი ვაჟი და ხუთი ქალი. ეს მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობდა იმდროინდელი ღარიბული, გლეხური ცხოვრებით (მოგონებებში ს. ფაშალიშვილი თავს ხშირად იხსენიებს უღარიბესი გლეხის შვილად). ბავშვებს ადრეული ასაკიდან წილად ხვდათ მძიმე ფიზიკური მუშაობა. ლუკმა-პურის მოპოვებისათვის დღედაღამ შრომით გადაღლილ ოჯახში, ბუნებრივია, მათ სწავლა-განათლებლაზე არავინ ფიქრობდა. ს. ფაშალიშვილის მოგონებათა წიგნში კვითხულობთ, რომ შემთხვევის წყალობით მის მშობლებს წერა - კითხვა იმდენად სცოდნიათ, „მოკითხვისა და ნახვის ნატვრით ბარათის გაგზავნა და „ფოსტის ფულზე“ გზირის მიერ მოტანილ უწყისზე ხელის მოწერა შეეძლოთ“ (42, 6).

სიკოს მამა, ილია, მთელს სოფელში ცნობილი ყოფილა როგორც „ხელდაუყენებელი“ გლეხკაცი – დაუღალავი, შრომისმოყვარე. „ხნავდა, ბარავდა, მკიდა, იბრძოდა წერაქვით თუ ენო ხერხით. საქმეს მუდამ წინ იმძღვარებდა და თანაც ცხოვრებას თავს ისე ართმევდა, პოულობდა დროს ჩონგურზედაც ტკბილად დაემღერა, ან შაირების „ამოღებით“ გული გაეხალვათებინა თანამყოფთათვის“ (42, 7).

პატარა სიკოს რვა წლის ასაკიდან ხელში სახრე მისცეს და გუთანზე მხრედ გაგზავნეს. „ეტყობა გუთნის მხრეობაში „ნიჭი“ აღმომჩანდა, რადგან მეზობელი, შეძლებული გლეხი, თომა ფაშალიშვილი, შეუჩნდა მამაჩემს და წელიწადში 12 მანეთად დამიქირავა მოჯამაგირედ“ (14, საქმე №28651, ფ. 1), - იგონებს მწერალი.

მინდვრად მეზვრებთან და მწყემსებთან გატარებული ბავშვობის წლები, ასაკთან შეუსაბამო დაუღალავი შრომის მიუხედავად, პატარა სიკოსთვის მაინც გამორჩეული იყო. ზღაპრები, ლექსები, ჩონგური, სალამური, ხალხური ეპოსი, როგორც პოეტური, ასევე პროზაული, - ერთგვარად გონებას უხსნიდა ბავშვს და ამოუცნობი წყურვილით შეპყრობილი ხშირად ნაღველობდა. ეს არ იყო ყოველდღიური წვალებისა და შრომის ნაღველი - მისი გონება სწავლისაკენ იყო მიმართული. ოჯახში კი წიგნისთვის არავის ეცალა, „გლეხს მიწა ბევრი ჰქონდა, საქონელი და მოსავალი საკმარად იყო და თითოეული გლეხი ცდილობდა შვილი გამოეხარდა მეურმედ, მეგუთნედ, მწყემსად. მამაჩემიც ასე მიპირებდა...“ (14,



საქმე №28651, ფ. 1).

მომავალი მწერლის ბავშვობის წლებში ერთი მნიშვნელოვანი შემთხვევა მოხდა. კერძოდ ის, რომ 1904 წელს სიკოს შეძლებული ბიძაშვილი ნიკა მშობლებმა სკოლაში მიაბარეს. სიკო ამ დროს ალაზნის პირას მამას და უფროს ძმას, გიგას, მხარში ედგა, როგორც მეხრე. ნიკას ზეგავლენით, სკოლაში წასვლის დაუოკებელი სურვილი ბავშვს მოსვენებას აღარ აძლევდა. ეს სურვილი მამას ვერ გაუმხილა, მაგრამ ერთხელ, დილით, როცა საქონელი ალაზანზე გარეკა, წყლის პირას ნახირი ჩუმად მიატოვა და სოფელში გაიპარა. სავალი ძალზე შორი იყო. თანაც პატარა სიკოს იმ დროს ციება ჰქონია შეპარული, გზად მიმავალ დაღლილ ბავშვს სისუსტე მოერია და სოფლამდე ვეღარც მიაღწია. იქვე, გზის პირას, ჩაიხოქა. მუხლები ეკვეთებოდა, სიცხისაგან პირი უშრებოდა და უაზროდ ლულულებდა. წყალი სწყუროდა, მაგრამ დამხმარე არავინ ჩანდა. ბინდებოდა და ნადირით განთქმულ მხარეში, ღამით, ბავშვის გარეთ მარტო დარჩენა უბედურების მომასწავებელი იყო.

მეორე დღეს სიკომ თავის სახლში გაახილა თვალი. დედა თავს ადგა, ცივ ტილოებს ადებდა და თან აცრემლებულ თვალებს იმშრალებდა. მეზობელი გლეხი – ქარუმა შანშიაშვილი – წასდგომია თავს ღონემიხდილ ბავშვს და ზურგით მოუყვანია მშობლებთან. ავადმყოფობამ გაიარა თუ არა, სიკო ბიძაშვილ ნიკასთან ერთად ისევ გაუდგა გზას სკოლისკენ (ამჯერადაც დედის დაუკითხავად) და მიზანსაც მიაღწია. სკოლასა და განათლებას მოწყურებული სიკო საოცარი სიბეჯითით შეუდგა წერა-კითხვის შესწავლას. „სკოლაში პირველ მოწაფედ გავხდი. შემდეგ მასწავლებელმა ეჭვი შეიტანა ჩემში, რომ მე, ალბათ, სხვა სკოლაში ნასწავლი ვიყავი... დაიბარა მშობელი, გამოიძია და როდესაც დარწმუნდა, განსაკუთრებული ინტერესით დამიწყო მოპყრობა... სულ მოკლე ხანში მეორე განყოფილების მოწაფეების გაკვეთილებს ვაბარებდი და შუა ზამთარში მეორე განყოფილებაში ამოყვავი თავი" (14, საქმე №28651, ფ. 2).

სოფლის სკოლა ორწლიანი იყო. სიკომ ერთ წელიწადში გაიარა სრული კურსი, შესანიშნავად წერდა და კითხულობდა, მამამისმაც დაასკვნა, რომ მეტი სწავლა საჭირო აღარ იყო.

შემდეგში ცნობილი მწერალი სიკო ფაშალიშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებდა პირველ მასწავლებელს – ილიკო მენტეშაშვილს, რომელმაც შეასწავლა წერა-კითხვა, მას დაუბარებია მომავალი მწერლის მამა და თხოვნით მიუმართავს, სიკოსთვის სწავლის გაგრძელების უფლება მიეცა..

თან შეუთავაზებია – შენს შვილს მე მოვუხერხებ ქალაქში გაგზავნას, უფასოდ ასწავლიანო. ილიას დიდი მადლობა გადაუხდია მასწავლებლისთვის და უპასუხია, წიგნებს წყალივით კითხულობს და ქალაქში სხვა რაღა უნდა ისწავლოსო, მინდორში ხელი მაკლია, ისიც კმარა, მთელი ზამთარი რომ გააცდინა სწავლაშიო. „შემდეგ თავის ცივ უარს გლესური ფილოსოფია დაუმატა: ისეთი შვილი რას მარგებს, ისწავლოს და ნაყიდი პური ჭამოსო" (14, საქმე №28651, ფ. 3).

სიკო დაუბრუნდა თავის ძველ საქმეს – აცრემლებული თვალებითა და ბოხჩაში შეკრული წიგნებით. ისევ მეხრეობა და ალაზნის ველები, მინდორში თანატოლი ბიჭებიც გვერდით ედგნენ. სიკო შეუდგა მათ დაინტერესებას. უფროს მწყემსებსაც უკითხავდა წიგნებს, ასწავლიდა წერა-კითხვას. მუშაობის ასეთმა ფორმამ შედეგი გამოიღო. „არაერთმა ჩემმა მაშინდელმა „მოწაფემ“ გაიკვლია შემდეგ გზა. ჩემი უფროსი ძმა, რომელსაც ტყეში ვასწავლე ანბანი, ახლა რკინიგზის მუშაა. ქართულ ლიტერატურას საუკეთესოდ იცნობს. ჩემი მაშინდელი „მოწაფე“, თბოლი მოჯამაგირე თომა ბენაშვილი, ერთხანს აღმასკომს ხელმძღვანელობდა მაჩხაანში, ახლა ერთ-ერთი დიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მუშაობს მხოლოდ ჩემს მიერ ნასწავლებ წერა-კითხვის საშუალებით. სხვაც ბევრია ასეთი" (14, საქმე №28651, ფ. 3). - მოიგონებს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უკვე დავაღმოსილი მწერალი.

მეოცნებე ბავშვს „გუთან-საქონელში“ ყოფნა მძიმე ხვედრად მიაჩნდა. უწიგნობა ყველაზე აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. ერთხელ მამას გაუბედა: „– მოჯამაგირედ დამაყენე, ოღონდ სოფლად, იქ წიგნები და გაზეთებია“. ჭკუაში დასჯდომია გლესკაცს შვილის აზრი. „მე სკოლაში დარაჯად დავდექი. შემდეგ აფთიაქში ვითომდა „მოწაფედ" გადამიყვანეს, მაგრამ იქაც მოჯამაგირეობას უდრიდა ეს შტატი" (14, საქმე №28651, ფ. 3), - იგონებს სიკო. ცოტა ხნის შემდეგ ერთ-ერთი დიდი კომერსანტის მაღაზიაში მოეწყო შეგირდად. ეს კომერსანტი იმავე სოფლის მკვიდრი, ცნობილი ხალხოსანი მწერლის დიმიტრი მაჩხანელის დვიძლი ძმა ვასილ ნადირაშვილი გახლდათ. მაჩხანელი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა და მისი მდიდარი ბიბლიოთეკა ვასილის ოჯახის საკუთრებად დარჩენილა. კომერსანტის ოჯახში დიდად არავინ აფასებდა ამ ბიბლიოთეკის მნიშვნელობას. ვისაც სურვილი ჰქონდა, კითხულობდა, ფურცლავდა, ხევდა...

სიკომ აქ იპოვა თავისი სულიერი საყრდენი. დილიდან საღამომდე მოჯამაგირის აუტანელი შრომის შემდეგ, ღამეს, ხშირად გათენებამდე ამ

წიგნების კითხვაში ატარებდა ხოლმე. მაგრამ, როცა „ხაზინებმა“ შეამჩნიეს წიგნებისადმი დიდი ყურადღება, დაუშალეს: „აღარ გაბედო! ღამე ნავთი იწვის! წიგნებიდან რა ხეირი წაიღო ცხონებულმა ჩემმა ძმამ! ისწავლე ვაჭრობა, კაცი გამოხვალ. რად გინდა ეგ ბედოვლათი ხელობა?“ (14, საქმე №28651, ფ. 3), - ასე ეუბნებოდა მწერლის ძმა და „უნივერსანტი“ შვილების მამა მომავალ შემოქმედს.

ვერ მოაშლევინეს „ბედოვლათური ხელობა“ სიკოს, რის გამოც ბევრი უსიამოვნება შეხვედრია ოჯახის უფროსისაგან.

სიკოს მოჯამაგირეობის წლებს დაემთხვა აკაკი წერეთლის იუბილე, რომელსაც საქართველოს ყველა კუთხეში აღნიშნავდნენ. მაჩხაანის კულტურის სახლიც დიდ სამზადისს შედსგომია. სიღნაღიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან მოუწვევიათ „ნასწავლი ხალხი“. მოწინავე მოსწავლეები, რომლებსაც ზეპირად ჰქონდათ დასწავლილი აკაკის ლექსები, ემზადებოდნენ სცენაზე გამოსასვლელად. მოწვეულთა შორის ყოფილან სტუმრები თბილისიდან. აკაკის იუბილეზე აუარებელ ხალხს მოუყრია თავი, სოფლის მოედანზე ღია სცენა მოუწყვიათ. მომზადებული ჰყავდათ გამომსვლელები. როცა სცენას მართავდნენ, შემთხვევამ ნადირაშვილის მოჯამაგირე სიკო ფაშალიშვილიც მიიყვანა იქ. გამალებული საქმიანობის დროს სიკო მოულოდნელად გადააწყდა თავის მასწავლებელ ილიკო მენტეშაშვილს, რომელსაც დანანებით უთქვამს, რატომ ეს ბიჭი არ გაგვახსენდა, ლექსს დაისწავლიდაო. შემდეგ სიკოსთვის უთქვამს: აი, აკაკის ლექსი რომ დაგესწავლა, დღეს სცენაზე გამოხვიდოდი და წაიკითხავდიო. ახლაც დავისწავლიო, – მაშინვე ეპასუხია სიკოს.

- რაღა დროს, ერთი საათის შემდეგ იუბილე დაიწყება!
- ერთ საათში ათ ლექსს ვისწავლი!

მასწავლებელს მიუცია ორი კრებული და უთქვამს: ახლა რაღას მოასწრებ, მაგრამ წაიკითხე, ისე მაინც გამოგადგებაო.

სიკო იქვე ბაღჩაში გაუჩინარებულა. სასწრაფოდ ამოურჩევია „ის აღარა ვარ, რაც ვიყავ“ და „ნინო, ქეთევან და თამარ“. რამდენიმე წუთის შემდეგ გულამოვარდნილმა ბავშვმა მასწავლებელთან მიიღბინა და ორი ლექსი ზეპირად მოუყვა. იქვე შეუმოწმეს თხრობა და მისი სცენაზე გამოყვანა გადაწყვიტეს.

აუარებელი ხალხის წინაშე გამოსვლამ და ათასობით ადამიანის მხერამ ცოტათი დააბნია კიდევ ყმაწვილი, მაგრამ ისევ მალე სძლია თავს და ორივე ლექსი ომახიანად წაიკითხა. სიკოს გამოსვლას ტაშის გრიალი და „ვაშას“

ძახილი მოჰყვა. ეს იყო წარმატებული და ღირსსახსოვარი დღე. აღტკინებული ბავშვი ისარივით გავარდა სცენიდან, მაგრამ მასწავლებელმა ძალით გამოიყვანა, ხელში აიტაცა და ხალხის წინ სცენაზე გადააკოცნა. ეს ნიჭიერი ბავშვია, მაგრამ ყურისმგდებელი არავინ ჰყავსო, – უთქვამს გულისხმიერ მასწავლებელს სცენიდან. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს პატარა პოეტს“, – ყვიროდნენ მოედანზე.

სიტყვა „პოეტი“ რაღაც ახლებურად მოხვდა სიკოს ყურთასმენას. მას უკრავდნენ ტაშს, ამხნეებდნენ შეძახილებით. განსაკუთრებულად მაინც სიტყვა „პოეტი“ აღარ აძლევდა მოსვენებას. ჯერ ერთი სტროფიც კი არ დაუწერია და პოეტი უწოდეს. „ჩონგურზე სასიმღერო შაირიც კი არ გამომითქვამს, ჩემი უფროსი ძმა ეგრე გატაცებით რომ ეწაფებოდა. ახლა კი „პოეტი“ მიძახიან. აბა, ვცადოთ! და მეორე დღეს აკაკის მიბაძვით მე უკვე რამოდენიმე ლექსი მქონდა გამოცხობილი, რითმებით კოჭლი, მეტრით სხვადასხვაგვარი, მაგრამ მაინც ლექსი. თითქოს სხვა სამყარო გაიხსნა ჩემთვის“ (14, საქმე №28651, ფ. 5). აკაკის იუბილემ ახალი მიმართულებით შეაბრუნა სიკოს ცხოვრება.

დიდხანს არ განელებულა ყმაწვილის გულში აქ მიღებული ემოცია და მანაც „პოეტობა“ დაიწყო, რომ იმ ხალხის თვალში მართლა შემოქმედი გამხდარიყო და გაემართლებინა მათი შეძახილი – „გაუმარჯოს პოეტს“, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ისე ახსოვდა, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. აკაკისეული პოეზიის გავლენა და აუდიტორიის წინაშე პასუხისმგებლობა, თავმდაბლობა და მოკრძალება, ხალხისათვის სამსახური – ეს იყო სიკო ფაშალიშვილისათვის სტიმულის მიმცემი მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. იგი წერდა აკაკის ლექსით შთაგონებული, ხალხის დიდი სიყვარულით გულანთებული. წერდა ადამიანებზე, სამშობლოსა და სიყვარულზე.

აკაკის იუბილეზე გამოსვლამ სრულიად ახალი სიმი ააუღერა სიკოს ყმაწვილურ გულში. მისი მომავალი პოეტური გზის განმსაზღვრელი დიდი აკაკის სახელისა და შემოქმედებისადმი უსაზღვრო თაყვანისცემა გახდა. დაიწყო მიბაძვითი ვარჯიში ლექსების თხზვაში. გავიდა ცოტა ხანი და თავისი „შემოქმედება“ პირველად ილიკო მასწავლებელს გააცნო, რომელმაც ზოგიერთი ლექსი მოუწონა კიდევ და მათ დაბეჭდვაში დახმარება აღუთქვა, მაშინვე დაწერა სათანადო წერილი, მისცა სიკოს და გაგზავნა მეზობელ სოფელ ჯუგაანში, სადაც ცხოვრობდა ხალხოსნური იდეებით გატაცებული, გულკეთილი და უბრალო ადამიანი ილია შანშიაშვილი (პოეტ სანდრო შანშიაშვილის მამა).

ილია მღვდელი იყო და მანხაანის სკოლაში ღვთისმეტყველებას ასწავლიდა. სიკო მისი მოწაფეც იყო. ილიას ძალიან უყვარდა სიკო, კმაყოფილებას გამოთქვამდა ხოლმე ხუცური ღოცვების კითხვაში მისი გაწაფულობის გამო. მღვდელი ყურადღებით მოეკიდა ილიკო მასწავლებლის წერილს. ამას ისიც დაემთხვა, რომ მალე ჯუგაანს თავად სანდრო შანშიაშვილი ეწვია. „წარმადგინეს, გულისხმიერი ყურადღება გამოიჩინა, ჩემს რვეულებს კბილი მოუჩხრიკა, ძვირფასი ქართული წიგნები მაჩუქა. ბევრი ლექსი თბილისში წამოიღო და მათი დაბეჭდვის იმედით გახარებული დამტოვა. მაშინ 14-15 წლისა ვიყავი და როგორც აღვნიშნე, „ლუკმის მშოვნელ“ მოჯამაგირედ ვმუშაობდი ვასილ ნადირაშვილის ოჯახში" (42, 62).

სანდრო შანშიაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის დახმარებით 1909 წელს პირველად დაიბეჭდა ს. ფაშალიშვილის ლექსი (სახელწოდებით „ივერია“) განახლებულ „ივერიაში“. პატრიოტული ჟინით აღსავსე ლექსს თან ეტყობოდა ახლებური ხელწერა. გაზეთები „ივერია“ და „დროება“ იყო მომავალ პოეტის შემოქმედებითი გზის გამკვალავი. ს. ფაშალიშვილის ჭეშმარიტ შემოქმედად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი მისივე კუთხის შვილმა, იმხანად უკვე ცნობილმა პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა შეიტანა.

„იგი გამეცნო 1909 წელს... თხუთმეტი წლის ყმაწვილმა ლექსების რვეული მომიტანა. მისი თანდასწრებით გადავიკითხე და ზოგიერთი ძალიან მომეწონა" (54) - იხსენებს ს. შანშიაშვილი პოეტურ გზაზე შემდგარი სიკო ფაშალიშვილის შესახებ. ს. შანშიაშვილს ყმაწვილი სიკოსთვის ვინაობა გამოუკითხავს, ლექსების რვეული თავისთან დაუტოვებია და თბილისის მისამართიც მიუცია.. ცნობილ პოეტს დამწეების ლექსები „დროების“ რედაქციაში მიუტანია და უფროსი მეგობრებისათვის გაუცვინია. მსმენელებს მოწონების შეძახილებით შეუმკიათ მათთვის უცნობი ავტორი. ეს პირველი შემფასებლები, ს. შანშიაშვილთან ერთად, ყოფილან გიგო რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ილია აგლაძე. ს. შანშიაშვილის მეცადინეობით, ყმაწვილი პოეტი მომდევნო წლიდან თბილისში ჩამოდის და გაზეთების დამტარებლად ეწყობა „დროების“ რედაქციაში. ხელფასის სიმცირის გამო სიკო უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს განიცდიდა. ვაჟა-ფშაველასადმი 1913 წელს გაგზავნილ წერილში იგი უჩივის თავის გაუსაძლის ყოფას, ვაჟას მოაგონებს რამდენიმე ხნით ადრე ნაამბობ თავის თავგადასავალს, კერძოდ, თუ როგორ სწყუროდა სწავლა, მაგრამ მამა ეწინააღმდეგებოდა, თუმცა

წერა-კითხვა მაინც ისწავლა „თვით სოფლის სკოლაში“. როგორც იქნა, მოახერხა და თბილისს მიაშურა, რედაქციის თანამშრომელი გახდა. „ახლა ჩემი თავი მხოლოდ ჩემს ხელთ არის, არავინ აღმოჩნდება, რომ ჩემი ტალახიდან ამოყვანა მოისურვოს. ამიტომ გადავწყვიტე სწავლა, რამდენადაც შესაძლებელია ჩემთვის, დავიწყე კიდევ, მაგრამ ხელმოკლეობა ნებას არ მაძლევს, რომ განვაგრძო" (13, 273). მუშაობასთან ერთად ს. ფაშალიშვილმა მაინც მოახერხა და გაიარა საშუალო სასწავლებლის კურსი სკოლისგარეშე განათლების წესით, შეუდგა სამზადისს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია თვით აკაკი წერეთელმა. გაზეთ „თემის" რედაქციაში რედაქტორმა გიგო დიასამიძემ შემთხვევით გააცნო დიდ პოეტს სიკო ფაშალიშვილი. ჩვენი დამწყები პოეტიაო, – უთქვამს გიგოს. აკაკის ზოგი რამ გამოუკითხავს სიკოსთვის და დახმარება აღუთქვამს სწავლა-განათლების მიღებაში. „ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია აკაკი წერეთელმა, კიტა აბაშიძემ, ვახტანგ ორბელიანის ასულმა (მარიამ ორბელიანმა თ. გ.), ნინო ყიფიანმა და სხვებმა" (14, საქმე №22665, ფ. 1). აკაკის მეცადინეობით, სკოლიგარეშე მუშაობის წესით მეცადინეობისას ს. ფაშალიშვილს, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდას, დაენიშნა სტიპენდია ქალაქის საკრებულოდან. უმაღლესი განათლების მიღების სურვილით გულანთებულ ს. ფაშალიშვილს უცდია მოსკოვს გამგზავრება და შანიავსკის სამეურნეო სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ხელისშემშლელად უსახსრობა ყველგან ჩასაფრებული ჰყავდა.

ს. ფაშალიშვილი ლიტერატურული ცხოვრების ასპარეზზე თავისი გამოსვლის პერიოდს ადარებს წყვდიადის საზღვარზე მყოფი კაცის თვალწინ სარკმლის გაღებას, საიდანაც მზის სხივიც და ვარსკვლავების ციმციმიც მოჩანს.

ლიტერატურულმა საქმიანობამ სიკო ძალე დაახლოვა იმ დროის ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან. კიდევ უფრო საქმიანი და მიზანმიმართული გახდა მისი ურთიერთობა აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან, კიტა აბაშიძესთან, შალვა დადიანთან, ლეო ქიაჩელთან, კონსტანტინე გასახურდიასთან, გიორგი ლეონიძესთან... მისი ჭირისა და ღხინის თანამონაწილენი იყვნენ ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ი. ევლოშვილი და სხვები. ამ წრეში ყოფნამ, თავის მხრივ, კეთილი ზეგავლენა იქონია სიკო ფაშალიშვილის შემოქმედებაზე, რასაც ხელს უწყობდა მისი შრომისმოყვარეობა. იგი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ქართული

მწერლობის ორგანიზაციულ მუშაობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. განუწყვეტლივ თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემათა რედაქციებში.

უკვე აღენიშნეთ, რომ დამწეები პოეტის ლექსები დაიბეჭდა განახლებულ „ივერიასა“ და „დროებაში“. ეს იყო პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად. ამის შემდეგ, მისი ადრეული ლექსები სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ხმა კახეთისა“, „ჩვენი სხივი“, „ილიონი“, „ხომალდი“, „პრომეთე“, „ლომისი“, „კავკასიონი“, „ქართული სიტყვა“, „სახალხო საქმე“. 1917 წელს გამოიცა ს. ფაშალიშვილის ლექსების პირველი კრებული „ჩანგი“. თანაც ახდა ქართული საზოგადოებრიობის დიდი ხნის ოცნება - 1918 წელს გაიხსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიკო გახდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი. სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა დიდი გულისყურით ისმენდა ა. შანიძის, დ. უზნაძის, ი. ჯავახიშვილის ლექციებს, მაგრამ ხდება თითქმის დაუჯერებელი რამ – ერთი წლის შემდეგ მან დატოვა უნივერსიტეტი (ამაზე მეტყველებს საარქივო დოკუმენტები, მისი ბიოგრაფიული მონაცემები, მწერლის მოგონებები). მაინც რა იყო მიზეზი ასეთი მოულოდნელი ნაბიჯის გადადგმისა? ამ კითხვაზე იგი მხოლოდ ერთგან პასუხობს საკუთარ ხელნაწერში. „...1918 წელს შევედი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში... მაგრამ ოჯახური პირობების გამო მივატოვე უნივერსიტეტი და ვმუშაობდი მწერლობისა და ჟურნალისტიკის დარგში“ (14, საქმე 28651, ფ. 2). იძულებული ვართ გავიზიაროთ ეს გადმოცემა, თუმცა მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის დატოვების ნამდვილი მიზეზი მაინც რამდენადმე გაურკვეველია. თუ გავითვალისწინებთ სიკოს ბავშვობის-დროინდელ დაუოკებელ სწრაფვას სწავლისადმი და იმასაც, რომ დიდი აკაკის მეცადინეობით მას ადრევე დაუნიშნეს სტიპენდია თბილისის სათავადაზნაურო საკრებულოდან, როგორც სწავლას მოწყურებულ, მაგრამ ხელმოკლე ახალგაზრდას, მაშინ მისი ზემოხსენებული განმარტება მთლად სიმართლედ არ უნდა მივიჩნიოთ. სათაყვანო უნივერსიტეტის დატოვების ნამდვილ საბაბად ოჯახური პირობების მომიზეხებას არც სიკოს შთამომავლები იზიარებენ, თუმცა რა და როგორ მოხდა, მათთვისაც ბუნდოვანია. ყველაფრიდან აშკარად ჩანს, რომ თავის ლექტორ-მასწავლებლებთან სიკოს მუდამ ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ერთი უთარილო წერილით იგი ასე მიმართავს აკაკი შანიძეს: „მოკრძალებით გიკოცნი დამსახურებულ ჭაღარას, სიამაყით ვიგონებ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებას, სადაც გვასწავლიდი რუსთაველის ჰუმანისტურ

იდეებს და დიდ ქართველ მეცნიერთა დასის აზრებს შთაგვაგონებდი, რაც სიბერემდე მომევა (14, საქმე №28650). ივანე ჯავახიშვილიც ხშირად ყოფილა მისი ლიტერატურული სადამოების დირსეული სტუმარი. ს. ფაშალიშვილი დიდი სიამაყით აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტი ეს იყო „შუქი მის გზაზე“, რომელიც მის სსონაში „არასოდეს ჩამქრალა და არც ჩაქრება“...

1923-28 წლებში ს. ფაშალიშვილი გაზეთ „მუშის თანამშრომელია. მან მრავალ ლიტერატურულ ჟანრში ცადა კალამი და ყველგან თავისი კვალი დააჩინა, თუმცა ლექსისთვის არასდროს უღალატია. იგი წარმატებით მუშაობდა იუმორის დარგშიც და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული იუმორისტული ლიტერატურის განვითარებაში. ამასთან ერთად წერდა პიესებს, თარგმნიდა დრამატულ ნაწარმოებებს, განუწყვეტლივ მუშაობდა საესტრადო რეპერტუარზეც.

ს. ფაშალიშვილი მოკრძალებული პიროვნება ყოფილა. მას არ იზიდავდა თანამდებობა, არჩევითი ორგანოები. ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში ინახება ს. ფაშალიშვილის განცხადება საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარისადმი მწერალთა ყრილობის დელეგატობის კანდიდატობიდან მისი გათავისუფლების შესახებ (36, ფონდი 8, საქმე 26, ფ. 2), თუმცა დასახელებული არ არის რაიმე მიზეზი. ამ პერიოდისთვის მწერალი დაკავებული იყო ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობით. ს. ფაშალიშვილი მწერალთა კავშირის აქტიური წევრია. მონაწილეობს საჯარო გამოსვლებში, სხვადასხვა საკითხების განხილვაში, ეწეობა მისი ლიტერატურული სადამოები... მან, როგორც ნიჭიერმა შემოქმედმა, თავიდანვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. ლიტერატურულმა კრიტიკამ იგი საინტერესო ლირიკოსად ცნო.

როგორც ვთქვით, ს. ფაშალიშვილი იყო შინაგანი სიმშვიდით გამორჩეული პიროვნება. ამასთან, არცთუ ზედმეტად დამთმობი და თავდახრილი, თუ ამას საქმე მოითხოვდა. გააჩნდა მკვეთრად გამოკვეთილი კრედი. თავიდან კარიერაზე არასოდეს უზრუნია. 1911 წელს, იგი მუშაობდა „სახალხო გაზეთის“ რეპორტიორად, სტილისტად, შემდეგ იყო ლიტერატურული განყოფილების გამგე, 1921-23 წლებში მუშაობდა ჟურნალ „მოამბის“ პასუხისმგებელ მდივნად, 1929 წლიდან ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ასრულებდა ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას. უფრო მაღალი თანამდებობების საფეხური მას არასოდეს სჭერია.



1934 წელს ს. ფაშალიშვილი შედის საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების გრძელ მანძილზე მწერალმა თავი გამოიჩინა როგორც მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა პიროვნებამ. თუმცა სიკო თავიდანვე ნ შესანიშნავ ლირიკოსად მოგვევლინა. მისმა პირველმა მკითხველმა იგი ნიჭიერ პოეტად გაიცნო.

1935 წელს „სახელგამმა“ გამოცა ს. ფაშალიშვილის ნარკვევების წიგნი „ძველ ყამირებზე“, რითაც თავისი წვლილი შეიტანა ამ ჟანრის განვითარების საქმეში.

ამის შემდეგ ს. ფაშალიშვილი ხანგრძლივი დროით გაიტაცა ჟურნალისტიკამ, მაგრამ ასევე მთელი ენერგიით ეწევა მთარგმნელობით მუშაობასაც, ხოლო პოეზია მისი ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი მიმართულებაა.

1959 წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა ს. ფაშალიშვილის ლექსების ერთტომეული, ხოლო 1964 წელს – ლექსების კრებული, რომელშიც შეტანილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ლექსები.

ს. ფაშალიშვილის მრავალმხრივ მოღვაწეობას კიდევ უფრო სრულყოფილს ხდის მოგონებათა წიგნი „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებთან“ (გამომცემლობა „ნაკადული“ – 1961წ.). 1964 წელს „ნაკადულმა“ ისევ გამოსცა მისი მოგონებების შევსებული და უფრო სრულყოფილი წიგნი „დაუვიწყარი შეხვედრები“.

ასევე ცალკე წიგნებადაა გამოცემული ს. ფაშალიშვილის ორიგინალური და თარგმნილი პიესები – „მურთაზ“, „ახმედის პატაკი“, „ჩაჩანაკი კაკანათში“ და სხვები.

1962 წელს „ხელოვნებამ“ გამოსცა ს. ფაშალიშვილის იუმორისტულ ნაწარმოებთა კრებული „მხიარული წიგნი“, რომელიც ასევე შევსებული ხელახალი გამოცემაა ორიოდ წლის წინათ გამოსული სატირისა და იუმორის წიგნისა - „მხიარული სარკე“. მასში ორ ათეულზე მეტი პიესა, სკეტჩი და ვოდვეილია შეტანილი. ამავე წელს მკითხველმა მიიღო ს. ფაშალიშვილის ახალი წიგნი „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სერიიდან „ფარსადანმა თქვა“ (ფარსადანი მისი იუმორისტული (სანიანგო) ფსევდონიმი იყო).

ს. ფაშალიშვილი ლიტერატურაზე ძლიერად შეყვარებული პიროვნება იყო. იგი, ნასულდგმულევი ილიას ნააზრევით, აკაკისა და ვაჟას პოეტური სტრიქონებით, აფასებდა მათ, როგორც წინამორბედებსა და წინაპრებს, მაგრამ

ასევე დიდი მოამბაგე და მზრუნველი გახლდათ ახალგაზრდა ავტორებისაც. მას თანამედროვენი სწორედ ასეთად იცნობდნენ, სჯეროდათ, რომ მოუსმენდა, შეაფასებდა, რჩევას მისცემდა. ამაზე მეტყველებს მრავალი სამადლობელი წერილი თუ მისალოცი ბარათი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან პოეტის მისამართით გამოგზავნილი.

მწერალს გააჩნდა ნაცნობ-მეგობართა ფართო წრე. ხშირი მიმოწერა ჰქონდა საბჭოური ქვეყნის მრავალი ეროვნების წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიკო ფაშალიშვილის ახლო ურთიერთობა და მეგობრობა დიდ სომეხ პოეტ ოვანეს თუმანიანთან და მის ოჯახთან. სიკო ძალზე აფასებდა ამ ურთიერთობას.

ს. ფაშალიშვილს შემოქმედებითი გარჯა არ შეუწელებია სიბერის წლებშიც. დაბადების 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილ მწერალთა კავშირის მისალოც წერილში ვკითხულობთ: „ხვათიანია თქვენი ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა, რომელიც კვლავ გრძელდება... დაუბერებელი გულით ნათქვამი სიმღერებით“ (53, 2).

სიცოცხლის ბოლო წლებში რამდენადმე შეირყა მწერლის ჯანმრთელობა, ხშირად ავადმყოფობდა. თანდათან შეეპარა ამქვეყნიური ცხოვრებიდან სამუდამო განშორების სევდა. ეს განცდა ცხადად იკითხება მისი უკანასკნელი ლექსებიდან, რომლებიც „ლიტერატურულმა საქართველომ“ პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნა (42, 4):

„გაქვს უძილობა და სჩივი ამას,  
ნუ ჩქარობ, იყავ თმენის მზოგველი,  
დრო თვით გიმზადებს იმნაირ წამალს,  
რომ სამუდამო ძილი მოგელის“.

(„სამუდამო ძილი“)

პოეტი გამოთქვამს უკმაყოფილებას თავისი შრომისა და გარჯის შედეგით. წუხს, რომ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. „გული არ იშლის გულობას...“ უნდა ისევ ახალგაზრდულად გაისარჯოს, მაგრამ ჯანგატეხილი სინანულით დასძენს:

„სიცოცხლე ჩემი ფესაკრეფით მიიპარება,  
ცდილობს მოასწროს მზის ჩასვლამდე მთას მიფარება,  
სიდანაც მსურდა ჩემი ბედის გამოდარება,  
არა, არ იცდის... მაგ კაი კაცს რა ეჩქარება“.

(„სიცოცხლე ჩემი“)

ღვაწლმოსილ შემოქმედს თურმე ახალი მოთხრობის დაწერა სურდა. „ეფიქრობ, თუ ჯანმრთელობამ ხელი არ შემიშალა, დავწერო მოთხრობა ჩვენს ალაზანზე. მას „ღედა ალაზანი“ ერქმევა“ (2).

მაჩხაანში, მშობლიურ სახლში, ახლობელთა წრეში გაცხადებული ეს ოცნება და კიდევ სხვა მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა ხანდაზმულ მწერალს.

სიკო ფაშალიშვილი გარდაიცვალა 1970 წლის 17 მარტს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ძირითადი დასკვნები

სიკო ფაშალიშვილის ცხოვრების გზა ერთი იმ საინტერესო პიროვნების ბიოგრაფიაა, ვინაც თავისი სიცოცხლის გრძელი მანძილი ბოლომდე ადამიანური ღირსებით განვლო. ბუნებით წყნარი და აუღელვებელი ბუნების სიკო ჰქმნიდა ბობოქარი ემოციებით სავსე პოეზიას. საზოგადოებრივი სიდუხჭირე, დროის მსუსხავი წლები პოეტის ფაქიზ სულს ცხოვლად დასწნევია, რაც შესაბამის რეაქციას იწვევდა მასში. ამაზე მეტყველებს 1910-1920-იან წლებში შექმნილი ლექსები. ლიტერატურის ისტორიაში სწორედ ეს წლები აღინიშნა სირთულეებით.

სიკო ფაშალიშვილმა თავისი პოეტური დებიუტი 60-იანელთა იდეებს დაუკავშირა, მწერალი წვდებოდა იმდროინდელი საზოგადოების ინტერესთა სფეროს, მათთან ერთად განიცდიდა ხალხის მისწრაფებებს და მარტივი, გასაგები ენით ჰქმნიდა შთამბეჭდავ სტროფებს. მისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა პოზა, ხოლო მხატვრული ხერხი – თვითმიზანი. პოეტის სული და გულისთქმა ნასაზრდოები იყო მშობელი ქვეყნის გამირული ისტორიული წარსულით, მშობელი კუთხისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით, ტოლებისა და წინაპრებისადმი ახლობლური განცდებით, ადამიანებისადმი გულითადი სითბოთი, სიცოცხლის ტრფიალების ფილოსოფიური განსჯით. პოეტი ძლიერად განიცდიდა თავისი ქვეყნის მდგომარეობას და თვითონაც დარაჯად ედგა მას. ხოტბას ასხამს ერისა და ქვეყნისათვის თავდადების მარად ნათელ იდეალებს. ჭეშმარიტი სინათლითა და სიმართლით სავსეა მისი მუსიკალური სტროფები, საიდანაც მომდინარეობს ავტორის დახვეწილი ქართული მეტყველება. ნატიფი და ნარნარი, მსუბუქი რითმა, რიტმულობა – ყოველივე ეს საინტერესო იდეურ-შინაარსობრივ მხარესთან ერთად მისი პოეზიის შემამკობელი ნიშნებია. ამიტომ პოეტის მრავალი ლექსი იქცა შესანიშნავ ქართულ სიმღერად.

სატირისა და იუმორის მოხდენილი მომარჯვებით მწერალმა დაიკავა მთხრობელის სწორი პოზიცია. ეპოქის სულისშემხუთველ სინამდვილეში შესძლო სწორი ორიენტირის გაკეთება. მისმა ბასრმა სატირამ და იუმორმა მრავალი ჩაახედა ცხოვრების მართალ სარკეში. სწორედ იქ, სადაც მხატვრული

სახეებით ავტორს საკუთარი აზრის გამოთქმა უჭირდა, მიმართავდა სატირასა და იუმორს. ქართულ მწერლობაში ეს ხერხი ადრეც ნაცადი იყო, მხოლოდ იგავის, არაკის ან ალეგორიის გამოყენებით... თუმცა დროის ტრაგიკული კატაკლიზმების მთელი სიმწვავის წარმოჩენის შესაძლებლობა მაშინ მწერლობას საერთოდ არ ძალუძდა. ს.ფაშალიშვილს გააჩნდა ადამიანთა ხასიათებში ღრმად წვდომის უნარი, იცნობდა მათ შინაგან ბუნებას. იუმორისტულ ჭრილში, სატირის მომარჯვებით კიცხავდა მანკიერ მხარეებს – სიხარბეს, მომხვეჭელობას, წინადაუხედაობას, მოყვასისადმი უყურადღებობასა და გაუტანლობას.

სიკო ფაშალიშვილის მხატვრულ ოსტატობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ 1905 წლის შემდგომი რეაქციის პერიოდში, როცა იგი დამწყებ პოეტად გვევლინებოდა, ქვეყანაში ფრიად საინტერესო ლიტერატურული გარემო სუფევდა. ასპარეზზე გამოსული იყვნენ სრულიად ახალი იდეების მატარებელი სხვადასხვა მისწრაფებებისა და მიმართულების ლიტერატურული ჯგუფები, რომლებმაც პრობლემათა განსაკუთრებულ სიუხვეში თავისებურად გაანედღეს ქართული ლიტერატურის წიაღი. სიკო თავის შემოქმედებაში ზოგიერთი რეფორმატორულ-ნოვატორული გამონაკლისის გარდა, ძირითადად ტრადიციული სტილის მიმდევარია. იმ ნოვატორულში კი პირობითად იგულისხმება ქალაქური კოლორიტის წარმოჩენა, მუხამბაზურ-ყარაჩოხული სტილი, რომლის მიმდევარი ერთეული შემოქმედთაგანი თუ იყო (მაგ. იეთიმ გურჯი, ი. გრიშაშვილი...). თვით ს. ფაშალიშვილიც ზოგიერთ გამონაკლისს უშვებდა როგორც პოეზიაში, ისე დრამატურგიაში.

მემუარებში მწერლის ნააზრევის თავისებურებად მიგვაჩნია მისი მკაფიო ლირიზმი. ლირიკული განწყობილების შექმნა თბილ ტონალობას ანიჭებდა თხრობას და ამით მთელი თხზულება, მასში დახატული გარემო და მწერლის ნანახ-გაგონილი, ნაცნობ-მეგობართა წრე მკითხველისათვის უშუალოდ აღქმულნი და ახლო ნაცნობნი ხდებოდნენ, მის მიერ წარმოჩენილი ყველა ეპიზოდი დატვირთულია ავტორისეული განცდით.

მწერლისეული მგზნებარება აშკარა ხელწერად ატყვია მის ნარკვევებს. პუბლიცისტური მიზნის მიღწევაში დახმარებას უწევდა საქართველოს ისტორიული წარსულის საფუძვლიანი ცოდნა და ზეპირსიტყვიერი მასალის გამოყენება. ნარკვევებში ურთიერთშერწყმულია ავტორის პოლიტიკურ-მხატვრული ადლო და ჟურნალისტურ-ბელეტრისტული

ერთმთლიანობა.

სიკო ფაშალიშვილს ზოგ შემთხვევაში ახასიათებდა სათქმელის ალგორითული ფორმით გადმოცემა, რასაც იგი თითქოს მნიშვნელობას არ ანიჭებს, რომ ოფიციალური ხელისუფლებისათვის იოლი გასაშიფრი არ ყოფილიყო ავტორისეული ფიქრი და გულისთქმა. სწორედ ამ მიზნით ხელოვნურად ახდენდა შექმნილი ნაწარმოების დროის ადრევეს. მწერლის შემოქმედებაზე წარმოდგენას სრულყოფილებას სძენს მისი მაღალოსტატური თარგმანები. სიკო მართებულად იყო მიჩნეული თარგმანის დიდოსტატად, რომლის მწვერვალს დრამატურგიაში შექსპირის კომედიების გადმოქართულება წარმოადგენდა, ხოლო მხატვრულ შემოქმედებაში პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩის, გრიბოედოვის, ლებერესტის, გონჩარის და სხვა მრავალის შემოქმედების თარგმნა.

საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელობითმა სექციამ ს. ფაშალიშვილს დაავალა შექსპირის თარგმანის განგრძობა. იმხანად უკვე მსცოვანმა მწერალმა მაინც სასახელოდ შეასრულა ეს დავალება და სულ ექვსი კომედია თარგმნა, კრიტიკოსთა აღიარებით თითოეული გამოირჩევა მაღალი მხატვრული ღირსებით და წარმოადგენს ი. მაჩაბლის ტრადიციების გაგრძელებას, რომელმაც ქართულად თარგმნა შექსპირის ტრაგედიები.

სიკო ფაშალიშვილისაგან დიდად იყო დავალებული თეატრი და კინოხელოვნება. მისი ორიგინალური კომედიები და სკეტჩები ქართული სცენის მნიშვნელოვანი შენამატია, ხოლო კინოსცენარებმა და ქართული ფილმებისათვის შექმნილმა ლიბრეტოებმა მათ ავტორს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.

სიკო ფაშალიშვილიმა დაგვიტოვა ერთობ ნაყოფიერი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელსაც ზედ ეტყობა ავტორის როგორც შემოქმედებითი, ასევე ადამიანური მაღლი. მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დაკვირვებით კარგად ჩანს, რომ იგი იყო თვალსაჩინო პოეტი და მოქალაქე, რომელმაც უანგაროდ და უპრეტენზიოდ იღვაწა და სამშობლოს სამსახურს შეაღია მთელი თავისი ენერგია და შეგნებული ცხოვრება, სამაგიეროდ, რჩეულ მამულიშვილთა შორის ღირსეული ადგილი დაიკავა.

## ბიბლიოგრაფია

1. არველაძე ბ. ერთი გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკის შესახებ, აღმანახი „საუნჯე“, 1990 წ. №№3-4.
2. ასლამაზიშვილი ვ. სტუმრად ძია სიკოსთან, გაზეთი „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1966 წ. №55.
3. ბარბაქაძე თ. მაშ გამარჯობა, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2003 წ. №47.
4. ბეგიაშვილი ლ. შესანიშნავი მწერალი და მოქალაქე, გაზეთი „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1969 წ. №22.
5. გამსახურდია კ. თხზულებათა ანტომეული, ტომი VIII, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983 წ.
6. განდეგილი (დომინიკა ერისთავი), პოეტი ვაჟა-ფშაველა, გაზეთი „თემი“, 1913 წ. №111.
7. გომართელი ი. კავკასიონი, „სახალხო გაზეთი“, 1927 წ. №27.
8. – – – რჩეული თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, თბილისი: გამომცემლობა „ლიტერტურა და ხელოვნება“, 1966 წ.
9. გრიშაშვილი ი. ნაწამები საღომე, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ. №942.
10. – – – რობაქიძესთვის, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. №379.
11. – – – „სალომეას“ გარშემო, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ. №919.
12. – – – სალომე-რობაქიძის გარშემო (ორი წერილი), გაზეთი „სახალხო საქმე“, №№996, 997.
13. ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი X, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1964 წ.
14. თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მასალები (ს. ფაშალიშვილის პირადი არქივი).
15. თევზაძე დ. ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1982 წ.
16. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის მასალები, საერთო

№1-1984.

17. იმედაშვილი გ. წინასიტყვაობა ი. გრიშაშვილის ლექსების კრებულისა „ჩემი აღმართი“ (შემდგენელ-რედაქტორი სილოვან ნარიმანიძე), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989 წ.
18. იოვაშვილი დ. თანამედროვე ქართული მხატვრული ნარკვევი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965 წ.
19. მელუა დ. მოგვიმრავლდეს ასეთი, გაზეთი „თბილისი“, 1962 წ. №62.
20. მილორავა ი. მზეებს იქით, გაზეთი „კალმასობა“, 2000 წ. №8.
21. მირიანაშვილი ა. თანამედროვეობა მხატვრულ სახეებში (ლიტერატურული წერილები), თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1987 წ.
22. – – – პოეტი და მოქალაქე, ლიტერატურული გაზეთი, 1960 წ. №30.
23. – – – სიკო ფაშალიშვილი, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 1988 წ. №34.
24. ნიკოლეიშვილი ა. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტომი I, ქუთაისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1994 წ.
25. – – – XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2002 წ.
26. რევია დ. ძვირფას ოქროდ დარჩება, გაზეთი „თბილისი“ 1988 წ. №74.
27. რობაქიძე გ. კიდევ რიტმისთვის, გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №89.
28. – – – „ლეილა“, ჟურნალი „ლეილა“, 1917 წ. №1.
29. – – – მარუთა შუამდინარელს, გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №98.
30. – – – პასუხად, გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №102.
31. – – – პასუხად გრიშაშვილს, გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №211.
32. – – – ფოთლები, გაზეთი „თბილისი“, 1988წ. №95
33. – – – ქართულის გარშემო (წერილების სერია), გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №№117, 123, 128, 141.
34. – – – ქართული რიტმული, გაზეთი „საქართველო“, 1920 წ. №82.
35. სანგანიძე (სანდრო გრძელიშვილი), ლიტერატურული საღამო მგოსან აკაკის მონაწილეობით, „სახალხო გაზეთი“, 1913 წ. № 1037.
36. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი (ცსა), ფონდი 8.
37. – – – ვახტანგ ტაბლიაშვილის პირადი არქივი, ფონდი 110.
38. სულაბერიძე შ. თანამედროვე ლირიკოსთა პორტრეტები, თბილისი:



- გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966წ.
39. – – – სიკო ფაშალიშვილის ერთტომეული, ჟურნალი „მნათობი“, 1960 წ. №5.
  40. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწილი I, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1990 წ.
  41. – – – ნაწილი II, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1990 წ.
  42. ფაშალიშვილი ს. გამოუქვეყნებელი ლექსებიდან, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წ. №13.
  43. – – – დაუეწიყარი შეხვედრები, თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1966 წ.
  44. – – – ერთტომეული (ლექსები), თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1959 წ.
  45. – – – ლექსები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1970 წ. №13.
  46. – – – ლირიკული რეჟულიდან, გაზეთი „კომუნისტი“, 1967 წ. №83.
  47. – – – მხიარული წიგნი, თბილისი: „საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა“, 1962 წ.
  48. – – – რობაქიძიდა, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ. №926.
  49. – – – საპასუხო, გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წ. №915.
  50. – – – საღამო გორში, გაზეთი „კომუნისტი“, 1945 წ. №23.
  51. – – – ძველ ყამირებზე, თბილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1934 წ.
  52. ქართული დრამატურგია 15 ტომად, ტომი I, თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1992 წ.
  53. ქართული საბჭოთა მწერლობის ვეტერანი (ს. ფაშალიშვილის დაბადების 70-ე წლისთავისათვის), „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წ. №7.
  54. შანშიაშვილი ს. ხსოვნა მარადი, გაზეთი „კომუნისტი“, 1920 წ. №68.
  55. შარშიაშვილი ნ. სიკო ფაშალიშვილის თარგმანები, გაზეთი „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1964 წ. №70.
  56. შექსპირი უ. თხზულებათა სრული კრებული 5 ტომად, ტ. I, (რედ. ნ. ყიასაშვილი), თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1988 წ.
  57. ციციშვილი გ. გულმართალი შემოქმედი, გაზეთი „კომუნისტი“, 1966 წ. №39.
  58. ჭავჭავაძე ი. თეატრის შესახებ, თბილისი: გამომცემლობა „ხელოვნება“, 1955 წ.

59. ჭილაია ს. ოცწლეული, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 1986 წ.
60. – – – სიტყვის ოსტატი, გაზეთი „კომუნისტი“, 1970 წ. №68
61. ხინთიბიძე ა. აღმანახი „რიწა“, 1989 წ. №3
  
62. ჯავახიშვილი გ. „გაზეთი „სმა კახეთისა“, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2002 წ.
63. ჯავახიშვილი ი. მრავალმხრივი შემოქმედი, გაზეთი „კოლმეურნე“ (სიღნაღი), 1962 წ. № 51.
64. – – – პოეტი, მოღვაწე, ადამიანი. გაზეთი „თბილისი“, 1962 წ. №62.
65. – – – რუსთაველის მოციქული ქიზიყში. გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1990 წ. №65.
66. ჯანგულაშვილი თ. სინათლე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. №41.